

K 275.860
3

ლ. ბელუკიძე



სელსური ავჯი

აღმოსავლეთ საქართველოს
ეთიკანეთუი



„მეცნიერება“ 1973

ლ. გელუკიძე

ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

Handwritten signature and number 73



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1973



ქართული ენციკლოპედია
საბჭოთავი იტალიის

K 275.366

ნაშრომი ემყარება ავტორის მიერ ველზე მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალას. გამოყენებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატები. შესწავლილია საავეჯე ხის შერჩევისა და დამუშავების ტრადიციები, ხალხური ავეჯის ნაირსახეობა, მისი კავშირი სცხოვრებელთან და ადგილი საოჯახო ყოფაში. ნაშრომში გამოვლენილია ხალხური ავეჯის დამზადებისა და შემკობის ხერხები. მოცემულია ორნამენტის დეტალებისა და მხატვრული სიუჟეტების მეცნიერული ინტერპრეტაცია, გარკვეული ადგილი ეთმობა ავეჯის განლაგების თავისებურებას და რწმენა-წარმოდგენებს, რომელთაც საწყისები უძველეს წარსულში ეძებნება.

ნაშრომი ილუსტრირებულია. იგი საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული პირებისა და ფართო საზოგადოებისათვის.



შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უტყუარსა და მნიშვნელოვან წყაროს მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოადგენენ, რომლებსაც სხვა მრავალთა შორის ქართული ავეჯი განეკუთვნება. ამ მიმართებით, ხალხური ავეჯის შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს მთიანეთში შემონახული, მასთან წერილობით წყაროებში ასახული და არქეოლოგიური ინვენტარის სახით დაცული ავეჯი, მის დამზადებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ცოდნა იმ მდიდარი გამოცდილების მაჩვენებელია, რომელიც თაობიდან თაობაში გადასვლით ინარჩუნებდა თავის არსებობას.

ავეჯის დამზადების და მისი გამოყენების ტრადიცია, ემპირიულ ნიადაგზეა აღმოცენებული და თავისი წარმომავლობით უძველესი დროიდან მომდინარე ჩანს. ხალხის ამ გამოცდილების შესწავლას და საერთოდ, ავეჯის ისტორიის ცოდნას გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება¹.

ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვ. ი. ლენინი მემკვიდრეობით მიღებულ ხალხურ კულტურას. მისი აზრით, სოციალისტური კულტურის შექმნა სწორედ ხალხური მონაპოვარის გათვალისწინებას საჭიროებს: „უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“². ამრიგად, კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად განხილვა და მატერიალური კულტურის ცალკეული დარგების შესწავლა, ახლის შენების საფუძველია.

საქართველოში, კერძოდ მის მთიანეთში, ნივთიერი კულტურის მდიდარი და მრავალფეროვანი ძეგლებია დაცული. ამ ხასიათის ძეგ-

¹ შდრ. Д. Д. Иванов, Искусство Мебели, М., 1924, вып. 5, стр. 31.

² ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29 (მეოთხე გამოცემა), გვ. 66.



ლებს განეკუთვნება: კიდობანი, კარადა, ხის ლოგინი (ტყეტი) ^{ეხუმი} მერხი // სკამ-ლოგინი, ტაბლა-ხონჩები დ სხვა. მატერიალური ^{წესები} რის ეს ელემენტები ქართული ხალხური ხით ხურობის მდიდარ ტრადიციებს ემყარება და ხელოსნობის ამ დარგის განვითარების მაღალ საფეხურს წარმოაჩენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრების ხასიათმა და საქართველოში, ხის დამუშავების მაღალმა დონემ საფუძველი ჩაუყარა სრულყოფილი ხის ავეჯის შექმნას. საქართველოს მთიანეთში წარმოდგენილი ხალხური ავეჯი თავისი აღნაგობითა და მხატვრული შემკულობით გამოირჩევა. იგი იშვიათი ჰარმონიისა და სრულყოფის შთაბეჭდილებას ახდენს. მთიანეთისათვის დამახასიათებელი ქვით ნაგები მასიური საცხოვრებელი თუ ციხე-სახლი მონუმენტური ავეჯის განვითარების ხელშემწყობ პირობათაგანს წარმოადგენდა. მასხადამე, ნაგებობასა და სამეურნეო ყოფასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ავეჯი ის მატერიალური საბუთთაგანია, რომლის შესწავლა ხალხური ავეჯის განვითარების კანონზომიერებას გამოავლენს და უთუოდ, ერთგვარ წვლილს შეიტანს ხალხური ნაგებობის, ხელოვნებისა და საოჯახო ყოფის შესწავლაში.

ქართული ხალხური ავეჯის დამზადების ხელოვნება და მისი ფუნქციის გარკვევა მკვლევართა საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე არსებული ლიტერატურის სიმცირეც ამით უნდა აიხსნას.

ქართული დგამის შესახებ არსებული ლიტერატურიდან უნდა დავასახელოთ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი — „მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“³. ხსენებული ნაშრომი ზოგადი ხასიათისაა. მასში ავეჯთან ერთად, საგებელ-საფენელი და ჭურჭელია განხილული. აქ მოტანილი მრავალი ნივთის სახელწოდება და დანიშნულება, სხვადასხვა ხანისა (უძველესი დროიდან XVIII ს-მდე) და ხასიათის პირველწყაროთა მონაცემების ანალიზის საფუძველზეა მოცემული. ივ. ჯავახიშვილის „მასალები“ ავეჯის ისტორიის ფუძემდებლურ ნაშრომს წარმოადგენს.

ქართული ავეჯის აღნაგობის შესწავლისა და მისი ისტორიისათვის მეტად საგულისხმოა ტ. ხერხეულიძის მიერ ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლების მიხედვით შესრულებული ავეჯის ნიმუშთა კრებული⁴, რომელიც ივ. ჯავახიშვილის დავალებით და მისივე რედაქ-

³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვეთი, II, საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი, თბილისი, 1965.

⁴ ტ. ხერხეულიძე, ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და ქედურ ხელოვნებაში, ნიმუშების კრებული, თბილისი, 1941.



ციითაა გამოცემული. ხსენებული კრებულის მასალა, რომელიც აწარმოებულია რისავე აღნიშვნით, XI—XVII სს. ფარგლებს ეხება, ჰელენისტური ხანების დაუთარილებელი ძეგლებიდან აღებული ფაქტებითაა შევსებული.

ქართული სასხდომი ავეჯის ერთ-ერთ სახეობას, სვანურ „საკურცხილ“-ს, გ. ჩიტაიას სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა⁵. ნაშრომში დამუშავებული ძირითადი საკითხები და მათი სკრუპულოზური ანალიზი ერთადერთ გზამკვლევს წარმოადგენს ავეჯის ეთნოგრაფიული შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის. თქმული როდი უარყოფს ხალხური ავეჯის შესახებ არსებულ იმ მასალის გარკვეულ ღირებულებას, რომელიც ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში მოყვანილია ამა თუ იმ საკითხის კვლევასთან დაკავშირებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეთნოგრაფის ფ. გარდაფხაძე-ჭიქოძის შრომა ლეჩხუმური სკივრის შესახებ, რომელშიც განხილულია ლეჩხუმური სკივრის სახეობანი და მასზე მოცემული ორნამენტი⁶.

ვ. ბარდაველიძის ნაშრომში, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გამოკვლეულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავეჯთაგანი — „კიბდენ“ (კიდობანი)⁷. იგი ხალხის ყოფაში ძველთაგანვე დამკვიდრებულია და ავტორისავე თქმით „ოდესღაც სადღესასწაულო რიტუალის შესრულებისას თვალსაჩინო ადგილიც ეკავა“. ავტორი, მონოგრაფიაში — სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები⁸, სვანური „შინას“ ყველაზე უძველესი ფორმის „მაჩუბის“ შიდამოწყობილობას განიხილავს და სვანური დგამის განლაგებაზე ჩერდება, რაც სქესობრივი ნიშნის მიხედვით ადგილების გამიჯვნის დამადასტურებელ მატერიალურ საბუთთაგანს წარმოადგენს.

ძველ ქართულ ოჯახში, კერასთან გამიჯნულ საკაცო და საქალო მხარეებზე, კუთვნილების მიხედვით დიფერენცირებული ავეჯის ზოგიერთ სახეობათა დანიშნულება და მათთან ოჯახის წევრთა დამოკიდებულება გაანალიზებულია რ. ხარაძის მონოგრაფიებში⁹.

⁵ გ. ჩ ი ტ ა ი ა, სვანური „საკურცხილ“, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. II, ტფილისი, 1925.

⁶ ფ. გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ე - ჭ ი ქ ო ძ ე, მასალები ლეჩხუმური სკივრის შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1955.

⁷ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, თბილისი, 1939.

⁸ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953; მ ი ს ი ე ვ, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957.

⁹ რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939; P. X a p a d z e, Грузинская семейная община, т. I—II, Тбилиси, 1960—1961.



ავეჯის ცალკეული ელემენტების შესახებ საინტერესო მასალები წარმოდგენილი ს. მაკალათიას ნაშრომებში¹⁰, ა. კიკვიძის შრომებში¹¹ და სხვა.

საყურადღებოა, რომ მ. ჩართოლანის ნაშრომის მიხედვით, სვანურ სახლში, საკაცო და საქალო ადგილების კერასთან გამოყოფა ოჯახის წევრთა დიფერენცირებულ საქმიანობაზე მიუთითებს¹². ჩვენი აზრით, ავტორის ზემოხსენებულ მოსაზრებას საკაცო და საქალო მხარეებზე ავეჯის შესაბამისად განლაგებაც ადასტურებს.

თ. ჩიქოვანმა თრიალეთის, კერძოდ წალკის რაიონში არსებული ყველა ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათა განხილვისას ავეჯიც აღწერა და მისი განლაგების სრული სურათი მოგვცა¹³.

ვ. ითონიშვილის მიერ ჩატარებული მოხეური სახლის მეცნიერული შესწავლის შედეგად გარკვეულია მოხეური სახლის შიდა მოწყობილობა და ავეჯის განლაგების საკითხი¹⁴.

შუა საუკუნეების ხის ჩუქურთმას მიუძღვნა თავისი ნაშრომი ნ. ჩუბინაშვილმა¹⁵. ნაშრომში განხილულია ფეოდალური ხანის ხის ხუროთმოძღვრული ძეგლები და მასთან დაკავშირებული ხალხური ავეჯის ჩუქურთმის ზოგიერთი სახე.

საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს არქეოლოგიური მასალა, რომელიც ასევე მკაფიოდ გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ ქართული ხალხური ავეჯი უტრადიციოდ არ აღმოცენებულა. იგივე არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ ავეჯის ხელოვნების მაღალ დონეს საქართველოში. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ჩვენამდე მოღწეულია დგამის ცალკეული ელემენტები ლითონის საბურჯლის სახით და ზოგიერთ შემთხვევაში მისი შემკულობის ფრაგმენტები. მხედველობაში გვაქვს, ქართველ პიტიახშთა არმაზის ხევის სამარხების (I, III, VI, VII) ვერცხლით შემკული დგამისა და ბაგინეთის, კლდეკარის აკლდამაში აღმოჩენილი დგამის „რთულჩუქურთმო-

¹⁰ ს. მაკალათია, ფშავი, ტფილისი, 1934; მისივე, ხევი, ტფილისი, 1934; ხევსურეთი, ტფილისი, 1935; თუშეთი, ტფილისი, 1933.


¹¹ ა. კიკვიძე, შუა-სახლი რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის „მოამბე“, IV — V, თბილისი, 1940.

¹² მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961.

¹³ თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბილისი, 1960.

¹⁴ ვ. ითონიშვილი, ძველი და ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევში, თბილისი, 1959 (ხელნაწერი).

¹⁵ Н. Г. Чубинашвили, Ггузинская средневековая художественная резьба по дереву, Тбилиси, 1953.



ვანი“ სადგარები¹⁶. დახვეწილი გემოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ ბაგინეთის მეორე სამარხის სარკოფაგში (II ს. ა. წ.) მოჩენილი სეფექალის კუთვნილი სარეცლის ვერცხლის ფეხები, სავარძლის სადგომები¹⁸ და სხვა. არქეოლოგთა შეხედულებით, კლდეკარის სარკოფაგის სავარძლისა და სარეცლის ფეხთა გარსაკრავების გამოსახულებანი ძველ წინააზიურ და კერძოდ ურარტულ ტანტ-სავარძლების შემკულობათა მსგავსია¹⁹. საქართველოში ხის ავეჯის დამზადების უძველესი ტრადიციის არსებობის მყარ საბუთს ქმნის II—III საუკუნეების ერისთავთა სამარხებში წარმოდგენილ სარეცლის ფეხთა ვერცხლის გარსაკრავებში აღმოჩენილი კაკლის ხის მერქნის ნაშთები²⁰. არქეოლოგთა მიერ მიკვლეულ სარეცლის ფეხთა ფრაგმენტებზე სხანარტო ჩარხისა და საწნევი ხელსაწყოს გამოყენების კვალი საქართველოში ავეჯის ხელოვნების უძველეს საწყისებზე მიუთითებს²¹. ამრიგად, დურგლობის ერთ-ერთ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ხალხური ავეჯის ტექტონიკა და ორნამენტაცია, რომლის საწყისები, საუკუნეთა სიღრმეში იძებნება ფრაგმენტებად შემონახული ავეჯისა და მისი გარსაკრავების სახით.

არქეოლოგთა მიერ მიკვლეული ხის დგამის ცალკეული ფრაგმენტები, თუ სამკაული, ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, საქართველოში ავეჯის დამზადების ტრადიციულობის ნათელიყოფის საგულისხმო ფაქტობრივ საბუთს წარმოადგენს და უსაფუძვლოდ სტოვებს არქიტექტორების გ. ლეჟავასა და მ. ჯანდიერის მოსაზრებას, რომლის მიხედვით საქართველოში ავეჯის კეთებას ტრადიცია არ გააჩნია²². ასევე საფუძველს მოკლებულია და მასალის ნაკლები ცოდნით უნდა აი-

¹⁶ ა. აფაქიძე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959, გვ. 94.

¹⁷ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 121.


¹⁸ გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, თბილისი, 1952, გვ. 157.

¹⁹ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 36.

²⁰ იქვე, გვ. 36.

²¹ იქვე.

²² Большой интерес представляет вопрос, откуда сваны заимствовали столь разнообразную у них традицию мебели, тогда как на Кавказе вообще и в Грузии в частности этой традиции наблюдать не удается», М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, изд. Всесоюзн. акад. Архитектуры, 1938, стр. 12. თუმცა შემდგომ ეს მოსაზრება გ. ლეჟავამ და მ. ჯანდიერმა რამდენადმე გამოასწორეს. იხ. Архитектура Горной Грузии, М., 1946. ავეჯის დამზადებისა და გამოყენების უძველესი ტრადიციის არსებობის შესახებ სვანეთში იხ. გ. ჩიტაია, სვანური „საკურცხილ“, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, II, გვ. 96—97.



ხსნას ვ. უვაროვას განცხადება, რომ სვანეთში „В церквах, даже в отдельных домах селений впервые замечаем значительное присутствие деревянной мебели, кресла, диваны, аналои и сундуки с раз- ным вглубь орнаментом, чего не замечаем в остальной Грузии“²³.

ხალხური ავეჯის არქიტექტურასთან კავშირისა და კერძოდ, ინტერიერის რაციონალურად ათვისების მიზნით კედლებში დატანებულ ავეჯის (განჯინა, თახჩა, თაროები) მნიშვნელობის შესახებ საყურადღებო აზრია გამოთქმული მ. გარაკანიძის მონოგრაფიაში²⁴. უნდა აღინიშნოს, რომ ი. თავართქილაძის წერილში, რომელიც სკივრების შესწავლას ეძღვნება, სწორადაა შენიშნული დეკორის კავშირი არქიტექტურასთან²⁵. მაგრამ საკვლევი საკითხი ამ ნაშრომებში სპეციალურად არ განიხილება და მოტანილი მასალაც ავეჯის კეთება-აღნაგობისა და გამოყენების სრულ სურათს ვერ იძლევა.

ვ. ართილაყვა, ნაშრომში — „XVI—XVIII სს. მატერიალური კულტურის ისტორიიდან“ (თბილისი, 1966) ფრესკებზე მოცემულ ავეჯს იხილავს და გვიანფეოდალური პერიოდის ქართული ავეჯის ფორმების გარკვევას ცდილობს. მას ფრესკაზე გამოსახული ავეჯისა და ხალხური ავეჯის პარალელური ელემენტები, ვარაუდად, ხალხურიდან წარმომდინარედ მიაჩნია. მაგრამ მართებულად დასმული საკითხის ჯეროდნად გადაწყვეტისათვის საჭიროა ხალხური ავეჯის დეტალური შესწავლა და მისი ხასიათის გარკვევა — მასალის, დამზადების წესების და ფუნქციის ჩვენებით. ჩვენი ნაშრომი ხალხური ავეჯის ამ თვალსაზრისით შესწავლის პირველი ცდაა.

ქართული ისტორიული ავეჯისადმი მიძღვნილმა გამოკვლევებმა და სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში დაცულმა ცნობებმა გარკვეული სარგებლობა მოგვიტანა საკითხზე მუშაობის დროს. სპეციალური ლიტერატურის გარდა, ნაშრომში, ჩვენ ვჩერდებით ისეთ ავტორებზეც, რომელთაც ქართულ ავეჯზე რაიმე აზრი გამოუთქვამთ ან თუნდაც ზოგადად შეხებიან.

ცნობილია, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო უცხოელ მოგზაურთათვის არ წარმოადგენდა „terra incognita“-ს. სხვადასხვა მოგზაურები ხშირად ეხებიან ქართულ ავეჯს, მაგრამ მათი ცნობები აღნიშნული საკითხის ირგვლივ სქემატურია და ამდენად მცი-

²³ В. Уварова, Сванетия, МАК, X, 1904, стр. 37.

²⁴ Г. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, Гос. изд. «Сабчота Сакартвело», 1959.

²⁵ И. Н. Таварткиладзе, Грузинское лари-скиври, «Советская этнография», М, 1965, № 3.



რეოდენის მთქმელი. მიუხედავად ამისა, ეს ცნობები უთუოდ არასწორი თვალსწინებელია, თუმცა ზოგიერთი მათგანი კრიტიკულ მხედველობით საჭიროებს²⁶.

ხალხური ავეჯის, ისე, როგორც ყოფის ამსახველი სხვა საოჯახო ნივთების მრავალგვარობაში ვლინდება ხის დამუშავების ის ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ძველზე დაყრდნობით შემოქმედებითად ვითარდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხის დამუშავების მაღალი კულტურა თვით ხით ხურობის იარაღების თავისებურებაშიაც ვლინდება. რადგან ხის დასამუშავებელი იარაღები დაწვრილებით არის განხილული გ. გასიტაშვილის სადისერტაციო ნაშრომში²⁷, ამიტომ მათ შესახებ საგანგებოდ აღარ შევჩერდით და მხოლოდ თითოეული მათგანის ცალკეული ფუნქციის ჩვენებით შემოვიფარვლეთ.

საკვლევი საკითხის ამოსავალი და ნაშრომის საფუძველი ეთნოგრაფიული მასალაა, რომელიც ჩვენ მიერ წლების მანძილზეა მოპოვებული: ხევის (1957—58 წწ.), მთიულეთ-გუდამაყრის (1959—60 წწ.), ხევსურეთის (1961 წ.), ფშავის (1962 წ.), თუშეთის (1963—64 წწ.), სვანეთის (1965 წ.) ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვისარგებლეთ აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეკრებილი შინამრეწველობის მასალებით, რომელიც დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივში. ამასთან ჩვენ მიერ გამოყენებულმა წერილობითმა წყაროებმა და შესაბამისმა არქეოლოგიურმა მასალამ ეთნოგრაფიული მონაცემების ისტორიულ ჭრილში განხილვის საშუალება მოგვცა.

ხალხური ავეჯისა და მისი დამზადების ცოდნის პოპულარიზაცია მუზეუმის ფონდებში დაცული ხალხური შემოქმედების ამ ნიმუშთა გარეშე შეუძლებელია. ამ უკანასკნელთა ამეტყველება ჩვენი ნაშ-

²⁶ მაგალითად, გერმანელი მეცნიერი პეტჰოლდი, რომელმაც XIX საუკუნის 60-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, რაქაში ნახულ სკამებს აღწერს და მათ ორიგინალობას საგანგებოდ აღნიშნავს. მისი მტკიცებით ასეთი ავეჯი მთელ კავკასიაში არ იძებნება, A. Petzholdt, Der Kaukasus, vol. I, Leipzig, 1886, S. 314.

სვანეთში ნახული ავეჯის შესახებ მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ინგლისელი მოგზაური ფრეშფილდი. Douglas W. Freshfield, Travels in the central Caucasus and Bashan including visits to Ararat and Tabreez and ascents of Kazbek and Elbruz, London, 1869, p. 301. ამგვარი შეხედულებანი მასალის ნაკლები ცოდნით უნდა აიხსნას.

²⁷ გ. გასიტაშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან — „ხით ხურობა აღმოსავლეთ საქართველოში“, დისერტაცია (მანქანაზე ნაბეჭდი), თბილისი, 1963.



რომის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს. საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ
 ლისწინებული კოლექციები გამოთქმულ მოსაზრებათა ნაგებობის
 ბუთთაგანია, ხოლო თანდართული ფოტომასალა ხალხური ავეჯის მრავალფეროვნების თვალსაჩინო სურათს ქმნის.

ქართული ავეჯის შესწავლისათვის ხელშესახები ძირითადი მასალა, როგორც ითქვა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია მოპოვებული, სადაც დღემდე შემოინახა ავეჯის დამზადებისა და ინტერიერში მისი განლაგების ზოგიერთი ტრადიციული ფაქტი.

ნაშრომში სავანთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტერმინთა — „ავეჯისა“ და „ვეჯის“ ხალხური გაგება, რომლის მიხედვით ტერმინი — „ავეჯი“ ზოგადი მნიშვნელობისაა და საერთოდ, ყოველგვარ იარაღს, დგამ-ჭურჭელს აღნიშნავს. ტერმინი „ვეჯი“ კი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, მხოლოდ სპეციალური დანიშნულების დგამის (საწოლები, სასხდომები, ტაბლასუფრები, კიდობნები) აღსანიშნავად იხმარება. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ კუთხეებში ორივე ეს ტერმინი მოძრავი ქონების აღმნიშვნელი ჩანს²⁸, რაც შინაარსით ლათინურ ტერმინს mobilis (მოძრავი) შეესატყვისება ისე, როგორც რუსული ტერმინი „мебель“, გერმანული — „möbel“, ფრანგული — meuble.

მართალია, წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართული ხალხური ავეჯის დამზადებისა და გამოყენების ტრადიციების შესწავლა, მაგრამ „მემკვიდრეობის დაცვა სრულიად არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდრეობით დაკმაყოფილებას“²⁹. იგი საუკეთესო მონაბოვრის შემოქმედებითად ათვისებასა და ახალ შინაარსთან ორგანულად შერწყმას გულისხმობს.

ჩვენს ეპოქაში ახალი სახით აღორძინდა ხალხური ხელოვნება და ახალ ნაგებობათა თუ ავეჯის შემკობაში ხალხური ორნამენტის ცალ-

²⁸ ხსენებული ტერმინების ხალხური ახსნის მართებულობას შემდეგი საბუთებიც ადასტურებენ: 1779 წლის საბუთში, რომელიც წარმოადგენს სალევო თეთრის ნუსხას ზალ ეშოკალთბაშისა, ვკითხულობთ: ...„ზ(ა)ლ ეშოკალთბაშს რაც სალევო თეთრი აუღია ქს უთზ... ქ. გერგუტიდამ ცხვარი შვიდი და სხვა ვეჯი ზემო რიგათ“ (მასლები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, საბუთები, წიგნი III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 65). იგივე ტერმინი მოძრავი ქონების აღსანიშნავად მოიხსენიება 1785 წლის საბუთში, რომელიც ამილახვარის შვილის დანახარჯს შეეხება“... „ქ. რუსეთიდან მოველ. იქიდან მოვიტანე ორას სამოცი თუმანი თეთრი და ვეჯი“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79). ვეჯი მოძრავი ქონებაა 1872 წლის საბუთის მიხედვითაც (ქ. სონდუღაშვილი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი დიღმის ხეობაში, ხელნაწერი, 1962, გვ. 57).

²⁹ ვ. ი. ლენინი, „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“, თხზ., ტ. II, 1948, გვ. 657.

კული დეტალის შემოქმედებითად გამოყენებას ფართო გასაქანი მიეცა. საბჭოთა ხელოვნება ახალ ცხოვრებას ასახავს, რომლის სოციალისტური შინაარსი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებში ნისაზღვრება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანადაც გამომხტარი, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონავონი, რომელნიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების უღელქვეშ“³⁰. ბუნებრივია, ახალმა ყოფამ სრულიად კანონზომიერად გამოიწვია ძველი საყოფაცხოვრებო ნივთების შეცვლა, მაგრამ მომხმარებელთა მაღალი მოთხოვნილება და მატერიალურ-კულტურული დონე ავეჯის დამპროექტებლების წინაშე აყენებს სრულიად ახალ ამოცანებს — მოხმარებელს მიაწოდოს მოხდენილი, ახალი ბინისათვის შესაფერისი ავეჯი.

ნაშრომში წარმოდგენილი ხალხური ავეჯი, ვფიქრობთ, ახალი ტიპის ავეჯის შექმნის ხელშესახებ მასალას იძლევა³¹. იგი, საერთოდ, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის მხატვრებს, ხელოსნებს და ავეჯის დამპროექტებლებს, რომლებიც ტრადიციულ საფუძველზე შესძლებენ ყოველმხრივ სრულყოფილი ავეჯის შექმნას. მემკვიდრეობით მიღებული გონივრული მონაპოვრის გამოყენება, ახალი ავეჯის დასამზადებლად, საუკეთესო ტრადიციების ათვისების, ახალ შინაარსთან მისი შერწყმის და დანერგვის კარგი მაგალითი იქნება.


პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი

ს ა ა ვ ე ჯ ე ხ ის შ ე რ ჩ ე ვ ა - შ ე გ უ ლ ე ბ ის ა და პ ი რ ვ ე ლ ა დ ი და მ უ შ ა ვ ე ბ ის ხ ა ლ ხ შ რ ი წ ე ს ე ბ ი

საქართველო, განსაკუთრებით კი მისი ტყით მდიდარი მთიანეთი, ხის ავეჯის მრავალფეროვანებით გამოირჩევა. საქართველოს მთამ ქართული ავეჯის უნიკალური სახეობანი შემოგვინახა.

³⁰ ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები, თხზ., 31 (მეოთხე ქართული გამოცემა), გვ. 343.

³¹ ხალხური ავეჯი იმითაც გამოირჩევა, რომ მისი მრავალი დეტალი უნიფიცირებული, ნორმალიზებული და სტანდარტიზებულია. მაგალითად, ნაშრომში აღწერილი სკამები ერთნაირი ნაწილებისაგან მზადდებოდა, მაგრამ კონსტრუქციული ცვლილებების წყალობით აღწევდნენ მათ თვალსაჩინო სახესხვაობას.



ხალხური ავეჯის ცალკეული სახეობის დეტალურმა შესწავლამ, ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზმა, ტალურ და ვერტიკალურ ჭრილში მისმა განხილვამ გამოავლინა, საქართული ავეჯი ხალხური შემოქმედების მრავალმხრივ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ავეჯის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ ავეჯის დამზადება ტრადიციული ცოდნის შედეგია და მისი ფესვები საუკუნეთა სიღრმეშია საქმნი.


წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანი, უპირველესად, ავეჯის დამზადების და გამოყენების ხალხური ცოდნის გამოვლენაში მდგომარეობს. უეჭველია, რომ საქართველოში ხის დამუშავების ტექნიკური მიღწევები, საავეჯე ხის შერჩევა-შეგულებისა და ავეჯის დამზადების დღემდე მოტანილი ცოდნა დიდი გამოცდილების მათუწყებელია.

ფშვ-ხევსურეთში, ავეჯის დასამზადებლად ვერხვი, წიფელა, თელა, მუხა და ცაცხვი იხმარებოდა. თუშეთში, ავეჯი ძირითადად ფიჭვისაგან მზადდებოდა. ფიჭვის მერქნის სილამაზე მოხევეებსაც ულიარებით და უპირატესობა მისგან ნაკეთები ავეჯისათვის მიუციათ. ხის ჯიშებს მერქნის აგებულებისა და დასამუშავებლად ვარგისიანობის მიხედვით არჩევდნენ. „მზის გულზე დავეკაცებული ხე ხორციანი, ღონიერი“ — იტყოდნენ და მზეზე გაზრდილ ხეს ამჯობინებდნენ. მზეზე ხის გალღება, მოწოხ (ცილის) გაშრობა და წლიური ცილოვანი ნამატის შრეების სახით სისქეში უკლებლად მიმატება, ხალხური დაკვირვებით, ხის დასრულების საწინდრად ითვლებოდა. საყურადღებოა, რომ ანტიკური ავტორის ვეტრუვის ცნობისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებულ წინთქმულ დაკვირვებათა ერთგვარობა, იშვიათ გამონაკლისს გარდა, დეტალებშიაც შეინიშნება¹. ხალხური ცოდნა გვაუწყებს, რომ ხე შედგენილია: პირველი ქერქის, ქერქქვეშ მოთავსებული ლაფნისა და ლაფნის ქვეშა მერქნისაგან. მერქანი თავის მხრივ ცილასა და გულს შეიცავს, რომლებიც ერთმანეთისაგან ფერით განსხვავდებიან.

როგორც ცნობილია, ხის თითოეული ჯიშის მერქანი თავისებური სილამაზით და ელფეროვნებით გამოირჩევა. ხის ჯიშების ფერთა სხვაობის ცოდნა „ხის მუშაკობით განთქმულ საქართველოს მრავალკუთხეში დასტურდება“². ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ

¹ შდრ. В и т р у в и й, Десять книг об Архитектуре, перевод Ф. А. Петровского, Москва, МСМ XXXVI, т. I, к. 2, гл. X, стр. 60.

² გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962, 33-24.



საქართველოს მთიანეთი. აქ ხის შეცნობა-გარჩევის საკითხი ძველ-თავანვე მალალ დონეზე მდგარა. ამ გაგების სისწორე დღევანდელი მეცნიერული მონაცემებითაც დასტურდება. ხალხური დაკვირვება სხვადასხვა ხის ჯიშებში ერთგვარ პოლიქრომიულობას ავლენს. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ფიჭვი წითელქერქა, თეთრმოწიანი და გულკაპრშალი (ყვითელი) ხეა³. როგორც სპეციალური გამოკვლევებიდანაა ცნობილი, ჩვეულებრივი ფიჭვი გულოვანი ჯიშია. ახლად მოჭრილი ფიჭვის გული, ფერით მცირედ განსხვავდება ცილასაგან. შემდეგ ძლიერ მუქდება, რის გამოც ცილასა და გულს შორის მკაფიო სხვაობა შეინიშნება⁴. ნაძვი შაფი ქერქით, „თეთრი მოწითა და მოყვითალო-მოლურჯო გულით გამოირჩევა“⁵. ხალხური დაკვირვებით ცაცხვი თეთრმერქნიანია⁶ (თეთრ ხეებს რბილს უწოდებენ). წიფელი კი თეთრ-წითელი ხეა. ამ უკანასკნელ შეფერვას წიფელი უმთავრესად ჰაერზე გაჩერების შემდეგ ღებულობს. საინტერესოა ხალხური ცოდნა, რომელიც კაკლის მერქნის ფერთა სხვაობის მიზეზის ახსნას იძლევა. შენიშნულია, რომ კაკლის მერქნის ღეგა ფერი, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მუქი შეფერილობით იცვლება. სპეციალურ ლიტერატურაში კაკლის მერქნის ფერი, ასევე, მისი ადგილმდებარეობით განისაზღვრება⁷.

ხალხური ცოდნა გვაუწყებს, რომ ზრდადასრულებულ ხეს წყალწყალა ცილა უმუქდება და ხის გულისფრად იფერება. ხეში, გულის ფერის მკვეთრი შეფერილობა და შრებადქცეულ ცილათა ნაირგვაროვნება ხის მრავალწლიანობას ნიშნავს. ბოტანიკოსთა გამოკვლევით, მრავალი ჯიშის ხნიერი მერქანი მკეთრი ფერით გამოირჩევა, ხოლო „მერქნის წლიური ნამატის მასებს შორის საზღვარი, ადრეული და გვიანეული მერქნის ფერთა სხვაობასა და ბრწყინვალეობაში ვლინდება“⁸.

³ შდრ. საქართველოს ფლორა, ტ. I, თბილისი, 1941, გვ. 59. „ფიჭვი საშუალოდ ტენიან და ღრმა ქვიშნარ ნიადაგზე ხარობს. საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულად ჩვეულებრივი ფიჭვი“ ითვლება. იგი მთლიან ტყეებათა და სხვა ჯიშებთან, კერძოდ, არყთან, მუხასთან, რცხილასთან, ნაძვსა და სოჭთან შერეულად გვხვდება“. (ა. აბაშიძე, გ. მაცაბერიძე, საღურგლო-საავეჯე საქმე, თბილისი, 1963, გვ. 26).

⁴ ა. აბაშიძე, გ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

⁵ შდრ. საქართველოს ფლორა, ტ. I, თბილისი, 1941, გვ. 57.

⁶ შდრ. ბოტანიკა, ტ. II, სახელმძღვანელო (მცენარეთა სისტემატიკა), თბილისი, 1954, გვ. 35.

⁷ საქართველოს ფლორა, ტ. I, თბილისი, 1941, გვ. 59.

⁸ ლ. ი. კურსანოვი, ნ. ა. კომარნიცკი, კ. ი. მეიერი, ვ. ფ. რაზორსკი, ა. ა. ურანოვი, ბოტანიკა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 207.

ხის აღნაგობის ზედმიწევნითი შესწავლით ამა თუ იმ ხის ჯიშის სხვა თავისებურებებიც ამკარავდება. მაგალითად, თუ შეთქმნილია ჯედ ფიჭვის ინტენსიურად გამოყენებამ ხელოსნის მიერ ხის ამ ჯიშის ანატომიის ცოდნა განაპირობა. ფიჭვს იგი ზეთიან, ანუ სველმერქნიან ხედ მიიჩნევს, ოჭიანს უწოდებს და მის წებოვან პირსავსე ძირს ბუკვანს ცეცხლის დასანთებად ხმარობს⁹. ხალხი ადვილად და ძნელად დასამუშავებელ ხეებს ერთმანეთისაგან გარეგნული ნიშნებითაც განასხვავებს. ოსტატთა დაკვირვებით თანაბრად განტოტვილი ხის ტანი სწორია და ადვილად დასამუშავებელი, ხოლო ცალგვერდშენოსილი, ზვეულია და ძნელად საჭრელი. ხის სიაგვარგეს ხმითაც გეზულობდნენ. ცულის ყუის დარტყმით კარგი, სავსე ხე გაბმულ ხმას გამოსცემდა. ცუდი, ცარიელი და ჯაფიკი ფუხფუხს იწყებდა.

საინტერესოა, რომ თუ ხის ძირზე შემორტყმით მოხელეს ხმა ხის წვერიდან მომდინარედ მოეჩვენებოდა, იმას საჩონგურედ აარჩევდა. საჩონგურე ხეს „კაკუნით სიმღერა უნდა ეთქვაო“ და საამისოდ ნაძვს ასახელებდა. მერქნის ამ რეზონანსულ თვისებას სპეციალურ ლიტერატურაში ბგერაგამტარიანობა ეწოდება. ცნობილია, რომ „ეს თვისება მერქანს შედარებით დიდი აქვს. მაგალითად, ბოჭკოების გრძივად მერქანი 15—18-ჯერ უფრო ჩქარა ატარებს ბგერას, ვიდრე ჰაერი, ბოჭკოების განივად კი 3—6-ჯერ უფრო ჩქარა“¹⁰. მასასადა-მე, ხის ამ თვისების ზემოდასახელებული წესით გამოცნობა, ანუ მერქნის ხარისხის დადგენა, ავეჯისა და განსაკუთრებით ხალხური საქრავების (ჩონგური) დამზადებისათვისაა მნიშვნელოვანი. დღეს ნაძვის მერქანს ფართოდ იყენებენ მშენებლობაზე, საღებრო საქმეში, კასრებისათვის, მუსიკალურ მრეწველობაში, ცელულოზა-ქაღალდის წარმოებაში და სხვა. ლენინგრადის სატყეო აკადემიის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ნაძვი პირველხარისხოვანი მასალაა მუსიკალური იარაღების წარმოებისათვის¹¹.

ხე-ტყის ოსტატები ხის სხვადასხვა ჯგუფებს ქსოვილის აღნაგობის მიხედვითაც გამოყოფენ. ხელოსანთა დაკვირვებით, ზოგი ჯიში სადაა, ზოგი უჯრებიანი. სადა ხე გლუვია და ძნელი დასამოთხევი. ასეთი ხეების რიცხვს მუხას, რცხილასა და კაკალს აკუთვნებენ. მუხას, წიფელს მაგარსა და თბილ ხეებსაც უწოდებენ. ფიჭვს, ნაძვსა და არყს კი ცივ ხეებად მიიჩნევენ: საინტერესოა, რომ უჯრიან ხეს ხალხი

⁹ ბუკვანი—ფიჭვის კუნძი, ხმარობენ კვარად ან ცეცხლის დასანთებად, თ. უთუ რ-გაიძე, თუშური კილო, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1960.

¹⁰ ა. აბაშიძე, გ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

¹¹ იქვე, გვ. 29.

მართალ ხეს უწოდებს. ხელოსნები ფიჭვიში, ცაცხვიში, ვერხესა და ნაძვი-
ში უჭრედების სიგრძივ განლაგებას აღნიშნავენ და ხის ამ ჯიშთა და-
სამუშავებლად ვარგისიანობას უჭრედების ამგვარ წყობას მფარველებ
არყისა და რცხილას სიმაგრეს მათი უჭრედების ირგვლივ განლაგებით
ხსნიან. ფიჭვს იოლ დასამუშავებელ მასალად მიიჩნევენ, მაგრამ ზე-
თოვანების გამო საჭრელბლად მის გამოყენებას ერიდებიან¹².

ფოთლოვანი ჯიშების, განსაკუთრებით კი ცაცხვის, მერქანი საუ-
კეთესო საჭრელბლადაა მიჩნეული. მისი ქსოვილი ერთგვაროვანია და
წლიური შრეები თითქმის შეუმჩნეველი. ცაცხვის სუფთა, თეთრი
ფერი ორნამენტისათვის ლამაზ ფონს ქმნის. საქართველოს მთიანეთის
ხელოსნები ხის სიმაგრე-სირბილეს როკების ზომითაც გებულობენ.
მოკლეროკიან ხეებს (ნაძვი) შედარებით მაგარ დასამუშავებლად
თვლიან და გრძელროკიანებს (ფიჭვი) კი ადვილად საფხეკ (საქერქ)
ხეებად მიიჩნევენ¹³. საწვავე შეშის მაგარ და რბილ ჯიშებსაც განას-
ხვებენ. შეშის სიმაგრეს და სირბილეს მისი წვის პროცესის მიხე-
დვითაც ადგენენ. მაგარ საწვავე შეშად ითვლება: მუხა, წიფელი, რცხი-
ლა, არყის ხე, ხოლო რბილ შეშად მიჩნეულია: თხმელა და წიწვიანი
ხის შეშა. ხალხი ხის ამა თუ იმ თვისებას ითვალისწინებს და მას თავის
პრაქტიკულ მიზნებს უმორჩილებს. „რადგან მუხის ნაკვერცხალი მხურ-
ვალეა, პურის ცხობის დროს მის გამოყენებას ერიდება და ხსენე-
ბული მიზნით წიფლის ან თხმელის ნელთბილ ცეცხლს ხმარობს“¹⁴. ხე-
ებს გემოთიც განარჩევენ. ხალხური დაკვირვებით, „ცაცხვი ტკბილი
და ადვილად დასამუშავებელია, ფიჭვი მომყავო-მოტკბილო და რბილ-
მაგარი, ნაძვი მყავე და უფრო მაგარი“. ინფორმატორთა ახსნით, სიმ-
ყავე ხის სიმაგრისა და სიტკბო კი სირბილის მანიშნებელია. ყურადსა-
ღებია, რომ ამგვარი დაყოფა ზილის ხეებზედაც ვრცელდება და ხე-
ხილის სირბილე-სიმაგრე ნაყოფის სიმყავე-სიტკბოთი განისაზღვრება
ან ქართლის მასალის მიხედვით „ნაყოფის კურკის გულის გემოთი
გამოიცნობა“¹⁵. XVI—XVII სს. ვენეციელი მკვლევარი დანიელე ბარ-
ბარო იხილავს იტალიაში გავრცელებულ ტკბილსა და მყავე ველური
ხილს ხეებს და ამ უკანასკნელთ მაგარ ხეებად მიიჩნევს¹⁶. შემოთქმუ-


¹² შდრ. Резьба по дереву, Москва, 1963, стр. 22.

¹³ შდრ. გ. გასიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

¹⁴ მ. ჩართლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორი-
იდან, თბილისი, 1961, გვ. 89.

¹⁵ დ. პავლიაშვილი, ქართლში მივლინების ანგარიში, 1960, გვ. 5 (ხელნა-
წერი).

¹⁶ Даниеле Барбаро, Комментарий к десяти книгам об архитектуре
Витрувия. М., 1938, стр. 83.



ლიდან გამომდინარე, შინდის ხის „ძვალევით მაგარი ჩხირების“ ფარეშად ლურსმნად ხმარება პრაქტიკული დაკვირვების შედეგად მართლებული.

ყურადღებას იპყრობს ზალხის ის ცოდნაც, რომელიც სამასალე ხის ჯიშების შერჩევა-შეგულების და ხის თითოეული ნაწილის დახასიათებისას ვლინდება. ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ მერქნის ტორსული (განივი) ზედაპირი უფრო მაგარია, ვიდრე გრძივი (ტაბ. I, სურ. 1). „გულთან ახლოს მერქანს სიმაგრე ახასიათებს, ქერქთან ახლოს კი იგი ნაკლებ მყარია“-ო ვკითხულობთ ბარბაროს კომენტარებში¹⁷. ამ მხრივ საინტერესოა ქართული ოსტატის დაკვირვება. მისი ახსნა დიფერენცირებულია და ხის ცალკეული ჯიშის ანატომიის ცოდნას ავლენს.

მერქნის სიმაგრის ცოდნა აუცილებელია მჭრელი იარაღების შერჩევის, გაღვსვისა და დამუშავებისათვის (დახერხვა, გარანდვა, დახვრეტა და სხვა.) საჭიროა აგრეთვე იმის ცოდნაც, თუ როგორი სიმაგრის მერქანი უნდა გამოიყენონ ამა თუ იმ ნაკეთობისათვის. მერქნის ჯიშებს სიმაგრის მიხედვით ყოფენ შემდეგ სამ ჯგუფად: I. რბილი ჯიშები — ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ცაცხვი, ვერხვი და სხვა. II. მაგარი ჯიშები — წიფელი, მუხა, არყის ხე, ნეკერჩხალი და სხვა. III. უმაგრესი ჯიშები: ბზა, მსხალი, რცხილა და სხვა¹⁸. ხალხს შენიშნული აქვს, რომ ტირიფი გულისა და ქერქისაკენ ერთნაირი სიმაგრით ხასიათდება, რომ მუხა გულმაგარია და წიფელი ცილამაგარი (ქერქმაგარი). რადგან ფიცრის გამოყვანა მორის გულამდე გათლას და გასუფთავებას ნიშნავს, ამიტომ გულრკინა მუხის ფიცარი გამძლე გამოდის. მუხის გულმაგრობა მისგან გამოთლილი ფიცრების სიმაგრესა და ტენის ამტანიანობაში გამოიხატება. მუხის „სამორგვე სოლს და განსაკუთრებით კი გულისაგან გამოთლილს“, უპირატესობა სწორედ მუხის წინთქმულ თვისებათა გამო ენიჭებოდა¹⁹. მუხის მერქნის მაღალი ტექნიკური თვისებები აღიარებული იყო, მაგრამ დეფიციტურობის გამო მას ნაკლებად იყენებდნენ. დღეს, ეს მეტად ძვირფასი ჯიში ფართოდაა გამოყენებული საავეჯე მასალად. მუხას იყენებენ აგრეთვე ვაგონების, შპალების, ძელების, ხიდების, გემსაშენი მასალის, პიდროტექნიკური ნაგებობის, იარაღის სახელურების და სხვა ნაკეთობათა დასამზადებლად.

¹⁷ Даниеле Барбаро, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

¹⁸ შდრ. ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ჩვენი ხეები და ბუჩქები, თბილისი, 1940, გვ. 80.

¹⁹ მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი, 1956, გვ. 60.

„ხის მუშაკი“ სამასალედ ნებიერად ამოსულ ზეს შერჩევდა ასეთი ხისაგან დამზადებული მასალა მისი რწმენით, გამძლეობითა და მოირჩეოდა²⁰.

როგორც ცნობილია, ხის ცალკეულ ჯიშს გარკვეული თავისებურებანი გააჩნია, რის გამოც თითოეული მათგანის დამუშავება განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ამასთან ხის ჯიშის შერჩევა დასამზადებელი საგნის რაობით განისაზღვრება. ხის შერჩევის ხსენებული პრინციპი საქართველოს მრავალ კუთხეშია დამოწმებული. მაგალითად, კახეთში, საფუტკრე გეგებისათვის ცაცხვს, მურყანსა და წნორს ეძლეოდა უპირატესობა. დანარჩენი ხეები კი „ყინულივით ცივ ხეებად და ფუტკრისათვის გამოუსადეგრად იყო მიჩნეული“²¹. სახენელის ქუსლისათვის, როგორც წესი, იფანს ხმარობდნენ, რადგან „ლიპი ხეა და მიწას არ იდებსო“. იცოდნენ გუთნის ქუსლად არყის ხის გამოყენება იმიტომ, რომ აღნიშნული ხე „გვიან ცვდებოდა“²². ქართული სახმელეთო ტრანსპორტის ნაწილები სხვადასხვა ხისაგან უკეთესადაა. „რბილი მორგვი სოლებს კარგად და მტკიცედ ითავსებსო“²³ და მორგვი თელისა და იფნისაგან უმზადებიათ²³. მასადაამე, სხვადასხვა თვისების მქონე ხის ჯიშთა გამოყენებას თვით ნივთის ფუნქცია აპირობებდა²⁴. ფშავ-ხევსურეთში ფიქსირებული მასალით, წიფელს სკამ-ტაბლისათვის იყენებდნენ, ცაცხვს კი ჩასაწყობი ავეჯისათვის. ჩასაწყობი ავეჯი, ფიჭვისაგან, ზოგჯერ ფიჭვის და ცაცხვის ფიცრებისაგან კომბინირებულად მზადდებოდა. „რადგან ცაცხვზე სახეები კარგად იჭრებოდა, ლამაზ მოქსოვილ ცაცხვის ხეს ეტანებოდნენ“ და კილობნის ან სკამის წინა ღირეს ცაცხვის ფიცარს უდგამდნენ. საყურადღებოა, რომ ხეში მომუშავე ხევსური მეავეჯეები, ფიჭვის ზეთიანობის გამო, მისგან დამზადებული კილობნის დაჭრელებას

კ 275-860

²⁰ „ქართლში მასალისათვის ამგვარივე ხეები გამოიყენებოდა და მას „ობლად“ ამოსული ან „ძირული“ ეწოდებოდა“ (დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეხილეობა გორის რ-ში, 1960, გვ. 10 (ხელნაწერი).

²¹ ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1953, ტ. VI, გვ. 106.

²² გ. ვ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან — „ხით ხურობა აღმოსავლეთ საქართველოში“ (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 1963, გვ. 37.

²³ მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

²⁴ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაკლებ საინტერესოა მურციეს ცნობა, რომ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, რომელიც ძველთაგანვე ხე-ტყით მდიდარ მხარედაა ცნობილი, საავეჯე მასალას, საგანგებოდ, საგნის ფუნქციის მიხედვით არჩევენ. J. Mourier, L'Art au Caucase, Bruxelles, 1912, p. 115.

2. ბელუკიძე

გაურბოდნენ და „ცაცხვზე მუშაობდნენ“. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში, დგამის ფიკრების კომბინირება მისი დაჭრელების უკიდურესობით იყო გამოწვეული.

ხალხის მეხსიერებაში შემონახული და ხევში ჩვენ მიერ ფიქსირებული წესი, რომელიც ხის მოჭრის წინასწარ პროცესს — სამასალედ მოსატრელი ხის ტანიდან წვენი ს ნაწილობრივ გამოშვებას შეესება, შესაძლებელია, ფიჭვის ზედმეტი ცხიმინობის თავიდან აცილებას და შრობის პროცესის ერთგვარ გაადვილებას ემსახურებოდეს²⁵.

ხის მოჭრისა და სხვა ტექნიკური პროცესები ამა თუ იმ ხის ჯიშის წლოვანების გათვალისწინებით სრულდებოდა. დასამუშავებლად და ვ ა ყ კ ა ც ე ბ უ ლ ხეს ეტანებოდნენ. ყაზბეგში მცხოვრებ 96 წლის ნიკოლოზ იოსების ძე ფიცხელაურის გადმოცემით, დავაქაცებულად 40—50 წლის ხე ითვლებოდა. მისივე ცნობით, ახალგაზრდა ხე მრუდდება და ძნელი დასამუშავებელია. ბებერი კი უძარღვო და გამოფიტული. თუშური მასალით ირკვევა, რომ მ ა რ ნ ა შ ი ყ ი ნ ა შ ი (ახლად მომდინარე ფიჭვის ტყეში) ცულის მოქნევაც კი ცოდვად ითვლებოდა. ხალხი სხვადასხვა ხის ჯიშის ტექნიკურ ასაკს ასხვავებს და ხეებისადმი დიფერენცირებული მიდგომით, სამასალედ მათ ვარგისიანობას საზღვრავს. მაგალითად, ცაცხვის მოჭრის საუკეთესო დროდ 30—50 წელი ითვლება. წიფელის მოჭრის დრო 70—80 წელია. ხოლო არყს 40 წლის ასაკში ჭრიან. 100 წელი ფიჭვის ტექნიკური სიმწიფის საუკეთესო ასაკად მიაჩნიათ.

ხალხური დაკვირვებით, სავეჯედ მოჭრილი და ზრდადასრულებული ხე მარჯვე დასამუშავებელია, ნ ა დ უ დ ა ვ ი ბებერი ხე კ ა ფ ი — ადვილად გასატეხი, ე. ი. ასაკს გადასული ხის მერქანი კარგავს თავის კარგ თვისებებს და მყიფე ხდება. ფიჭვის შემხმარ ქ ა ც ვ ე ბ ს (წიწვი) ზის სიბერის მანიშნებლად თვლიან, ხოლო ფოთლოვანი ჯიშების სიბერეზე მეტყველ ფაქტორად ხის კანის ხორკლიანობა, ნაოჭიანობა მიაჩნიათ. ამის შესახებ X—XIII სს. ერთ-ერთ უცხო წყაროში ვკითხულობთ: „რადენი განყოფილებაჲ არს ქერქთა ხეთაჲსა! რამეთუ რომელნიმე მგლინვარე არიან ქერქითა და რომელნიმე მქისე, და რომელთამე ქერქი ერთ არს და რომელთამე მრავალ და საკვრველ ესე არს, რამეთუ ემსგავსებიან იგინი მიზეზთა თვსთა სიჭაბუკესა და სიბე-

²⁵ ამ პროცესისაგან, ხიდან წვენის გამოშვების ხანგრძლივობით, განსხვავდება ის წესი, რომელიც ახოს აღბის დროს სრულდებოდა (შდრ. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბილისი, 1963, გვ. 13).

რესა კაცობრივსა. ხოლო ჭაბუკთაჲ მათ ქერქი მგლინვარე არნ და განმარტებულ, ხოლო დაბერებულთა მათ ქერქი განკმის და მქისე იქმნის“²⁶.

„ცოცხალი ხის დიდ ტოტს რამდენი მუხლიც აქვს, ხეივანი წლიანია“—ო, გვაუწყებს ეთნოგრაფიული მასალა, ე. ი. ზრდაში მყოფი ხის წლოვანება ტოტებზე მოცემული ნაზარდების რაოდენობითაც განისაზღვრებოდა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მოჭრილი ხის წლოვანების შრეებით გამოცნობის თანხვედნილი ჩანს. ხალხის დაკვირვებით, ხეს მოწი // ლოპო // წყალი გაზაფხულზე ჩაუდგება. შემოდგომაზე ხე შრება მოწი შრედ იქცევა და ხეს სისქე ემატება. ხალხი ამ შრეს წლიურ ნაზარდს უწოდებს და ხის წლოვანებას მოჭრილი ხის ტანის ფსკერზე მოცემულ წლიურ ნაზარდთა რაოდენობით ითვლის. დათვლა, როგორც წესი, გულიდან ქერქისაკენ წარმოებს. ერთ სავეგეტაციო პერიოდში წარმოქმნილ ნამატის რგოლებს, სპეციალურ ლიტერატურაში წლიური რგოლები ეწოდება²⁷. შენიშნულია, რომ ხე ორ-სამჯერაც ასწრებს გაზრდას ანუ ხალხური გამოთქმით, „რამდენჯერმე იმოწებს, იზრდება და ბოლოს ხედ იქცევა“—ო. როგორც გამოკვლეულია, სწორედ მაშინ „მერქნის ნამატის რგოლი ორკედება“²⁸ და ხის წლოვანების ხალხური ახსნის სიზუსტეც ირღვევა. მაშასადამე, ხის ასაკის განსაზღვრის მიღებული წესი, გამონაკლისებს გარდა, ხის წლოვანების ხალხურ ახსნას ესიტყვება. ამ წესის გამონაკლისი, ბოტანიკოსების სპეციალური გამოკვლევის მიხედვით, „ზოგიერთ პირობებში რგოლის გაორკეცებასა და ზოგიერთში კი რგოლის ამოვარდნაში მდგომარეობს“²⁹. ყოველივე ეს სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში შექმნილი განსხვავებული პირობებით აიხსნება. საავეჯე მასალად კარგ გასახვეწ ხეს არჩევდნენ. მას ნუჟრი და კიდი (ნატოტარი) არ უნდა ჰქონოდა, ამიტომ ხელოსანი „სხარტად“—სწორად გაზრდილი ხის წინასწარ შეგულებას და დასაკუთრებას ცდილობდა, რაც ნიშნის დადებაში გამოიხატებოდა.

შერჩეულ ხეებს ნიშანს ლიშანს // სერს ადებდნენ ან ზოგიერთის გადმოცემით მხოლოდ გაწერავდნენ (გასერავდნენ), რაც კუთვნილ ნივთზე პიროვნების ხელდებას აპირობებდა. ხეზე პიროვნების

²⁶ უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელისა „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ X—XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაქემ, თბილისი, 1964, გვ. 72.

²⁷ შლრ. der Jahresring (Иллюстрированный словарь на немецком и русском языках), Лейпциг, 1961.

²⁸ ბოტანიკა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 203.

²⁹ იქვე.

ხელდების კანონის არსებობას ხის სესხად გატანის დოკუმენტებიც ადასტურებენ³⁰. ფშაური მასალის მიხედვით, ხეზე ნიშნის დადებით ნიშნის დადებით“ არის ცნობილი. ხეების დანიშვნა აშორებულ (გასხივოსნებულ), „აღმა-დაღმა გაწარბული“ (გახატული) წრეხაზებით სცოდნიათ. ამ აღნიშვნებს სამეცნიერო ლიტერატურაში საგვარო ნიშნები ეწოდებათ. მათი მრავალი სახელწოდება დგინდება: თაჯი — აჭარაში³¹, დაღარ — სვანეთში³², ნიშანი — ბორჯომის ხეობაში³³, დაჯვარვა — გურია-სამეგრელოსა და რაჭაში³⁴, თარჯი — ქართლსა და მთიულეთ-გუდამაყრაში.

მთიულეთ-გუდამაყარში ფიქსირებული მასალის მიხედვით, ყოველ ოჯახს თავისი ძირეული ნიშანი ჰქონდა, რომელსაც ოჯახის გაყრის შემთხვევაში დამატებითი აღნიშვნები უკეთდებოდა და მოწილეებში მცირეოდენი სახეცვლილებით მკვიდრდებოდა. „უცვლელი ძირეული“ ნიშნის მემკვიდრე მამის შემკვლელბელი შვილი უნდა გამხდარიყო. მამის სიკვდილის შემდეგ ამ უფლებას უფროსი ძმა იძენდა. გუჯარეთის ხეობის მასალის ანალიზის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრება, ფუძისეული ანუ სამემკვიდრეო ნიშნის საგვარო ნიშნად მიჩნევის საშუალებას იძლევა³⁵.

საკუთრების ნიშნები, საქართველოში, თითქმის ყველგან დასტურდება. იგი საქართველოს ყველა კუთხისათვის საერთო მოვლენა ყოფილა³⁶. რ. ხარაძის მიერ თუშეთში დადასტურებული საოჯახო თემის საკუთრების „ცხვრის სერი“, ოჯახის გაყრის შემდეგ უფროს ძმას რჩებოდა³⁷.

³⁰ ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან (საბუთები), წიგნი I, საბუთი № 3562.

³¹ ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, 1. ხეესურული, თბილისი, 1939, გვ. 6; თ. ჩიქოვანი, ზემო აჭარული სახლი, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, ბათუმი, 1960.

³² რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, გვ. 23.


³³ გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962, გვ. 26.

³⁴ მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს მუზეუმის მოამბე., ტ. XIX-B, 1956, გვ. 130.

³⁵ გ. გასიტაშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან „ხით ხურობა აღმოსავლეთ საქართველოში“ (დისერტაცია), თბილისი, 1963, გვ. 39.

³⁶ Народы Кавказа, Грузины, т. II, Москва, 1962, стр. 313.

³⁷ რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X, 1959, გვ. 208—209.



ს. ბედუქაძის მიერ მთიულეთში დამოწმებული „ჯვარდასმული“ კოდეხები, ქვის ოსტატის პირად საკუთრებას წარმოადგენდა³⁸. სვეტიცხოველში კერის ფეხზე დასმული „დალი“ მკედლის გვარის ნიშანი იყო³⁹. სამეგრელოში ცხვრის ყურის დასერვა ამ სერის მრავალი სახელწოდება დასტურდება⁴⁰. დიუბუა დე მონპერე ჩერქეზებში ცხენის დანიშვნის ფაქტს ასახელებს და ამ ნიშნებს იეროგლიფებს უწოდებს⁴¹. VII საუკუნეზე უადრეს ძეგლებზე მოცემული „ქვის მთელთა“ ნიშნები⁴², არქეოლოგიურ მასალასთან ერთად⁴³, ზემოხსენებული აღნიშვნების თარიღიანი პარალელია. საბჭოთა არქეოლოგის ბ. რიბაკოვის აზრით, განათხარ მასალაზე მოპოვებული აღნიშვნები — „ხელოსნის ნიშნები, მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. მემკვიდრეობით მიღებული ყოველი ნიშანი ძველის გართულებულ ვარიანტს წაროადგენდა“⁴⁴.

მთათუშეთში დამოწმებული თარჯის ნიშნები მეტად ორიგინალური და თავისებურია. ამ ნიშნების მრავალფეროვნებას მათი სახელწოდების ნაირგვარობაც მოწმობს: *ჯ რ ა ქ ვ ი, ხ ა ტ ი, კ ბ ი ლ ა, მ ო კ ა უ ლ ი, ე ლ მ ა*. რადგან ამ ნიშანთა უმრავლესობა ხეზე კვეთილი ორნამენტის ფრაგმენტებს წარმოადგენს და ორნამენტისავე ხალხურ განმარტებას ესიტყვება, მათზე დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

ნიშანდებული, ე. ი. სხვისი კუთვნილი ხის მოჭრა დანაშაული იყო. მოჭრილი, დამზადებული ხის მოპარვა კი ცოდვად ითვლებოდა და რო-

³⁸ ს. ბ ე დ უ ქ ა ძ ე, ქვის დამუშავება მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. V, თბილისი, 1951, გვ. 39.

³⁹ მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 81.


⁴⁰ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 37.

⁴¹ Ф. Д ю б у а д е М о н п е р э, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937, стр. 57.

⁴² გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 41.

⁴³ Г. Л о м т а т и д з е, Археологические раскопки в древнегрузинской столице Мцхета, 1955, стр. 88. (დასახელებული ხელოსნის ნიშნები); გ. ლ ო მ თ ა თ ო ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. XII, № 10, 1951; О. Л о р д к и п а н и д з е, Ремесленное производство и торговля в Мцхета (I—II вв.) უნივერსიტეტის შრომები, № 65, 1957 („პირობითი ნიშანი“); ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა დედაქალაქი, თბილისი, 1959, გვ. 101. (ხელოსნის თუ სახელოსნოს ნიშანი).

⁴⁴ Б. Р ы б а к о в, Знаки собственности в княжеском хозяйстве Киевской Руси X—XII вв. СА, VI, 1940; П. Е ф и м е н к о, Юридические знаки, Петроград, 1874.




გორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვკითხულობთ „ფასეჟიყე-მანი ჯერებული“⁴⁵. „ფასით შეჯერება“ ხის წლოვანების გათვალისწინებით სწარმოებდა. „მოწიფული ხე ცხვარი ღირდა, დაფუკაცებული კი ხარით იყო ფასდებული“. ხის წლოვანება, როგორც უკვე ითქვა, ნიშანქდებით გამოიცნობოდა, რომელიც ამავე ხის ტოტების მუხლთა რაოდენობით განისაზღვრებოდა. წლიური რგოლები მოჭრილი ხის წლოვანების მაჩვენებელია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ხის მოჭრა წლის ყოველ დროში დასტურდება⁴⁶. ხის მოჭრის დროს დასამზადებელი ნივთის ფუნქცია განსაზღვრავს. საავეჯე ხის მოჭრის საუკეთესო პერიოდად საკვლევ რაიონში შემოდგომის დასაწყისი (ტყის ზედა სარტყელი) ან გვიან შემოდგომა (ტყის შუა სარტყელი) მიჩნეული. მოწიფული, ლოპოობის, ლოპობის — ხის გაღვიძების დასაწყისში (აპრილი), ხის მოჭრას შეუძლებლად თვლიდნენ⁴⁷.

გადმოცემის თანახმად, „როცა ხის ტანში წვენი შესვლას დაიწყებს მოჭრა არ ვარგა, რადგან ხე მაშინ ახლად გაღვიძებულია“. ფესვებიდან მიღებული საზრდო ტოტებში გასულია და ხის ტანი გამოფიტული⁴⁸. ზრდის პერიოდში მყოფი ხე თებერვლიდან — სექტემბრამდე ლობოიანია და მისი მოჭრა დასახლებული მიზნის გამო არ არის სასურველი⁴⁹. შენიშნულია, რომ ფოთლის ჭკნობის პერიოდში, „მიწიდან მიღებული წვენი ხის ტანში ბრუნავს და ხესაც ღონე ემატება“. ასეთი ხე მოჭრის შემდეგ ჭიანდება. „თუ ხეს ფოთოლი დასცვივდა, მაშინ ის დასრულებულია და მოჭრაც შეიძლება“⁵⁰. დამუშავებასთან დაკავშირებული სიძნელის გამო ბუნებრივად გამომშრალი ხის მოჭრასაც ერიდებოდნენ. „დროზე მოჭრილი ხე ისე გაიღვერება

⁴⁵ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (ტექსტი) მოამზადა თ. ენუქიძემ, თბილისი, 1955, გვ. 144.
⁴⁶ მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX-B, 1956, გვ. 130.
⁴⁷ შდრ. J. G r o m a n, Das Holz seine Bearbeitung und seine Verwendung, Leipzig, 1916, S. 22; შდრ. Д. Б а р б а р о, Комментарии к Витрувию, гл. V, кн. II, О рубке дерева, стр. 80.
⁴⁸ „ლოპო ხის ქერქი წყლიანი რა შესძურეს — განმარტავს საბა, „მოწოს“ ლექსიკოგრაფი ხის ლობოს წყალს უწოდებს“, ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.
⁴⁹ გ. გასიტაშვილი, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 48.
⁵⁰ ს. ბედუქაძე, მ. ჩართოლანი, სამგორის ახალი მოსახლეობის სა-მეურნეო საცხოვრებელი ნაგებობანი, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX-B, თბილისი, 1955, გვ. 120.



და გადაიშლება, როგორც რვეულიო“ (ძიუნა მაღალას ძე წელაშვილი
 მწ წლის, სოფ. ხილიანა დუშეთის რ-ნი, 1962 წ.). ჩანს მოჭარბებული
 ლოპოიანობა გაღვერვა-გაქერქვის პროცესის ხელის შემწყობი და და
 მაჩქარებელია. ზამთარში სამასალე ხეს არ ჭრიდნენ, რადგან ხალხის
 დაკვირვებით, მაშინ „ქერქი მიმწვარია ხეზე“ და მისი გაძრობა, ხის
 ვათლის გარეშე, შეუძლებელი ხდება. ხის საჭრელი პერიოდების ხალ-
 ხური განსაზღვრა ემთხვევა სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულ
 პერიოდებს, რომელიც მერქნიან ჯიშებში ჭიჭინობელების — ნიმფე-
 ბის გაჩენასა და მათ მოძრობას შეეხება⁵¹. მთის ჭიჭინობელს მვენე-
 ბა მერქნიანი ჯიშებისათვის და მისი განვითარების ციკლი საქარ-
 თველოს პირობებში მეცნიერთა დაკვირვების მიხედვით ასეთია: „აპ-
 რილ-მაისში, ამინდისა და ადგილმდებარეობის ექსპოზიციის მიხე-
 დვით, ნიმფა ამოდის ნიადაგიდან, ადის ხეებზე, ბუჩქებზე, ბალახე-
 ული მცენარეების ღეროებზე, ემაგრება მას და გადაიქცევა იმაგოდ.
 აღნიშნული ნიმფა აზიანებს მერქნიანი და ფოთლოვანი ჯიშების 40-
 მდე სახეობას⁵².

მაშასადამე, გამოკვლევულია, რომ გაზაფხულზე, როგორც კი ჰა-
 ერი გათბება, მვენე მწერები იწყებენ მოქმედებას, ისინი იჭრებიან ხის
 შიგნით და იკვებებიან ხის უჯრედებით. ასეთი ხე სუსტდება და მეო-
 რადი მვენებლების (ქერქიჭამიები, ხარაბუხები) მსხვერპლი ხდება⁵³.
 ქერქიჭამიათი დაზიანებულ ხეს ხალხი დაჭიანებულს (კირკილიანს,
 ჭიანჭამს) უწოდებს. ჭიანჭამ ხეებს ერთმანეთისაგან განასხვავებს და
 ზოგიერთი მათგანის სამასალედ გამოყენებას არ ერიდება. ხალხური
 დაკვირვებით, პირველი ქერქის ქვეშ არსებული ჭიანჭამი თვალთ
 შესამჩნევია. იგი მერქნის დამუშავების შემდეგ ისპობა. ამაზე უფრო
 ღრმა ჭიანჭამით (ნახევარი გოჯის სიღრმით) დაზიანებული მერქნისა-
 გან დამზადებული მასალის ხარისხი კი საგრძნობლად შემცირებულია.
 თუ ხის ტანი სიგრძე-სიგანეზე ერთი გოჯის სიღრმე ნახვრეტებითაა
 დაფარული, ასეთი ხის მერქანი მდარეა და მას მხოლოდ შეშად იყე-
 ნებენ.

ხის მოჭრა მზის ამოსვლამდე უნდა მომხდარიყო. ამ წესის დარღ-
 ვევამ, ხალხის რწმენით, უბედურების მოტანა, ხვავის გამოღვევა და
 მასალაში ჭიის გაჩენა იცისო. თუ გავითვალისწინებთ მეცნიერებაში
 მიღებულ შეხედულებას, რომელიც სინათლეზე და სითბოზე ხის

⁵¹ ა. კოლოკავა, მათუშეთის ცხვირგაძელა ხოჭოების ფაუნის სახეობრი-
 ვი შემადგენლობის შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, XXX:1, 1963.

⁵² ა. ხარაზიშვილი, მერქნიანი ჯიშებისათვის მთის ჭიჭინობელების მვენე-
 ბლობის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XXX: 1, 1939, გვ. 150.

⁵³ იქვე.

გამანადგურებელ მწერთა აქტიურ მოქმედებას შეეხება, ხალხური დაკვირვების პრაქტიკული საფუძველი ნათელი და გასაგები გახდება. ხეს „მთვარის ბერში“ ჭრიდნენ. ამ დროს მოჭრილს „ჭრის ფეხები“ ბაო“. ახალ მთვარეზე მოჭრილი ხისაგან დამზადებულ ხელსაწყოებს „ჭურჭელი და სხვა ფუტუროვდება, იკირკლება, ჭიანდება“⁵⁴. მამასა-დამე, წელიწადის განსაზღვრულ დროში მოჭრილი ხე მთვარის გარ-ეულ ფაზაშიც უნდა მოქცეულიყო. ამ მხრივ ხალხის გამოცდილე-ბა ემპირიული ცოდნიდან გამომდინარე ჩანს და როგორც მ. გეგეში-ძე აღნიშნავს „ხალხის საწარმოო გამოცდილებასთან მჭიდრო კავშირ-ში უნდა იმყოფებოდეს“⁵⁵.

ახალ მთვარეზე ხალხი არა მარტო ხის ჭრას ერიდებოდა, არამედ საქონლის დაკოდვასა და რაიმეს თესვასაც კრძალავდა⁵⁶. ცნობილია, რომ „ყოველგვარი ჭია-მატლები დრო და დრო იღვიძებენ“ და „გამო-ღვიძების“ — გამოჩეკის პერიოდში მოჭრილ ხეს ყველაზე ადრე უჯ-დებიან ტანში⁵⁷. ახალ მთვარეზე ხის მოჭრის აკრძალვაც შესაძლოა ხის ჭრის გამოღვიძებასთან აყოს დაკავშირებული. ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, რომ ყველა ფოთლოვან ხეს ე. წ. ხერხა ჭია ემუ-ჭრება. იგი გაზაფხულზე იღვიძებს და ახალ მთვარეზე აქტიურდება. მთვარე „ხეში წყალს ამოდრავებს და ხის ყოველგვარ სინესტეს ფეს-ვებიდან პირუკუ აბრუნებს“⁵⁸. ამას გარდა, ხალხის დაკვირვებით, ახალ მთვარეზე „ხე ამღვრეულია“, რადგან „მთვარე მოწონს ამო-ძრავებასთან ერთად ჭიასაც აცოცხლებსო“. საგულისხმოა, რომ მთვა-რის ფაზებთან დაკავშირებული ხალხური ცოდნა უძველეს ქვეყნებ-შიც პოულობს პარალელს. პლინიუსისეული ცნობა, რომელიც მოსა-ჭრელი ხის წვენის, მთვარის ძალით, ფესვებისაკენ განზიდვაში მდგო-მარეობს, ასტრონომიულ დაკვირვებადაა მიჩნეული⁵⁹.

ხევეთი ფიქსირებული მასალით, ახალ მთვარეზე, ანუ „მთვარის ცხრომის დასაწყისში ხის მოჭრა აკრძალული იყო. 26 დღის ანუ დამ-

⁵⁴ გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962, გვ. 33.


⁵⁵ მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველო-დან, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX-B, 1956, გვ. 141.

⁵⁶ გ. გასიტაშვილი, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 49.

⁵⁷ იქვე, გვ. 50.

⁵⁸ მთხრობელი ნასყიდა ნიკოლოზის ძე ჯამარჯაშვილი, 80 წლის, სოფ. თარგმანი, ყაზბეგის რ-ნი, 1963 წ.

⁵⁹ П л и н и ი 16, 39, 74; Д а н и е л е Б а р б а р о, Комментарии к Витрувию, стр. 82.



ცხრალ მთვარეზე კი ნებადართული“. სოფ. დიკლოში მცხოვრებ ქეთო ალექსის ასულ ჩილოლიძე-ვარდიძის ცნობით, „ოცდაექვსი დღის მთვარეზე საქონლისათვის სისხლის გამოშვებაც სარგებლიანია და საქმეც ბარაქიანიაო“. ხალხის დაკვირვებით, ხის მოჭრისათვის ყველა დღე არ იყო მისაღები.

ხის გამოცნობა ყველას როდი შეეძლო. ხე-ტყის კარგ მცოდნეებს ტყის კაცები — ხე-ტყის ოსტატები — ხის მუშაკები ეწოდებოდათ. კარგი მთვარეზე ხის კარგი მცოდნეც იყო, მაგრამ მის მოვლა-შერჩევაზე არ მუშაობდა. მთათუქმეთში, ტყეში მომუშავეს დ უ რ გ ლ ი ს მ ო რ ჩ ი ლ ი ერქვა⁶⁰. ხის მჭრელები, მხერხავეები და დამფიცრავები მორჩილის კატეგორიაში ერთიანდებოდნენ.

სამასაღედ ვარგისი, მაგრამ დაზიანებული ხის განკურვნა, ისე როგორც საღი ხეების მოვლა-შერჩევა და ნიშანდება მ ო რ ჩ ი ლ ი ს ანუ ტყის მუშაკის მოვალეობას შეადგენდა. სამასაღე ფიჭვის ხეს ქვედა ტოტებს შემოაკაფავდნენ, რაც ხის სხარტად გაზრდას (აშოლტვას) უზრუნველყოფდა. სვანეთში ხის მოვლის ხსენებული წესი სწორედ ნაძვისა და ფიჭვის სამასაღედ გაზრდისათვის დაწესებულა და მას ლ კ რ ც ხ ე ეწოდება⁶¹.

ხის მოვლის პროცესთან დაკავშირებულია აგრეთვე ერთი საინტერესო წესი, რომელიც ზრდამი მყოფი ხის, კერძოდ, კაკლის ტანის ხანჯლით დასერვაში მდგომარეობს. დასერვის მიზანია ხის დამსხვილება. როგორც გამოკვლეულია, მსგავსი პროცედურის ჩატარება, მსხმოიარობის გაზრდის მიზნით, ხეხილის ხეებზეც სასურველი ყოფილა. ცნობილია, რომ ხეხილის დასერვა ანუ დაკოდვა ადრე გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. იგი ძირიდან ტოტების მიმართულებით წარმოებდა. ნასერავის რაოდენობა ხის აგებულება-წლოვანებაზე იყო დამოკიდებული. პატარა ხე 2—3 ხაზით ისერებოდა, მოზრდილ ხეს კი მეტი ხაზი-მოჭრილობა უკეთდებოდა. დაკოდვის წესს ხის დამსხვილებისა და მსხმოიარობის დაჩქარებისათვის იყენებდნენ. ამას გარდა ხეხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის უნაყოფო ხეხილის ფესვს ხერგტდნენ და შიგ „ხარის ძირას“ (ბალახია) აყოლებდნენ. ხეხილის ძირის გახვრეტა და კვარის ჩაყოლება, ერთ-ერთი არაქართული უძველესი წყაროს მიხედვით, კეთილსურნელოვანი ნაყოფის მომცემ კარგ საშუალებადაა აღიარებული. „რამეთუ განჯურეტიან ძირი მათი და შე-

⁶⁰ შდრ. საქართველოს ცენტრალური არქივი, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი 1753, საქმე 115, გვ. 289.

⁶¹ მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან თბილისი, 1961, გვ. 86.



ასვიან შორის ძირთა მისთა სოლი მკურისა და გარდაქცეული
სიკეთედ და კეთილ ნაყოფი გამოიღიან⁶².

ფოთლოვანი ხის ჯიშების დაზიანებული მერქნის განკურნების
საუკეთესო საშუალებას ორპირმჭრელი დანა წარმოადგენდა. სხვადა-
სხვა სხეულთა თუ ბუნების ძალთა შემოქმედებით დაზიანებულ ხეს
სალ ქსოვილამდე ქერქს ააჭრიდნენ, ნავთით გაწმენდნენ და ნაკელით
გაგოზავდნენ. შემდეგ მას ხბოს გახელილი ტყავის ნაჭერს ან არყის
ქერქს შემოახვევდნენ. მოუჭერდნენ, რომ ხე „მოწად არ დაცლილიყო
და ცის ნამით არ დაჯაფებულიყო“, ე. ი. ჩატარებული ოპერაციის
შემდეგ ატმოსფერულ ნალექებს ხის ღობა არ გამოეწვია. ხის გან-
კურნების მსგავს მეთოდს XIX საუკუნის ერთ-ერთი უცნობი აგრო-
ნომიც აღწერს. იგი, „ჭრილობაგახსნილი“ ხის შინაგანი ნაწილების
ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვის მრავალ საშუალებას ჩამო-
თვლის და შემოხსენებული ნივთიერებების გაპოხვის შემდეგ, საჭი-
როდ მიიჩნევს ხის შეხვევას. ამასთან დაზიანებული ხისა და „ზოგი-
ერთი ხეხილის (ლიმონი, ატამი)“ განკურნების უებარ საშუალებად
თეთრ ნავთობს ასახელებს⁶³.


ამრიგად, ხალხის პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დანერგილ
ხის სამკურნალო საშუალებათა ნაირგვარობა ხის ანატომიის ხალ-
ხური ცოდნისა და მისი გამოვლენის საყურადღებო მომენტს წარმო-
ადგენს.

ხის მჭრელი პირჯვარს გადაიწერდა. შემდეგ კი საჭიროებისამებრ
დაიწყებდა მუშაობას. პირველად ნაჯახს გვერდიდან მიარტყამდა ხეს,
მერე შემოდან, რომ იგი არ გახლუჩილიყო. ჯერ იმ მხრიდან შეაჭრი-
და, საითენაც ხე უნდა გადაქცეულიყო. ნახევრამდე ჩაჭრიდა და შემ-
დეგ მოპირდაპირე გვერდის კვეთას დაიწყებდა. ხე ნახევრამდე ჩაჭრი-
ლი გვერდისაკენ გადაიქცეოდა. „ფოთლოვანი ხეების გადაწვენა ყო-
ველთვის ქვევით ხდებოდა, ე. ი. ხის წვერს დაქანებისაკენ გადაწვენ-
დნენ“⁶⁴. წიწვიანი ჯიშები კი ისე უნდა ჩაეჭრათ, რომ ხე ფერღობზე
მოწოლილიყო და ტანი არ დაეზიანებია. შენიშნულია, რომ ხე ძა-
ლიან ძირში არ უნდა მოეჭრათ, ძირი არ უნდა დაზიანებულიყო, რად-
გან ფოთლოვანი ტყე მოჭრის დროს დატოვებული ძირიდან ახალ

⁶² უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა და გრიგოლ ნოსე-
ლის თარგმანებისა—კაცისა ავებულებისათჳს“, X—XIII ხელნაწერი. გამოკვლევა და
ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1964, გვ. 72.

⁶³ Нефть, как средство для излечения ран на деревьях, Записки Кавказского
общества сельского хозяйства, кн. I, Тифлис, 1856, стр. 212—213.

⁶⁴ მ. ჩ ა რ თ ი ლ ა ნ ი, ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორი-
იდან, თბილისი, 1961, გვ. 86.



ყლორტებს ამოიყრიდა. აგრეთვე შემჩნეულია, რომ მუხა დაწვის შემდეგაც ხელმეორედ აღმოსცენების უნარით გამოირჩევა. ამ დაკვირვებების უძველეს პარალელს ერთ-ერთ უცხო წყაროში ვხვდებით „მეღმერთის“ მეღმერთის პარალელს მიეკუთნიან და კუალად აღმოსცენდის ძირი მათი და რომელიმე არღარა აღმოსცენდის, რეცა თუ მოკუდა იგი მოკუეთითა მით და მუხა, ოდეს მოეკუეთის, გინა თუ დაიწვს, კუალად აღმოსცენდის ძირი და იქმნის მადნარა“⁶⁵.

მთათუშეთში ფიქსირებული მასალით, ხის მჭრელს თავისი საქმიანობა მზის ამოსვლამდე უნდა დაემთავრებინა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მასალის მიხედვით, კი ტყეში მუშაობა „მზებრძანებამდე“ სტოდნიათ. ხის მჭრელი, მიწაზე დავარდნილი პირველი ნაფოტის წაღმა-უკუღმა მხარესაც აკვირდებოდა და ამით ოჯახის ხვადიანობას განსაზღვრავდა. გულით დაცემული ჩხ ლ ა რ ტ ი (ნაფოტი) წველაში ბარაქასა და ქერქით დაცემული ს უ ლ ა დ ი ს (მარცვლეულის) კარგ მოსავალს ნიშნავდა. ფიჭვის პირველ ნაფოტს საგანგებოდ კ რ ო ტ შ ი (ყუთში) შეინახავდნენ და ახალ წელს სულადის კიდობანში ჩაავდებდნენ. ხალხის რწმენით, ბედნიერ დღეს ბუნაგში ჩადებული ეს ნაფოტი ხვადიანობას უზრუნველყოფდა და ეტლიან-დოვლათიან წელიწადს მოასწავებდა. ახალი წლის წინ მოჭრილ ნაძვის ხის ნაფოტზე სვანი ანალოგიურად წინასწარმეტყველებდა⁶⁶. როგორც ჩანს, საქართველოს მთიან კუთხეებში წიწვიანი ხეების მოჭრასთან დაკავშირებული ჩვეულებისა და რწმენის თანხვედნა შეინიშნება.

თუშეთში ხის მჭრელებად ჩამოსული „იმერლებიც“ მუშაობდნენ. მხერხავებს ცალკე ქირობდნენ და შრომას ნატურით უნაზღაურებდნენ. ამ საქმეში მეზობლებსაც იშველიებდნენ. დახმარებას „ხელგაცვლას“ უწოდებდნენ⁶⁷.

ხის მოჭრას მოსდევდა გაკაფვის, გაღვერვის (ქერქის გაცლა) და დამორვის თანამიმდევრული პროცესები. ადგილზე ხდებოდა მოჭრილი ხის ცულით გაკაფვა (ხევი), რასაც თუშეთში გა ტ ო ლ ვ ა - გ ა ხ ო რ - კ ლ ა ს, ხევსურეთში გა ფ ო ც ხ ვ ა ს და ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში გა ს ხ ე პ ვ ა ს უწოდებდნენ. გაკაფვის შემდეგ გა ღ ვ ე რ ა ვ - დ ნ ე ნ ა ნ უ გა ფ ხ ე კ დ ნ ე ნ (გაქერქავდნენ).

⁶⁵ უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსთა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცის აგებულებისათჳს“, X — XIII ხელნაწერი. გამოკვეთვა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1964, გვ. 72.

⁶⁶ შდრ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1 ახალი წლის ციკლი, ტფილისი, 1939, გვ. 82.

⁶⁷ „ხელგაცვლა“ ერთი სოფლის შიგნით არსებულ ურთიერთდახმარებას ეწოდებოდა.



გაკაფულ ხის ტანს სამორე ჰქვია. ხის დამუშავების ^{სამუშაოები} ~~სამუშაოები~~
ფეხური სწორედ დამორვა ანუ მორის გამოყვანა იყო. ^{სამუშაოები} ~~სამუშაოები~~

სამასალედ მოჭრილი ხის ლპობისა და გაქაფება // დარბი-
ლების თავიდან აცილების მიზნით, ტყეში ხის მორის გაულვერავად
(ქერქიანად) დატოვებას ერიდებოდნენ. ფშური მასალის მიხედვით,
„ქერქი მოჭრილ ხეს სუნთქვას უშლის“, გარედან ჰაერს არ უშვებს
„ხის ტანში“ და „ხის მბრუნავ სულს შიგვე აბრუნებს“, რის გამოც
ხე ქაფდება, ჭიანჭება და ლპება. რადგან ქერქიჭამიებს მხოლოდ
ქერქი აინტერესებთ მკვდარი ხისაც და ცოცხალისაც, ამიტომ გაქერ-
ქილ ხეს არ ეტანებიან. ქერქიჭამიების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-
ერთ საშუალებად ითვლება მოჭრილი ხეების გაქერქვა და განაქერ-
ქის დაწვა. მამასაღამე, ქერქი გაშრობის პროცესის გახანგრძლივებით
ხელს უწყობს სიდამპლის განვითარებას და ქერქის მღრღნელების
მიერ მორის დაზიანებას. მართალია, ქერქი გაშრობას აფერხებს, მაგ-
რამ ქერქგაცლილ მორებს გასკდომის საშიშროება მოელის. ამიტო-
მაც მათ დროულ დაბინავებაზე ზრუნავენ.

ხალხი მერქნის დამუშავების პროცესის სამ სახეობას განასხვა-
ვებს. ესენია: დაპობა, ჩაჭრა და გათლა (ტაბ. I, სურ. 2). დაპობას
მამინ მიმართავდნენ, როცა ბოჭკოების გასწვრივ ანაწილებდნენ მერ-
ქანს. ჩაჭრა ბოჭკოების განივად სრულდებოდა. ნაკეთობის გამოყვანას
გათლით იწყებდნენ. ყველა ზემოთქმული პროცესის შესასრულ-
ლებლად სხვადასხვა ზომის ცული იხმარებოდა. მერქნის დაპობის
დროს* სოლისებურ საჩეხს იყენებდნენ, რომელიც მერქანში დარ-
ტყმის ძალით იჭრებოდა. შენიშნული იყო, რომ მაგარ ჭიმებში, ტე-
ნიანობის გაზრდის შედეგად მერქნის სიმყარე მცირდება და მერქანი
ადვილად პობადი ხდება. რბილი ჭიმები ტენიანობის გამო ფუფუნება.
დეფორმირებული მერქანი კი ერთგვარ დამაბრკოლებელს წარმოად-
გენს საჩეხი იარაღისათვის, რომელიც ესობა ფორმაშეცვლილ მერქანს
და ვეღარ ანაფოტებს მას. ყინვა რბილი ჭიმების ტენიანობას ამცი-
რებს. ტენიანობის შემცირება კი მათი პობადობის უნარს ზრდის,
ამიტომ რბილი ჭიმების დაპობას ყინვაში ამჯობინებდნენ. რადგან მა-
გარი ჭიმების სიმაგრე ყინვაში მატულობს და „იარაღი მერქანს არ
ეჭიდება“, მათი პობა ყინვების დაწყებამდე ყოფილა სასურველი.

სამორეს 2,5—4 ადლამდე საფიცრედ გადაჭრიდნენ. ადლ-
ნახევარზე გადაჭრილს მორიკა ეწოდებოდა⁶⁸. თუშური მასალის მი-
ხედვით, მორს გაღებად, ე. ი. ნაჭრებად დაჭრიდნენ და ფენგა-

⁶⁸ ხალხური განმარტებით, ადლი ოთხი წყრთაა; წყრთა „არს იდაყვიდან თითის
წვერამდე“ — საბა ორბელიანი.

რებად გახეთქავდნენ. ყოველი გალეორ ფენგარას შეიცავდა. ფენგარას გაპობით ნაოთხალი მიიღებოდა. ორ ნახეთქზე მეტად დანაწილებულ გალეს შეშა ეწოდებოდა. არყს და მის მსგავს ჯიშებს, რომლებიც შუაზე გახეთქვას არ საჭიროებენ, ხურდა შეშა ერქვა. ეს უკანასკნელი ტაროშის სახელითაც იხსენიებოდა⁶⁹.

ხის საჭრელად და გასადვერად გრძელტარიან ქართულ ცულს ხმარობდნენ, რომელიც ფშავში ფრთიანი ცულის სახელით არის ცნობილი. ფიცრის გამოსაყვანად კი მოკლელტარიანსა და მცირე ზომის ხელცულას იყენებდნენ. დაფიცვრის პირველ საფეხურს თუშეთში დამოწმებული მოთხვაე // დამოთხვაე წარმოადგენდა⁷⁰. დამოთხვილი ხე შემდეგ სპეციალური იარაღებით მუშავდებოდა.

მოჭრილ მორს ზეგებზე მიყუდებით ან ნაწვერზე (მოკაფულ ტოტებზე) დაწყობით ტყეშივე აშრობდნენ. ასე დალაგებულ მორს ყუნდს უწოდებდნენ.

გაქერქილი მორები შემოდგომაზე ან ზამთარში ჩამოჰქონდათ. მასალის ჩამოტანის დროს ამა თუ იმ სოფლის მდებარეობა განსაზღვრავდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალის ტყიდან გამოტანის წესი სვანეთში დამოწმებული შეშის გამოზიდვის ანალოგიურად სრულდებოდა⁷¹. წამოსაღებად გამზადებული მორები იხვრიტებოდა და ეყრებოდა ჯაჭვი ან საბელი⁷². თავხის მოტანაში იცოდნენ ერთმანეთის დახმარება, რაც ფშავში ტერმინით დახმარება და ზეესურეთში მუშას სახელით იყო ცნობილი. მათ ანალოგიურად სრულდებოდა თუშური ხელგაცვლაე. ამ დროს შრომის საფასურს შრომითვე იხდიდნენ.

მასალის ტყიდან გამოტანა და ტყიდან გამოზიდულის შინ მოტანა სხვადასხვა წესით სრულდებოდა. ერთმანეთის პარალელურად დალაგებულ საბელგაყრილ ორ თავზე მორებს დაწყობდნენ,

⁶⁹ „ტაროში — ტოტის ნაწილია, მრგვალი, შეშად დაჭრილი“, საქართველოს სახელმწიფო არქივი, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი 1753, საქმე 115, გვ. 295.

⁷⁰ „მოთხვა-ვაკობიტება, შავად გათლა“. იხ. თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.

⁷¹ შემოდგომით ეზიდებიან შეშას მთების სამხრეთის დაქანებაზე მდებარე ტყეებიდან ის სოფლები, რომლებიც ამავე მხარეზე მდებარეობენ, რადგანაც დაღმართზე უხდებოდა შეშის ჩამოტანა, ამიტომ აღარ უცდიან თოვლის მოსვლას. მაგრამ ის სოფლები, რომლებიც ჩრდილოეთის მხარეს ცხოვრობენ და რომლებსაც სამხრეთის დაქანებიდან უხდებოდა შეშის წაღება, იძულებული არიან ზამთარს დაუცადონ, რადგან მათ აღმართი გზები აქვთ ასასვლელი. ასეთ სოფლებში ჩრდილოეთის დაქანების ტყეებიდან შეშის მოზიდვა შემოდგომაზეა შესაძლებელი“. (მ. ჩართლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1962, 87).

⁷² გახვრეტელ მორებს გამოცვირული ეწოდება.

ყველას ერთად შეკრავდნენ და შედარებით მოტიტვლებულ ფეო-
დობზე დააქანებდნენ. თუ ძლიერი დაქანება არ იყო, კაცებს ან გამოწე-
ვი ძალის დახმარებით ჩამოიტანდნენ. ტყიდან ჩამოტანილი შემის ან
მასალის წასაღებად მარხილს იყენებდნენ.

სახლში მოტანილ საფიცრედ გამოხადებულ ნაოთხალს — დასა-
მუშავებელ ფიცრებს ქორბელელად ან გარდიგარდმო დააწყობ-
დნენ. ფშვში დადასტურებული მასალის მიხედვით, ფიცრების ერთ-
მანეთზე დაწყობას, მათ შორის ხის ტოტების ან ჯოხების გადებით „და-
ბელვლას“ უწოდებდნენ (აღნიშნული ხის ტოტების სისქე ფიცრების
სისქეზე მცირე არ უნდა ყოფილიყო). როგორც მთხრობელები გვაუ-
წყებენ, „მზე თავისკენ სწევს“, ამრუდებს ფიცრებს და სწორედ ამ
გამრუდების თავიდან აცილების მიზნით დაბელვლა ჩრდილში
წარმოებდა⁷³. გასაშრობი მასალის დაწყობის წესს საგანგებოდ იცა-
ვდნენ. შენიშნული იყო, რომ მასალის ფორმის შეცვლას მერქნის ბოჭ-
კოების არათანაბარი შეშრობა იწვევდა. ცნობილია, რომ მერქნის
გულისკენ მიმართული ფიცრის ნაწილი უფრო ცოტას იკლებს, ვიდრე
მოპირდაპირე (გარეთა გვერდი). ფიცრის დაბრეცის მიზეზი მისი გვერ-
დითი ნაწილის შეკუმშვაში მდგომარეობს (ტაბ. I, სურ. 31). სწო-
რედ ამას ითვალისწინებდნენ და მოსაზღვრე ფიცრებს ისე აწყობ-
დნენ, რომ მათი წლიური შრეები სხვადასხვა მხარეს იყო მიმართუ-
ლი. ფიცრების ერთმანეთზე დაწყობა ამავე პრინციპით სრულდებო-
და. ფიცრების დასაწყობად მოწყობილი „ძირის ძელები“, ჰაერის მო-
ძრაობისათვის, დაშორებული იყო მიწის დონიდან ორი მტკაველით
(დაახლოებით 50 სმ) ფიცრებს შორის მანძილი კი ორი-სამი გოჯი (და-
ახლოებით 9 სმ) უნდა ყოფილიყო. დაბეღილ ფიცრებს წვიმი-
საგან დასაცავი საფარი უკეთდებოდა. საფარი ისე უნდა მოეწყოთ,
რომ ჰაერის ცირკულაცია არ შეწყვეტილიყო. ხალხის დაკვირვებით,
ართანაბარი გაშრობა მერქნის დასკდომას იწვევს. ბზარები გარეთა
შრეებიდან ცენტრისაკენაა მიმართული. მოჭრილ ხეში ბზარები არა-
სწორი შრობისაგან ჩნდება. მოზარდ ხეებში ბზარის გაჩენას იწვევს
დიდი ყინვები ან მოჭრის დროს ხის დაცემა. ბზარები ჩნდება ქარი-
საგანაც. ხალხი ბზარების რამდენიმე სახეობას ასახელებს: ყინვა-
ბზარი, ნაქარი, გულნაბზარი. ყინვაბზარი ხეს ყინვისაგან ან მოჭრის
დროს მეზობელი ხის დაცემისაგან უჩნდება. ბზარში მოხვედრილი
ცისნამის (წვიმის) გაყინვა მის ვალრმავებას იწვევს. ყინვაბზარი
მუხას, ცაცხვსა და თელას ემტერება. მცირე ყინვაბზარიანი მერქანი

⁷³ ლ. ბ ე ლ უ კ ი ძ ე, ქართული ხალხური ავეჯი (ფშვ-ხეხსურული კილობანი),
საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1964, გვ. 12.

მეორეხარისხოვან მასალად ითვლება. დიდბზარიანი კი მხოლოდ შე-
ზად იხმარება. „ნაქარი ბზარი დაჯაფებულ (დაბერებულ) ხეს უჩნდე-
ბა“. მისი შემჩნევა ხის მოჭრის შემდეგ შეიძლება. ღეროს ტოტეში
გადგმულ ბზარს გულნაბზარი ეწოდება. ამ უკანასკნელს ამო-
კვეთის შემდეგ მერქანი აღდგენილად ითვლება.

ნელი შრობით მერქანი არ დასკდება, ამიტომაც მერქნის დიდი
ხნით შენახვის დროს მიმართავენ ისეთ საშუალებას, რომელიც
ანელებდა შრობას. საქონლის ნაკელით მასალის დაფარვა აღმოსავ-
ლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხე-
დვით, თანაბარ შრობას იწვევდა. საქართველოს სხვა კუთხეებში დამო-
წმებული ეს „ხალხური ხერხი ხის დასკდომისა და ამასთანავე ჭიის
საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა“⁷⁴. პატივით გაპოხილს ისევ-
გასაშრობად დადებდნენ. ხალხური თქმით, ამ დროს „ხის მბრუნავი სუ-
ლი გარეთ გამოდიოდა“ და „ხე სუნთქვით შრებოდა“. ამგვარი გაშ-
რობა სრულიად განსხვავდება ხის გატუსვით გაშრობისაგან, როდე-
საც გარეთა გამომშრალი პირი, როგორც გამოკვლეულია, გარსად იქ-
ცეოდა, შიგნითა ნაწილიდან სინესტის გამოსვლას აფერხებდა და
ტექნოლოგიური ენით ე. წ. ვულკანიზაციას იწვევდა⁷⁵. გახმობის შემ-
დეგ ნაოთხალს ფიცრად გათლიდნენ. გაკეთებულ ფიცარს კი
გამდნარი ერბოთი ან ზეთით გაპოხავდნენ, რომ შეკრული ავეჯი არ
დახეთქილიყო. მოკლე ფიცრების გასაშრობად სააღესაც იყენებდ-
ნენ. ხევისურეთში, საალის ფენქციას ასაყარი ასრულებდა. საა-
ლეზე წლამდე დატოვებული ფიცარი ბოლში გამოდიოდა და ჭიისაც
აღარ იკარებდა. კერის ცეცხლზე მორების გაშრობა ჩრდილოეთ
ოსეთშიც დასტურდება⁷⁶.


შრობის შედეგად მერქანი ტენიანობას კარგავს და სისქე, სიგა-
ნესა თუ სიგრძეში კლებულობს.

მაგარმერქნიანი ჯიშები გაშრობის შედეგად მეტად კლებულო-
ბენ, ვიდრე რბილი. მაგარმერქნიან ხეებში მუხხას, რცხილას, წიფელს
გამოყოფენ და ძლიერად შესრობადი თვისების გამო, მათ ცხელ
ხეებსაც უწოდებენ. წიწვიან ჯიშებს ზომიერად გაშრობის უნარს მია-
წერენ. ხალხის დაკვირვებით, წიფელი მშრალი, ცხელი ხეა და მალე
იქარება (შრება). ამიტომაც ხალხური გამოცდილება მისგან დამ-
ზადებული ფიცრის ან ავეჯის ცხიმით გაყდენთვის აუცილებლობაზე

⁷⁴ მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, ტ. I, სახმელეთო საზიდი
საშუალებანი, თბილისი, 1956, გვ. 59.

⁷⁵ მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

⁷⁶ O. B. M a p r r a f, Очерки кустарных промыслов Северного Кавказа
с описанием техники производства, Москва, 1882, стр. 25.



მეტყველებს. ფიჭვის ცხიმიანობის გამო, მისგან შეკრულ ავეჯს ოდნავ პოხავდნენ ამგვარად გაგოზილი ფიცრებისაგან შეკრული ან დამზადების შემდეგ ცხიმით თუ ნავთით გაპოხილი კიღობანი და ხალხური დაკვირვებით, ნესტს არ იკარებდა და სარჩო საბადებლის გშრალ საცავს წარმოადგენდა. შესაძლებელია, „დაბადებაში“ მოხსენიებული წესიც — „ქმენ უკუშ თავისა შენისა კიღობანი ძელთაგან ულპოლველთასა ოთხკუთხედ; ბუდეებად, ბუდედ ჰქმენ იგი და მოფისო იგი შიგნით და გარეთ ნავთითა“, სწორედ წინთქმულ მიზანს ემსახურებოდა⁷⁷.

თანამედროვე ტექნოლოგია წყლისა და ორთქლისაგან ავეჯის დაცვის საუკეთესო საშუალებად სანდალოზის ფენით ხის დაფარვას მიიჩნევს, რომელიც, როგორც წესი, გამხმარ ხეს უნდა წაუსვან, მით დაფარული ავეჯი ათეული წლობით არ სკდება⁷⁸. ვფიქრობთ, რომ ავეჯის დაცვის თანამედროვე ხერხების საწყისები მაინც საავეჯე ფიცრის ან დამზადებული ავეჯის ზეთით, ერბოთი ან ნავთით გაქდენთვის შემოთქმულ ხალხურ წესებში უნდა ვეძიოთ.


მ ი ო რ მ თ ა ვ ი

ავეჯის სახეობანი

ხალხური ავეჯი, კერძოდ, სხვადასხვა სახის კიღობანი, კარადა, მერხი, ტახტი (ლოგინი), სუფრა-ხონჩა და აგრეთვე მათი დამზადების საინტერესო ტრადიციები, მეტ-ნაკლებად დაცულია საქართველოს მთიანეთში. ნაშრომში ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ავეჯია განხილული. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთი, რაჭა, სამეგრელო) ავეჯი კი, რომელიც აგრეთვე განსაკუთრებულ შესწავლას ითხოვს, ამჯერად მხოლოდ მუზეუმის ფონდებითა და სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალითაა წარმოდგენილი. ავეჯის ჩამოთვლილი სახეობანი, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, თითქმის თანაბრადაა გავრცელებული და ერთი რომელიმე სახეობის დომინირება არ შეინიშნება. ამდენად, ავეჯის ამა თუ იმ სახეობის შემოფარგვლა ვიწრო ლოკალური რაიონით საკმაოდ ძნელია. მაგრამ ცალკეული კუთხეების მიხედვით ხალხური ავეჯის ეთნოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა კუთხის ავე-

⁷⁷ დაბადება, წიგნი ა, მოსესი, იდ. ნაწ. 1, ტფილისი, 1884.

⁷⁸ მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, გვ. 59.



ჯი, როგორც კონსტრუქციის, ისე შემკულობის მიხედვით, ერთგვარ თავისებურებას ამჟღავნებს (ტაბ. I).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ავეჯის ტიპისა თუ ქვეტიპის განსაზღვრისათვის ქართული ხალხური დგამის ზოგად კლასიფიკაციას ვიძღვეთ, რაც ერთგვარ ცდას წარმოადგენს და შესაძლებლიდან ერთადერთის პრეტენზიას არ აცხადებს.

ავეჯის კლასიფიკაცია სხვადასხვა თვალსაზრისითაა შესაძლებელი. მაგალითად, ტექნოლოგიის მიხედვით ავეჯის განხილვა მასალის რაობას და დამზადების წესების ტრადიციულობას გამოავლენდა. ავეჯის კლასიფიკაცია ორნამენტის მიხედვითაც შეიძლებოდა. იგი მთისა და ბარის ორნამენტის სხვაობას (გეომეტრიული, მცენარეული) ნათელჰყოფდა, აგრეთვე ცალკეული კუთხის ავეჯის ოსტატთა დახელოვნებას და მათ რელიგიურ აზროვნებაზე დამყარებულ შემოქმედებით ფანტაზიასაც გვიჩვენებდა. დაბოლოს, ავეჯის ფუნქცია მისი ამ ნიშნით კლასიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ ამ უკანასკნელ ნიშნის საფუძველზე შევეცდებით წარმოვადგინოთ ხალხური ავეჯის განჯგუფება.

ამა თუ იმ ავეჯის ფუნქციის განხილვა, განლაგების თუ გამოყენების ზერხები, ხალხის ცხოვრების ხასიათს არკვევს და მათში სხვადასხვა ტიპის ავეჯის დამკვიდრების მიზეზის ახსნას აადვილებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების განვითარების ისტორიული მსვლელობა თავისებურ ასახვას პოუვებს ავეჯის დამზადებისა და გამოყენების წესებშიც. ამას ავეჯის ფუნქცია და გენეზისიც ადასტურებს.

ზემოთქმული ნიშნით ავეჯის კლასიფიკაცია საკითხის შესწავლის საწყისი ეტაპის მოცემის ცდას ვარაუდობს. კლასიფიკაციის სქემის შედგენა განსახილველი ობიექტის ცოცხალ სინამდვილეში გაცნობას (de visu) და მისი ფუნქციის ადგილზე შესწავლის აუცილებლობას მოითხოვდა. ამგვარი შესწავლის საფუძველზე, ქართული ხალხური ავეჯის კლასიფიკაცია, ფუნქციისა და წარმოშობის მიხედვით, შემდგენიარად წარმოგვიდგება: დასაწოლი ავეჯი, დასასხდომი ავეჯი, სასერობო (ტაბლა-სუფრა) და სათავსებელი (კიდობანი, სკივრი და სხვა). ხალხური ავეჯის ამ თანამიმდევრობით განლაგებისას იმ დაჯგუფებას ვითვალისწინებთ, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ძირითადად ქართული წერილობითი წყაროებისა და ფრესკებზე გამოსახული ავეჯის გათვალისწინებითაა შედგენილი¹.

ეხება რა ავეჯის ფუნქციას, ივ. ჯავახიშვილი წერს: „ავეჯი დანიშნულების მიხედვით სხვადასხვანაირი არსებობდა: ერთი — ძილი-


¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1965, გვ. 22.

სათვის განკუთვნილი, მეორე — დასაჯდომად, ღვიძილის დროს გამო-
საყენებელი, რომელსაც საჯდომელი, სასხდომელი და საჯდომი ერთ-
დებოდა..... აგრეთვე ისეთი ავეჯიც არსებობდა, რომელიც გახცალ-
კეცებული იყო და მერე იყო შეერთებული და თვით სახელიც მნიშ-
ვნელობის მიხედვით განსხვავდებოდა“².

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ავეჯის
ეთნოგრაფიულმა შესწავლამ, დანიშნულება-ფუნქციის მიხედვით ავე-
ჯის დაყოფის შესაძლებლობა მოგვცა. ხსენებული ნიშნით კლასიფი-
ცირებული დგამის პირველ ჯგუფში, ე. ი. საწოლი ავეჯის კატეგორია-
ში ერთიანდება: მერხი // მეჭი // სკამ-ლოგინი, ტახტი, ლოგინი, ლა-
ჭანი, ჩაფი // ჯინი. აქვე შედის ბ ა ც ა ნ კ ა ლ ი ა ნ უ ხ ის ს ა თ ა ვ ს-
ქ ვ ი ო // სასთუმალი. საწოლი ავეჯის სახესხვაობა შემდეგნაირია:
„თავისა და ფეხთის“ ფიცრებით გაწყობილი საწოლი, — ტახტი,
მრგვალთავიანი ხის ლოგინი, ლაჭანის სახელით ცნობილი ძირგამო-
წნული ტახტი და მოწნული საწოლი (ჯ ი ნ ი, ჩ ა ფ ი).

მეორე ჯგუფში ვაერთიანებთ სკამ-ლოგინებს, როგორც საერთო
სასხდომებს, ანუ „ღვიძილის დროს გამოსაყენებელ საჯდომ ავეჯს“. საერთო
სასხდომების კატეგორიაში გამოიყოფა: ზურგიან-გვერდებ-
იანი, უზურგო და მკლავიანი სკამები. ხოლო ზურგიან-გვერდებიანი
სკამების ქვეტიპში ერთიანდება: მოხეური საკაკო სკამი, ოსუ-
რი გრძელი სკამი, ხევსურული სამამაცო სკამი (ზოგიერთი)
და თუშური მეჭეხის გარკვეული სახეობა — ზურგიან-გვერდებიანი
მეჭი. რაც შეეხება უზურგო გრძელ მერხებს, ისინი გავრცელებულია
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში. მკლავიანი
სკამები, უმთავრესად, მთიულეთ-გუდამაყარში და თუშეთში გვხვდე-
ბა. ამავე ჯგუფში ექცევა ინდივიდუალური სასხდომი სავარძელი,
რომელიც ერთი ადამიანისათვის არის განკუთვნილი და ღღემდე შე-
მონახული ავეჯის ერთ-ერთ საინტერესო სახეობას წარმოადგენს.
ინდივიდუალური სასხდომები თავის მხრივ, საუფროსო და კერის
სკამებად იყოფა. საუფროსო სკამების კატეგორიას მიეკუთვნება:
ს ა კ უ რ ც ხ ი ლ ი, ს ა მ ა რ ტ ო ს კ ა მ ი, ჩ ი კ ა. კერის სკამებში შე-
დის უზურგო სამფეხა სკამები. ინდივიდუალური სასხდომი ავეჯის კა-
ტეგორიაში ჩამოთვლილი სკამების ვაერთიანებას ხშირად ფუნქციი-
დან გამომდინარე მათი სახელწოდებაც განსაზღვრავს. აქვე უნდა აღი-
ნიშნოს, რომ საერთოდ სავარძელს ზურგსაყრდნობი ახასიათებს. ფორ-

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის
ისტორიისათვის, II, თბილისი, 1965, გვ. 22.



მის მიხედვით, სავარძლებიდან შეიძლება გამოიყოს სამფეხა და ოთხ-
ფეხა სავარძლების სამი ქვეტიპი: ზურგიან-გვერდებზე, მოხვეულ ზურგიანი და სწორ ზურგიანი. ზურგდანიან სავარძლებიანი სავარძლის ქვეტიპში ერთიანდება: სვანური საკურ-
ცხილი, რაჭული საკარცხული, ოსური სავარძელი, მოხეური
სამართო, მთიულური საუფროსო და თუშური ჩიკა-სავა-
რძელი. მოხვეულ ზურგიანი სავარძლების ქვეტიპს ქმნის
ხევსურული ჩიკა — სავარძელი, ხოლო სწორ ზურგიანს —
მთიულური, ზოგიერთი ხევსურული და ჩაჩხური სკამები³. რაც შეეხე-
ბა უზურგო სამფეხა სკამებს, ისინი, როგორც აღვნიშნეთ, სასხდომი
ავეჯის ცალკე ქვეჯგუფად გვაქვს განხილული. საერთოდ, საქართვე-
ლოს მთიანეთში ზურგიან-გვერდებიანი სკამების ქვეტიპის სიჭარბე
შეინიშნება. მისი პარალელები ოსეთში, ჩაჩხეთსა და დაღესტანში
დასტურდება⁴.

ამგვარად, ქართული ხალხური ინდივიდუალური სასხდომი ავე-
ჯის თითოეული ვარიანტი სავარძლის ერთი ძირითადი ტიპის სახე-
სხვაობაა და ამ უკანასკნელს ფორმათა მრავალგვარობით წარმოაჩენს.

ავეჯის კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში განვიხილავთ ხონჩებს.
აქვე ვათავსებთ იმ დგამ-ჭურჭელსაც, რომელთაც ახსიათებთ კომ-
ბინირებული ფუნქცია, თუმცა ისინი დღემდე წმინდა ჭურჭლადაა მი-
ჩნეული. ამ ჯგუფიდან გარეგნული ნიშნების მიხედვით ხისაგან კვე-
თილი სუფრების შემდეგი სახეობები გამოიყოფა: სხვადასხვა დიამე-
ტრის მქონე მრგვალი გობები — ტაბკები, რომლებიც ჭურჭლისა და
დგამის ფუნქციას ასრულებენ და ზოგჯერ ამოკვეთილი ჯამებითა თუ
სამარილებით არიან წარმოდგენილი (ფშავი, თუშეთი, რაჭა), უფხვო,
სწორკუთხა ან ოვალური ხონჩა-სუფრები (აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მთიანეთი), სამფეხა და ოთხფეხა კუთხედთავიანი ხონჩები (აღ-
მოსავლეთ საქართველოს მთიანეთი), სამფეხა, მრგვალი ტაბლა-სუფ-
რები (მთიულეთ-გულდამაყარი). მასალის სხვაობის მიუხედავად, შეიძ-

³ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონ-
დის კოლ. № 6—85/3.

⁴ შდრ. Б. Андиев, Р. Андиева, Осетинский орнамент, Орджони-
кидзе, 1960, стр. 10; Л. А. Чибиров, Поселения и жилища осетин (диссер-
тация), Цхинвали, 1963. შდრ. Вг. P l a e t s c h k e, Die Tschetschenen, Hamb,
1929, S. 100; იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია № 48—85.




ლება აქვე მოექცეს სპილენძის ტაბლა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აქა-იქლა შემორჩა⁵.

ხალხური ავეჯის მეოთხე ჯგუფს ვაკუთვნებთ: სხვადასხვა ზომის, მოყვანილობისა და დანიშნულების კიღობნებს, სკივრებს, ტაგრუცებს, კროჭებს და სხვა ხელყუთებს. მოხმარება-დანიშნულებით მოსათავსებელ ავეჯში გამოიყოფა: ტანსაცმლისათვის განკუთვნილი — სატალავრე კიღობანი, საბარგე კიღობანი, სკივრი, საჯამე კიღობანი, კიღობან-კარადა, კართანულა და თარო. აქვე განიხილება საკულტო დანიშნულების წმინდა კიღობნები.

ამრიგად, საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ქართული ავეჯის ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით დაჯგუფება ერთი ტიპის ავეჯის მრავალსახეობას ავლენს და მათ შორის არსებულ განმასხვავებელ ნიშნებსაც კარგად წარმოაჩენს. ხოლო ნივთების უშუალოდ გაცნობის შედეგად მოცემული კლასიფიკაცია ხალხური ავეჯის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო საკითხებს წარმოშობს.

საწოლები. საწოლი დგამეულის განხილვას კომბინირებული ფუნქციის მქონე ავეჯით გიწყებთ. პირველად თუშურ მეჭებს შევხებით. თუშური სკამ-ლოგინი — მეჭი ინტერიერის კომპონენტს წარმოადგენდა და კონსტრუქციით იმავე ფუნქციის ფშაური სკამის იდენტური იყო. ამგვარი მერხი კედელში დატანებულ სამკედს (დასაჯდომი ფიცრის საყრდენი) ეყრდნობოდა. იგი ჩვეულებრივად გაკუთხილ ექვსლიკვზე (მცირე სვეტი) იდგა, მარტივი კონსტრუქციის იყო და მისი გაწყობა საღურგლო საქმეების სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვდა. მერხს შემდეგნაირად აკეთებდნენ: თავდაპირველად ფიჭვის ღირეებს ანუ ისრებს ამზადებდნენ, რომელთა სიგრძე საცხოვრებელი ოთახის კედლის გამწვდომი იყო. ცულით გაკუთხილ ღირეებს შუაში და თავ-ბოლოში 12 სმ სიგანის ბუდე

⁵ სპილენძის ტაბლის არსებობა დღესაც დასტურდება ფშავეში (სოფ. უძილაურთა), ხევსურეთში (სოფ. ლეზაისკარი, ჯავმატი) და თუშეთში (სოფ. ჯაჭაბო). შევნიშნავთ, რომ სპილენძის ტაბლებისა თუ ქურჭლის მასობრივობა, მისი ინტენსიურად გამოყენება, დღესდღეობით ჩრდილო კავკასიის ხალხებში შეინიშნება. მთხრობელთა ჩვენებით, „სპილენძის ტაბლები წონით იყიდებოდა. გირვანქა სპილენძი გირვანქა ერბოზე იცვლებოდა“. საკვლევ რაიონში ჩვენ მიერ დამოწმებული დგამის ხსენებული სახეობის ნიმუშები ზოგიერთი ცნობით ჩრდილოკავკასიური წარმოშობისაა. ეს და სხვა მრავალი ფაქტი მეზობელ ხალხებთან ჩვენი ოდინდელი ურთიერთობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მაშასადამე, მათგან „რელის“ ქურჭლის თუ დგამის ყიდვა და ამგვით უჩვეულობის დაგროვება ბუნებრივი პროცესია და ისტორიული კონტაქტის შედეგი. აღსანიშნავია, რომ დგამის ამ სახეობის ეთნოგრაფიული ანალოგები მეზობელი ხალხების — სომხეთისა და აზერბაიჯანის ყოფაშიც ვლინდება. სომხეთში იგი „სინის“ სახელწოდებით გვიანობამდე შემორჩა (Народы Кавказа, армяне, т. II, Москва, 1962, стр. 502).



უკეთდებოდათ, რომელშიც ფეხის ფიტოლებს (შვერილები) ამავრებდნენ. ღირეთა ღარში საჯდომ ფიცრებს აწყობდნენ. საჯდომე ფიცრების საყრდენად კი კედლიდან გამოშვერილ კედლებს მკლავებს იყენებდნენ. დგამის ამ სახეობის დასამზადებელ იარაღს ძირითადად ფრთიანი ცული და სატეხი წარმოადგენდა. ამგვარი მერხი საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. მისი საყრდენები კედელში იყო ჩატანებული და დაძვრა შეუძლებელი იყო. ამგვარ მექს ჩაბმული ეწოდებოდა. ჩვენ მიერ მოტანილი ხსენებული ავეჯის აღწერილობა გადმოცემებითა და ზოგიერთ მიტოვებულ სახლში დარჩენილ სამეცქე კედლების (საყრდენების) არსებობის ფაქტის კონსტატაციით იფარგლება.

რაც შეეხება ფშავს, აქ ფიქსირებული მასალის მიხედვით, სახლის ერთ კუთხეში მთელი კედლის სიგრძეზე გამართული იყო განიერი საწოლი, რომელიც თავისი აღნაგობით, მასიურ სადგარებზე დამყარებულ განიერსა და გრძელ ტახტს ჰგავდა. იგი სკამის სახელითაა ცნობილი. ალბათ ამ გარეგნული მსგავსებით აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნული სახის საწოლს პროფ. ს. მაკალათია ტახტად იხსენიებს⁶. ეს საწოლი სკამი ტექნოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება. სოფ. კაწალხევში ივანე შაბურის ძე ხორნაულის სახლში დაცული სკამი შედარებით სრულყოფილი ფორმითაა წარმოდგენილი და ამგვარი ტიპის სკამის აღნაგობისა და ტექნოლოგიის ნათელ სურათს იძლევა (ტაბ. III, სურ. 1). საყურადღებოა, რომ სკამის ერთ-ერთ საყრდენად სახლის „დამხმარე“ ბოძია გამოყენებული, რომელიც ერთი ბოლოთი სკამის თავშია გაყრილი და შემდგომ მიწაშია ჩასმული (ტაბ. III, სურ. 2), სკამის ღირეები მუხისაა. იგი სკამის საჯდომი ფიცრებისა და კედელში დატანებული საყრდენი მკლავების ჩარჩოს ქმნის. ფშავში პირველად სკამის სადგარებს ანუ ფეხებს ამზადებდნენ. მათ ცულით გაკუთხავდნენ და ერთი თავით მიწაში ჩასობდნენ. სადგარები, ზემოხსენებულ დამხმარე ბოძთან ერთად მკლავების საყრდენს წარმოადგენდა. შემდეგ ღირეებს გამოთლიდნენ და სკამის ჩარჩოს შეკრავდნენ. ღირეთა ღარებში საწოლ ფიცრებს ამავრებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფშავის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საერთო სასხდომებს და საწოლ ავეჯს ზოგადად სკამი ეწოდება. თუმცა თში კი — მექი. ამ შემთხვევაში, საწოლი და სასხდომი ავეჯის აღნიშვნელ ტერმინთა იდენტურობა მათ კონსტრუქციულ სხვაობას არ გამოირიცხავს. ხოლო ტერმინები — მექი, სკამი გვიჩვენებს, რომ

⁶ ს. მაკალათია, ფშავი, ტფილისი, 1934, გვ. 111.

ამჟამად დიფერენცირებული საწოლი და სასხდომი ავეჯი კონსტრუქციულად ერთი ტიპის ავეჯიდან უნდა მომდინარეობდეს. სასხდომი ავეჯის ცალკე გამოყოფამ საწოლი ავეჯის სახეცვლილებაც გამოიწვია, ე. ი. ფუნქციონალურმა გათიშვამ კონსტრუქციული სხვაობა მოგვცა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული საწოლი მერხები, სწორედ სახეშეცვლილ ავეჯის რიგს განეკუთვნება. ზემომოტანილი მასალის საფუძველზე და აგრეთვე ზოგადეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტაციონარული ხის საწოლ-სასხდომი მერხის განვითარებამ და შემდგომ მისმა ფუნქციონალურმა დიფერენცირებამ საწოლი და დასახდომი ავეჯის ნაირსახეობა გამოიწვია და მათი ცალკე ვეჯად — ავეჯად (mobilis) ჩამოყალიბება განაპირობა⁷.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით საძილედ განკუთვნილი ავეჯის ნაირსახეობა და მისი აღმნიშვნელი ტერმინების მრავალფეროვნება გვხვდება. როგორც ზემოთაც ითქვა, დასაწოლ ავეჯს ხეცსურეთში ლოგინი // ტახტი, ხევში საწოლი, თუმეთში მეჯი ეწოდება. ძველად საწოლად წნული ავეჯიც გამოიყენებოდა (ჩ ა ფ ი, ჯ ი ნ ი), რომელიც დღეს ხალხის მეხსიერებასა შემოუნახავს.

⁷ ჯერ კიდევ ტრიპოლიეს კულტურაში ცნობილი საცხოვრებლის აუცილებელ დამეულს თიხის იატაკზე ამოყვანილი თიხისავე სკამ-ლოგინი წარმოადგენდა, რომელიც კერის ერთ მხარეს იმართებოდა (В. И. Равдоникас, История первобытного общества, часть II, гл. XIX, Неолит территории СССР, Ленинград, 1947, стр. 242). საწოლად და დასახდომად, ზოგან ფიცრულ ბაქანს იყენებდნენ. ამ მხრივ საეულსხმოა უძველესი ხიმინჯიანი სახლების მავალითზე ზოგად ეთნოგრაფიაში არსებული მოსახრება, რომელიც „პლატფორმები“ შექმნასა და საწოლ ავეჯად მათ ჩამოყალიბებას შეეხება (Г. Шурц, История первобытной культуры, СПб., 1896, гл. IV, стр. 379). კლდეში ნაკვეთ ქვაბ-საცხოვრისში, კედელშივე გამოჭრილი სკამ-ლოგინები ან მონოლითური სკამები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში დამოწმებულ კლდეში ნაკვეთ შიდამოწყობილობის აუცილებელ ატრიბუტად ითვლება (Левин-Дорши и Кунцов, Первобытная техника, М.-Л., 1922, ч. I, стр. 113). საქართველოში მონოლითური სკამ-ლოგინის კონსტრუქციაზე ნათელ წარმოდგენას ფეოდალური პერიოდის ქვაბ-საცხოვრისები იძლევიან (გ. გაფრინდაშვილი, XI—XIII სს. ანანურის კლდის სოფელ ვარძიის ქვაბთა ანსამბლში, საქართველოს მღვიმეები და გამოქვბულები, I სპელეოლოგთა კრებული, თბილისი, 1963, გვ. 99). ქვის სკამებს, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულებზე აღდერკინის პერიოდის სადგომებში აღმოჩნდა, კლარკი საწოლ ავეჯად მიიჩნევს (Г. Д. Кларк, Доисторическая Европа, Экономический очерк, Москва, 1953, стр. 158). ავეჯის ფორმასა და კონსტრუქციას მისი მფლობელი ხალხის ცხოვრების ხასიათი და ეკონომიკა განსაზღვრავს. ამის მიხედვით ავეჯი და კერძოდ, სკამ-ლოგინი შეიძლება ყოფილიყო უძრავი, მასიური, ან მსუბუქი და ადვილად გადასატანი (Э. М. Асанов, Из истории ремесла казахов XIX—XX вв.), «Советская этнография», 1958, 5.

საწოლი ანუ საძილე ავეჯის აღსანიშნავად, როგორც უძველესი წყაროებიდან ჩანს, სარეცელი იხმარებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი სარეცელს ძველ ქართულ სიტყვად მიიჩნევს და მას რეცვა ზმნისაგან წარმოშობილად თვლის. იგი აღნიშნავს: „რეცვა — გაშლას, დაგებას ნიშნავდა. სარეცელი კი ისეთ ავეჯს წარმოადგენდა, რომელზედაც ლოგინი უნდა დაგებულიყო“. მისივე გამოკვლევის მიხედვით სარეცელი როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძველ წერილობით ძეგლებში X ს-მდე გვხვდება⁸.

აღსანიშნავია, რომ იმ საჩუქართა შორის, რომელიც რომელ ისტორიკოსთა სიტყვით ქართლის მეფეებს რომის იმპერატორებისათვის მიუძღვნიათ სხვადასხვა დროს (ძვ. წ. I საუკუნიდან ვიდრე ახ. წ. II საუკუნემდე), ოქროს სარეცელიც იხსენიება⁹. ამრიგად, თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში სახლის შიდამოწყობილობის აუცილებელ ელემენტს და მეფეთათვის მისართმევ ღირსეულ საჩუქარს ხალიჩა წარმოადგენდა¹⁰, საქართველოში როგორც გამოკვლეულია, იმავე მიზნით ოქროს დეკორირებული ყოფილა გამოყენებული. ყველა ეს ოქრომკედლობის ნიმუშები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში პირველხარისხოვან ნაწარმად და ადგილობრივ ოსტატთა ნახელავად არის მიჩნეული. არქეოლოგი გ. ლომთათიძე, აღნიშნავს რა საქართველოდან უცხოური ნაწარმის საჩუქრად გატანის უაზრობას, გონებამახვილურ დასკვნას იძლევა, რომლის მიხედვითაც ძველად მირთმეული დეკორირებული ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს¹¹.

დაბადების ქართულ თარგმანში დასაწოლი ავეჯის მნიშვნელობით ცხედარი იხსენიება. მაგალითად, როცა „ბაგოჲ“ ივლითთან შევიდა დასასუენებლად, „პოვა იგი მდებარე ცხედარსა ქუეშე მკუდარი“ (ივდ. 14, 13—14, 15 ოშკი)¹². ცნება ცხედარის პირვანდელ მნიშვნელობად აკად. ივ. ჯავახიშვილს ლოგინი მიაჩნია და მას — ქუეშესაგებელის იდენტურად თვლის. „ცხედარი, ერთ დროს უფრო ჩვეულებრივ ლოგინსაც ნიშნავდა და აქედან ნაწარმოები თანამეცხედრე, მუუღლის მნიშვნელობით, ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული. ამგვარ-

⁸ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 22.

⁹ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 166.

¹⁰ Т. Измайлова, Культура и искусство среднего Востока, Ленинград, 1960, стр. 37.

¹¹ გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, თბილისი, 1952, გვ. 145.

¹² ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1965, გვ. 25.

რად, ცხედარი სარეცელზე უნდა ყოფილიყო დაგებული“¹³. „ცხედარი ითქმის შიშველი საგებელთაგან, ხოლო სარეც(ე)ლად — დაგებული გარდაგებული“-ო — განმარტავს საბა. ლოგინი, მისივე საწოლად შემზადებული ფიცარი ფერჯიანი (ფერჯედი ფიცარი)¹⁴. ამჟამად, ხალხური განმარტების მიხედვით, ისტორიულ ცხედარს მერხი შეესატყვისება, ხოლო სარეცელს — ტახტი // ლოგინი (საწოლი). თუ დავეყრდნობით აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ „სარეცელის ტიპის საწოლები ხევსურეთსა და მთიანეთში მოიპოვება“-ო¹⁵, აგრეთვე გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცულ ხალხურ ავეჯს და მისი შესწავლის შედეგებს, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი აზრი, ვფიქრობთ სავსებით კანონზომიერად და გამართლებულად ჩაითვლება.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „სარეცელი და ცხედარი X საუკუნის წერილობით ძეგლებში უკვე აღარ გვხვდება, სამაგიეროდ, სპარსეთით შემოდის ტახტი, პირველ ხანებში, როგორც მეფისთვის განკუთვნილი საჯდომი, ხოლო შემდეგში უკვე საზოგადოდ დასაწოლი ავეჯი“¹⁶. ასევე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ტახტს, მეფეთა სასახლომად იხსენიებს¹⁷.

ვისრამიანში ტახტი დასაჯდომი ავეჯია — „ოქროსა ტახტისაგან ნაცართა ზედან დამსუა“ (ვისრ. 271₂₅₋₂₅). ან „შუენებითა შენებურად ტახტასა ზედა დაჯედ“¹⁸. საბას მიხედვით: „მეფეთა და მღვდელთ-მთავართ საჯდომელს და ზედ გავალაკიანსა — საყდარი, ვიეთნი ტახტ უწოდენ“. ვეფხისტყაოსანშიც ტახტი მარტო მეფის სასახლომის მნიშვნელობისა როდია. იგი საერთოდ დასაჯდომად განკუთვნილ ავეჯად იხსენიება და აგრეთვე სარეცელის სინონიმაც არის, თუ თინათინ-ზე ნათქვამია:

„მამისა ტახტსა საჯდომად
თავი არ ეღირსებოდა...“

ნესტანის შესახებ ფატმანი ამბობს:

„გარდვულოცნე ყოველ ასო, თავი ამოდ მოვაძულე
ზედან დავეცი ტახტსა ჩემსა შევეგები ჯავესულე“¹⁹.

¹³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1965, გვ. 22.

¹⁴ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.


¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

¹⁶ იქვე, გვ. 24.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1897, გვ. 33.

¹⁸ ვისრამიანი... 60₂₆₋₂₇ 47,8.

¹⁹ ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, 1069 3-4.



აქვე ავთანდილის შესახებ ვკითხულობთ: „უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისა“-ო²⁰. არჩევს რა ხსენებულ ადგილს ვეფხისტყაოსნიდან ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ, ტახტი ცხელი საწოლისა და თავის სადებელი კი სასთუმალის მაგიერ არის ნახმარი-ო²¹.


ამრიგად, ტახტი ჯერ მეფისა და შემდგომ საერთოდ სასხდომსა თუ დასაწოლს წარმოადგენდა: „მათ მხევეალთა ტახტზე მისი საფენი დოშაქი დაუფინეს და დასვეს“, ნათქვამია რუსუდანიანში²². ტახტის, როგორც დასაწოლად განკუთვნილი ავეჯის შესახებ, შაჰნამეშიც ვკითხულობთ²³. სარეცელის მნიშვნელობით, ტახტი, „მატიანე ქართლისაიმიცაა მოხსენებული“. როგორც გამოკვლეულია, X საუკუნიდან XVII ს. წერილობით ძეგლებში სიტყვის — სარეცელის ნაცვლად მისი ტოლფასოვანი მნიშვნელობის მქონე სიტყვა — ტახტის ხმარება დასტურდება²⁴.

დღესდღეობით, ტახტი სახეშეცვლილი, მაგრამ საწოლი ავეჯის სახით, ნივთიერად ხევსურეთის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოინახა (სურ. 1). ტერმინი — ტახტის დამკვიდრება, რომ გვიან პერიოდს მიეწერება, ამას ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ზსენებული საწოლის ლოგინად მოხსენიებაც მოწმობს. ეს უკანასკნელი თავისი აღნაგობით შეესაბამება იმ განმარტებას, რომელიც ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანს ლოგინთან დაკავშირებით აქვს გამოთქმული. ზემოხსენებული საწოლი, ტახტის სახელწოდებით, უმთავრესად პირაქეთ ხევსურეთშია გავრცელებული. ლოგინად კი იგი პირიქითში იხსენიება (აბა აპარეკას ძე ჭინჭარაული, 75 წლის, სოფ. შატილი, 1961 წ.).

ლოგინი (ტახტი) ფიჭვის ან ცაცხვისაგან მზადდებოდა. ტახტის აწყობა შემდეგი თანმიმდევრობით სრულდებოდა: პირველად ფეხებს გამოთლიდნენ. გამოსათლელად ცულს იყენებდნენ. ფეხის წინა მხარე მომრგვალებული კეთდებოდა, რომელიც დისკოსებური თავით ბოლოვდებოდა. საწოლის თავი, როგორც წესი, ორივე მხრიდან დაჭრელებული იყო. ათი გოჯის სიმაღლეზე ფეხები სატეხით იხვრიტებოდა. ეს ნახვრეტი ისარ-ღირეთა ბუდეს წარმოადგენდა, რომლის დმ სამ გოჯს

²⁰ ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, 1412.
²¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (ხელნაწერი), გვ. 30.
²² რუსუდანიანი, ი. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, 591₁₀.
²³ ფირდოუსი, შაჰნამე, ტ. II, 61, 3404.
²⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.


არ აღემატებოდა. ისარ-ღირე სხვადასხვა სისქის მზადდებოდა. თუ ტახტი ორი გოჯის სისქის ისარ-ღირეთი იყო შეკრულა, მაშინ უნდა ნახელავად ითვლებოდა. დამზადებულ ჩარჩოს საჯდომი ფიცრებისა და სწყობი ბუდეები უკეთდებოდა. ტახტის თავ-ბოლო ღირეს სიგრძე 5—6 მტკაველი უნდა ყოფილიყო. გვერდისა კი 9—10 მტკაველი. სა-ტახტე ფიცრებს გამრობამდე ნაპირებს წაუთხელებდნენ, რომ ფიცა-



სურ. 1. ტახტი//ლოკინი ხევსურეთიდან.

რი ღირეთა ბუდეს მორგებოდა. ტახტის ჩარჩოს აწყობის ხსენებულ წესს უძველეს წარსულში ეძებნება საფუძველი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს არმაზისხევის II—III საუკუნეთა სამაროვნებში აღმოჩენილი დგამის, კერძოდ, სარეცლის ვერცხლის ფირფიტაზე გარდიგარდ-მო ამოჭრილი სწორკუთხედი, რომელიც მკვლევართა აზრით, სარეც-ლის ფიცრების და ფეხის დასაკავშირებელ ხის ნაწილების ბუდეს უნ-და წარმოადგენდეს²⁵. ზოგჯერ ტახტს ძირგამოწნულს აკეთებდნენ. მა-შინ თითოეულ ღირეს „ქვედა პირზე თითო ხელის დადებაზე შალა-ფით გახვრეტდნენ“, რათა მასში დაგრეხილი წნელი ან საბელი გა-ეტარებინათ და ტახტისათვის ჩხირი გამოეწნათ. ბეწინა აპარეკას ძე ჭინჭარაულის (57 წლის, სოფ. ლებაისკარი, 1961) ჩვენებით, „და-წვრეტილებში საბალავს დაუყრიდნენ, დაბალავდნენ, შემდეგ კი შიგ

²⁵ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომ-თათიძე, მცხეთა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 36.



ჩალას, ქალის თმას ან ბალახს ჩააგებდნენ და ზედ ფარდაგს გაშლადნენ²⁶.

ტახტის ფეხის სიმაღლე 4—5 მეტრზე იყო, რაც მას საწოლზე მოუხერხებელს ხდიდა. ამგვარად, ტახტი წარმოადგენდა მაღალფეხიან და გვერდებჩაღრმავებულ საწოლს²⁷. ამის შესახებ გ. თედორაძე წერს: „ხევსურების ლოგინი მეტად მაღალ ფეხებზე დგას, ასე რომ მასზე დიდი გაჭირვებით ადიხარ“—ო²⁸. ამასვე ეთანხმება ხევსურის საწოლის რადესეული აღწერილობაც²⁹. ინფორმატორთა ცნობით, ამგვარი საწოლები ნესტისაგან დაცული ყოფილა, ე. ი. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მაღალფეხიანი საწოლების დამზადებას თავისებური პრაქტიკული საფუძველი ჰქონია.

თუ ხევსურის საწოლს ტახტი წარმოადგენდა, ფშავლის სარეცელი — სკამი და ლაჭანი იყო. ვინაიდან ფშაური სკამ-ლოგინის კონსტრუქცია, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, სკამისა და ლაჭანის აღნაგობას ემთხვევა, ამ უკანასკნელის დამზადების წესების აღწერილობაზე აქ აღარ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მამაკაცისათვის განკუთვნილ საწოლს ფშავში ლაჭანს მოწოდებდნენ, რომელიც თუშური მეჭის მსგავსად ფიცრებისაგან შეკრული, სადგარებზე დამყარებული და ზოგჯერ ძირგამოწნული იყო. როგორც ხალხის მიერ მოწოდებული ცნობებიდან ჩანს, „ლაჭანის გვერდის სიმაღლე ნახევარ მეტრზე“ არ აღემატებოდა, ფეხის სიმაღლე კი 1 მ 50 სმ მაინც უნდა ყოფილიყო. ამგვარ საწოლში ჩვეულებრივად თივას აგებდნენ. საინტერესოა, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ზემოაღწერილი საწოლები ანალოგს პოულობს ბარონ ნოპმას მიერ აღწერილ ალბანურ საწოლებთან (štrat)³⁰.

თუშურ საწოლს, ისე როგორც სკამ-ლოგინს, მეჭი ეწოდება. საწოლი მეჭი კონსტრუქციით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში გავრცელებული საწოლების მსგავსია (თუშური მეჭის სიგრძე = 2 მ; სიგანე — 1 მ; სიმაღლე — 50 სმ). თუშური საწოლი მეჭი ფეხ-ისრების, საწოლი ფიცრების და „სათავ-ფეხთანო“ ფიც-

²⁶ შღრ. შინამრეწველობის მასალები, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივი.

²⁷ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბილისი, 1935, გვ. 136.

²⁸ გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფილისი, 1930, გვ. 52.

²⁹ Г. Р а д д е, Хевсурия и хевсуры, Описание путешествия, совершенного летом 1876, Тифлис, 1881, стр. 82.

³⁰ Fr. Baron Nopcsa, Albanien Bauten, Trachten und Geräte Nordalbanien, Berlin und Leipzig, 1925, S. 108.

რებისაგან შედგება. პირველად გვერდის დირე-ისრებს დაკავშირებ-
დნენ და ჩარჩოს შეკრავდნენ, რომელსაც შვიდ ადგილზე საყრდენი
კედლის გასაყრელი უკეთდებოდა. ეს უკანასკნელი საწოლი ფიცრების
საყრდენს წარმოადგენდა. ისრებს დაღარავდნენ, წებოს წაუსვამდნენ
და შიგ ფიცრებს ჩაამაგრებდნენ. საწოლის დირეს შიგნითა მხარე სი-
გრძეზე იყო დაღარული და უმეტესად წებოწასმული. ამგვარი ღარი
ფიცრების საიმედო საჭერს წარმოადგენდა. თუშური მეჯისა და მისი
ატრიბუტების აღწერილობას გ. თ. ბოჭორიძის მასალებშიც ვხვდებით,
რომლის მიხედვით „ტახტი შეიძლება ყოფილიყო ორსართულიანი“.
ასეთი ტახტის ზედა სართული (მ ა ღ ლ ა ს ა წ ო ლ ა ე) უმცროსებისა-
თვის იყო განკუთვნილი³¹. როგორც ირკვევა, თუშეთში, ორსართულია-
ნი ტახტებიც ყოფილა ხმარებაში, რაც საერთოდ აღმოსავლეთ საქარ-
თველოს მთიანეთში დამოწმებული და ზემოაღწერილი ტიპის საწო-
ლის ვარიაციას უნდა წარმოადგენდეს.

საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ჩ ა ბ მ უ ლ ი მ ე-
ჯ ი, რომლის ნაშთები კედელში ჩატანებული მკლავების სახით დღემ-
დე შემონახა. ხალხის ჩვენებით აღნიშნული ჩაბმული მეჯი ჩვეულე-
ბრივი მეჯისაგან მხოლოდ კედელში დატანებული სამეწე მკლავებით
განირჩეოდა, რომლებიც საწოლი ფიცრებისა და დირეების საყრდე-
ნი ყოფილა. სამეწე მკლავების მიხედვით მეჯის სიმაღლედ 1 მ 50 სმ
ივარაუდება, რაც ჩვენამდე მოღწეულ დიფერენცირებულ საწოლებ-
თან შედარებით, გაცილებით მაღალი ჩანს. ამჟამად, ეთნოგრაფიულ
ყოფაში დაცული საწოლი მეჯის სიმაღლე მხოლოდ 50—70 სმ აღწევს.
ეს ვარემოება ხალხის დაკვირვებით იმით აიხსნება, რომ მიწისიატა-
კიანი საცხოვრებელი ბინები საკმაოდ ნესტიანი იყო. ამიტომ ქ ა ს-
ღ ა რ თ ა ნ (მომიწულ იატაკთან) ახლოს ყოფნას, განსაკუთრებით
ძილის დროს, ერიდებოდნენ და საამისოდ მაღალფეხიან საწოლებს
არჩევდნენ. ჩვენი აზრით, ხალხის ეს დაკვირვება პრაქტიკული გამო-
ცდილებიდან გამომდინარეობს და გამართლებას პოულობს სინამდვი-
ლეში.

საწოლი ავეჯისათვის უპირატესობა ფიჭვის მასალას ენიჭებოდა.
ფიჭვის ხისაგან დამზადებული ლ ო გ ი ნ ი ს ტ უ მ რ ის ა თ ვ ის განკუთვნი-
ლი საპატოო საწოლი იყო³². ამ შემთხვევაშიც ხალხის დაკვირვებას ის
გამართლება ჰქონდა, რომ ფიჭვის მასალა არ იკარებს მიკროორგანი-

³¹ საქართველოს ცენტრალური არქივი, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, 1753, საქ-
მე 115, გვ. 104.

³² „შეხვდნენ სტუმარს, ფიჭვის ტახტზე გაუშალეს ნაბადი“ (პ. ი ა შ ვ ი ლ ი,
დაუმთავრებელი პოემა, „გზა მშვიდობისა“, თავი 1, თბილისი, 1959, გვ. 156.

ზმებს და თანაც ადამიანის ჯამრთელობისათვის სასარგებლო თვისებები გააჩნია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, როგორც ითქვა, მოწულ-ლი საწოლებიც იყო ხმარებაში, რომელიც ხევსა და ხევსურეთში ჩაფიქს, ფშავში ჭინის სახელით იყო ცნობილი. ამ სახეობის საწოლების მოწვნის წესებისა და ფორმათა სრული მსგავსების გამო, ჩვენ ერთ-ერთ მათგანს — ჩაფს შევეხებით. მას თხილის ნერგით (წნელით) წნავდნენ. ამისათვის აიღებდნენ დაახლოებით სამტკაველიან ნერგს და მიწაში ოვალური თანამიმდევრობით ჩაასობდნენ (მიწაში ჩასობილ ნერგებს ბოძებსაც უწოდებდნენ), რის შემდეგაც იწყებდნენ ქსოვას (წვნას). წვნა მარტხნიდან მარჯვნივ სრულდებოდა. ერთ-ერთ ბოძს წნელს შემოახვევდნენ და გაკვანძავდნენ. შემდეგ კვანძამოღებულ წნელს მომდევნო ბოძს შემოუჭერდნენ და იგივე პროცესს უკუქცევით გაიმეორებდნენ, ანუ მთქმელის სიტყვებით რომ ვთქვათ „მემრ ისრივ წნელით მოსწევდეს მირგვლად. მემრ დაღგრეხდეს აღმაჩალმა, გამასწევდეს იქავ წნელით, მოაბრუნებდეს პირ-აღმა და ჩაფი იქნებოდა“-ო (მამუკა ბეწინას ძე გოგოჭური 50 წლის, ლებაისკარი, 1961 წ.). ფშავში ამგვარი საწოლის დამზადებას ჩაფის მოქსოვა-გამოჩხირვა ეწოდებოდა³³. ამ ტიპის საწოლი დღეს ყოფიდან უკვე გაშლილია, ამიტომ დამზადების წესები და კონსტრუქციული აღწერილობა მხოლოდ ზეპირ მონაცემებს ემყარება. მისი რეალური სახის აღსადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდში დაცულ ჭინს (კოლ. № 1—34). ჭინის სიგრძე 160 სმ-ია; სიმაღლე 36 სმ. იგი დაზიანებული და ნაკლულია.

ჭინის ანუ ჩაფის საწოლად ხმარებას, ხალხის დაკვირვების მიხედვით, პრაქტიკული საფუძველი აქვს. წნული კედლები ყოველთვის ხელს უწყობდა ჰაერის მოძრაობას და მასში ჩაგებული ქვეშაგების მშრალად შენახვას უზრუნველყოფდა. ასეთი საწოლები უმთავრესად მოხუცთათვის იყო მიზანშეწონილი. ზემოგანხილული სამამაცო საწოლის — ლ ა ჭ ა ნ ის ძირის გამოწვნაც ხსენებული გარემოებითვე უნდა აიხსნას.

საქართველოს მთიანეთში დამოწმებული საწოლებიდან ყურადღებას იქცევს სვანური კ ი დ ა ბ ე ნ-ი, რომელიც საწოლი ავეჯის ორიგინალური და ლოკალური სახეობაა. მის შესახებ მეტყველი მასალა

³³ წვნის ხსენებული წესის წინამორბედად ზოგიერთი აპრიორული მონაცემით ე. წ. ბადური ქსოვაა მიჩნეული. Г. Д. К л а р к, Доисторическая Европа, экономический очерк, Москва, 1953, стр. 227.

ქვემო სვანეთის მხოლოდ ზოგიერთ სოფელში შემორჩენილა. კ ი დ ა ბ ე ნ-ი ფიჭვის ხისაგან გამოთლილი საუფროსო საწოლი ეჭვ (ბიჭვორ ტაბას ძე ტვილიძანი, 86 წლის, სოფ. კახურა, 1965 წ.). ამ საწოლის დამზადებას სადგარების გამოყვანით იწყებდნენ. ხელცულათი (ცალ-შია კადა) ოთხ სადგარს (სოტს) გამოთლიდნენ და ღირებების საჭერ ღარს გაუკეთებდნენ (სადგარების სიმაღლე 1 მ იყო). ეს ღარი თავისა და ფეხის ფიცრისა თუ გვერდის ღირებების წაწვეტილი თავის (ფიტო-ლის) ბუდეს წარმოადგენდა. ამ ღირებებს საწოლის გვერდი (ლეს-კარ) ეწოდებოდა, რომლის სიგანე 50 სმ აღწევდა, სისქე კი 3 სმ უნ-და ყოფილიყო. საწოლის ჩარჩო (კოლეფი) სადგარების ბუდეში ღირებების ჩასმით იკვრებოდა. ჩარჩოს ხის სამკვალით (კინთებით) ამაგ-რებდნენ³⁴. გვერდის ღირებებს კ ე დ ის (საწოლის ძირის ფიცრების სა-ჭერი ჯოხი) გასაყრელი უკეთდებოდა. ამგვარი საწოლის ძირის გამო-წვნა ჩვეულებრივ „კედებზე ჩხირის გატარებით“ სკოდნიათ. უფრო ხშირად კიდაბენ-ს ფიცრის სეგმენტოვანი ფსკერი (ნაუნკერი ჰქონდა. ფსკერის ფიცრები (1 მ X 35 სმ) გვერდის ღირეთა ღარებს ებჯინებოდა და კედებზე იყო დაყრდნობილი. ამგვარად, კიდაბენ-ი ოთხკუთხა მო-ყვანილობის მაღალგვერდიან საწოლს წარმოადგენდა, რომელიც ოთხ ფეხს ემყარებოდა.


როგორც ჩანს, სვანური მასალა კ ი დ ა ბ ე ნ-ის სახით საწოლი ავე-ჯის კიდევ ერთ სახეობას ავლენს. მაშასადამე, ტერმინი კ ი დ ა ბ ე ნ-ი საწოლი ავეჯისა და სხვადასხვა სანოვაგის თუ ნივთების შესანახად განკუთვნილი დგამის ზოგადი სახელწოდებაა³⁵ (ამგვარად, კიღობნის მხოლოდ ერთ ფუნქციაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც მას სა-წოლ ავეჯად წარმოაჩენს). ამასვე ემოწმება სვანეთის სინამდვილეში მა-ღალმხატვრული გემოვნებით ნაკეთები რამდენიმე განსხვავებული ავე-ჯის ერთი და იმავე ტერმინით — კ ი დ ა ბ ე ნ მოხსენიება.

³⁴ საყურადღებოა, რომ ხის ნაწილების ჩ ხ ი რ ე ბ ხ ი (სამკვალებით) შეერთების მსგავს ფორმებზე თრიალეთის არქეოლოგიური ინვენტარიც მეტყველებს (Б. К у ф-т и н. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941) ხის სამკვალებით, ან წკირებით ფიცრის გაღაბმა ეგვიპტეში პირველი დინასტიის დროსაა ცნობილი (А. Л у-р ь е, Материалы и ремесленные производства Древнего Египта, Москва, 1958, 575). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამკვიდრებული, ხის ნაწილების დასაკავ-ძირებელი საშუალებანი სამკვალები და შვერილის ჩასმა ბუდეში ლურჯის მიერ ძველ ეგვიპტეში დამოწმებულის ანალოგიურია (შდრ. А. Л у р ь е, К. Л я п у н о в а, В. П и о т р о в с к и й и Н. Ф л и т н е р, Очерки по истории техники Древ-него Востока, М.-Л., 1940, стр. 209).

³⁵ შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტუ-რის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1965, გვ. 35.

საყურადღებოა, რომ ვეფხვისტყაოსანშიც კიდობანი გამოყენებულია ტანტრევიანის მნიშვნელობითაც:

„მათ კიდობანი მოიღეს...
...მას შიგან ჩასვეს იგი მზე“³⁶.



შემდეგ

„...მათ ნავიდადმა მათ რომე, გადმოსვეს კიდობანთა,
აჰხადეს, ქალი გადმოსვეს უცხოთა რამე ტანთა“³⁷.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ კიდობანი რთული და კომპლექსური ხასიათის დგამი იყო, რომელიც შეიცავდა ნაირგვარი ხასიათის კომპონენტებს. საფიქრებელია, რომ დიფერენცირებული სვანური ავეჯის სხვადასხვა სახეობას ეს სახელი სწორედ ამის გამო შემოარჩა.

საწოლად განკუთვნილი სკამ-ლოგინების, ლოგინებისა თუ ტახტების ატრიბუტს წარმოადგენდა თავსადები ხის სასათუშალი, ანუ ბაცანკალი, ფარსაკარი, ფარსაკალი, სათავსკვიო³⁸. ბაცანკალის სიმაღლე საშუალოდ 45 სმ უდრიდა. იგი ზარჯვე სახმარი იყო და სხეულის ნორმალურ მდგომარეობას აპირობებდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდე შემონახული ხის თავსადებები, რომლებიც ანალოგიური მოყვანილობისანი არიან, მხოლოდ სასათუშლის დანიშნულებით იხმარებიან. ისინი სრულიად განსხვავდებიან იმ თავსაყრდენებისაგან, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ხალხებში გვხვდება³⁹. როგორც მასალიდან ირკვევა ბაცანკალი// ფარსაკალი უფროსის თავსადები „თავისა და ფარის მისაქადნებელი იყო. (თამარ ხოხორას ასული ლაშქარაშვილ-ვარდანაშვილისა, 90

³⁶ ვეფხვისტყაოსანი, თბილისი, 1937, 50₁₋₂.


³⁷ იქვე, 1128გ.

³⁸ ორნამენტირებული თავსადები ფიცარი კახეთში ბარცაკალის სახელით ყოფილა ცნობილი. ვ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჭყონაა, სოფელი აკუა, თბილისი, 1964, გვ. 169.

³⁹ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში დადასტურებულ თავსაყრდენებიდან ძირითადად ორ ტიპს გამოყოფენ: ოთხკუთხედსა და მრგვალს. მრგვალი თავსაყრდენების პრაქტიკულ მნიშვნელობას თავისებურად ზღუდავდა ის რთული ორნამენტაცია (ტოტემური ცხოველები და წინაპრის გამოსახულებანი. ისინი ასახეობენ თავსაყრდენი ფიცრის დამჭერ კარიატიდებს), რომელიც მისტიკური იდეების გავლენით დროთა ვითარებაში იქმნებოდა. ზოგიერთი მკვლევარი გრძელ თავსაყრდენებს ცალკე გამოყოფს და ამ უკანასკნელს თავსაყრდენების მესამე ტიპად ასახელებს, Г. Шурц, История первобытной культуры СПб., 1896, стр. 356. საქართველოში გავრცელებული თავსაყრდენები არსებითად განსხვავებული ფორმისა და ფუნქციისაა, რის გამოც ხსენებულ კლასიფიკაციაში არ ექვევა და სრულიად ცალკე ტიპს ქმნის.

წლის, სოფ. უძილაურთა, 1962 წ.). ამ უკანასკნელი ნიშნის მიხედვით
ბაცანკალი საკაცო სკამის თანაარსი ატრიბუტია.

ბაცანკალს უმთავრესად ცაცხვის ხისაგან აკეთებდნენ. მას
სუფთად გათლილ ფიცრებისაგან კრავდნენ. იგი შედგებოდა თავსადე-
ბი ფიცრისა და ფეხებისაგან. თავსადები ფიცარი ორ სადგარზე ელმად
(დახრილად) არის მიყრდნობილი (სურ. 2). ამგვარი ხის სასთუმალი




სურ. 2. „ბარტოკალი“ სოფ. ახატი (ბორჩალო).

— ბაცანკალი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნო-
გრაფიის განყოფილების ხის ფონდში (იხ. კოლ. № 39—60/1 და კოლ.
№ 23—89).

საინტერესოა, რომ სვანური ლათხურმჷშ (ხის სასთუმალი)
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ბაცანკალის
მოყვანილობას იმეორებს. იგი ფიჭვისაგან მზადდებოდა. საყურადღე-
ბოა, რომ მასზე თავსადებად დაგებული ნაბადიც ლათხურმჷშ-ად
იწოდება. ბაცანკალი, რომლის სატყვისად, ფშავში, სასთაულიც
გვხვდება, ხის სასთუმალს წარმოადგენს. საბას განმარტებით სასთა-
ული ბამბის ბალიშია⁴⁰.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სასთაული გარდა
ხისა, რბილი მასალისაც კეთდებოდა — „თიკეში (ნაჭერში) გამოკრული

⁴⁰ შდრ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.



მატყლისა და სხვა. თუმცა ფეხსურეთში მას სათაჯს ქვილი-ს უწოდებენ. ტერმინი სასთაული ვეფხისტყაოსანშიც იხსენიება — „მკლავი მისი სასთაულად მიიდვას და მიწვას მითა“⁴¹, „მკლავს ფატმანი ნესტან დარეჯანის შესახებ. იგივე ტერმინი ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელშიც გვხვდება⁴². ვისრამიანში ნათქვამია „თავსა სასთაულსა ზედა არ დავსდებ და ტანსა საგებელსა“⁴³. ამ მიმართებით, ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ თავსადებელს ბაცანკალი და სასთაულიც უწოდებოდა⁴⁴. „ბალიში დასაჯდომს ერქვა. ასევე ვეფხისტყაოსნის მიხედვით: „მან ბალიში გამართებით დადვა მას მზედ საქებარსა.. დაჯვე მივეც გულსა ლხინი...“ (410)⁴⁵. როგორც ივ. ჯავახიშვილის მიერაა გამოკვლეული ძველად, ბალიშის ნაცვლად სასთუმალი იხმარებოდა. შემდეგში კი ქართული ტერმინი სასთუმალი ქრება და მის ადგილს სიტყვა — ბალიში იკვრს⁴⁶.

ეთნოგრაფიული მასალით ისიც საყურადღებოა, რომ სასთუმალს — ბალიშს, თუ მას დასაჯდომად გამოიყენებდნენ, სანაცურა-საც უწოდებდნენ. ხოლო იგივე სანაცურა თავსადებად გამოყენების შემთხვევაში სასთუნლად იხსენიებოდა. სანაცურა-ს სახელით ხალხში დამკვიდრებული „ტყავში გამოკერილი მატყლის ბალიში“, ქალებისათვის იყო განკუთვნილი.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მასალა ზემოგანხილულ ბაცანკალს მხოლოდ შიშველ თავსადებად კი არ წარმოაჩენს, არამედ ცხადყოფს, რომ მასზე იგებოდა აგრეთვე სხვა რბილი სასთუნალი, რაც ვ. ნოზაძის მიერ სასთუმალის განმარტებისას დამკვიდრებული ვარაუდის („არა მგონია, რომ ცარიელი ფიცარი ედვათ თავქვეშ: ალბათ მასზე ღბილი რამ ედვაო“) ხელშესახებ საბუთს იძლევა⁴⁷.

საწოლებში ჩალას ან თივას აგებდნენ და ზედ ფარდაგს შლიდნენ. საფარებლად კი ტყავებს იყენებდნენ, რომელიც აღმოსავლეთ საქარ-

41 ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, 1148.
 42 თ. ყორღანია, ქრონიკები, ტ. I, 1892, გვ. 44—45.
 43 ვისრამიანი, 335, 13—14; 241.
 44 როდესაც უნაგირის ბალიშს ძირს დაიგებდნენ — ბალიშს უწოდებდნენ და თუ თავქვეშ დაიდებდნენ სასთუმალს.
 45 ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთა მეტყველება, ბუენოს აირესი, 1953, გვ. 46.
 46 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხელნაწერი), გვ. 38.
 47 ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

თველოს მთიანეთს გვიანობამდე შემოიუნახავს⁴⁸. ამგვარ ტყავებს თუ შეთში დურა ტყავს, საღამურას და სახურა ტყავს⁴⁹ ნატო ელანიძის თქმით (მცხ. სოფ. ბოჭორმა) „ნაზნად არიყენდნენ თეთრი და ლევა ბატკნის მაყდაგს“ (ტყავს)⁴⁹. საბან-ტყავს ხევში გუდანური ერქვა და მას ქალები ამზადებდნენ⁵⁰. საინტერესოა, რომ საღამურა, რომელიც საბან გობანის და სათაესქვიოს — ბალიშის გამაერთიანებელ ტერმინადაც იხმარებოდა, თუშეთში, ლოგინის დღევანდელი გაგების იდენტურია⁵¹. საღამურა შინაარსით მოხეურ საგებელს შეესატყვისება, ე. ი. დღევანდელი ლოგინის სინონიმს ძველად საგებელი//საღამურა წარმოადგენდა. ფშავში ფიქსირებული მასალით კი საგებელი როგორც საკუთრივ ლოგინს, ისე ხის საწოლს ეწოდებოდა. ტერმინი საგებელი ძველ წერილობით ძეგლებშიც იხსენიება. მიგალითად: „ივითს მისცეს კარავი იგი ოლიმფორნესი და ყოველი ვარცხლი და ცხედრები და საგებელი მისი“ — 5, II-ში (ოშკი). ასევე — „ზედა ოქროს საგებელს დაწვეს და დაიქინესო“ (II ეზრას 3,6-ში (ოშკი). საგებელი იაკობ ხუცის თხზულებაშიცაა ნახსენები:

„შენ ჩემი ხატი დაამხუ და
საგებელსა ჩემსა ნაცარი
დაასხ“—ო (15,15).

გიორგი მერჩულეს თავის თხზულებაში შეურაცხი საგებელი აქვს დასახელებული⁵² და სხვ. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთია-

⁴⁸ საფარებლად ტყავების გამოყენების შესახებ ფირდოუსის შაჰნამეში ნათქვამია „მათ მოაგონა სიტყვები მამისგან ვედრებულია ზედ დაიხურეს მრავალი ტყავები ბეწვზედ კრულია“.

(ფირდოუსი, შაჰნამე, ტ. I, 79—254₁₋₂).


⁴⁹ მაყდაგი — ბატკნის ტყავი, თ. უთურგაიძე, თუშური კილო, ა. შანიძის რედ., თბილისი, 1960.

⁵⁰ ყაზბეგში მცხ. 72 წლის მაია სიმონის ასულ ფიცხელაურის მონათხრობით დურა ტყავის გამოსყვანად სილაგს ხმარობდნენ (სილაგი დაფქული ფორია). სილაგი გუდანურისათვის საზელი ტყავის დასაღობო საშუალებას წარმოადგენდა. გუდანურს, როგორც წესი, ათი ბატკნის ტყავი და გამოსყვანად 3—4 კგ ფორის „სილაგი“ ჭირდებოდა. სილაგს ტყავს დააყრიდნენ და 4—5 დღის განმავლობაში ტოვებდნენ, რის შემდეგაც ტყავს გარეცხდნენ. ამგვარად გამოყვანილ დურა ტყავს მზეზე შეაშრობდნენ და ქაჭხე (ქეხე) დაფქულ შაბს დააყრიდნენ. 10 ტყავის დაზელვა 2 კგ შაბს საჭიროებდა, ორი დღის შემდეგ შაბდაყრილი ტყავი მაჯაგანით იწმინდებოდა და ბეწვის საწინააღმდეგო მხრიდან. ამგვარად მომზადებულ საგუდანურ ტყავს „ნაბირყური“ შემოეჭრებოდა და „მატყლის ძაფით“ იყერებოდა.

⁵¹ შირ. საღამურა - ლოგინი, საგებელი - ლოგინი, თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.

⁵² ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ა. შანიძის, ა. ბარამიძის, ილ. აბულაძის რედ., გვ. 41—42.

ნეთში დამოწმებული ტერმინი „საგებელი“ სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი ჩანს.



მთის საცხოვრებლის მსგავსება, რასაც კლიმატური, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ფაქტორები განაპირობებდა, მასში განლაგებული ავეჯის თავისებურებასაც ერთგვარად განსაზღვრავდა. ეს თავისებურება ბავშვთა საწოლი ავეჯის მიმართაც შეინიშნება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბავშვო საწოლების — აკვნების მრავალგვარი ფორმებიდან რწვევის პრინციპის მიხედვით აკვნის სამი სახე გამოიყოფა: უსაგოგავო, უსაგოგავო-მომრგვალებული სადგარებით, და საგოგავიანი⁵³. აკვნის პირველი ორი სახე ვ. ბარდაველიძის მიერ დამოწმებულია მთიულეთში. მესამე კი „ქართული აკვანი“, რომელსაც საგოგავი გააჩნია, საერთოდ, გავრცელებულია საქართველოში და პატივცემული მკვლევრის კონცეფციის მიხედვით, აღნიშნული საწოლის განვითარებულ სახეობას წარმოადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აკვნები უკამარო და კამარიანი კეთდებოდა⁵⁴. ხსენებული აკვნები უსაგოგავო-მომრგვალებულძირიან აკვანთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს თუშური უკამარო აკვანი.

მთათუშეთში აკვანი ფიჭვის ხისაგან დიდი საწოლებისამებრ მზადდებოდა. იგი ორი სახისა იყო: უფეხო სამგორალიანი და ფეხიანი. აკვნის დირეებს ხელკულატი გამოთლიდნენ და სატეხით კედის გასაყრელებს ამოუტეხდნენ. შემდეგ თავბოლო ფიცრებს (თავსთანა — ფეხსთანა) ჩაუდგამდნენ. ამ ფიცრების ძირი, რომელიც ფეხის მოვალეობას ასრულებდა, მომრგვალებული იყო. მას სამგორალი ეწოდებოდა. იგი აკვნის ადვილად რწვევას უწყობდა ხელს: ხსენებული აკვანი უკამარო იყო და ხელის მოსაკიდებლად საჭირადა უკეთდებოდა. ამრიგად, თუშური აკვანი შემდეგ ნაწილებს შეიცავდა: სათავე და საფერხულე ფიცარს, კედს, დირეს, სამგორალსა და საჭირადას⁵⁵. ამგვარი უკამარო აკვნების კეთება ჩრდილო კავკასიაშიც სკოდნიათ (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლ. № 10—45/3).

თუშური აკვნის მსგავს ხევესურულ აკვანს ცაცხვის ხისაგან ამზადებდნენ. თუშურისაგან განსხვავებით მას საკამალეებისგალი

⁵³ ვ. ბარდაველიძე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. IV, თბილისი, 1928, გვ. 241.

⁵⁴ კამარიანი აკვანი დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნე. პირველ ნახევარში მოწმდება, იხ. Castel, Antiquites de la Georgie, სურ. 5, 133.

⁵⁵ შდრ. ს. მაკალათია, თუშეთი, ტფილისი, 1933, გვ. 162, სურ. 87.



ანუ კამარა ჰქონდა. ეს კამარა აკვანს თავისაკენ უკეთდებოდა. იგი მოქალაქური ბოლოებით გვერდის ღირებებში იყო ჩამაგრებული. კამარა, საწოლის ზედაპირიდან 10 სმ-ით იყო დაშორებული. ამგვარი კამარა ხევისურული აკვნის დამახასიათებელი დეტალია.

ფშაურ აკვანს სწორი კამარა უკეთდებოდა. იგი აკვნის თავ-ბოლო ფიცრებში იყო გაყრილი⁵⁶. ფშაური აკვნის სახისაა მთიულეთ-გულამაყარში გავრცელებული აკვნები. აქ კამარას კირკილი ეწოდებოდა (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლ. № 148—13/61). ასევე ხევში დამოწმებული აკვნებიც ზემოაღწერილის მსგავსია, თუმცა მათგან განსხვავებით გამოჩარხული უღელი — კამარა გააჩნია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული აკვნის საშუალო სიგრძე 73 სმ, ხოლო სიმაღლე 47 სმ აღწევს.


ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებულ აკვნებს შორის განსხვავება გამოიხატებოდა აკვნის შემადგენელი ზოგიერთი ნაწილის სხვადასხვაობაში და ცალკეული კუთხის აკვანი მხოლოდ ამა თუ იმ დეტალის კონსტრუქციული თავისებურებით განირჩეოდა.

სასხდომი ავეჯი. მთიელთა საცხოვრებლის მახასიათებელ დგამეულს გრძელი სკამი წარმოადგენს. თუშუთში მეჭადწოდებული ხსენებული ავეჯი, როგორც უკვე ითქვა, საბასთან მერჯად იხსენიება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დანარჩენ კუთხეებში მას სამამრო, სამამაცო და საკაცო სკამი ეწოდება. ამგვარი გრძელი სკამის დამზადება ოსტატის ხელს საჭიროებდა.

საბას განმარტებით სახელი „სკამი — ბერძნულია. რომელიც სკამი შეიკურის და გაიხსნების სელი ეწოდების; სხვა კეთილ ჭრელებულსა დასადგმელსა — სავარძელი; გრძელსა და მრავალთ სასხდომელსა — მერჯი; მეფეთა და მღვდელთ-მთავართ (ხარისხის — კვარცხლბეკოვანსა) საჯდომელსა და ზედ გავალაკიანსა საყდარი, ვიეთნი ტახტს უწოდენ“⁵⁷. სკამი, როგორც დასაჯდომად განკუთვნილი ავეჯი, ვეფხისტყაოსანშიც იხსენიება:

„ყმა მხიარული წინაშე დასვა
სკამითა მისითა,
სხედან საესენი ლხენითა
ორთავე შესატყვისითა“⁵⁸.

⁵⁶ შდრ. ს. მაკალათია, ფშავი, ტფილისი, 1934, გვ. 146, სურ. 57.
⁵⁷ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.
⁵⁸ ვეფხისტყაოსანი, აბულ. 633₁₋₂, კაკ. 656.



იგი ნახმარია აგრეთვე XIV საუკუნის ძეგლში „ველმწიფის კარის გარიგება“. „მორთულ-მოკაზმულ მეფეს „საღვნეთ წინ ქვე დასმენს“
 ლა სკამითა“⁵⁹.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ იხილავს ხსენებულ ტერმინს და აღნიშნავს, რომ XIV საუკუნის პირველ ნახევარშიც საქართველოში წინანდებურად ჯერ კიდევ სკამებზე იხსდნენო. რაც მისივე თქმით უცილობლად მტკიცდება „ხელმწიფის კარის გარიგების“ შემდეგი ადგილით: „ტრაპიზონელი და შარვან-შანშე, ოვსთა მეფე და სომეხთა მეფე ჩამოვიდნენ... ოთხივე დაისხმნიან დიდროანითა სკამითა, მას ზედა ოქსინოებითა და სასთაულითა“⁶⁰. აქედან ჩანს, რომ საპატიო სტუმართათვის სცოდნიათ დიდროანი სკამები, ზედ ძვირფას ოქსინოს საფენ გადაფენილი და სასთაულიანი. საყურადღებოა, რომ ხელმწიფის კარის გარიგებაში იხსენიება ზე სკამიც, რომელიც ვაზირობის დროს სათათბირო ხმას უფლებამოკლებულ ამილახორთა დასაჯდომად იყო განკუთვნილი: „და თუ ვეზირობა იყოს (§ 36)... მსახურთუხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის ვეზირობასა ზედან, ამილახორსა მათ უკანით ვითა ზე-სკამი უთქს და ვეზირობა ესმის, და იგი არას იტყვის“ (§ 37). აქ მოხსენებულ სკამებს ივ. ჯავახიშვილი ფუნქციის მიხედვით განიხილავს და შემდეგ ბერების სასხდომ ავეჯს — მისაყრდნობიან და დასაყრდნობიან სკამებს ეხება⁶¹. ამასთანავე იგი მაგიდა კარადასთან შერწყმულ სკამებზედაც ჩერდება⁶².

მამასადამე, XII—XIV სს. საქართველოში სელთან და სავდომელთან ერთად სკამიც იხმარებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ტერმინი — სკამი ზოგადი ხასიათისაა და იგი საერთო სასხდომ ავეჯს აღნიშნავს, ისევე როგორც თუშეთში მეჭი.

საქართველოს მთიანეთში წარმოდგენილია ხსენებული გრძელი სკამის მრავალსახეობა: მკლავიანი, უზურგო და ზურგიან-გვერებიანი სკამი, მკლავიანი სკამი უმთავრესად მთიულეთ-გუდამაყარში გვხვდება. გრძელი სკამი კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთნაირადაა გავრცელებული. რაც შეეხება ზურგიან-გვერდებიანი სკამის ქვეტიპს, მასში ერთიანდება: ზოგიერთი ხევისურული სამამაცო სკამი, თუშური და მთიულური სკამების გარკვეული სახეობა, მოხეური საკაცო სკამი და ოსური

⁵⁹ ველმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1920, გვ. 11.
⁶⁰ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 28.
⁶¹ იქვე, გვ. 28.
⁶² იქვე.



გ რ ძ ე ლ ი ს კ ა მ ი⁶³. აქვე შევნიშნავთ, რომ დასაჯდომად განსაზღვრული ავეჯის თითოეული სახეობის დამზადება მსგავს ტექნოლოგიებს პროცესებს მოიცავს. სხვაობა მხოლოდ ზოგიერთი დეტალის დამზადების წესში შეინიშნება.


მ კ ლ ა ვ ი ა ნ ი ს კ ა მ ი საერთო სასხლოში ავეჯის უმარტივესი ფორმაა. იგი ოთხი წ ა რ ბ ი ს (ღირე), საჯდომი ფიცრისა და ოთხი ფეხისაგან შედგება. სკამის ფეხის ზედა მხარე მკლავის საყრდენსაც წარმოადგენს. ამგვარი სკამის კეთება ღირეს, ანუ წარბის გამოთლით იწყებოდა. ღირესათვის უპირატესობა მუხის მასალას ენიჭებოდა⁶⁴. მორს ცულით „გულზე გახეთქავდნენ, დაოთხლებდნენ და შემდეგ ნაოთხალიდან ღირეს (ოთხი ვერშოკი სისქით) გამოთლიდნენ. გამზადებულ ღირეს ერთ მხარეზე სატეხით ამოღარავდნენ, რასაც ფშავში გამოწარბვა, ხევსურეთში ამოღარვა და თუშეთში ამოვულვა ეწოდებოდა. შემდეგ სკამის ფეხებს დამზადებდნენ. ფეხი, წესისამებრ, 2—3 მტკაველი სიმაღლისა კეთდებოდა. იგი ღირესთან შეწყული („ყუადატოვებული“) უნდა ყოფილიყო. თითოეულ ღირეს ფეხში გასაყრელი ყუნწი უკეთდებოდა, რომელიც ფეხის ბუდეში ეყრებოდა. ხოლო ღირეს ნაწარბში (ღარში) საჯდომი ფიცრები მაგრდებოდა.

დასაჯდომი ფიცრების სიგანე 20 გოჯს (71 სმ) უდრიდა. სკამის ეს დეტალი მთლიანი ფიცრისაც იყო, მაგრამ იშვიათად, რადგან მთლიანი ზის მასიურობა კარგად დამუშავების საშუალებას არ იძლეოდა და ზედაპირის უთანაბრობა იქმნებოდა. ღირეებისა და სადგარების დამზადების შემდეგ სკამის ჩარჩოს შეკრავდნენ, ღირეების ღარებში ხელცულათი გასწორებულ საჯდომ ფიცრებს ჩასვამდნენ. ამ პროცესს წინ უსწრებდა წებოს წასმა ნაწარბსა და ბუდეებში. ზოგჯერ ფიცრებს, წებოს გარეშე, მიჯრით მიაწყობდნენ და ღირეებზე ჩამოცმული საჭიკავით შეამჭიდროებდნენ⁶⁵. ღირეებს სამკვალად შინდის ფარეშებს უკეთებდნენ. საყურადღებოა, რომ ფეხისბუდეში ჩამაგრებული მკლავთსაბრჯენი, თუშეთში ნოეჯარის ანუ მოაჯირის სახელით იყო ცნობილი. იგი, როგორც წესი, წინა და უკანა ფეხის თავებს აკავშირებდა.

⁶³ ოსური სკამის აღწერილობა, იხ. Л. А. Ч и б и р о в, Поселения и жилища Осетин (Диссертация), Цхинвали, 1963.

⁶⁴ მორის საზომად იყენებდნენ ორადლიან ჯოხს სახრეს. (ადლი ნიდაყვიდან თითის წვერამდე მანძილს ეწოდება). „სახრეს“ არშინი ცვლიდა. არშინს სამ მტკაველსა და ერთ გოჯს უწოდებდნენ.

⁶⁵ „საჭიკავი“ ფიცრების შესამჭიდროებელი ჩარჩოსმაგვარი საღებავი იარაღი (1963 წლის თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები).



ამგვარ სკამებს წინა მხარეს ხშირად ფარდას ანუ კალთას უკეთებდნენ. იგი უმთავრესად ორნამენტირებული იყო. ფარდიანი სკამების გამოსახულია უბისის XIII საუკუნის ფრესკაზე⁶⁶. ფარდიანი საყდარი (ტახტი) ანჩისხატის ეკლესიაზეა (1681 წ.) მოცემული⁶⁷.

ფარდას, სკამის თავბოლო ფიცარში ბუდის დასველების შემდეგ ამაგრებდნენ. ხალხის დაკვირვებით, „სველი ბუდე ფუცდებოდა“, რაც მასში ფარდის შევრილის ადვილად ჩასმას უზრუნველყოფდა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ პროცესს მერქნის გაჯირჭევა ეწოდება. იგი მშრალი ხის მიერ წყლის შთანთქმასა და ამით გამოწვეული ხაზოვანი და მოცულობითი ზომების ზრდაში გამოიხატება⁶⁸. როგორც გამოკვლეულია, გაჯირჭევა უარყოფითი მოვლენაა. ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში კი სარგებლობის მომტანიც. სკამის ფეხის ბუდეში ჩასმის შემთხვევაში წესიც ხის აფუებვა გაჯირჭევის სარგებლიანობის მდასტურებელს წარმოადგენს⁶⁹.

აღსანიშნავია, რომ სკამის „ფარდები“ ზოგჯერ ძირამდე ეშვებოდა და სკამის კალთებს ქმნიდა, რომელზედაც ბავშვის ჩასაყენებელი გაია იყო გაკეთებული. ამგვარი სკამების საინტერესო აღწერილობას იძლევა გ. ბოჭორიძე: „მექს (სკამს) თავსა და ბოლოს აქვს კროჭი წვრილმანისათვის. ზოგიერთ მექსს აქვს გაია. ეს არის სამი ხისაგან გაკეთებული შესაწევ-გასაწევი მექში ბავშვის ჩასაყენებლად. საჭიროების დროს გამოსწევენ და შიგ ბავშვს ჩააყენებენ, სადაც იგი თამაშობს. ეს გაია იხმარება ზამთარში. ზაფხულში კი ბავშვისათვის ცალკე გაიაა გაკეთებული“⁷⁰.

⁶⁶ ტ. ხერხეულიძე, ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და ქედურ ხელოვნებაში, ნიმუშების კრებული, თბილისი, 1941, ტაბ. XIII.


⁶⁷ რენე შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები (ალბომი), თბილისი, 1940, ტაბ. XXIX.

⁶⁸ ა. აბაშიძე, გ. მაკაბერიძე, საავეჯე-სადურგლო საქმე, თბილისი, 1963, გვ. 48.

⁶⁹ ძველად ხის გაჯირჭვას იყენებდნენ ქვის გასახეთქად, რისთვისაც ქვის ნაბრალებში ან ხელოვნურად ამოჭრილ ნახვრეტებში ჩააჭედებდნენ ხის მშრალ ნაჭრებს და შემდეგ წყალს ასხამდნენ. გაჯირჭვებისას მერქანი ზომავში მატულობდა და ქმნიდა წნევას, რომელიც ხეთქავდა ქვას. ხის ხელოვნურად „გაფუების“ ამ წესს დღესაც არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. გაჯირჭვების პრინციპზეა დამყარებული კასრების დაღობვა, რის მეოხებითაც კასრის ტყეების წიბოები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და არ ატარებს წყალს. ასევე იყენებენ მერქნის ამ თვისებას ხის ნავეების მშენებლობისა და ხის მიღების წარმოებაში (ა. აბაშიძე, გ. მაკაბერიძე, საავეჯე-სადურგლო საქმე, თბილისი, 1963, გვ. 48).

⁷⁰ გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი 1753, საქმე 115, საქართველოს ცენტრალური არქივი.

ზემოგანხილული მკლავიანი სკამები დღესდღეობით ყველაზე მეტად მთიულეთ-გუდამაყარმა და თუშეთმა შემოინახა. მთიულეთშიც დასტურდება. უნდა აღინიშნოს, რომ სკამის მკლავებს ბუნებრივად ნაზარდ ზოგიერთ ტოტსაც იყენებდნენ. ამგვარ ტოტს აარჩევდნენ, გაქერქავდნენ და საქონლის „ნაგვით“ გაპოხილს გააშრობდნენ, რომ არ „დამტყვრალიყო“ და ჭია არ გაჩენოდა. ხალხის გადმოცემით, რადგან მკლავსაბჯენი სკამის ფეხის თავების დამაკავშირებელიცაა, ამიტომ მაგარსა და კარგად გამომშრალ სახიდებს (მკლავსაყრდენს) არჩევდნენ, რომ მისი მოფონებით სკამის ფეხები არ გამრუდებულყო. ფეხში გასაყრელ ხიდებს ყუნწებს ანუ ფიტოლებს (შვერილი) უკეთებდნენ, რათა სკამის მოფონებისას ხიდი ბუდიდან არ ამოვარდნილიყო. ამგვარი მერხის საუკეთესო ეგზემპლარს წარმოადგენს სკამი მთიულეთიდან, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიის ფონდშია დაცული კოლ. № 148—13/76 (სურ. 3).



სურ. 3. მერხი // მკლავიანი სკამი მთიულეთიდან.

საერთოდ გრძელი სკამების დამზადება ძირითადად ერთნაირი წესით სრულდებოდა. განსხვავება მხოლოდ დამახასიათებელ ტიპიურ ნაწილებში თუ შეიმჩნეოდა. ამიტომ დანარჩენი გრძელი სკამების განხილვისას მხოლოდ ამ განმანსხვავებელ დეტალებზე შევჩერდებით. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს უზურგო სკამები. განმასხვავებელ დეტალს ამ შემთხვევაში სკამის გვერდები წარმოად-


გენს, რომელიც ამავე დროს სკამის თავების დამაკავშირებელია. ამგვარ სკამებს ხის მთლიან ან სეგმენტოვან გვერდებს უკეთებდნენ. ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ ორივე მათგანი შემოინახა. უსურგო სკამის საგვერდე მასალად ცაცხვს ამჯობინებდნენ. გამოთლილ ფიცარს ჩრდილში გააშრობდნენ, რომ „მზეს არ მოეწია“. ერთი კვირის შემდეგ მასზე სატეხით ამოჭრიდნენ ჩუქურთმებს: ნაქარ და, ანუ ხუთას და ნოქვის ქრელს. შემდეგ სახლში საალეზე შეაწყობდნენ, რომ უკეთ გამომშრალიყო. ქრელს ურსათი (დანით) ჩაასუფთავებდნენ და დახვეწდნენ. შემდეგ ქონით ან სელის ზეთით ვაგოზავდნენ, რათა ვაპრიალბულიყო, „კირკილი არ დასდებოდა და არ დამტყვრალიყო“.

გვერდის ფიცარი უფრო ხშირად ორ-სამ ნაჭრიანი იყო. თითოეული ნაჭერი წრეში ჩასმული ბუღაურებით და ბორჯღლებით იყო შემკული, წრეხაზები ორ პარალელურ ხაზს შორის იყო მოქცეული, რომელთა შეერთება სიმეტრიულად განლაგებულ ნაჭრებს იძლეოდა. ერთ ხეში გამოყვანილი გვერდის ფიცრებს ასიმეტრიული ოთხკუთხედებისა თუ წრეხაზების წყობა ამკობდა. ამგვარად დაჭრელებულ სკამის გვერდებს ღირეთა ჩარჩოში ჩასვამდნენ და შინდის ჩხირებით გაამაგრებდნენ.

„ზურგიანი სკამის“ განმასხვავებელ ნიშანს მისი ზურგი წარმოადგენდა. საერთო სასხდომების აღნიშნული სახეობა, ისე როგორც უსურგო-გვერდიანი სკამები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მასობრივად გვხვდება. ზურგიან-გვერდებიანი საერთო სასხდომები, განსაკუთრებით მათი ზურგი, ორნამენტირებული უნდა ყოფილიყო. ზურგის ფიცრის დაჭრელება მას სხვა ნაწილებთან შედარებით შრომატევადს ხდიდა. სწორედ ამიტომ სკამის ნაწილებს შორის პირველად ზურგის ფიცარს აკეთებდნენ. თუმცა ამგვარ სკამს, გარკვეული მოსაზრებით, სხვადასხვა ჯიშის ხის მასალისას აკეთებდნენ. სკამის იმ ნაწილებს, რომელთაც აჭრელებდნენ, უმთავრესად ცაცხვისაგან ამზადებდნენ, ხოლო დანარჩენს ფიჭვისას. ხალხის დაკვირვებით, ფიჭვი „ოჭიანი“, ზეთიანი, მსუქანი ხეა და ძნელად დასაჭრელებელი. ეს ხალხური მიხვედრილობა გამართლებას პოულობს სპეციალურ ლიტერატურაში. მართლაც, ფიჭვი ხალხის მიერ სწორად შენიშნული ამ თვისების გამო ორნამენტაციისათვის დღესაც გამოუსადეგარ მასალად ითვლება⁷¹.

⁷¹ Сосна отличается стройным прямым стволом и прямолинейностью, древесина ее имеет красноватый оттенок, легко обрабатывается столярными инструментами и при отделке дает красивый текстурный рисунок. Но так как она легко раскалывается и очень смолиста, то для резных изделий применяется мало и больше пригодна для токарных работ. (Резьба по дереву, в составлении пособия принимали участие сотрудники лаборатории дерева и лаков, Москва, 1963, стр. 23).

ამგვარად, ზურგიან-გვერდებიანი სკამი, როგორც იტყვა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა მუხურში გვხვდება და ზოგან (თუშეთი, ხევი, ხეგსურეთი) საერთო სასახლოების პირველ-მეორე სახეობასთან თანაარსებული ჩანს, ე. ი. კონსტრუქციული ავეჯის გვერდით (მკლავიანი სკამი) ორნამენტირებული დგამიც გვხვდება, რომელსაც დეკორატიულიც შეიძლება ეწოდოს, რადგან იგი ინტერიერის მორთვასაც ემსახურება (სურ. 4).



სურ. 4. მერხი ქსნის ხეობიდან (საქართველ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება, ექსპოზიცია № 14 — 39/19).

ზურგიან-გვერდებიანი სკამის ორნამენტირებული შემკობა მას დახვეწილობას მატებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, იგი, უზურგო სკამებთან ერთად, საერთო სასახლოში ავეჯის ყველაზე გავრცელებულ სახეობად გვევლინება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ავეჯის აღნიშნული სახეობა, ძირითადად ერთნაირი გაბარიტებს მქონე და მცრე ვარიანტების შემცველია. საკვლევ რაიონში წარმოდგენილი საერთო სასახლოების ურთიერთმგავსება ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის. იგი მეურნეობის ხასიათითა და მთის საცხოვრებლის ზოგიერთი სპეციფიკითაც უნდა იყოს გამოწვეული.

ცნობილია, რომ ავეჯი განირჩევა მასალის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით. ავეჯის შესწავლის აუცილებელ პირობას ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოადგენს. ამ მიმართებით დასაჯდომი ავეჯი დგამის გარკვეულ ჯგუფშია გაერთიანებული და ინდივიდუალური

სასხდომო ავეჯის ორიგინალური სახეობა — სავარძლებიც ამავე ჯგუფში განიხილება.

ვინაიდან მთათუშეთის სოფ. ჭაჭაბოში დამოწმებული ჩიკა-
ვარძელი მარტივი კონსტრუქციისაა და იგი აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მთიანეთის სხვა კუთხეებში გავრცელებულ სავარძელთაგან გან-
სხვავებულ ფორმას ქმნის. ამავე დროს სწორზურგა სკამების განვითარ-
ებულ სახეობად გვესახება, ამიტომ ინდივიდუალური სასხდომო ავე-
ჯის განხილვას ხსენებული სავარძლით ვიწყებთ (ტაბ. II. სურ. 3).

აღნიშნული სავარძელი წარმოადგენს ხის სკამს, რომელსაც აქვს
საწელე (ზურგის მისაყრდნობი), ისე ხიდები ნოეჯარი
(მკლავთ საბრჯენი). სკამი „გაკუთხილი სვეტებისაგან“ შედგება, რომ-
ელთაგან ორს ხელთბოძი და ერთს ზურგის ბოძი ეწოდება.
თითოეული ბოძის სიმაღლე საშუალოდ 65 სმ-ია. ბოძები ხიდისა და სა-
ჯდომი ფიცრის დამაკავშირებელია, ხელთბოძი ძირიდან თავისა-
კენ ვიწროვდება. ზურგის ბოძი დასაჯდომთან შეზნექი-
ლია და ზურგსაბჯენად მორგებელი. ბოძების ქვედა ნაწილს მისი ფუნ-
ქციის მიხედვით სადგარი ფეხი ეწოდება. სავარძელი ოთხ ფეხს
ემყარება. სადგარის სიმაღლე 27 სმ-ია. თითოეული სვეტი ორ ადგილ-
ზე ამოტეხილია. ამონატეხში სავარძლის „კედლები“ და „ნოეჯარია“
ჩადგმული ისე, რომ სამკუთხა ზურგსაბრჯენი იქმნება (კედლის სიგრძე
= 69 სმ, სიგანე = 13 სმ). სადგარებზე ამოტეხილ ბუდეებში საჯდო-
მი ფიცრის საჭერი მკლავები ა გაყრილი (მკლავის სიგრძე — 41
სმ). სკამის დაკავშირებული ნაწილები ხის სამჭვალებითაა გამაგრე-
ბული. ამ ჩიკა-სავარძლის თითოეული ფრაგმენტი ხელცულათია გამო-
თლილი. ამგვარად, აღწერილი სავარძელი შედგება ოთხი ფეხის, სა-
ჯდომი ფიცრის, საწელესა და ნოეჯარისაგან. გარეგნულად იგი
რომბული მოყვანილობისაა.

მთიელთა ოჯახებში ვხვდებით აგრეთვე კერის სკამებს
(უზურგო სკამები), რომელთაც თუშეთში — ჩიკა, ფშავ-ხევსურეთ-
ში ჩიკა-ჩიკი ეწოდებათ⁷². ჩიკა მარტივი კონსტრუქციის სამფეხა
სკამია (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 15—76). მის
მორკალურ ღირეში ჩამჯდარია ნახევარსფერული ფიცარი. რკალის სიგ-
რძე 76 სმ-ია, სისქე 4,5 სმ, დასაჯდომი სიღრმე 21 სმ აღწევს. სკამის ნა-
წილები ხის სამჭვალებითაა გამაგრებული. რკალზე ამოტეხილ ბუდე-
ებში სადგარებია ჩამჯდარი (სადგარის სიმაღლე 21 სმ-ია). კერის სკა-
მების კეთება დახელოვნებას არ მოითხოვდა. ამ სახის სკამების სახე-

⁷² ამგვარ სკამს ს. მაკალთია ჩიკას სახელით ამოწმებს, იხ. ს. მაკალთ-
თია, ხევსურეთი, თბილისი, 1935, გვ. 136.

სხვაობას უნდა წარმოადგენდეს ს ვ ე ტ ი ა ნ ი (სწორზურგა) სკამი, რომელსაც კ ე რ ი ს ს კ ა მ ი ს სახელითაც იხსენიებენ. მასალონათვის არყის ან ბლის ხის ბუნებრივად მოღუნულ ნაწილს შეარჩევდნენ; მოწო მავდნენ, გადაჭრიდნენ და გააკობიტებდნენ. შემდეგ სამ ადგილზე შალაფით ამოხვრეტდნენ და ბრტყლად გათლილ ფიცარს დააკრავდნენ, რომ დასაჯდომად მოსახერხებელი ყოფილიყო. სკამი, როგორც წესი სამ ფეხზე იყო დამყარებული. ზოგჯერ სკამის შუა ფეხი საჯდომის ზემოთ გრძელდებოდა და ზურგსაბჯენს ქმნიდა (ტაბ. II, სურ. 2). ამგვარი სკამების სიმაღლე საშუალოდ 21—25 სმ აღწევდა. ამ მხრივ იგი ახლოს დგას ამავე სახის ალბანურ სკამებთან⁷³. ზემოაღწერილის აღნაგობას იმეორებს სკამი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული (კოლ. 148—13/22) (ტაბ. X, სურ. 2). ანალოგიური ფორმისაა აგრეთვე ქ. ლენინგრადის სსრკ ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმის საქართველოს გამოფენაზე ექსპონირებული ხევისურული სამფეხა სკამი (კოლ. № 26/4—2). როგორც ითქვა, ამგვარი სკამების შუა ფეხი სა ზ უ რ გ ი ს ფუნქციასაც ასრულებს. საინტერესოა, რომ იგი ხშირად ხატის (ჯვრის) მოყვანილობის თავით ბოლოვდება და კ ვ ე რ უ ლ ე ბ ი თ ა ა შემკული⁷⁴. ე. წ. სწორზურგა სკამებს ანალოგი ეძებნება ჩაჩნეთსა და დაღესტანში (სურ. 5). (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 48 — 85). ჩაჩნურ-დაღესტნური სკამის მთავარ ნაწილს, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სწორზურგა სკამებისა, ზ უ რ გ ს ა ბ რ ჯ ე ნ ი წარმოადგენს, რომელიც ისევე საჯდომი ფიცრის ზემოთაა აღმართული. ამ ნიშნის მიხედვით იგი ზემოხსენებულ სკამებთან ერთად თუშური ჩიკა-სავარძლის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს. ამას მისი მარტივი აღნაგობაც გვაფიქრებინებს⁷⁵. კერის სკამების საეკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ბარონ ნოპშას მოსაზრება, რომელიც ამგვარი სკამების სადაურობის საკითხს შეეხება. საყურადღებოა, რომ მკვლევარი ამ ტიპის სკამებს კავკასიისათვის დამახასიათებლად და ენდემურად მიიჩნევს. მათ სიძველეზე მეტყველ საბუთად მას სკამის სიმაღლის განზომილება (20—25 სმ) მოჰყავს⁷⁶.


⁷³ შდრ. ალბანურ სწორზურგა სკამებს. Fr. Baron Nopcsa, Albanien Bauten, Trachten und Geräte Nordalbanien. Berlin und Leipzig, 1925, S. 107.

⁷⁴ შდრ. გ. რ ა დ ე ს მიერ ხევისურეთში დამოწმებული სკამის ფორმებს, Г. Радде, Хевсурия и хевсурия (описание путешествия совершенного летом 1876 г., Тифлис, 1881, стр. 238—239).

⁷⁵ ხევისურეთში დამოწმებულ ფშაური სკამის ანალოგიურ ჩეკს ჩიკას გ. რადე სკამების უმარტივეს და საწყის ფორმად მიიჩნევს. Г. Радде, დასახ. ნაშრომი, გვ. 238—239.

⁷⁶ Fr. Baron Nopcsa, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ზოგიერთი ჩიკა-სკამის კონსტრუქცია ბუნებრივად მოღუნული ხის შერჩევას და გამოყენებასაც ითვალისწინებდა⁷⁸. ამგვარი მასალის მომარჯვებულ თვალსაჩინო სურათს იძლევა სამფეხა სკამი, რომელიც ბუნებრივად



სურ. 5. სკამი ჩეჩნეთიდან.


მოღუნული და კოჭრიანი ხისაგანაა გამოყვანილი. მსგავსი ნაკეთობის ავეჯი, როგორც უკვე გამოკვლეულია, სხვადასხვა პერიოდშია ცნობილი და მსოფლიოს მრავალ კუთხეში გვხვდება⁷⁹.

შედარებით მარტივი ფორმა აქვს კერის სკამს, რომელიც სამტოტა კოჭრისაგან შედგება. კოჭრის ტოტები ისეა განლაგებული, რომ შე-

⁷⁸ ბუნებრივად მოღუნული ხეების საავეჯედ შერჩევისა და მისი გამოყენების ტრადიციის არსებობის შესახებ საქართველოში მუროეც აღნიშნავს. J. Mourier, *L'art au Caucase*, Bruxelles, 1912, 116.

⁷⁹ The Encyclopaedia of Furniture, London, 1956, IX.

საბამისი დამოკლების შემდეგ სადგარის მაგივრობას ასრულებს (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 2276/2424) საყურადღებოა, რომ სწორზურგა სკამის საზურგის ფორმის შესახებ შემთხვევაში დაკავშირებულია ერთი ხიდან (მორიდან) სკამის კეთების პრაქტიკასთან. მორიდან რომ დასაჯდომი გაკეთდეს, ის ჰორიზონტალ-



სურ. 6. სკამი. დაღესტანი.

ლურად უნდა ჩაიჭრას, ხოლო მისი ვერტიკალური (ირიბი) ჩანაჭერი გვაძლევს საზურგეს.


ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადების დროს ბუნებრივი პროდუქციის შერჩევის ხალხური გამოცდილება გათვალისწინებულია თანამედროვე ხელოვნებაში და მის ორიგინალურ სახეობადაცაა მიჩნეული⁸¹.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი სავარძელი რკალად მოხვეული საზურგეთია წარმოდგენილი. მაგალითად, ხევსურული ჩიკა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 9—76). მისი დასაჯდომი ნაწილი ერთიანი ხისაა და მოყვანილობით ნახევარსფერული. მას სამ ადგილზე ამოტეხილი აქვს ბუდეები, რომლებშიც ფე-

⁸⁰ შდრ. ქ. ლენინგრადის სსრკ ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმის კავკასიის განყოფილების ექსპონატი № 6398. ხსენებული სკამი ხის მოღუნული, ტოტისა და მასთან შეზრდილი სამი კოყრითაა წარმოდგენილი, რომელთაგან ერთი ცენტრთან ორად განშტოებულია. სკამი რკალური მოყვანილობისაა. რკალის ბოლოებს შორის მანძილი 13 სმ-ია. დასაჯდომის სიღრმე 8 სმ აღწევს. ფეხის სიმაღლე 8 სმ. ანალოგიურ ფორმას იმეორებს აგრეთვე იქვე დაცული სამფეხა სკამი ყაზარდოდან (კოლ. № 6400). შდრ. Fr. Baron Nopcea, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

⁸¹ The Encyclopaedia of Furniture, London, 1956, IX.

ხეზია ჩადგმული (სადგარის სიმაღლე 25 სმ). ფეხები დასაჯდომი ფიცრის ზემოთაც გრძელდება. მის თავებზე საზურგე რკალია ჩამოცმული. რკალი ასიმეტრულია და უხეშადაა ნათალი (რკალის სიგრძე 120 სმ).
საინტერესოა, რომ მკვლევრის გ. ბოჭორიძის ჩანაწერების მიხედვით ამგვარ ჩიკა სავარძლებს „ნელამრ ჩიკაც“ ერქვა⁸². ზოგჯერ ჩიკა-სკამის დასაჯდომი ფიცარი სამკუთხედის მოყვანილობისაა. ზურგსაბრჯენი მაშინაც მოხვეულზურგია, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით მთლიანი ფიცრისაგანაა გამოთლილი (სურ 7).



სურ. 7. სკამი ხეესურეთიდან — „ჩიკა“.

ამრიგად, სავარძლის საჯდომი სხვადასხვა მოყვანილობისა ჩანს: სამკუთხა, რომბული, ნახევარსფერული და სხვ. ასევე სკამის საზურგე ნაწილიც მოყვანილობის მიხედვით სხვადასხვა ვარიაციას იძლევა. სწორედ ამ მხრივ საყურადღებოა მთლიანი ხისაგან გამოთლილი ზურგსაბრჯენი. იგი რკალური საზურგის განვითარებულ სახეობად შეიძლება ჩაითვალოს. საფიქრებელია, რომ სვანური საკუთრების ტიპიც ამ ნიადაგზე იყოს წარმოქმნილი.


როგორც ცნობილია, საქართველოში გავრცელებულ სავარძელთაგან რთული აღნაგობითა და დახვეწილი ფორმებით სვანური საკუთრების ტიპი-ი გამოირჩევა (სურ. 8)⁸³. ამ სახის ანუ ზურგთან-გვერ-

⁸² საქართველოს ცენტრალური არქივი, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, 1753, საქმე 115, გვ. 10.

რადეს მიერ აღწერილ ამგვარ სკამებზე ბარონ ნოშპაც ამახვილებს ყურადღებას და მათ მრგვალზურგია ანუ რკალზურგია სავარძლების კატეგორიაში აერთიანებს. Fr. Baron Nopsa, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

⁸³ გ. ჩიტაია, სვანური საკუთრების ტიპი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტფილისი, 1925, გვ. 11.


დებიანი სავარძლის მეტ-ნაკლებად რთულ ვარიანტს ქმნის აღმო-
 საველეთ საქართველოს მთიანეთში თუშური სავარძელი. ეპოქის
 მთლიან
 საინტერესო სახეობაა მთიულური მარტო სკამი. მთლიან
 ხეში ამოკვეთილი საჯდომი ფიცარი რკალური მოყვანილობისაა (სა-
 ჯდომი ფიცრის სიღრმე 29 სმ). მის ამოღარულ კიდეებში აღმაცერად



სურ. 8. სე-ნური „საჯრ-ცხილ“. საქარ. სახ. მუზ. ეთნოღ. განყ-ის
 ექსპოზიცია № 50 — 10/40.

ჩასმულია ზურგისა და გვერდის ფიცრები, რომლებიც მიჯრითაა მიწ-
 ყობილი და ერთიანი ფიცრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფიცრებზე ჩა-
 მოცმულია ქუდი ანუ საზურგის რკალი. ამ სკამს აქვს სამი ფეხი. ფე-
 ხები მჭიდროდაა ჩასმული საჯდომ ფიცარში. ორი მათგანი — გვერდი-
 სა, ცხვრის ფეხს წააგავს (ფეხის სიმაღლე 46 სმ). გვერდისა და ზურ-
 გის ფიცრები შემკულია ამოკვეთილი სამკუთხედებით, „კბილანებითა
 და განატული“ ოთხკუთხედებით. გადამკვეთ ხაზებთან ამოკვეთილი
 ღრმა ფონი სტილიზებული ოთხყურა ყვავილის შთაბეჭდილებას ქმნის.
 სკამის გვერდის ფიცრების ზედა მხარე იმავე ორნამენტებითა და ქვე-
 და კი ორ წრეში ამოკვეთილი ექვსი ერთნაირი სამკუთხედიითაა შემ-
 კული. ცენტრალურ სამკუთხედს ურთიერთმკვეთი ორი ხაზი გასდევს.

ანალოგიური სავარძელი მთის არაქართველი ტომებიდან ოსებში დას-
ტურდება (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 4—25/1
(სურ. 9). ამ უკანასკნელის საჯდომი ფიცარი მთლიანი ხისაა და
ლის ფორმის. მისი წინა მხარე სკამის ღირეს ქმნის, რომელიც ფასადს
ფარდასავით ეფარება. საჯდომი ფიცარი ამოტეხილია სამ ადგილზე
ფეხის ჩასასმელად. თითოეული ფეხი ცულითაა გაკუთხილი და წინა




სურ. 9. სავარძელი ოსეთიდან.

მხარეზე ბურთულოვანი სალტეები შემოსდევს. ზურგსაბრჯენი სამი ნა-
წილისაგან შედგება: რიკულები, ზურგის თავი და გვერდის ფიცრები.
რიკულები გამოჩარხულია და ბოლოებით ჩამჯდარია საჯდომი ფიცრი-
სა და საზურგის ნაღარავში. ზურგსაბრჯენს შუაზე ყოფს შუა ფიცა-
რი, რომელიც შემკულია ამოკვეთილი ოთხკუთხედებითა და კბილანე-
ბით.

საჯდომი ფიცრის კიდებზე ჩამჯდარია სამ-სამი ხარატული
სვეტი, რომლებიც ამავე დროს ზურგსაბრჯენი რკალის საყრდენია.
რკალი ფ ხ უ რ ი ო რ ნ ა მ ე ნ ტ ი თ ა ა შემკული. საჯდომი ფიცრის ფარდას
(კალთას) ბულაურიანი ხუთი წრეხაზი ამკობს. სავარძლის ფეხის სიმა-
ღლე 45 სმ-ია. ფორმით იგი უბისის XIII საუკ. ფრესკაზე გამოსახულ
სავარძელს გვაგონებს⁸⁴.

⁸⁴ შდრ. უბისის XIII საუკ. ფრესკას, ტ. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი,
ტაბ. XIV.

მთხრობელთა ჩვენებით, კარგად ნაკეთები სკამის საჯდომის სიღრმე უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 12 ვერშოკისა (30 სმ), ხელოვნების სიმაღლე 12—19 ვერშოკი (30—45 სმ), ზურგის სიმაღლე 12 ვერშოკს უდრდა. ხალხის მიერ წლების მანძილზე შემუშავებული ავეჯის განზომილებანი საერთოს პოულობს მკვლევარ ლ. სიმონოვის მიერ შედგენილ ავეჯის სქემებსა და განზომილებებთან, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კომფორტაბელური ავეჯისათვის გათვალისწინებული პროპორციები ხალხის მიერ წლების მანძილზე შემუშავებულ განზომილებათა თანხედენილია⁸⁵ (სურ. 10).



სურ. 10. სავარძელი სვანეთიდან. ექსპონირებული საქართ. სახელ. მუზეუმის გამოფენაზე.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ სკამებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: უზურგო სკამები უმცროსების საჯდომ ავეჯს წარმოადგენდა. ჩიკა-სავარძელი კი ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის იყო განკუთვნილი. იგი საპატიო სკამი იყო მსგავსად სვანური საკურცხილისა, „რომელიც ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდა უცხო მეტად საპატიო სტუმარს თუ დაეთმობოდა“⁸⁶. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ ფ. ნოპშა ოსური, თუ ხევსურული სკამისა და ალბანური სავარძლის მსგავსებას უენიშნავს. იგი ალბანურ სავარძელს, ისე როგორც ქართულს უფროსისათვის განკუთვნილ საპატიო საჯდომს უწოდებს. მკვლევარი ზემოხსენებულ სახსდომებს მრგვალი ფორმის სავარძლებად იხსენიებს. მისივე თვალსაზრისით ასეთი სახის

⁸⁵ შდრ. Л. С. Симонов, Мебельный альбом, С.-Пб., 1886, стр. 1—2.

⁸⁶ გ. ჩიტიია, სვანური საკურცხილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. II, ტფილისი, 1925, გვ. 99.



ქვის სკამები, რომელიც ჩრდილო და შუა იტალიაში ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-8—7 საუკ. ყოფილა ცნობილი, თავისი ფორმით ოსეთსა და სურეთში გავრცელებულ სასხდომებს წაავგას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იგი ალბანური და კავკასიური სავარძლების ანალოგს მიკენის არქეოლოგიურ მასალაში პოულობს განათხარი სავარძლის სახით, რომელიც ათენის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება⁸⁷.

საერთო სასხდომების დანიშნულების მიხედვით დიფერენცირება და საუფროსო სკამის ცალკე გამოყოფა, სასხდომი ავეჯის ევოლუციის თავისებურებაზე უნდა მიუთითებდეს. ინდივიდუალური სასხდომი იმთავითვე მისი მფლობელის უფლებრივი უპირატესობის აღმნიშვნელი ატრიბუტი ჩანს. ძველ ძეგლებზე (თრიალეთის თასი ძვ. წ. II ათასწლეული⁸⁸ და ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან ნაკეთები ქამრები⁸⁹) მოცემული გამოსახულებანი ამასვე ადასტურებენ. როგორც პირველ (თრიალეთის თასის ზემო ფრიზის გამოსახულება), ისე მეორე (ბალთაზე მოცემული სიუჟეტი) შემთხვევაში მთავარი პერსონაჟის მკდომარე პოზა და მისკენ მიმართული ცერემონიალი ამ პიროვნების დომინირებული მდგომარეობის გამომხატველი უნდა იყოს. აქვე მოცემული სავარძლის, ინდივიდუალური სასხდომი ავეჯის სახით წარმოდგენა ამაზევე უნდა მიუთითებდეს. რაც შეეხება ბალთაზე მოცემულ ცერემონიალს, მისი საერთო კომპოზიცია, ისე როგორც ცალკეული დეტალი, მართლაც რიტუალური ხასიათის მატარებელია. ასევე პრივილე-

⁸⁷ Fr. Baron Porcsa, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

⁸⁸ Б. А. Куптин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 89.

⁸⁹ ბალთა აღმოჩენილია არქეოლოგ ა. კალანდაძის მიერ დაბა ფსანანურთან და ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებით თარიღდება (ჯერ გამოუქვეყნებელი მასალა მანვე გვაჩვენა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ). მისი აზრით ბალთაზე მოცემული გამოსახულება წყლის სტიქიონის (აქოჩრილი ტალღების) გამომხატველი ვადაბმული სპირალების ჩარჩოშია ჩასმული. კომპოზიციას იწყებს ფრინველის სახით შენიღბული მთავარი პერსონაჟი, რომელიც მედიდურად დაბრძანებულა ტახტ-სავარძელზე. გვერდით მოუსვამს ფინია-ძაღლი, მარცხნივ მოუდგამს ორყურა — საწყაო ჭურჭელი, საიდანაც წელში გამოყვანილი სასმისით იღებს და მიირთმევს რიტუალურ სასმელს. მკვლევრის აზრით, ტახტ-სავარძელი, ისევე როგორც რიტუალური ჭურჭელი და სხვა შეადგენენ აქსესუარებს, რომლებიც გარკვეული აზრით დაკავშირებული არიან მთავარ პერსონაჟთან და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნიან მთავარ თემას. ა. კალანდაძე ფიქრობს, რომ შენიღბული მამაკაცის სახით მიკროსამყაროს მეუფე ბატონ-პატრონია გამოსახული. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ჩაბარუხისა და ფსანანურის განძები, დღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის I სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1965, გვ. 20.

გირებული პოზა ურის განათხარი მასალის მიხედვითაც ჩანს (ტაბ. III, სურ. 384)⁹⁰.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავინახოთ ავეჯის ის ცვლილებები, რომელიც მას განუცდია საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და რომელიც ავეჯის დიფერენცირებითაც ჩანს. მაშასადამე, დიფერენცირებული ავეჯი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურს ასახავს.


ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ცალკე გამოყოფილი საუფროსო საბრძანისი შეადგენს ერთგვარ აქსესუარს, რომელიც გარკვეული აზრით დაკავშირებული იყო ოჯახის უფროს მამაკაცთან და მის უფლებრივ უპირტესობასაც გამოხატავდა⁹¹.

ტაბლას უფრები. პურობისათვის განკუთვნილ დგამ-ჭურჭელს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტაბლა-სუფრას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება. ხევსურეთში მას ტაბლანი, მთიულეთში — ტაბლა, თუშეთსა, ფშავსა და ხევში კი ხონჩა ეწოდება. ტაბლახონჩებს ხელოსანი ამზადებდა. ამისათვის მასალას იგი საგანგებოდ არჩევდა.

ხევსურეთში სატაბლე ფიცარი უმთავრესად ცაცხვისაგან გამოჰყავდათ, თუმცა, ამ მიზნით, წიფლისა და თელის გამოყენების შემთხვევებიც დასტურდება. სატაბლედ სქელ ხეს არჩევდნენ. ფიცარს ცულით თლიდნენ და ხელცულათი ან პირფართო შალაშინით ასწორებდნენ. ოთხკუთხად ან ოვალურად გათლილ ფიცარს პირზე ბაგას უტოვებდნენ (ერთი გოჯის სიმაღლეზე აწეულ ნაპირებს ბაგა ეწოდებოდა). „ნაპირებგაწირულ — ბაგიან ანუ მოხეურ ხარხილიან ტაბლაზე ხინკალი და სხვა კარგად ეწყობოდა“. სატაბლე ფიცარს კანჭებში (ბოლოებში) გახვრეტდნენ, რომ ხინკლის ნახარში წყალი ტაბლაზე არ დამდგარიყო და მასზე დაწყობილი ცხელი პური არ ჩაორთქლილიყო. სატაბლე ფიცარს, რომელიც ერთ ადლზე მეტი არ უნდა ყოფილიყო სამ ადგილზე შალიფით ამოხვრეტდნენ და ფეხებს შეუდგამდნენ. საერთოდ ასეთი ტაბლები სამფეხა იყო. ფეხის სიმაღლე 30 სმ-ს არ აღემატებოდა. ზოგჯერ ტაბლის ერთი ფეხი ორზე უგრძესი კეთდებოდა, რათა ყვერნფში კარგად ჩამდგარიყო. ამრიგად, ხევსურული ოთხკუთხად ან ოვალურთავიანი ტაბლა ძირითადად სამი ფეხითაა წარმოდგენილი, რაც მის დამახასიათებელ და ამავე დროს მოხეური ხონჩისა თუ ფშაური ხონჩა-სუფრისაგან განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.

⁹⁰ L. Legrain, Archaic Seal-impressions Ur Excavations III, New-York, 1936, Plate 20, 384.

⁹¹ შღრ. გ. ჩიტაია, სვანური საკუროცხილ, გვ. 98.



ფშავში ხონჩას ასევე ცაცხვისაგან და მსხლისაგან ამზადებდნენ, თუმცა სახინკლე ხონჩად უპირატესობას წაბლის ხეს ანიჭებდნენ. წაბლის მასალა კახეთიდან შემოჰქონდათ. ხალხის რწმენით, კურთხ ხედ მიჩნეული წაბლი საჭმელს კარგ სუნსა და გემოს აძლევდა. ხელცულათი გამოთლილი სუფრის ფიცარს ხელეჩოთი გულს გამოუთხრიდნენ და კიდევზე ფარფლს გაუკეთებდნენ. შემდეგ თავბოლოში ხელის მოსაკიდებელ ყურებს გამოუკვეთავდნენ. კარგი სუფრა პირიანი ანუ ფარფლიანი უნდა ყოფილიყო. კედელზე დასაკიდებლად მას ღვედის ყურს მიამაგრებდნენ და „სულის მოსაბრუნებელს“ (ხინკლის წვენის საწრეტს) ამოუტეხდნენ. სუფრა ოთხფეხა იყო. საშუალოდ 25—30 სმ სიმაღლის. იგი მამაკაცთათვის იყო განკუთვნილი.

უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთში ხონჩას მისი ფუნქციისა და კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებდნენ. მაგალითად, საჯორცა და ჯონჩა, საკეტავიანი ჯონჩა, ფეხიანი ჯონჩა და სხვ. ხონჩის ზემოჩამოთვლილ სახეობათა დასამზადებლად ფიჭვის ან ცაცხვის იყენებდნენ. სახონჩე ფიცარი ცულით ითლებოდა ოვალურად ან ოთხკუთხედად და ცულითვე სწორდებოდა. მას ეჩვათი ოღნავ ამობაქნიდნენ (ამოთხრიდნენ) და სამ ან ოთხ ადგილზე ამოტეხდნენ. ამ ამოტეხილს ფეხთ საჭერი ანუ ბუდე ეწოდებოდა. ბუდე ფეხის ზომის მიხედვით იჭრებოდა. ხონჩის ბუდეს წინასწარ წყლით დაასველებდნენ და შიგ ფეხებს გაამაგრებდნენ. გაშრობის შემდეგ ბუდე ფეხს შემოეჭრებოდა და ხონჩის სადგარების მყარ საჭერს ქმნიდა. ამგვარად, თუშური ხონჩა კონსტრუქციულად ზევსურულთან ამკლავნებს ახლომდგომობას და უმრავლეს შემთხვევაში ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ნიშნით (სამი ფეხით) არის დამოწმებული.

თუშეთში სუფრად სხვა ხონჩებიც იხმარებოდა. ოვალური მოყვანილობის უფეხო ხონჩა ქალების სუფრა იყო⁹².

საკეტავიანი ჯონჩა ჩვეულებრივი ხონჩისაგან სახურავით გამოირჩეოდა. იგი უმთავრესად სტუმრისათვის იყო განკუთვნილი. მისგან განსხვავებით, საჯორცა და ხონჩა უფეხო სახურავიანი ჭურჭელი იყო და სვანური ლაზრულ ტაბაგის მსგავსად მხოლოდ ხორცის დასადებად იხმარებოდა. საყურადღებოა, რომ თუშეთში ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სუფრის ფუნქციას ასრულებდა აგრეთვე ზოგიერთი ჭურჭელიც, როგორცაა: ტმომტი, ხონი და სხვა. მართალია, „ტმომტი კალის გასაზელი“ გულამოკვეთილი ჭურჭელია,

⁹² მსგავს მოყვანილობას ანალოგიურ ზომებში იმეორებს განათხარი ხონჩა, რომელიც თრიალეთშია აღმოჩენილი. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1960, გვ. 14, ტაბ. XXI.

ხონი კი ცომის მოსაზღვრად იხმარებოდა, მაგრამ მათ სუფრადაც იყენებდნენ.

ხონჩები, ისე როგორც სხვა სუფრები, ცაცხვისაგან იმეორებოდა რაც შეეხება სახელწოდებას — ხონჩა იგი უცხო ტერმინადაა მიჩნეული⁹³. ამ ტერმინის შესახებ რუსულდანიანში ვკითხულობთ: „და ხელთ ეჭირათ ხონჩებით თვალი და მარგალიტი, რომლის არ იყო რიცხვი“⁹⁴. აღნიშნულ ძეგლში ხონჩასთან ერთად ტაბაკიცაა მოხსენიებული: „გამობრუნდეს და მონათა ოქროს ტაპკებით ყირმიზი იავუნდი ეჭირა“. სხვა ადგილზე ნათქვამია „მე მიბოძა ერთი ტაბაკი დარჩენილი თვალ-მარგალიტი“⁹⁵. ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანის განმარტებით ტაბაკი ქართულ ტერმინადაა მიჩნეული. ტაბაკი, ხშირად გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, იგი სხვადასხვა დანიშნულების ყოფილა⁹⁶. მისი სუფრად ხმარება ძველი ქართული წყაროებიდანაც მოწმდება⁹⁷. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე გობები, რომელთაც ფშავსა და თუშეთში ტაპკებს უწოდებენ. ამ ხასიათის ჭურჭელი, როგორც ითქვა, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, სუფრის ფუნქციასაც ასრულებდა.

ფშაური მასალა ცხადყოფს, რომ ტაბაკის კეთება, ისე როგორც სხვა ჭურჭლისა, დახელოვნებას ითხოვდა. ამ საქმეს უმთავრესად, ჯამ-ბაკნის მოხელეები ასრულებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, ზოგიერთ ტაბაკს შუა გულზე ქუბდა უკეთდებოდა. ქუბდა ტაბაკის გულზე ამოკოფილ (ამოხვეწილ) ერბოს ჩასასხმელ ბაკანს ეწოდებოდა. თუშური ტაბაკის ამობაკნული გული ასრულებდა როგორც ქუბდის, ისე გომრულა ბაკნის (ჯამის) ჩასადგმელის ფუნქციას. ფ. ბობილევი, ეხება რა ქართულ ავეჯს, ამგვარ სუფრებსაც აღწერს და მათ, რაჭის მასალის მიხედვით გულამოკვეთილებს უწოდებს⁹⁸. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ვისრამიანში ნათქვამი: „პურის ქამისა ქამ იყოს, ქამსა და უქამოსი ოქროთა ჯამ-ტაბაკითა მთხოვს“ (12). აქ მოხსენიებული ჯამ-ტაბაკი შესაძლოა ქუბდიან ანუ ბაკნიან ტაბაკს გულისხმობდეს.

⁹³ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.

⁹⁴ რუსულდანიანი, 103, 11. ივ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედ.; თბილისი, 1957.

⁹⁵ იქვე, 489, 38, 140, 19.

⁹⁶ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1965, გვ. 66.

⁹⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

⁹⁸ Ф. Бобылев, Несколько мыслей об Имеретии в сельскохозяйственном отношении; Записки Кавказского общества сельского хозяйства, кн. II, Тифлис, 1856, стр. 364.



ბდეს. ხელმწიფის კარის გარიგებაში აღწერილი სამართლით გაწყობილი ოქროს ტაბაკი, რომლის „შუაზედ ურთუმელი იყოს. ზედ შექმნილი თავი თვალ-მარგალიტიანი შიგ მარტილი იყოს“⁹⁹, ზემოხსენებულ ტაბაკის მოყვანილობას ემთხვევა და მასალის სხვაობის მიუხედავად ერთნაირ გრაფიულ ყოფაში დაცული ტაბაკის პარალელს უნდა წარმოადგენდეს¹⁰⁰.

ფშაური ქუბდიანი ტაბაკი, ისე როგორც თუშური ჩაკოფილი ტაბაკა და ხონის სხვადასხვა სიდიდის იყო და ახასიათებდა პირგადაშლილი კიდე. ამგვარი აგებულება მის სუფრად გამოყენებას აპირობებდა. იგი ქალთათვის იგი განკუთვნილი.

როგორც ითქვა, გარდა ქუბდიანისა, სადა ტაბაკებიც არსებობდა, რომლებიც სუფრის დანიშნულებით გამოიყენებოდა. ზოგჯერ კი ხინკლის მისატან ჭურჭლადაც იხმარებოდა, რომელსაც ხონჩაზე დგამდნენ.

უნდა დაეფიქსირებინათ, რომ ამ ხასიათის ნახელავეს სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მიხედვით შეიძლება ვუწოდოთ დგამჭურჭელი. საფიქრებელია, რომ ხელმწიფის კარის გარიგების ის ადგილი, სადაც ნათქვამია „პურობის“ დროს სტუმრად მოსულ მეფეებს უმანსპინძლედობდნენ „წინა ტაბლებითა და ზედა ტაბაკებითა“, ამგვარ დგამ-ჭურჭელს გულისხმობდნენ¹⁰¹. საყურადღებოა, რომ XIII საუკუნის ქართულ მინიატურებზე გამოსახული სუფრები მოყვანილობით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებულ ტაბაკებს უკავშირდება¹⁰². ამდენად XIII საუკუნის მინიატურას, რომელიც აღწერილ ტაბაკებთან პოულობს მსგავსებას, ამ უკანასკნელის თარიღიან პარალელად მივიჩნევთ.

ფშავსა და მთიულეთ-გუდამაყარში სამფეხა მრგვალი ტაბლა-სუფრებიც გვხვდება. ამგვარი ტაბლა, როგორც წესი, სამ ფეხს ეყრდნობოდა, რომელიც ტაბლის თავზე ამოკვეთილ ბუდეებში მჭიდროდ იყო ჩასმული (ფეხის სიმაღლე 31 სმ) სამფეხა და მრგვალი სუფრების საუკეთესო ეგზემპლარს სვანური ფიქი წარმოადგენს (სურ. 11). (კოლ.


⁹⁹ გარიგება, კელმწიფის კარისა, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1920, გვ. 33.

¹⁰⁰ ცნობილია, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთში სუფრებზე ამოკვეთილი იყო ბაკანი, რომელიც სალობიელ იხმარებოდა, ნ. რეხეიაშვილი, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიისათვის (ხელნაწერი), 1965, გვ. 15. შდრ. დალესტნური სახინკლე, ტაბ. XIX, სურ. 1.

¹⁰¹ გარიგება კელმწიფის კარისა, თბილისი, 1920, 12₁:270.

¹⁰² შდრ. ტ. ხერხეულიძე, ავეჯი ძველ ქართულ დრესკებსა, მინიატურებსა და ქედურ ხელოვნებაში, თბილისი, 1941, ტაბ. X, IV, მინიატ. ფსალმ. XIII ს.

№ 50—10/42). იმავე მოყვანილობისაა, მაგალითად, ოსური *kyng/tingae*¹⁰³. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია (№ 19/26/46), ჩერქეზული *анэ*¹⁰⁴. ეს უკანასკნელი ხასიათდება სუფრისა და სუფრის მრგვალი თავით, რომელსაც აქვს კიდეებზე ფარფლები ანუ ხარხილი (კოლ. № 19—26/40).



სურ. 11. სვანური „ფიჩქ“.


ამგვარად, ქართულ სამფეხა ტაბლა-სუფრებს ანალოგი მოეპოვება საქართველოს გარეთაც. ერთი მხრივ, ჩრდილოკავკასიურ ტაბლებისა და მეორე მხრივ სომხეთის *cerhan*-ის სახით¹⁰⁵. მსგავსი დამოხვევების კონსტატირება შორეულ კუთხეებშიც ხერხდება. ბობილევის შეხედულება, რომ ქართული სამფეხა სუფრები ახლომდგომობას ამჟღავნებს „ჰომეროსის დროინდელ“ ბერძნულ სუფრებთან, შემთხვევითი არ უნდა იყოს. მისი ეს შეხედულება დამყარებულია ბარელიეფებზე მოცემული ავეჯის, ქართულ ავეჯთან, კერძოდ რაჭულ სუფრებთან შედარების საფუძველზე¹⁰⁶. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წარმოდგენილი სუფრები, ასევე სვანური ფიჩქი კონსტრუქცი-

¹⁰³ შღრ. В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958.

¹⁰⁴ Е. Р. Бинкевич, История черкесского жилища (диссертация), Москва, 1946, стр. 136.

¹⁰⁵ С. Д. Лисициан, Очерки этнографии дореволюционной Армении, Труды инст. этнографии им. Миклухо-Маклая, т. XXVI, М., 1955, стр. 220.

¹⁰⁶ Т. Ф. Бобылев, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.



ულად მართლაც ბერძნულს წააგავს¹⁰⁷. აღსანიშნავია, რომ ბერძნული სუფრის ფეხები უმთავრესად რომელიმე ცხოველის ჩლიქის გამოყენებით ბოლოვდება¹⁰⁸. ამას გარდა ე. წ. ჰომეროსის მანგანობი¹⁰⁹, და კნოსის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი „ამობაკნული“ სამფეხა სუფრები ქართულთან შედარებით უფრო ღრმა თავტაბლიანი და დაბალსადგარებიანი ჩანს¹¹⁰. კონსტრუქციული პრინციპი კი ყველა ხსენებულ მაგიდებს ერთი აქვს. ძველბერძნული მოსახლეობის მატერიალური კულტურის ამ ელემენტთან ქართული ტაბლების მსგავსება, ეგეოსურ (პელასგურ) და კავკასიურ სამყაროს მკიდრო კავშირის შესახებ მეტყველებს. ამ კავშირის შესახებ ბოლო ხანებში წამოყენებულ მოსაზრებათა შემდეგ¹¹¹, ეს საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ხდება. ამგვარად, ირკვევა, რომ ტაბაკი, ისე როგორც ხონი, თავისი ფუნქციით დგამიც იყო და ჭურჭელიც. ამას გარდა, ქუბდიანი ანუ გულამოხვეწილი ტაბაკი და თუშური სამფეხა ტომოტი დგამ-ჭურჭლის შერწყმულ ფუნქციას ასრულებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სახის ტაბაკები წარმოადგენდა შუალედ ფორმებს ჭურჭელსა და დგამს შორის.

როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, საქართველოში სხვადასხვა მოყვანილობის სუფრების არსებობა მოწმდება. ტაბლა-ტაბაკის სახელით დამკვიდრებული მრგვალი სუფრა ამ ტრადიციული ავეჯის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთიანეთში, ტაბლა მიცვალებულის „სულის მოსახსენებელ“ საკურთხსაც ეწოდება¹¹². მაშასადამე, ტაბლა ძველი რწმენა-შეხედუ-

¹⁰⁷ შტრ. П. Гир о, Частная и общественная жизнь греков, С.-Пб., 1897, стр. 90.

¹⁰⁸ ჯიხვის თავის გამოსახულებიან სადგარებზე მოთავსებული ტაბლები სუმერები-შიც მოწმდება. აღნიშნული ტაბლის ერთი ეგზემპლარი ლუერის მუზეუმშია დაცული André Parrot, Sumer, Paris, 1960, 290.

¹⁰⁹ П. Гир о, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

¹¹⁰ შტრ. Arthur Evans, The Palace of Minos at Knossos, London, 1930. შტრ. ავრთეი E. Herzfeld, Iran and Ancient East, London-New-York, 1941, p. 112.

¹¹¹ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბილისი, 1964, გვ. 112.

¹¹² შტრ. სვანური ფ ი ჩ ქ ი, ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, ტფილისი, 1939; საკითხთან დაკავშირებით ყუ-რადღებას იქვეს ლ. მაჭავარიანის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არ არის გამორიცხული ის შესაძლებლობა, რომ მცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ტაბლისებური მოყვანილობის ჭურჭელი (ძვ. წ. VIII—VII სს.), რომელიც ეთნოგრაფიულ ტაბლებთან იჩენს მსგავსებას, საგანგებოდ მიცვალებულთათვის სამარხში ჩასატანებლად იყო განკუთვნილი (ლ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ქართული ტაბლის ერთ-ერთი სახეობა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, თბილისი, 1966, გვ. 35).

ლების საფუძველზე შემუშავებული. გარკვეული მოყვანილობის (მრგვალი) დგამი იყო, რომელზედაც ალაგებდნენ „სულს მიჰყავებენ ბელ“ სანოვაგეს — საკურთხ ტაბლას, ე. ი. დგამისა და საკურთხისათვის თი და იმავე სახელით — ტაბლას მოხსენიებას გარკვეული საფუძველი გააჩნდა. შესაძლებელია ტაბლების მრგვალი მოყვანილობა დაკავშირებული იყოს ციურ მნათობთა შესახებ არსებულ რელიგიურ წარმოდგენებთან. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ტაბლათა სიმრგვალე უძველეს რწმენა-შეხედულებებს უკავშირდება, რომ სუფრად ხმარებული ტაბლის ფორმაც ასტრალურ მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ამრიგად, დგამის განხილული სახეობის გამზადება-გამოყენებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებშიც ეძებნება საფუძველი. ამ მიმართებით, ბარონ ნოპსას მოსახრება ამ დგამის თურქული წარმომავლობის შესახებ არ უნდა იყოს მართებული¹¹³.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ახლანდელი მაგიდის სახელწოდებად ტაბლა იხმარებოდა¹¹⁴. მაგალითად, დაბადების ქართულ თარგმანში (მე-4 მეფეთა 4, 10) ვკითხულობთ: „უქმენით.... ქორი მცირ და დაუდგით მუნ ცხედარი და ტაბლა და სავარძელი“. ასევე იმავე წყაროში (ეზეკიელის 23, 43) ნახსენებია ტაბლა და გებულ. ი. სახელი ტაბლა გვხვდება აგრეთვე როგორც ქართულ ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში: „ვისრამიანში“, „ხელმწიფის კარის გარიგება“-ში და სხვა.

საბას განმარტებით ტაბლა ქართული ტერმინია¹¹⁵. საყურადღებოა, რომ სახელი ტაბლა სუფრის მნიშვნელობით საქართველოს მთიანეთში დღემდეა შემონახული. ამ მხრივ ეთნოგრაფიული მასალა ცნება ტაბლის რეალურ სურათს ასახავს. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალა კი საკითხის ისტორიულ კრილში განხილვის საშუალებას გვაძლევს.

კიდობნე ბი. კიდობანი ხალხური ავეჯის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. იგი ქართველი ტომებისა და რიგი სხვა ხალხისათვის დამა-


¹¹³ Fr. Baron Nopcsa, დასახ. ნაშრომი, 104, სამეფო მაგიდებს ბოსნიისა და სერბიის ოლქებში მეტწილად სინია (sinja) ეწოდება, ხოლო გრძელ მაგიდას ზოფრა (sofra). დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

¹¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტფილისი, 1965, გვ. 31.

¹¹⁵ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928. ივ. ჯავახიშვილი „ტაბლას“ ბერძნულ ტერმინად მიიჩნევს. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

ხასიათებელ დგამეულს წარმოადგენს. მას ძველად, სადღესასწაულო რიტუალის შესრულებისას თვალსაჩინო ადგილი ეკავა¹¹⁶.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სინამდვილეში სხვადასხვა სახის ნიშნულების კილობნების არსებობა მოწმდება, რომლებიც ერთმანეთს საგან ფორმისა და სიდიდის მიხედვით განიზიარებენ. ამის მიხედვით სახელწოდებაც სხვადასხვა აქვთ: სურსათის შესანახს — დიდი კილობანი ჰქვია, ტანსაცმლისათვის განკუთვნილს — სატალავრე ანუ საბარგე კილობანი, კილობნურა და სხვა (სურ. 12).



სურ. 12. საბარგე კილობნურა. თუშური.

მოხრობელთა ჩვენებით, საკილობნე მასალად ცაცხვს ანიჭებდნენ უპირატესობას. „ლამაზ მოქსოვილი ცაცხვის ხე გასათლელადაც კარგია და დასამუშავებლადაც რბილი“—ო. ფშაველი ხელოსნის დაკვირვებით, სუფთად გათლილი ცაცხვის ფიცარი ერთმანეთს მჭიდროდ ეჯრება, რაც მასში მოთავსებული ნივთების კარგად დაცვის პირობათაგანს წარმოადგენს. საპურე კილობნის ფიცრებად წიფელსაც იყენებდნენ, დირეებად კი მუხას. მუხის უპირატესობა მისი სიმაგრითა და გამძლეობით აიხსნებოდა.

¹¹⁶ ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. 1 ახალი წლის ციკლი, თბილისი, 1939, 5, 97. დამის ხენებული სახეობის შესახებ იხ. მისივე ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 148; ფ. გარდაფხაძე-ჭიჭოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

ხის გასასუფთავებელი ზემოხსენებული პროცესების ჩატარების შემდეგ საჭირო მასალას სახრით (საზომი ჯოხი) ან მტკაველით გადწმენავენ და სასურველი სიგრძით მოჭრიდნენ¹¹⁷. ერთი მეტრი სიგრძის საკიდობზე მორში ოთხი ფიცარი გამოდიოდა. მორის დასაფიცრავად ხელცულას, იფნის ხის სოლსა და უროს ხმარობდნენ, ფიცრის სისქის დასაყენებლად კი ზ უ ზ ა ს (ხის საზომს). ხალხური დაკვირვებით, როდესაც კიდობანი „უნჯეულობის, ე. ი. სახლის ქონების“ საცავად უნდოდათ, მას დაახლოებით ნახევარი გოჯის (დაახლოებით 1 სმ) სისქის ფიცრისაგან აწყობდნენ. ასეთი თხელი ფიცრით შეკრული კიდობანი კარგ ნახელავად ითვლებოდა. მისი ღირე 6—8 სმ სისქის იყო. სქელი ფიცრით ნაკეთები კიდობანი ცუდ ნახელავად იყო მიჩნეული.

კიდობნის ნაწილებს ხელოსანი ცალ-ცალკე ამზადებდა. პირველად ღირე ანუ ფიცრების საჭერი ჩარჩო უნდა გაეკეთებინა. რადგან კიდობნის დაზიანება ფეხ-ღირედან იწყებოდა, ამიტომ ამ ნაწილისათვის მაგარი ჯიშის ხეს არჩევდნენ და ამ უკანასკნელს საქონლის პატივით და ნაცარწყლით პოხავდნენ¹¹⁸. სამასალე ხეების დაცვის მიზნით, საქონლის პატივისა და ნაცარწყლის სხვა ნივთიერებებთან გარკვეული შეფარდებით გამოყენების შესახებ XIX საუკუნის მკვლევრის პაულის მითითებაში ნათქვამია: „გ) აიღეთ ერთი ნაწილი ახალი ძროხის პატივი, მაგალითებზე, თექვსმეტი გირვანქა, რვა გირვანქა ძველი შენობის ნაქცევი კირი, ოთხი გირვანქა გაცრილი ნაცარი, ერთი გირვანქა წმინდა ქვიშა. ამას მიუმატეთ სამყოფი წყალი და იხმარეთ დაშვებულის ხეებისათვის¹¹⁹.

ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ შვეულ ღირეთა ქსოვილი ტენიანობის შემწოვი და ადვილადშლადია. ამის გამო კიდობანს სიპებზე დგამდნენ. ხის ქსოვილის ამავე თვისებაზე ამხვილებს ყურადღებას ა. მილერი დაღესტნური ხის ჭურჭლის აღწერისას¹²⁰.


ცხადია, რომ ხის ჯიშთა თვისებურებების გათვალისწინება და, საერთოდ, ხის ანატომიის ცოდნა ავეჯის მკეთებლის დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს.

¹¹⁷ „სახზე ერთ ადლს უდრიდა, ადლი კი ორი მკლავია იდაყვიდან, ანუ ორი წყრთა. „წყრთა არს იდაყვიდან თითის წვერამდე“ (ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928).

¹¹⁸ შღრ. М. Г а р а к а н и д з е, Грузинское деревянное зодчество, изд. «Сабчота Сакартвелო», Тбилиси, 1959, стр. 112.

¹¹⁹ ვაზ. „გუთნისდედა“, 1862 წელი, 1 სექტემბერი, გვ. 124.

¹²⁰ А. М и л л е р, Древние формы в материальной культуре современного населения Дагестана, Материалы по этнографии, т. IV, выпуск первый, Ленинград, 1927, стр. 23.



ამოღარული დირეები სატეხით წინასწარ ამოჭრილ ბუდეებში მაგ-
 რდებოდა. კიღობნის ჩარჩოს აწყობას დირეებში ფიცრების ჩაღვრება
 მოსდევდა. დირეებში შესაწყობ ფიცრებს თავ-ბოლოს მჭრელი დანით
 უთხელებდნენ (ამ დანას ფშავში ხ უ მ ტ ა რ ა და ხევესურეთში უ რ ს ა
 ეწოდება). ამავე დანით თლიდნენ კიღობნის კედლის ანუ გვერდის ფი-
 ცრებსაც, რომელთაც დირეებში ერთმანეთზე გადაწყობით ამაგრებ-
 დნენ. ფიცრების ამგვარ დაწყობას ნ ა რ ი ბ ა ნ დ ი თ გ ა დ ა ყ ვ ა ნ ა ს
 უწოდებდნენ¹²¹. მოხრობელთა ცნობით, კიღობნის შეკვრა „უბრალო
 წყობითაც“ იცოდნენ. ამ შემთხვევაში მისი გაკეთება მეტ ცოდნასა
 და გამოცდილებას მოითხოვდა, რადგან ამგვარი წესით აწყობილი კი-
 ლობანი, დაშლის საშიშროებისაგან ნაკლებად იყო დაზღვეული. „ხელო-
 სანს ისე უნდა მიეყენებინა ფიცრები, რომ ოთხი ფიცარი ერთი გგო-
 ნებოდაო“ (მარიამ ხვთისოს ასული წითელაური კარატიელისა, 70
 წლის. სოფ. ვაკისოფელი, დუშეთის რ-ნი, 1962 წ.). საინტერესოა, რომ
 ამგვარი კიღობნის დახელოვნებულ ოსტატებად ხევესურები ითვლებო-
 დნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფეხ-დირეს ანუ კი-
 ლობნის ჩარჩოს აწყობას. მას კიღობნის კედლის შენება მოსდევდა.
 პირველად წინა კედელს აშენებდნენ. კედელს ჩარჩოში ხის ფარეშე-
 ბით (სამჭკვალეობით) ამაგრებდნენ. როგორც წესი, დიდ კიღობანს თექვ-
 სამეტი დირე უკეთდებოდა. პურის კიღობანს შუა დირეები არ
 ჰქონდა და სქელი ფიცრებით იყო შეკრული. ამავე წესს ემორჩილებო-
 და კიღობნის სახურავის კეთებაც. ამრიგად აწყობილ კიღობანს, დრო-
 ებით, გასამაგრებლად ს ა ბ დ უ ჯ ს ჩამოაცმევდნენ, რომლის საშუალე-
 ბითაც კედლები მჭიდროვდებოდა. ასეთი საბღუჯი უმთავრესად ნარი-
 ზანდიან კიღობნებს სჭირდებოდა (სურ. 13).


მსგავსი თანამიმდევრობით კეთდებოდა ხევესურული ტ ა გ რ უ-
 ც ე ბ ი (ქალის სამკაულების თუ ხელსაქმის იარაღების საცავი), მცი-
 რე ზომის კ ი ლ ო ბ ნ უ რ ე ბ ი და კ რ ო ჭ ი ს სახელით ცნობილი ყუ-
 თები (ტაბ. IV, ტაბ. V). მათში ინახებოდა პური, სატანი (ყველი, ერ-
 ბო). ასევე მზადდებოდა ს ა ჯ ა მ ე, ს ა ტ ა ლ ა ვ რ ე და იარაღის შესა-
 ნაქი კიღობნები¹²². ხევესა და მთიულეთ-გუდამაყარში დამოწმებული
 კიღობნები, რომლებიც კონსტრუქციული თავისებურებით არ გამო-
 ირჩევა, ზემოაღწერილი წესით მზადდებოდა. თუშეთში დამოწმებული
 ავეჯი კი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს.

¹²¹ ნარიზანდიანი კიღობნები ივრისპირა ფშავლებშიც იხსენიება, იხ. ფ. გ ა რ-
 და ფ ხ ა ძ ე - ქ ი ქ ო ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

¹²² ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, ქართული ხალხური ავეჯი (ფშავ-ხევესურული კიღობანი),
 საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1964, გვ. 15.




თუშურმა ავეჯმა ფშავ-ხევსურულ ავეჯთან მსგავსების ბევრი ნიშანი შეინარჩუნა, მაგრამ ზოგი რამ ადგილობრივი ტრადიციის მიხედვითაც განავითარა. ამ მხრივ აღსანიშნავია თუშური ავეჯის დამზადების თავისებური წესი — ავეჯის ნაწილების შეწებების ტექნიკით შეკვრა. თუშური კიდობნის ორიგინალობაც სწორედ ამაში მდგომარე-



სურ. 13. საბარჯე კიდობნურა.

ობს¹²³. თუშური დგამის ეს კუთხური თავისებურება ეთნოგრაფიული ხასიათისაა. იგი ერთიან ქართული ხალხური ავეჯის სახესხვაობას ექვემდებარება.

¹²³ როგორც ცნობილია, დასამზადებელი ნედლეულის მიხედვით წებოები იყოფა მცენარეული (სოიას, მარცვლის ცილისაგან, სახამებლის) და ცხოველური წარმოშობის (ტყავქვეშკანის, ძვლის, თევზის და სხვა) წებოებად (ა. ა ბ ა შ ი ძ ე, გ. მ ა ც ა ბ ე რ ი ძ ე, საღურგლო-საავეჯე საქმე, თბილისი, 1963, გვ. 169.). თუშეთში დამკვიდრებული საღურგლო წებო ცხოველური წარმოშობისაა. წებოს გასაქვებლად თუშში ღურგლები ქალამნის ჯღანებს ან საქონლის გამხმარ ტყავს ხმარობდნენ. დაახლოებით სამი ქალამნის ჯღანს ხელცულაოთი დაკუწავდნენ და მოათავსებდნენ ოთახის ტემპერატურის მქონე წყალში. ორი-სამი დღის შემდეგ მოხარშავდნენ. ერთ წილ დაკუწულ ტყავს ორ-სამ წილ წყალს დაასხამდნენ. წყალი აიძვრებოდა და ლორწოვანი ნაწილი ქურჭლის ფსკერზე დაიწვედა. წყალს გადაღვრიდნენ და ძირა-წებოს კი მოხარშავდნენ. ორი საათის ხარშვის შემდეგ კვლავ წამოაღულებდნენ და ქაფს მოხდიდნენ, რომ დაწმენდილიყო. ხმარების შემდეგ დარჩენილი წებო შრებოდა. ხელმეორედ გამოყენებისათვის მას აცხელებდნენ. გაცხელება შემდეგი წესით ხდებოდა: წებოჩასხმულ საბილენძის ქურჭელს წყლიან ქვაბში ჩადგამდნენ და ამ უკანასკნელს ცეცხლზე აცხელებდნენ, სამუშაოდ წებო თბილი უნდა ყოფილიყო.



ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, აქაც კილოზნის ნაწილებს ხელოსანი ცალ-ცალკე ამზადებდა პირველად კილოზნის ჩარჩო კეთდებოდა. თუ კილოზანი ცაცხვსაგან შენდებოდა, ისარ-ღირეთ მაგარი ჯიშის ხეს არჩევდნენ. მოჭრილ ხეს ზომიანად ამოზავდნენ, დაფიცრავდნენ, მას საქონლის პატივით გაბოხავდნენ, ან ნაცარწყლით გაწმენდნენ და ჩარჩოს შეკრავდნენ. დამზადებულ ჩარჩოს ორ მხარეზე ფიტოლს (ბუდეს) გამოულებდნენ. ფიტოლის სიდიდე ხილების ანუ „ისრების“ სისქეზე იყო დამოკიდებული. ქვედა ისრები ფსკერის საჭერს წარმოადგენდა. ისრებში ჩასმულ ფიცრებს ჩვეულებრივ ხის სამჭვალით ამაგრებდნენ. ყურადღებას იქცევს წებოს გამოყენების წესი, რომელიც მთათუშეთშია დამოწმებული. კილოზნის ფიტოლს შეკვრამდე ცხელი ან ნელთბილი წებოთი გაჟღინთავდნენ და მასში ისრის (ღირე) თავებს ჩაამაგრებდნენ. წებოს გამაგრებას აცლიდნენ. ამგვარად შეკრული ფეხ-ისარი კილოზნის საიმედო ჩარჩოს ქმნიდა¹²⁴. წებოს გარეშე გაკეთებულ კილოზნის ყბას ბურაოთი (ბურღი) სალურსმენებს ამოულებდნენ და შინდის სამჭვალებს გაუყრიდნენ, რომელთაც რიკებს უწოდებდნენ. როგორც წინთქმული ნათელყოფს კილოზნის დამზადება რთულ სამუშაო პროცესს მოიცავს, რაც საყურადღებო ტერმინოლოგიითაც აღინიშნება („შენება“, აწყობა, აკედვლა)¹²⁵.

ცნობილია, რომ საგნის ფუნქცია და ფორმა ურთიერთს აპირობებენ¹²⁶. ფუნქციის შეცვლა კი საგნის მასშტაბის ცვლილებასა და სახელწოდების ნაირგვარობას იწვევს. ამ მხრივ თუშური კილოზნები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სულადის კილოზანი, საბარგე კილოზნურა, ქისტურა კილოზანი და სხვა.

სულადის ანუ მარცვლეულის შესანახი დიდი კილოზნის ჩარჩო ოთხი ფეხისა და რვა ისრისაგან შედგება. ისრებს შორის ბოყები (ბოძებია) გაწყობილი, რომლის ამოდარულ გვერდებში კილოზნის გულებია ჩასმული. კილოზანს შუა ნაწილში საჭიკახე აქვს გაყრი-

¹²⁴ ღირეს გარეშე „შეყრილ“ კილოზნის ფიცრებს „თარგებს“ უწოდებდნენ. თარგის ბოლო — „ყუნწები“ ისრის ღარებში იყო ჩასმული. ისრისა და ყუნწის შეერთების ადგილს კილოზნის „ყბა“ ეწოდება.

¹²⁵ კილოზნის შენება ხალხურ „ვეფხისტყაოსანშიც იხსენიება
 „მეკილოზნები მოვიდნენ
 ქებითა არა ქებითა
 კილოზანები აშენეს
 მოხატეს ხარატებითა“, ხალხური ვეფხისტყაოსანი, „ივერია“.



ლი. „საჭიკავი კიდობნის წელის საჭერია“. ზოგიერთი დღეც კიდობანი
 ორი საჭიკავითაა აშენებული. კიდობნის სახურავა ^{მ. (საჭიკავი)}
 ისრისა და მასში ჩამჯდარი გულებისაგან შედგება. ზოგჯერ მასზე
 ფიცარია მიკრული, რომელიც კიდობნის სარქელის ფარდას ქმნის და
 ბაგად ანუ ქრიჯად იწოდება. კიდობნის წინა ისარზე დატა-
 ნებულ პატარა სოლს საწველე კორა ჰქვია. დიდი კიდობანი უმთავრე-
 სად ორთვლიანი // ორგანყოფილებიანი იყო. სულადის (მარცვლე-
 ლის) კიდობანს დამატებით ოთხკუთხა მოყვანილობის საჯამე ყუთი
 უკეთდებოდა, რომელსაც „კიდობნის გამოსაღებელად ეწოდებოდა“¹²⁷.
 მსგავსი აღნაგობის იყო ქისტურა კიდობანი და კიდობნუ-
 რა, რომელიც დღესაც ქალების სახმარი ავეჯია¹²⁸. თუშური ავეჯის
 რიგში განიხილება აგრეთვე დაჭრელებული ხის მცირე ყუთები —
 კროჭები. საკროჭებად სასურველი სიგრძის ფენგარს დაამუშა-
 ვებდნენ. კროჭის დასამზადებლად ხელეჩოს ხმარობდნენ. ამობა-
 კვნიის შემდეგ შეფუთით დაღარავდნენ და სახურავს გაუკეთებ-
 დნენ. მამასადამე, „კროჭი ხის ცუტუნა ყუთია ერთიან გაკუთხული.
 აქვს სახურავაჲ“, რომელიც გაღარულ ადგილებში შეწვევით ეხსურება.
 ერთ ხეში ამოკვეთილი კროჭი სწორ გეომეტრიულ ფორმებს მოკლე-
 ბულია და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებულ
 მსგავს სათავსოთაგან განსხვავებულია.

ტერმინ — კიდობანთან დაკავშირებით საინტერესოა დაბადების
 ის ადგილი, სადაც თვალის შესატყვისად ნახმარია „ბუდეებად ნაშე-
 ნები კიდობანი“ (დაბადება წიგნი ა. მოსესი იდ). ავეჯის მნიშვნელო-
 ბით კიდობანი უძველეს წყაროებშია ნახმარი. მაგალითად, „მოაქუნდა
 ურემი იგი კიდობანითურთ ან დადგეს კიდობანი იგი სჯულისა ურემ-
 საზა“¹²⁹. შედარებით გვიანდელ წყაროებში კიდობანთან ერთად
 გვხვდება სახელი ზანდუკი. XVIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში,
 რომელიც ქონების ნუსხას შეიცავს, აღნიშნულია: „ქ. დუშეთიდან ჩვე-
 ნის ნაბოგნის რაც მოვიდა და ხელმეორედ მეშის ზანდუკში ჩავაწყე“¹³⁰.
 ...ჩამოთვლილია ტანსაცმელი, თეთრეული და სხვა.


დღესდღეობით კიდობანი უმთავრესად პურისათვის განკუთვნილ
 ავეჯს წარმოადგენს, ძველად კი როგორც ითქვა იგი ტალავრისა

¹²⁷ შდრ. საჯამე, საკოვზე კიდობანი, რაჭაში, ნ. რეხვიაშივილი, რაჭის ეთნოგრაფიული მასალები, 1935, გვ. 85.

¹²⁸ შდრ. გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი 1753, საქმე 117, გვ. 26, საქართველოს ცენტრალური არქივი.

¹²⁹ ოშკ. II მფ. 64: 63.

¹³⁰ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1955, წიგნი III, გვ. 130.



და იარაღის საცავად ყოფილა გამოყენებული. „ვეფხის ტყაოსანში“ იგი იარაღის შესანახ ავეჯად იხსენიება. იქ, სადაც ლაპარაკი ზარდახანაზე, აღნიშნულია: „კიღობანი გახსნეს, პოეს მუნ აბჯარი სამი ტანი“¹³¹. ივრისპირა ხევსურებში დამოწმებული კიღობნების შესახებ მ. მაჩაბელი წერს: „კიღობანი გავრცელებული ყოფილა ივრის ხეობის ხევსურებშიაც. ხორბლისათვის უფრო დიდი, გამომცხვარი პურისათვის პატარები, ტანისამოსისათვის კი საშუალო ზომის“¹³². ნაირი სახის კიღობნების არსებობა არც სვანეთისათვის ყოფილა უცხო. „სვანური შინას ამ მახასიათებელი დგამეულის“ შესახებ ნიკო ჩიმაკაძის წერილში ვკითხულობთ: „ქერის ირგვლივ შემოწყობილია გრძელი სკამება და შინ გაკეთებული სავარძლები, რომლებიც კარგი საჯდომია. კედელზე ხის კაკვებია (კაკები) ჩამოკიდებული ხორცის და სხვა რაიმე ნივთის ჩამოსაკიდებლად. კუთხეში დიდი და პატარა კიღობნები აწყვია, რომლებშიც ან პურის, ან ქერის მარცვლებს, ან ტანისამოსს და სხვა ნივთებს ინახავენ“¹³³. მთაში ყველაზე მეტად გავრცელებული ამ ავეჯის მრავალსახეობის ნათელ სურათს იძლევა აგრეთვე ფ. გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ე - ქ ი ქ ი ძ ი ს ზემოთ დასახელებული ნაშრომიც. აღსანიშნავია, რომ ოჯახის ეს ძირითადი დგამეული ქალის სამზიეთო ნივთსაც წარმოადგენდა¹³⁴.

საქართველოში საკულტო დანიშნულების „წმინდა კიღობნების“ არსებობაც მოწმდება¹³⁵. საინგილოში წმინდა კიღობანს, რომელიც დედბოძის მარჯვენა კუთხეში იდგა მამისა და მისი მემკვიდრე ვაჟის გარდა ვერავინ შეეხებოდა. მასში საკმელს, ბამბასა და ცვილს ინახავდნენ. ბამბისა და ცვილისაგან საახალწლოდ სანთლებს აკეთებდნენ. ანთებული სანთლები ოჯახის უფროსს უნდა მიეკრა წმინდა კიღობნისათვის. ოჯახის წევრები ამ კიღობნის წინ ჩამწყრივდებოდნენ და ლოცულობდნენ¹³⁶. საყურადღებოა, რომ საინგილოში, სოფ. კახში ხუ-

¹³¹ შოთარ უსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, თბილისი, 1937, 1369.

¹³² М. М а ч а б е л и, Материалы для изучения экономического быта гос. крестьян Тбилисского уезда, МИ ЭБИКЗК; т. IV, стр. 472—3.

¹³³ ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტფილისი, 1911—13, ტ. II, გვ. 9 შტრ. И. Н. Т а в а р т к и л ა ძ ე, Грузинские лари-скиври, «Советская этнография», 1965, № 3.

¹³⁴ ფ. გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ე - ქ ი ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 233.

¹³⁵ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ-ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1939.

¹³⁶ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, ძველი საქართველო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1911—13, ტ. II, გვ. 96.

ციშვილების ოჯახში დაცულია სანთლებისაგან ამომწვარე კიდობანი, რომელიც დღესაც წმინდა დგამად ითვლება¹³⁷. ანალოგიური სახელწოდებისა და ფუნქციის დგამი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც მოწმდება¹³⁸.

ჩვეულებრივი ერთთვლიანი კიდობნის გარდა არსებობდა სამ-ოთხ თვლიანიც. მაგალითად, ფშავ-ხევსურული კიდობანი რამდენიმე თვალისა ანუ განყოფილებისაგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული გარკვეული დანიშნულებით გამოიყენებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, მრავალთვლიან კიდობნებში აწყობდნენ: ერთში ჯამ-ჭურჭელს, მეორეში გამომცხვარ პურს და თუ ოთხ თვალი იყო მასში ზედმეტ ფარხმალსაც ინახავდნენ. ერთთვლიანი და ორთვლიანი სახურავიანი კიდობანი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ახლაც გამოიყენებულა ფქვილისა და მარცვლეულის ჭურჭლად¹³⁹. ამგვარი კიდობნები ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ყაბარდო-ჩერქეზეთშიაც დამკვიდრებულა. ფხაკოს სახელით ცნობილი ჩერქეზული კიდობანი შერწყმული ფუნქციის მქონე დგამს წარმოადგენდა¹⁴⁰.

ფშავში ღღისათვის დადასტურებული საბარგე კიდობანი ტანსაცმლის და ქსოვილებისათვის განკუთვნილი საცავია, მაგრამ ბარგის ზოგადი ანუ სახლის ქონების მნიშვნელობით ხმარება, ისე როგორც საოჯახო ნივთების გამაერთიანებელი სვანური სახელწოდება — ბარგ, თავისთავად, საბარგე კიდობნის აღრინდელ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს¹⁴¹. ერთი სახის ავეჯი, რომელშიც ერთდროულად თავსდება სხვადასხვა ხასიათის ნივთები, კომბინირებულ ავეჯად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარ ავეჯს უნდა ასახავდეს ხევსურული კიდობან-კარადა. ავეჯის ამავე კატეგორიას შეიძლება განეკუთვნოს თუშური კიდობანი გამოსაღებელათ. ეს უკანასკნელი განსხვავებული ფუნქციის მქონე ორი სათავსოსაგან შედგება, სადაც გამოსაღებელათ არსებითად, წარმოადგენს ერთ-ერთი თვალის ცალკე გამოყოფის საწყის ფორმას.

¹³⁷ ცნობა მოგვაწოდა ეთნოგრაფმა კ. ჩოლოყაშვილმა.

¹³⁸ ლ. ბედუკიძე, 1960 წლის მთიულეთ-გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები დაცული საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

¹³⁹ ჯ. რუხაძე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, 1963, ტ. XII—XIII, გვ. 102.

¹⁴⁰ Е. Р. Бинкевич, История черкесского жилища (диссертация), Краснодар, 1946, стр. 137. ინახება მოსკოვის ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში.

¹⁴¹ ლ. ბედუკიძე, ქართული ხალხური ავეჯი (ფშავ-ხევსურული კიდობანი), საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1964, გვ. 21.

თუშეთში კიდობნები მასობრივად მზადდებოდა. დგამის ამ სახეობის კეთება, როგორც აღინიშნა, გარკვეულ ცოდნას მოითხოვდა და საქმეში განსაკუთრებით სოფ. ცოკალთას მებავეეები დახელოვნებულან. ამჟამად, მთათუშეთში, ცნობილი მეკიდობნეების ნიკო ჩქარეულისა და დავით მიქიაძის თითო-ოროლა ნახელავი კიდობანილა შემორჩენილა. ცოკალთელთა ნაკეთები კიდობნები ისე ოსტატურად იყო აწყობილი, რომ მთხრობელთა ჩვენებით, მასში ჩადგმული „თავახდილი არაყიცი არ გაქდებოდა“. ცოკალთური კიდობანი დამზადების თავისებური წესით გამოირჩევა. მის ისარ // ჩარჩოს, აწყობისთანავე საბლუჯს გაუკეთებდნენ, შემდეგ ბუდეებსა და ფიტოლებს წყლით გაქლინთავდნენ. გამზადებული კიდობანი საბოლოოდ საჭიკავით მიიზიდებოდა. მას ზეთით, ერბოთი ან ნავთით გაპოხავდნენ, რის შემდეგაც იგი საიმედო საცავად ითვლებოდა. კიდობნის დამზადების ეს წესი თავისებურია და ცოკალთელ მეკიდობნელთა დახელოვნების მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

კიდობნის კეთების პროცესი თითქმის არაფრით განსხვავდება კარადის კეთებისაგან. ეს უკანასკნელი, თავდაპირველად კიდობნის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა და მასთან შეთავსებით არსებობდა. კიდობანთან გაერთიანებულ კარადას ორი კარი ჰქონდა. ორივე კარი ერთ ვერტიკალზე იყო აბმული. დგამის ეს სახეობა უნდა წარმოადგენდეს ძველი კიდობნის ვარიაციას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კიდობანთან შეთავსებული კარადა, რომელიც ჯამ-ჭურჭლის შესანახს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში გამოეთიშა მას და ცალკე სათავსოდ იქცა კარადა კართან ულას სახელწოდებით¹⁴². რაც შეეხება თაროს იგი თუშეთში საყოველთაოდ იყო გავრცელებული და კარადის ფუნქციას ასრულებდა, თუმცა აღნაგობით განსხვავებული ხასიათის იყო და ამდენად იგი დგამის ამ სახეობის ლოკალურ-თუშურ ვარიანტად შეიძლება წარმოვიდგინოთ. თაროს, ისე როგორც სხვა ავეჯს, მოხელე ამზადებდა. მთხრობელთა ჩვენებით, „თარო ისე უნდა ყოფილიყო ჩაბმული, რომ რყევა არ დაეწყო“. აქაც თაროს კეთების ძირითადი პროცესი ჩარჩოს შეკვრაში მდგომარეობდა. თარო ფაქტიურად წარმოადგენდა კედელზე მიდგმულ სათავსოს (ტაბ. XXVIII, სურ. 2). ზოგ შემთხვევაში თარო მეჭზე იყო დაშენებული, ისე რომ მისი სასხლომად გამოყენებაც შესაძლებელი ხდებოდა. თარო სამი სართულისაგან ანუ თვალისაგან შედგებოდა: მაღლით, შუა და

¹⁴² იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის კოლ. № 12—27/72.

დაბლაე. მაღლით (ზედა) თვალი, როგორც წესი, კარიანი უნდა ყოფილიყო. შუა და დაბლა (ქვედა) დაუჭარილი¹⁴³.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებულ ავეჯთაგან, კეთების შრომატევადი პროცესის გამო, ყველაზე ძვირად კიდობანი და კარადა ფასობდა. საერთოდ, კიდობნის ფასი მისი სიდიდის მიხედვით განისაზღვრებოდა. ფშავ-ხევსურეთში „ოც ფუთ ჩამავალი“ კიდობანი ერთ ძროხად იყო შეფასებული¹⁴⁴. პატარა კიდობნის სიდიდის საზომად მტკაველი და ციდა იხმარებოდა¹⁴⁵. მტკაველის ანგარიშზე შრომის ანაზღაურება საქონლითა და ერბოთი უჭარბობდა.

სახლის ინტერიერში თარო, ისე როგორც კიდობანი, საღიაცო მხარეზე თავსდებოდა. მათი მოვლა ქალის მოვალეობას შეადგენდა. მთიელთა საცხოვრებელში ავეჯის განლაგების, მისი მუდმივი ადგილისა და ფუნქციის გათვალისწინების შემდეგ თარო და კიდობანი საქალეზო ავეჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, ყოველი საგანი თავისი დანიშნულებით ადამიანის მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული. ჩვენ მიერ განხილული ხალხური ავეჯი, სწორედ ამ სახის საოჯახო ნივთების რიგს განეკუთვნება. მისი კეთება ოსტატის ხელს საჭიროებდა, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიცია ასაზრდოებდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდე შემონახული ავეჯის დამზადების ხელოვნება ამ ტრადიციის ათვისებისა და მისი განვითარების შედეგია.

მ ე ს ა მ ი თ ა ვ ი

ავეჯის ორნამენტბი

ქართული ხალხური ავეჯის შემკულობის თავისებურება ხის დამუშავების ხალხურ ცოდნას ავლენს და აგრეთვე ხალხის ყოფისა თუ მსოფლმხედველობის შესწავლის პირობას ქმნის. ავეჯის დაჭრელების წესები და ჭრელის ხალხური განმარტება ავეჯის ორნამენტისა თუ მისი ცალკეული დეტალის მდიდარ ტერმინოლოგიას იძლევა. ქართული ხალხური ავეჯის ზედაპირის გაფორმებაში აშკარად მქდავანდება ის მხატვრული ალღო, რომელიც მკეთებელ ოსტატს გააჩნდა.


¹⁴³ აღწერილის მსგავსი თაროები მთათუშეთის ზოგიერთ სოფლებში (კაჯაბო, დიკლო, შენაქო) დღესაც შემონახულია.

¹⁴⁴ შტრ. კ. ფ. გა ნ, Путешествие в страну пшавов, хевсур, кистин и ингушей, «Кавказский вестник», Тифлис, 1900, № 4, 102.

¹⁴⁵ მტკაველი — ცერი და ნეკი გაჭიმული, ციდა — ცერი და ცერის შემდგომი თითი გაჭიმო, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928 წ. საინტერესოა, რომ მტკაველისა და ციდა-მტკაველის ხალხური ახსნა ამ ტერმინების საბასეული განმარტების თანხვედენილია.

საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ავეჯი ორნამენტაციის სხვადასხვაობისა და ფორმათა ვარიაციის მიუხედავად ტიპოლოგიურად ერთიანდება და საერთო კავკასიურ ავეჯის ტიპს ქმნის. თვალში საცემია ხალხური ავეჯის ორნამენტული სახეების სიფაქიზე და სიბრტყეობა.

საქართველოს მთიანეთში, უმეტესად კი სვანეთსა და ხევსურეთში შემონახული ავეჯის ზედაპირის ქარბად ორნამენტირება, ზოგიერთ შემთხვევაში, ფონის იგნორირებას, ან მინიმუმამდე დაყვანას იწვევს (სურ. 14). აღსანიშნავია, რომ ფონი ზოგჯერ XIX საუკუნის ჩრდი-




სურ. 14. სვანური კილოზის ფრაგმენტი.

ლოკავკასიური (ჩეჩნეთი) ავეჯის ორნამენტშიაც იკარგება¹. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ხალხური ავეჯის ორნამენტის განხილვისა და წინა პერიოდის ავეჯთან მისი შედარების შედეგად ავეჯის ზედაპირის ინტენსიური ორნამენტირება შესაძლებელია მოგვიანო პერიოდის დამახასიათებლად მივიჩნიოთ. ვიდრე შემკულობის ცალკეული ელემენტი დეტალურად გამოკვლეული არ არის — ჩვენ ეს მოსაზრება რა თქმა უნდა, ჰიპოთეზის ხასიათს ატარებს და ჩვენც ამ შემთხვევაში მხოლოდ საკითხის დასმით ვიფარგლებით (სურ. 15).

ავეჯის ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად დღემდე არსებული დგამის ნაირსახეობა დგინდება. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთისა და მთათუშეთის ზოგიერთ სოფლებში დამოწმებული კილოზების ცალი გვერდი ან ზურგი ამა თუ იმ ნიშნით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, მთათუშეთის სოფ. დიკლოში მცხ. 65

¹ მხედველობაში გვაქვს ჩაჩნური სკივრი, რომელიც გამოქვეყნებულია Br. Platshcke, Die Tschetschenen, Hambi, 1929, 100, Fig. 61. იხ. ტაბ. XXX, სურ. 2.

წლის ქეთევან ალექსის ასუ ჩილოძე-ვარდიძის ოჯახში დაცულია სულადის კილობანი, რომლის ზურგზე ორი ხაზია ამოღებული: სოფ. შენაქოში 70 წლის მარიამ ანდრიას ასულ ბუქვაიძე-ქუთაძე-ლაიძის კუთვნილი კილობანი ოსტატის თათარა ვარდიძის ნახელავია და წინთქმულის მსგავსი სამი ღარითაა შემკული. ფროსე გრიგოლის ძე ბაშინურიძის (მცხ. სოფ. ქვემო ალვანი, 70 წლისა) სულადის კილობანი



სურ. 15. ჩეჩნური კილობანი. Br. Plaetschke-ს მიხედვით.

ზე უმთავრესად კი მის მარჯვენა გვერდზე სამკუთხედი ყოფილა ამოკვეთილი. ჩამოთვლილი პირობითი აღნიშვნების საოსტატო დამღების რიცხვში განხილვა, ერთი და იმავე ოსტატის მიერ დამზადებულ ავეჯზე ამ ნიშნების განმეორებას არ უნდა გამორიცხავდეს. ამ ფაქტის უქონლობის გამო, პირობითი ნიშნები, რომლებიც მხოლოდ პურის კილობნებისა თუ ხარო-აკობის ცალ გვერდზე ან ზურგზე კეთდებოდა და რომელთა შინაარსი მხოლოდ განსაზღვრულ პირთათვის იყო ცნობილი, შესაძლებელია ჩვენ მიერ ხევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში ფიქსირებული სერების ანუ პარალელურად გაწერილი — გაღარული ხაზების მსგავსად ტევადობას აღნიშნავდეს². კილობნის

² ხევსურეთის სოფ. ლეხაისკარში, შატილში, ქაჯაბოში ჩაწერილი მასალის მიხედვით, კილობნების ზურგსა და გვერდზე ბოლოებით შეერთებული ორი სერი ერთ ოც კოდს აღნიშნავდა, მთიულეთ-გუდამაყარში კი იგივე ნიშანი ორ ოცის (40) მაჩვენებელი იყო. ზოგიერთი ავეჯის უპასპორტობა მასზე წარმოდგენილი ნიშნების აღდგენას ართულებს, ამიტომ გამიიფრული ნიშნები თავისებურ ეტალონად უნდა მივიჩნიოთ.

ჭურჭე სხვა ნიმუშებიც გვხვდება (ტაბ. VI, სურ. 1—5). ამ ნიშანთან
ზოგიერთი ხის წლოვანების აღნიშვნულ ჭდეებს ემთხვევა ან მათ შო-
რის განსხვავება იმდენად მცირეა, რომ ისინი შეიძლება ერთნაირნი
ნებად მივიჩნიოთ (ამ უკანასკნელთ დაწვრილებით ქვემოთ განვიხი-
ლავთ). ნიშანთა იგივეობა კი მათი შინაარსის თანხედენის მტკიცების
შესაძლებლობას იძლევა. ყურადსაღებია, რომ ამ ნიშნებიდან ზოგიერ-
თი (ტაბ. VI, სურ. 4—5) მცხეთის განათხარ ჭურჭელზე მოცემული აღ-
ნიშვნების იდენტურია. რა თქმა უნდა, მსგავს ნიშანთა რიტუალური
ან მაგიური მნიშვნელობა არ არის გამორიცხული³. სხვადასხვა აზრია
ჯამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში ხსენებული აღნიშვნების
შესახებ⁴. ეს აღნიშვნები ხელოსნის ნიშნად ან სათვლელ დამლებადაა
მიღებული.

ა. აფაქიძე ამ ნიშანთა ასახსნელად უკანასკნელ მოსაზრებას იზი-
არებს⁵. ზოგიერთი ნიშნის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ახ-
სნის შესაძლებლობა მკვლევრის სავარაუდო აზრს ეთანხმება. ყოველ
შემთხვევაში ჩამოთვლილი ნიშნების რიცხობრივ მონაცემად მიჩნევის
საშუალებას იძლევა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ხის წლოვანების
მაჩვენებელი ნიშნებიც.

ხის მოჭრის ტექნიკური პროცესი ამა თუ იმ ხის ჯიშის წლოვანე-
ბის გათვალისწინებით სრულდება. ხალხის დაკვირვებით, საავეჯედ მო-
ჭრილი ზრდადასრულებული ხე მარჯვე დასამუშავებელი იყო. ნ ა დ უ-
ღ ა ვ ი — ბ ე ბ ე რ ი ხ ე კ ი ჯ ა ფ ი — ა დ ვ ი ლ ა დ გასატეხი. შერჩეულ ხეებს
ნი შ ა ნ ს - ლ ი შ ა ნ ს - ს ე რ ს ა დ ე ბ დ ნ ე ნ ან ზოგიერთის გადმოცემით
გაწერავდნენ (გახზავდნენ), რაც კუთვნილ ნივთზე პიროვნების ხელ-
ლებას აპირობებდა. ხეზე პიროვნების ხელლების კანონის არსებობას

³ О. М. Дж а п а р и д з е, Археологические раскопки в Триалети в 1959—
1962 гг. «Советская археология», 1964, № 2.

⁴ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1,
თბილისი, 1963, 76; შტრ. Б. Б. П и о т р о в с к и й, Археологические раскопки
в Армении, № 2, Кармир-блур, I, Ереван, 1952, стр. 19. ზოგიერთი ნიშანი თავისი
ფორმით დამლას წააგავს, რომელიც ჩრდილოკავკასიურ ჭურჭელზე ჩვ. წელთაღრიცხ-
ვას დასაწყისიდან გვხვდება. В. В. В и н о г р а д о в, Сарматы северо-восточного
Кавказа, Грозно, 1963, стр. 77. ნიშნულში აღმოჩენილ სპილოს ძვლისაგან ნაკეთებ
საწერ დაფაზე ამოკვეთილ ნიშნებს, რომელთაგან ზოგიერთი ზემოთქმულს ედრება, მარ-
გარიტა ჰოვარდი დაწვრილებით აღწერს. რადგან ამგვარი აღნიშვნები ყველა დაფაზე
არ გვხვდება, ამიტომ პატ. მკვლევარი ხელოსნის დამლად მათი მიჩნევის ვარაუდს იძლე-
ვა. М. Н о w a r d, Technical discription the ivory writing-Boards from Nimrud,
fig 4, p. 14, Iran, vol XVII, part I, 1955.

⁵ ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ხის სესხად გატანის დოკუმენტებიც ადასტურებენ⁶. ყურადსაღებია ხის დანიშვნის წესი, რომლის არსებობა საქართველოს მრავალკუთხე- ში და მოწმობის და მეცნიერულად გააზრებული. ამ აღნიშვნის სა- მეცნიერო ლიტერატურაში საგვარეულო ნიშნები ეწოდებათ. მათი მრავალი სახელწოდება დგინდება. თ ა ჯ ი — აჭარაში⁷, და დ ა რ — სვანეთში⁸, ნ ი შ ა ნ ი — ბორჯომის ხეობაში⁹, და ჯ ვ ა რ ვ ა გურია-სა- მეგრელოსა და რაჭაში¹⁰, თ ა რ ჯ ი ქართლში მთიულეთ-გუდამაყარში. მთათუშეთში ჩვენ მიერ ფიქსირებულ თარჯის ნიშნების მრავალფე- როვნებას მათი სახელწოდებების ნაირგვარობაც მოწმობს: ჭ რ ა ქ ე ი, ხ ა ტ ი, კ ბ ი ლ ა, მ ო კ ა უ ლ ი, ე ლ მ ა მ. ამ ნიშანთა უმრავლესობა ხეზე კვეთილ ორნამენტის ფრაგმენტებს წარმოადგენს და ორნამენ- ტისავე ხალხურ განმარტებას ესიტყვება.

ნიშანდებული, ე. ი. სხვისი კუთვნილი ხის მოჭრა დანაშაული იყო. მოჭრილი და დამზადებული ხის მოპარვა კი ცოდვად ითვლებოდა და როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვკითხულობთ „ფასით იყო შეჯერებული“¹¹. თუშური მასალის მიხედვით, ფასით შეჯერება ხის წლოვანების გათვალისწინებით წარმოებდა. ხალხური დაკვირვე- ბის მიხედვით, ზრდაში მყოფი ხის წლოვანება ნიშან-ჭდეებით გამო- იცნობოდა, რომელიც ამავე ხის ტოტების მუხლების რაოდენობით ცანისაზღვრებოდა. წლიური რგოლები კი მოჭრილი ხის წლოვანების მაჩვენებელია. ხალხურ ცოდნაზე დაყრდნობა ხეზე კვეთილი ზოგიერ- თი ნიშნის გაშიფვრის შესაძლებლობას იძლევა (ტაბ. VI, სურ. 6—9). ციფრის ადეკვატური მნიშვნელობით ამა თუ იმ ნიშნის ხმარება თით- ქმის მსოფლიოს ყველა ხალხებში დასტურდება¹². შ. ამირანაშვილის

⁶ ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისა- თვის (საბუთები), წიგნი I, საბუთი 3562.

⁷ ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევისურული, თბილისი, 1939, გვ. 3; თ. ჩიქოვანი, ზემო აჭარული სახლი, ბათუ- მის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, ბათუმი, 1960.

⁸ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, გვ. 23.

⁹ გ. ვასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962, გვ. 26.

¹⁰ მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველო- დან, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX-B, 1956, გვ. 130.

¹¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, (ტექსტი) მოამზადა თ. ენუქიძემ, თბილისი, 1955, გვ. 144.

¹² შტრ. Г. А. Ахмедов, О «Тимуровской стене» города Байлакани, «Со- ветская археология», 1964, № 1, стр. 272. ზოგიერთი ნიშანი (მაგ. მექსიკელებთან 5-ის აღნიშნული ჰორიზონტალური ჭდე) ზემოთქმულის მსგავსია და ახსნაც აღწერილის თანხვედრილი ჩანს Ч. Л о у к о т к а, Развитие письма, Москва, 1950, стр. 292.

გამოკვლევის მიხედვით, გარდა ნახატებისა, რომელთა რაობა ირკვევა შედარებისა და გარკვეული ძიების შედეგად, არსებობს მრავალი არათანასწორი, მეტწილად ჰორიზონტალური ხაზებისაგან შემდგარი ნახატები, ზოგ შემთხვევაში ვიწრო თანაბარ უჯრედებად დაყვანილი. რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ აღრიცხვითი უნდა იყოს¹³. როგორც გამოკვლეულია დიდი მოცულობის სამარხის კამერის აგების დროს შესრულებული შრომატევადი სამუშაო აღინიშნებოდა პირობითი ნიშნით ხაზების საშუალებით იქვე ქვაზე. შ. ამირანაშვილის დაკვირვებით. ამგვარი პირობითი ნიშნების განაწილების შესწავლა უთუოდ აღრიცხვის წესის არსებობაზე მიუთითებს¹⁴. ხეზე კვეთილი ნიშნის და რიცხვის თანხვედრის ფაქტი მოკლებული არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ ამ ნიშნებს, როგორც ქართულ, ისე არა ქართულ სამყაროში თავისი ისტორიული ფესვები გააჩნია¹⁵.


¹³ შ. ამირანაშვილი, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები, ვაზ. „კომუნისტი“, 1961 წ., 2 დეკემბერი, № 273. ამ მხრივ ინტერესს უნდა იწვევდეს შუა საუკუნეების ქ. ბაილაკანის (ორენ კალა) კედლის ნანგრევებზე აღმოჩენილი თავისებური არითმეტიკული ცხრილი, რომელიც ზოგიერთი ნიშნის დეშოვრებით მიიღება. Г. М. А х м е д о в, О «Тимуровской стене» города Байлакана, Советская археология, 1964, № 1, стр. 272.

¹⁴ შ. ამირანაშვილი, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები. ინტერპრეტირებული წერილის მიხედვით ამგვარი ნიშნების აღრიცხვა შესრულებულია გ. ჩუბინაშვილის მიერ მცხეთის მცირე და დიდი ჯვრის, წრომის და ატენის სიონის ტაძრების არქიტექტურის შესწავლის დროს. იხ. გ. ჩუბინაშვილი, ჯვრის ტიპის არქიტექტურული ძეგლები, თბილისი, 1948, გვ. 64.

¹⁵ ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ყოფაში შემონახული წესი, რომელიც ცხვრების ერთ ოცობით გადათვლასა და თითოეული ოცეულის ნაქდევით გამოსახვაში მდგომარეობს. მასასადამე, ცხვრის დათვლის მიზნით ჯოხზე ამოკვეთილი ყოველი ჭდე გარკვეულ ციფრს აღნიშნავს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში რიცხვი 20 გამოიხატება:

XIX საუკუნის საქართველოში შეთულუხეებს წყლის აღრიცხვა ჯოხზე გაკეთებული ჭდეებით უწარმოებიათ. თვლის ასეთივე წესი პურის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით იმდროინდელ სახაზობებშიაც დამკვიდრებულა; (გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, ბუჩქეუაზიული ხანის ისტორიის მასალების შემკრები 1957 წლის ექსპედიციის ანგარიში).

ციფრების შესატყვისი ჭდეები, რომლებიც სათვლელ ჩხირებზე კეთდებოდა ჯერ კიდევ ძველ რომში tallia ანუ taleae-ს სახელით ყოფილა ცნობილი. გადასახადის აკრეფის დროს ამ ჭდეებით სარგებლობის ტრადიცია რომში XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე შემოინახა. ამგვარი ციფრობრივი მონაცემები (tally-sticks) ინგლისში ჯერ კიდევ 1834 წელს იყო ძალაში. შოტლანდია კი ამგვარი ჭდეებით XX ს-მდე სარგებლობდა. 1965 წლის მონაცემით შვეციის ერთ-ერთ კანტონში რძის ყიდვა-გაყიდვაზე კვეთილი ჭდეებით ირიცხებოდა. ცენტრალური აფრიკისა და პოლინეზიის აბორიგენებთან კი ეს ნიშნები დღემდე სარგებლობაშია. Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, стр. 20.



ქართველ მთიელთა ავეჯის ორნამენტირების წესების იგივეობის გამო ცალკეული კუთხის ავეჯზე კონკრეტულად არ შევჩერდებით. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ავეჯის შემკობის სურათებიც ვაჩვენებთ. ვად ქართული მნიშვნელობით განვიხილავთ.

მთური ავეჯიდან დიდი და მცირე კიღობნები, კროჭები, ტაგრუცები, სასხდომი მერხები (ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი), სავარძლები (ხევი, მთიულეთი), საწოლები (ხევსურეთი) და სათავსქვიო ფიცრები — ბაცანკალებია (მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი) დაჭრელებული. აღნიშნული ავეჯის ისარ-დირეებს (ჩარჩოს) და ზოგჯერ მხოლოდ ფასადს მდიდრული ნაჭრელი ამკობს, რომელიც შესრულების მანერითა თუ მხატვრული სახეების ნაირგვარობით სვანური ავეჯის ორნამენტის საერთო სტილს ეთანხმება.

ფოთლოვანი ჯიშებიდან განსაკუთრებით ცაცხვის მერქანია საუკეთესო საჭრელებლად მიჩნეული. მისი სუფთა თეთრი ფერი ორნამენტისათვის ლამაზ ფონს ქმნის. ცაცხვის, ისე როგორც კაკლის მერქნის ქსოვილი ერთგვაროვანია და წლიური შრეები თითქმის შეუმჩნეველი.

ხის სტურქტურის ამგვარი ერთგვაროვნება ანუ ხალხის თქმით „სისადავე და ლიპიანობა“ ხეზე კვეთილობის საუკეთესო პირობათაგანს წარმოადგენს¹⁶. ფიჭვისა და ნაძვის აღნაგობაზე ეს არ ითქმის, რის გამოც მისგან დამზადებულ ფიცარზე ჭრელების გამოყვანის დროს სიზუსტის დაცვა შეუძლებელი ხდება. საჭრელებლად ნაძვისა და ფიჭვის მერქანის გამოყენებას ცხიმიანობის გამოც ერიდებოდნენ (ოსე ანდრიას ძე ბაშინურიძე, 80 წლის, ქვ. ალვანი, 1964 წელი).

ხისა თუ ლითონის ნახელავის შესამკობად ქართველ მოხელებს სხვადასხვა სახეები გამოჰყავდათ. ამ პროცესს დაჭრელება ეწოდებოდა, გამოსახულ ორნამენტს კი ჭრელი.

ტერმინის „ორნამენტი“ შესატყვისად საქართველოს მთიანეთში ხმარებული სიტყვები: ჭრელი (ხევსურეთი), ნაჭრელი (ხევი), კვეთილ-ჭრელი (თუშეთი), ლჭრელე (სვანეთი), სიტყვის — ჭრელი სახესხვაობას წარმოადგენს. ამიტომაც მართებულად მიგვაჩნია ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მიზანშეწონილადაა მიჩნეული ორნამენტის ნაცვლად მისი ადეკვატური მნიშვნელობის მქონე ტერმინის — ჭრელის ხმარება¹⁷.

¹⁶ ხსენებული მიზნით კაკლის ხის მერქნის მასობრივად გამოყენებას X—XI საუკუნეების მხატვრული შემოქმედების ნიმუშთა ანალიზიც ცხადყოფს. Н. Ч у б и н а ш в и л и, Грузинская средневековая художественная резьба по дереву (переломы X—XI вв.), Тбилиси, 1958, стр. 102.

¹⁷ ნ. რეხვიაშვილი, რკინის ჯაჭვური ხელაღი, თბილისი, 1964 (ხელნაწერი), გვ. 10.



ქართული ხალხური ავეჯის კრელის გამოსაყვანად, როგორც წესი, დანა, ეჩო, სატეხი, ხოწი და ხვედა იხმარებოდა (საჭრელბებელ დანას ხეშში — ო რ პ ი რ ა და ხევსურეთში დანა — უ რ ს ა ეწოდებოდა). უფრო ადრე ყველა სახის სადღურგლო სამუშაო ცულოთ სრულდებოდა. ქართული ცული — ხის საჭრელი იყო და ხელცულა — ნაჯახი — დასამუშავებელი. ცული თავისებური უნივერსალური იარაღი იყო და ხალხის მიერ „დღურგლის მარჯვენად“ იწოდებოდა, რასაც ადასტურებს ხის ოსტატის მიმართ ნათქვამი გონებამახვილური თქმები: „ცული ყველა საქმის თავია“. „დღურგლის გონება ცულის მოძრაობაში ჩნდება“ და სხვა.

დასაჭრელბელი საგნის ზედაპირზე სასურველი სახეების გამოყვანა უმთავრესად მარცხნიდან მარჯვნივ წარმოებდა. ყურადსაღებია თვით ორნამენტის დეტალების ასხნის წესიც, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი მასალის მიხედვით ზემონათქვამის მსგავსად პოზიტიური ჩანს, ე. ი. მარცხნიდან მარჯვნივ სრულდება¹⁸.

გ ა წ ე რ ი ლ ის ამოსატეხად სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის სატეხებს იყენებდნენ: დ ი დ ს ა ტ ე ხ ე — სამკუთხედის ამოსაკვეთი, ც ო ტ ა ს ა ტ ე ხ ე — დარის ამოსაღები და ჩ უ ლ უ ხ ი — (ხეწი) — ამოსაგულავი.

გეომეტრიული ორნამენტაციის ერთ-ერთ რთულ სახეობად სამკუთხედების ამოკვეთა ითვლებოდა. ამგვარ ორნამენტს თუშეთში ნ ა ქ ა რ დ ა, ფშავში ნ ო ქ ვ ი ს კ რ ე ლ ი და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში ბ უ ღ ა უ რ ი ეწოდებოდა (ტაბ. VII, სურ. 2). იგი წინასწარი მონახაზის მიხედვით სრულდებოდა. ნახაზის გასაკეთებლად დანასა და ნახშირს იყენებდნენ. ნახშირით მოჩარჩოებულ ოთხკუთხედში გავლებული ორი ურთიერგადამკვეთი ხაზის ამოკვეთა კრელის აღნიშნულ სახეობას იძლეოდა. ოსტატი დამრეცად (45°) იმარჯვებდა სატეხს და თავისკენ ეზიდებოდა (ტაბ. IX). რადგან სამკუთხედების ამოკვეთა ზემოდან დაკრით წარმოებდა, ამიტომ ერთი მათგანის ამოგულვის — ამოღების შემდეგ ფიცარს მარცხნიდან მარჯვნივ გადააბრუნებდნენ და სამკუთხედების კვეთას კვლავ ზემოთქმული წესის დაცვით ასრულებდნენ. ამოკვეთილი სამკუთხედების წმენდა სატეხის ქვემოდან ზემოთ მოძრაობითაც შეიძლე-

¹⁸ როგორც ევვიპტისა და სუმერეთის მაგალითზეა გარკვეული, ყოველი ნიშანი თავდაპირველად რაიმე სიტყვას ასახავდა, Ч. Лоукотка, Развитие письма, Москва, 1950, гл. III, табл. 1; гл. IV, табл. 2; იქნებ ქართულ ავეჯზე მოცემული ორნამენტის ზოგიერთი დეტალის ხალხური განმარტება ამ მხრივაც იყოს საინტერესო.

ბოდა. სატეხის ამგვარი მოძრაობა წინთქმულთან შედარებით ზედაპირული იყო. ზედაპირულობა კი საჭრელებელ ფონთან შედარებაში გამოიხატებოდა. ეს სამუშაო სამკუთხედის კვეთის დასასურულს წარმოადგენდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსეთში ორნამენტირება ამოწვის საშუალებითაც უწარმოებიათ, რაც მკვლევართა მიერ ხეზე კვეთილობის ერთ-ერთ უძველეს სახეობადაა მიჩნეული¹⁹. ნაჭრელისა და საერთოდ ავეჯის საპრიალებლად ქუმლის (სელი) ზეთს იყენებდნენ. ხის ნივთების დამუშავება-შემკობის დროს ზეთის გამოყენება ამ უკანასკნელის მრავალმხრივი მნიშვნელობით ხმარების მაგალითს წარმოადგენს²⁰. სელის ზეთის ამავე მიზნით ხმარება სხვა ხალხთა (ვოლგისპირელი რუსების) ყოფაშიც დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ხსენებული კუთხის ხალხთათვის ცნობილი ყოფილა აგრეთვე სელის ზეთისაგან თეთრი და შავი პრიალას დამზადება. პრიალა როგორც წესი, ხის ჭურჭლისა და ავეჯისათვის იყო განკუთვნილი²¹.

ორნამენტი **ჯ ა რ ა ნ ა** (თუშეთში) ანუ წრეხაზში ამოკვეთილი სამკუთხედი, ხევისურული ბორჯღალა თუ მთიულური ბორჯღლის ჭრელი (გასხვივონებული წრეხაზი) წინთქმულის ანალოგიურად სრულდებოდა. ქართული ავეჯისათვის დამახასიათებელი სხვა ორნამენტები კი ფარი²² (ტაბ. VII, სურ. 3), **ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა** (ტაბ. VII, სურ. 4), თუშური ჭრელები — **ც ი კ ი ნ ი ს ყ უ რ ა**, **კ უ რ დ ლ ი ს ყ უ რ ა**, **ჭ ი რ კ ვ ა ნ ა** (ტაბ. VII, სურ. 5). დანის წვერით ან საჭრისით კეთდებოდა. ამგვარად დაჭრელებულს დანის წვერით ნაჭრელი კარგი ხელი ან დაჭრელებული ეწოდებოდა. გ. ბოჭორიძის მიერ თუშეთში დამოწმებული ორნამენტის ზოგიერთი დეტალი, კერძოდ: ჭირკვანა, ჩადუნა, ჯარანა, ნაფოტა, მის მიერვე დამოწმებული ქსოვილის შემკულობის იდენტური ჩანს²³.

ნაჭრელს ოსტატი აკეთებდა. ხალხის თქმით, „კაი ხელის“ ოსტატი ზოგჯერ „5—6 წლის კიდობნებსაც“ კი დააჭრელებდა. დიდი ხნის წინათ შეკრული ავეჯის დაჭრელებას მთათუშეთში თავისი წესი ჰქონია.


¹⁹ Б. Андиев, Р. Андиева, Осетинский орнамент, Орджоникидзе, 1960, стр. 177.

²⁰ სელის ზეთის მნიშვნელობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ლ. მ ო ლ ო დ ი - ნ ი ს ნაშრომი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბილისი, 1963.

²¹ Е. Зябловский, Землеописание Российской империи, ч. IV, С.-Пб., 1810, стр. 154.

²² აღნიშნული ნიშნის მსგავსება ხუცურ ანბანში მოცემულ ასო ფ-სთან არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

²³ სცა, გ. ბოჭორიძის არქივი, ფონდი 1753, საქმე 118, გვ. 43.



ავეჯის გამომშრალ და გამხმარ ფიცარს ერბოსა და ზეთს წაუსვამდნენ, რომ სატეხის დაკვრით არ დამსკდარიყო. ცხიმი ხის ქსოვილს უჯდებოდა და არბილებდა²⁴. დასაჭრელებელი საგნის ზედაპირის მხრივ მით გაპოხვა ხალხის დაკვირვებით ხეზე კვეთილობის საუკეთესო პირობას ქმნიდა. ჩანს, რომ ცხიმს საკვებად გამოყენების გარდა სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონია. შედარებით ახლად გაკეთებული ავეჯის დასაჭრელებლად ფონს ნახშირწყლით ასველებდნენ და ამოკვეთის შემოაღნიშნული ხერხის შემწეობით ჭრელით ფარავდნენ²⁵. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევი, თუშეთი) ცხიმისა და ნახშირის ნარევეს ავეჯის მოსახატავადაც ხმარობდნენ. ნახშირისა და ქონის ნარევის შემოაღნიშნული მიზნით ხმარებას განსაკუთრებით ახლო ანალოგი მოეპოვება რუმინელებში არსებულ ხის ღებვის წესთან²⁶ და ამდენად იგი (ქართული წეს-ჩვეულება) ახალს არაფერს შეიცავს, მაგრამ ამ ზოგადი ხასიათის წესთან ერთად მისი სრულიად ორიგინალური ვარიანტიც მოგვეპოვება. თუშური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ფანქრად ნახშირის და საღებავის მაგიერ საქონლის ან ღორის ქონში გახსნილი და აზელილი დამწვარი ქერის ხმარება დასტურდება²⁷. ცნობილია, რომ ხალხი ნახშირს თილისმად იყენებდა, რომ ნახშირი საერთოდ ავი თვალისა და ავი ფეხისაგან დასაცავ აპოტროპეული ხასიათის საგანს წარმოადგენდა. მთიულეთ-გუდამაყარში ფიქსირებული მასალის მიხედვით, წმინდა კილობანში ყოველწლიურად ლომისის ხატისათვის შეთქმული სამი ზედაშე უნდა ჩაედგათ და ნახშირის სამი ნატეხი უნდა ჩაეყოლებინათ.

ყურადღებას იქცევს ამ პროდუქტების ამოღებასთან დაკავშირებული ცერემონიალი და მასთან დაკავშირებით გარკვეული ნიშნის დასმა. სახატე ქილებისა და ზედაშეს ამოღების შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცი კილობნის ფსკერსა და სარქელის თავზე ნახშირით გახაზავდა ორ ურთიერთმკვეთ ხაზს (ტაბ. VIII, სურ. 1) და დაცლილ ქილებს შიგვე ჩადგამდა. გუდამაყარის ზოგიერთ სოფელში დღემდე დაცული კილობნის ამგვარი „გახატვის“ წესი ხალხის ახსნით „გაწმიდავებასთან“ იყო დაკავშირებული. ყოველწლიურად ნახშირის მოსმით განახ-

²⁴ მასალა ჩაწერილია 1963 წ. მათაუშეთის სოფ. ზოჭორმაში, სოფ. დანოს მცხოვრებ 58 წლის ნატო ვგნატეს ასულ ლეხუმაიძე-ელენიძესთან.
²⁵ გ. ბოჭორიძე, თუშეთი, საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 1753, საქმე 115, გვ. 108.
²⁶ G. Oprescu, Peasant art in Roumania, London, 1929, 28.
²⁷ ცნობა მოგვაწოდა ქვ. ალვანში მცხ. 50 წლის ანიკო ერისტოს ასულ ჯიხოვილი-ბარამიძემ. იხ. აგრეთვე საქართველოს ცენტრალური არქივი, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი 1753, საქმე 115, გვ. 452.

ლებული ნიშანი, რომელიც „სამსხვერპლო“ პროდუქტების გატანის წესის აღსრულების მანიშნებელი იყო, თავისთავად კიდობანში მოთავსებული ნივთებისა და თვით კიდობნის რელიგიურ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. წმინდა კიდობანზე დახატული ორი ურთიერთმკვეთი ხაზი ემსგავსება ან ახლომდგომობას ამჟღავნებს ნიშანთან, რომელიც ენეოლითური ხანის დერგების ცალ მხარეზე იყო გამოყვანილი. ტ. ჩუბინიშვილის გამოკვლევით ჭურჭლის ერთ მხარეს მოქცეული ნიშანი გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო²⁸. მაგრამ თუ მართებულად მივიჩნევთ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ამ აღნიშვნების შინაარსის ამოხსნას მეტ-ნაკლებ საშუალებას იძლევა, დასაშვებია, რომ განათხარი თიხის დერგის ერთ მხარეზე გამოყვანილ ზემოთქმულ ნიშანს საკრალური მნიშვნელობაც ჰქონოდა.

ყოფაში შემონახული ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ ხელოსანი კიდობნის გულის ფიცარზე და სკამის ღირეების ფასადზე ამოკვეთილი ჭრელიდან მხოლოდ ნაქარდა-ხუთას ფარავდა საღებავით. დაშვებულ გამონაკლისზე ჭერჭერობით ვერაფერს ვიტყვით. ეს კი ცხადია, რომ ოსტატი საღებავის მომჭირნეობას ეწეოდა და თითქმის ყოველთვის ავეჯის მხოლოდ ფასადს ღებავდა. ავეჯის შესაღებად ზოგიერთ შემთხვევაში წითელ საღებავსაც ხმარობდნენ, რომელსაც ჟანგმიწიდან ღებულობდნენ²⁹. ხისა და ქსოვილის წითელ საღებავს ენდროს ძირიდანაც ამზადებდნენ. 10—15 ძირ ენდროს 2—3 ხელადა (ხელადა დაახლოებით 2 ლიტრაა) წყალს დაასხამდნენ და 10—15 ცალ ლოკოკინას ჩააყოლებდნენ. ლოკოკინას ხალხი მაგიურ ძალას მიაწერდა და სულადის (ხორბლეულის) ხვავიანობის ერთ-ერთ მიზეზს ლოკოკინის ნარევით დამზადებული საღებავის გამოყენებაში ხედავდა³⁰. თუ გავითვალისწინებთ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში მეწამული ფერის საღებავის დამზადების ტრადიციის არსებობას, რომელიც

²⁸ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბილისი, 1963, გვ. 91, სურ. 77.

²⁹ გამოქვაბულის კედლების ან ცალკეულ ნივთების მოხატვისა და საერთოდ წითელი შეფერილობის ინტენსიურად ხმარების კვალი (ქართულ) პალეოლითურ ძეგლებში შეინიშნება. წითელი ოხრის ჟანგმიწის ხმარება ჭერ კიდევ საკაჟიას გამოქვაბულის განათხარი მასალით დასტურდება. С. Н. З а м я т н и н, Палеолит западного Закавказья, Палеолитические пещеры Имеретии, Сборник Музея антропологии и этнографии XVI, М.-Л., 1957, стр. 479. ჟანგმიწით ავეჯის შეღებვა, კერძოდ კი სკივრებისა და ხელყუთების წითლად შეფერვა არც ეგვიპტისათვის ყოფილა უცხო. M a x E b e r t, Reallexikon der Vorgeschichte, Berlin, 1928, p. XII.

³⁰ 1964 წლის თუშეთის ეთნ. ექსპედიციის მასალები. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.

მოლუსკების (*murex trunculus*) გამოყენებას ვარაუდობს, აღწერილ ჩვეულებას, ვფიქრობთ, რეალური საფუძველი ექნება დადესტნური ჭურჭლის განხილვით ირკვევა, რომ ორნამენტება შეღებულ ფონზედაც უწარმოებიან. შესაღებად ყვავილის ხმარება დასტურდება (ყვავილის სახელი არ არის ცნობილი). ჭურჭლის ზედაპირის ყვავილით წმენდა ფონის გამუქებას (გაშავებას) იწვევდა. მუქ ფონზე შესრულებული ნაჭრელი კი მკვეთრად იყო გამოყოფილი³². ანალოგიურ მოვლენას ქართულ ყოფაში კაკლის ფურცლით ან კაკლის ლაფნით — ქერქით დასაჭრლებელი ფონის გაწმენდა უნდა წარმოადგენდეს. მთათუშეთის სოფ. დიკლოში ჩაწერილი მასალის მიხედვით (მთხრობელი ქეთო ალექსის ასული ჩილოლიძე-ვარდიძე 65 წლისა) კარგი ოსტატი პირველად წრებას — მზეს მოხაზავდა, დაილოცებოდა და შემდეგ სხვა ჭრელს გამოიყვანდა. მზის შემოხაზვისას დასძენდა „არავინ გამოგვაკლოვო“ და უფალს საქონლისა თუ ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას — შესთხოვდა. შემდეგ კი წრეში სამკუთხედს ამოკვეთდა. ოსტატის რწმენით „ნაქარდას გაწერვა“ ძროხის გადარჩენას ემსახურებოდა. ოთხკუთხედის გაწერვის დროს წარმოთქმული ლოცვა კი საერთოდ რქოსანი საქონლის გამრავლებისათვის იყო გამიზნული. ქვემო სვანეთში „ისგნტაფის ლჭრელეს“ და განსაკუთრებით წრებაზის მოხაზვის დროს წარმოთქმული ლოცვა-ვედრება „ბარბოლისადმი იყო მიმართული“ (ერისტო ეფთის ძე ზურაბიანი, 95 წლის, მცხ. სოფ. ტვიბი, ჩოლურის სასოფლო საბჭო, 1965 წ.). ბარბოლი // ბარბალ კი მსხვილფეხა საქონლისა და მისი მეურნეობის უზენაეს მფარველად მიიჩნდათ³³.

ამ ღვთაების სახელზე განკუთვნილი ღვთაებების ღვთაური ანალიზი და მეცნიერული ინტერპრეტაცია, რომელიც ვ. ბარდაველიძის მონოგრაფიაშია მოცემული, ბარბალეს არა მხოლოდ ქალური ნაყოფიერების ღვთაებად, არამედ ასტრალური ბუნების ქალღმერთად წარმოაჩენს³⁴. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალის მიხედვით, ავეჯის დაჭრელების დროს წარმოთქმული ლოცვა-ვედრება, აგრეთვე ქვემო სვანეთში ჩვენ მიერ დადასტურებული ჭრელის სახელწოდება

³¹ Н. Д. Флитнер, Искусство Двуречья и соседних стран, Москва, 1958, стр. 195.

³² А. Миллер, Древние формы в материальной культуре современного населения Дагестана, Материалы по этнографии, том IV, выпуск первый, Ленинград, 1927, стр. 27.

³³ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 8.

³⁴ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

„ბ ა რ ბ ა ლ“ და თვით ჭრელის მსგავსება ბარბალეს სახელზე შეწერიულ საგნებთან (დახვრეტილი ფიქალი და კვირისტავები) ბალეს ასტრალური ბუნების შესახებ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმება³⁵ და აღნიშნულ ჭრელს მზის ღვთაების ემბლემად სახავს. „ეთნოგრაფიული გადმონაშთების მიხედვით, ბარბალეს ბალსქვემოური შესაწირავი ფიქალის, კირქვის, თუ ლითონის კვირისტავი ჩერმდა და მისი მსგავსი საგნები, ლაშხური და ლენტეხური შესაწირავი კვერები თემი ტაბლარ, ქართული შესაწირავი ცვილის და ვერცხლის თვალის კაკლები, ბალსქვემოური ხ ა ტ ი ვირგედ, რაჭა-ლეჩხუმური, საახალწლო გვერგვი, გურული საახალწლო კალპი, ქართული ნეფე-დედოფლის გვირგვინი, სვანური (ფარისთ) საახალწლო კვერი ქალბაბარ და სვანური (უშგულური) მარმარილოს ბურთი ქუთი ყუბაბ — ასახავენ მზეს, როგორც რგოლს, დისკოს, თვალს მ ზ ი ს ფერს (ყვითელი, თეთრი), სხივოსნობას და ელვარებას“³⁶.

მნათობი ღვთაების სიმბოლურ გამოსახულებად შეიძლება მივიჩნიოთ მზის დისკოს ფორმის დახვრეტილი კვერები და ბ ა ც უ კ ე ბ ი, რომლებიც მთათუშეთში სხვადასხვა დროს ცხვებოდა. „ჭერში ჭყეტი-ად“ წოდებული კვერი, რომელიც ქვემო ალვანში ნ ა ც ა რ - ქ ი ა ს — კერის დედის სახელით იხსენიებოდა და რომელსაც მთხრობელთა ცნობით, „ადამიანის გვარსაც“ უწოდებდნენ³⁷.

მაშასადამე, ხალხი ოდესღაც თაყვანს სცემდა მზეს და მას სიმბოლურად ნაირგვარი წრეხაზებითა და ბორბლით გამოხატავდა. მზის ღვთაების სიმბოლურად გამოხატვას შორეული ანალოგები მოეპოვება. როგორც გამოკვლეულია „ფრთოსანი მზის დისკო ეგვიპტელების ღვთაება ჰორუსის სიმბოლოს და ატრიბუტს წარმოადგენდა. ბაბილონში მზის ღმერთის ემბლემა მრგვალი დისკო ყოფილა ცენტრში ოთხქიმიანი ვარსკვლავით გასხივოსნებული. უძველეს ვაზებზე და ზოგ პლასტიკური ხელოვნების ნაწარმოებში ბერძნული ღვთაებები ჰელიოსი და სელენე ბიუსტების სახით წრეში იყვნენ ჩახატული და ადამიანის მთლიანი ფიგურის სახით მოცემულებს მათ თავზე დისკო ჰქონდათ გახატული“³⁸. დროთა ვითარებაში ამ სიმბოლოების შინაარსი და-

³⁵ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

³⁶ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 111.

³⁷ სოფ. ქვემო ალვანი, ეპრო პავლეს ასული ილიძე-მარხვაიძე, 50 წლისა.

³⁸ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 63.

ვიწყებას მიეცა და ხალხურ შემოქმედებაში იგი ორნამენტული მოტივის სახით დამკვიდრდა³⁹.

ამგვარი გეომეტრიული ორნამენტი ქართული ხალხური შემოქმედებისათვის მახასიათებელია.

ამ ორნამენტის უმარტივესი ფორმაა თუშეთში ჯ ა რ ა ნ ა დ წოდებული ჭრელი (ტაბ. VIII, სურ. 1). იგი რამდენიმე ნაწილად დაყოფილი წრეხაზითაა წარმოდგენილი. მზის ემბლემის ეს ვარიანტი დამახასიათებელია თუშური ავეჯისათვის და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში დაცულ ავეჯზე იშვიათად გვხვდება. წრეხაზში მოცემული ოთხყურა ყვავილის გამოსახულება, (თუშეთში ციკნისყურად წოდებული) ან წრეხაზით მოჩარჩოებული ექვსყურა ფოთოლი, ხეცსურული და თუშური კიდობნების ღირეთა შემკულობაში ჭარბობს. შედარებით რთული ორნამენტით (ე. წ. ხუთაები, ნაქარდა, ნოქვის ჭრელი) კი ხეცსურული დგამია დაქრელებული (ტაბ. VII, სურ. 2). ხსენებული ჭრელი, ისე როგორც სვანური ნაჭრელი ბარბოლი წინა ვარიანტის ერთგვარი გართულებაა. წრეში დამატებითი მცირე წრეებია ჩასმული და შუაგულ წრეში სამკუთხედებია ამოკვეთილი. მაშასადამე, საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ხსენებული ნაჭრელის ნაირგვარი მოხაზულობა დასტურდება, მაგრამ ორნამენტის ამ დეტალის ლოკალური ვარიანტები თავისებური ორიგინალური habitus მიუხედავად ძირითადად მზის სიმბოლოს გამოხატულებას წარმოადგენენ, რომელიც კავკასიური ხის ავეჯის ნაჭრელის ძირითად ელემენტად გვევლინება.

განხილული ორნამენტების სახელწოდება: ჯ ა რ ა ნ ა, მ ზ ე, ხ უ თ ა ბ ა რ ბ ო ლ, თ ვ ა ლ ი, ისე როგორც მათი მოყვანილობა, ვფიქრობთ, დამატებით ხელშესახებ მასალას იძლევა გამოთქმული ვარაუდისა, „რომ მნათობთა მნათობის სახელწოდება ოდესღაც სიმრგვალის ცნების შემცველი უნდა ყოფილიყო“⁴⁰.

ჩამოთვლილ ნიშანთა უმრავლესობა ახლოს დგას შესატყვის ობიექტთან და მას სიტყვაზე უფრო კონკრეტულად გამოხატავს. ყურად-

³⁹ ორნამენტის საკითხს ეხება Dechelette, Le culte Soleilant temps prehistorique, Revue Arheologique, 1909, 1, 305. იგი წრეხაზის ვარიაციებს განიხილავს და მზის ღვთაების სიმბოლოებად მათი მიჩნევის ვარაუდს იძლევა. ა. მილერი მზის ღვთაების სიმბოლოს უფრო ფართო დიპაზონს აძლევს და მას ზოგადად ცის აღმნიშვნელ ემბლემას უწოდებს. А. М и л л е р, Древние формы в материальной культуре современного населения Дагестана, Материалы по этнографии, том IV, выпуск первый, Ленинград, 1927, стр. 43.

⁴⁰ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 112.

ლემას იქცევს ქართულ ხალხურ ავეჯზე გამოხატული ორნამენტის დეტალი (ტაბ. VII, სურ. 4), რომელიც გუდამაყარში მთვარე და მთვარე ორნამენტის ამ ელემენტს ხარისთვალა ჰრედას უწოდებს. როგორც წესი ეს ჰრელი ხუთშაბათს იკვეთებოდა. ორშაბათ დღეს კი ჰრელზე ხელის მოსმით ლოცვა სრულდებოდა (ორშაბათი უქმე დღედ ითვლებოდა და ხეზე კვეთილობა ამ დღეს აკრძალული იყო). ოჯახის უფროსი მამაკაცი „უქმე დღის მადლს“ საქონლისა და ოჯახის წევრთა კარგად ყოფნას შესთხოვდა. ორნამენტის სახელწოდება და მოყვანილობა, ისე როგორც მასთან დაკავშირებული ცერემონიალისათვის განსაკუთრებული დღის შერჩევა, მთვარის ძველ თაყვანისცემისთან უნდა იყოს დაკავშირებული⁴¹. ამ მხრივ ყურადსაღებია აგრეთვე ორნამენტი, რომელიც ფშავში ხარის რქების სახელით არის ცნობილი (ტაბ. VIII, სურ. 3). ხარის რქები კი, როგორც ცნობილია ჩვეულებრივ მთავარის ნიშნად ითვლებოდა⁴².

აღნიშნული გარემოება და ამ ორნამენტის გუდამაყარული სახელწოდება — გაწყვეტილი მთვარე ზემოთქმული ჰრელის მნათობ ღვთაების (მთვარის) ასტრალურ ბუნებასთან კავშირში განხილვისა და მთვარის ღვთაების ემბლემად მისი მიჩნევის საშუალებას უნდა იძლეოდეს.

ქართული ხალხური ჰრელის სახიერება ამოდის რეალური ცხოვრების სინამდვილიდან, სადაც მეტ-ნაკლები სიცხადითაა წარმოდგენილი რომელიმე კონკრეტული საგნის სრული, ან ნიშანდობლივი ხატი. სწორედ ამ მიმართებით საყურადღებოა რქადახვეული ცხვრის თავრიელის გამოსახულება, რომელიც დროთა განმავლობაში ქართული ხალხური ჰრელის ელემენტი გამხდარა და სხვადასხვა საგნების სამშენებლად უხმარიათ.

როგორც ცნობილია, „ქართველი ხალხის ძველი რწმენა-შეხედულების მიხედვით, ცხვარი — რქადახვეული ვერძის სახით, მიჩნეულია ღამის მნათობის — მთვარის ცხოველად, რომელიც ებრძვის გველის სახით გამოსახულ უკუნს, ბნელს მთვარის დასანთქმელად. რომ მიიწვეს“⁴³. გველის საკრალური მნიშვნელობა შუამდინარეთის ხალხთა რელიგიებში, ქართულ ფოლკლორულ მასალებში საკმაოდ ცნობილია. გველი ყოველთვის ახლავს ღვთაებათა სიმბოლოების გამოსახულებას,

⁴¹ „წარმართობის დროს ორშაბათს ქართულად მთვარის დღე უნდა ჰრქმეოდა. მაშასადამე, მთვარის თაყვანისცემისათვის იყო განკუთვნილი“, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, ტფილისი, 1928, გვ. 50.

⁴² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია წიგნი 1, ტფილისი, 1928, გვ. 54.

⁴³ ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, რკინის გრეხილი ხელადი (ხელნაწერი), თბ., 1963, გვ. 16.

როგორც კოსმოსური სფეროს ერთ-ერთი სიმბოლური გამოსახულება⁴⁴. მთვარის და ცხვრის ზემოთქმული ურთიერთობით აიხსნება ალბათ ორნამენტის ისეთი სახე, როგორიცაა ხალხურ ავეჯზე გამოხატული ჭრელი — ცხვარი.

ცხვრის რქის ელემენტის სახესხვაობასა და ცხვრის თავრიელის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ლიტერატურაში სპირალის სახელით დამკვიდრებული ორნამენტის დეტალი, რომელსაც ხალხი სავსე მთვარედ იხსენიებს (ტაბ. VIII, სურ. 4). ამგვარი ორნამენტი როგორც გამოკვლეულია ჩრდილო კავკასიის, კერძოდ კი ადიღეელთა, ყარაჩაელების, ბალყარელების, ოსების და დაღესტნელების დგამ-ჭურჭელზე და ცხვრის⁴⁵. ხსენებული ორნამენტის ცხვრის რქის დეტალად მიჩნევა, ისე როგორც მისი ხალხური სახელწოდება — მთვარე, ასტრალური ცხვრისა და მთვარის კავშირზე უნდა მიუთითებდეს⁴⁶.

სხვადასხვა გამოსახულებათა შინაარსი და ასტრალურ ღვთაებებთან მათი დამოკიდებულება ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით გაანალიზებულია ვ. ბარდაველიძის ნაშრომში⁴⁷. გამოკვლეულია, რომ შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი ორგანულ კავშირში იმყოფებიან მზის კულტთან. სვანური მასალის მიხედვით, დადგენილია, რომ ეს კავშირი ყველაზე მეტად ძროხასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში ვლინდება. შეწირულ საქონელს, როგორც წესი, შესაბამისი ღვთაების სახელი ეწოდებოდა. ნაშრომში განხილული ზღარაკთაგან ხარი ზოგადი მნიშვნელობისაა. იგი ცის ღვთაების ფუნსიანუასდის ემბლემადაა მიჩნეული და ამავე ღვთაების სახელს ატარებს⁴⁸. მასასადამე, ხალხურ ავეჯზე მოცემული გამოსახუ-

44 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ე, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუში, ვაზ. „კომუნისტი“, № 273, 2 დეკემბერი, 1961 წ.

45 А. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

46 ჭრელის აღნიშნული დეტალი ანალოგიური ჩანს ბურიატებთან დადასტურებულ იმ ორნამენტისა, რომელიც მკვლევარ პეტრის დასაბუთებით „ცხვრის რქის“ სახელით არის ცნობილი. В. Э. Петри, Орнамент кудинских бурят, Сборник Музея Антропологических и этнографических наук, Петроград, 1918, სტრ. 235. ა. მილერის მართებულად თვლის ბ. პეტრის მოსაზრებას, რომ აღნიშნული ორნამენტის წარმოშობის საწყისი მხოლოდ ცხვრის მსხვერპლად შეწირვის წესის არსებობაში არ უნდა იქმნებოდეს. შემდგომ მკვლევარი ასტრალური ცხვრის გამოსახულებისა და მზის ორნამენტის აღრინდელ კავშირზე მიუთითებს და ამ გამოსახულებათა შინაარსის თანხედენის დასაბუთებას იძლევა, А. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

47 В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 197.

48 В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.


ლებანი ორგანულად უკავშირდებიან ადგილობრივ სამყაროს, კერძოდ კი ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებში ეძებნებათ კავშირს. ყველა ნივთს ჰრელების თავისებური რიგი ამკობდა. რიგად უნდა დაეჯარათ ჰრელი“, გადმოგვცემს მათაუშეთის სოფ. ომალოში მცხოვრები 83 წლის ოსტატი გიგლო პავლეს ძე იჭირაული⁴⁹. ავეჯის ფუნქცია მის შემკულობას მეტ-ნაკლებად აპირობებს და ამ უკანასკნელის ავეჯის ფორმასთან შეთანხმების აუცილებლობას იწვევს. ხშირ შემთხვევაში მთის სახლში დაცული კიდობნის გულის ფიკრები სადაა. სხვადასხვა კომპოზიციებით აღჭურვილი ისარ-ღირეები კი კიდობნის მდიდრულ ჩარჩოს ქმნის. თუ გულის ფიცარი დაჰრელებულია — მისი ნაჰრელი, როგორც წესი, ისარ-ღირეთა საერთო მორთულობას უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით თუშური კიდობნის ისარ-ღირეებს უმთავრესად ე. წ. ციკნისყურა ორნამენტი ამკობს, რომელიც სტილიზებული ოთხყურა ფოთოლსაც წააგავს და ჯვარსაც გამოხატავს. ეს ჯვარისებურობა კი ზედაპირზე მოდელირებული ორი ურთიერთგადამკვეთი ხაზითაა აქცენტირებული. მის ქვემოთ ამოკვეთილი სამკუთხედების წრეხაზებითა და ოთხკუთხედებით მოჩარჩოება, ან პარალელურად ამოღარულ ხაზებს შორის მოთავსებული სამკუთხედი, ერთი და იგივე ორნამენტის მრავალსახეობას ქმნის. ორნამენტის დაუსრულებელი ვარიაციები უდავოდ ოსტატის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. წყაროსთავის სახარებაზე (1195 წ.) გამოსახულ ავეჯის ღირეთა შემკულობა⁵⁰ (ოთხკუთხედში ჩასმული ურთიერთმკვეთი ხაზი) ზემოაღწერილი ავეჯის ორნამენტის ზოგიერთი დეტალის (გახატული ოთხკუთხედის) იდენტურია. ხსენებული სახარების შედარება საკვლევ რაიონში მოცემული ავეჯის ორნამენტთან ამ უკანასკნელის ქრონოლოგიურ პარალელს იძლევა.

ზოგიერთ შემთხვევაში თუშური კიდობნის ზურგის მოხატულობა წრეხაზში მოთავსებული კურდღლის ყურით ან ოთხკუთხედში მოჩარჩოებული სამკუთხედებით იწყებოდა და ჰირკვანა — ჰრელის შუალედით მეორდებოდა. ორნამენტაციის ეს ორიგინალური თანამიმდევრობა ცოკალთელ მეკიდობნეთა ნახელავის მანიშნებელი იყო. ომალოში მცხ. 83 წლის ოსტატის გიგლო პავლეს ძე იჭირაულის ცნო-

⁴⁹ მასალა ჩაწერილია 1963 წლის თუშეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს.

⁵⁰ შდრ. ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. შესავალი სიტყვა და ტაბულების თანხლები ტექსტი რენე შპერლინგის, გ. ჩუბინაშვილის რედ., თბილისი, 1940, ტაბ. XVII.



ბით, ნიკო ჩქარეულის ნახელავი კიღობანი ორნამენტის ხსენებულ რიგით ხასიათდებოდა. მისი მოწაფის დავით მიქაიძის ნაკეთები კიღობანის ხელის ნიშანს კი თავსა და ბოლოში ზემოაღნიშნული ციკნისებურა // კურდღლისყურა ორნამენტის კიღევ ერთი წყვილი ემატებოდა. კიღობანის დირეებზე და ზურგზე ზემოთქმული წყობით მოცემული ორნამენტის დეტალები მთხრობელთა მიერ ავეჯის ამა თუ იმ ხელოსნის ნიშნად არის აღიარებული. ზოგჯერ ნიშნების ეს წყობა სხვა ავეჯზეც მეორდება. ეს გარემოება მთხრობელთა ცნობასთან შეთანხმებით ერთი და იმავე ოსტატის ნახელავად მათი მიჩნევის საშუალებას იძლევა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის შედარებითი სიმცირის გამო ბევრი რამ შეიძლება იყოს სადავო და ზოგიერთ შემთხვევაში ჰიპოთეზურიც კი; მაგრამ ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა ავეჯის ზურგზე ორნამენტის ამ დეტალების წყობის განმეორება ხელოსნის ნიშნად მათა აღიარების შესაძლებლობას ქმნის და პროფესიონალურ მეავეჯეების გაჩენას ვარაუდობს.

მაშასადამე, მემკვიდრეობით მიღებული ავეჯის დამზადების ხელოვნება და ოსტატის ხელის ნიშანი უთამამავლობას გადაეცემოდა და მცირეოდენი სახეცვლილებით მკვიდრდებოდა. ნიშანთა სახეცვლილება კი ქრონოლოგიის ერთგვარი მაჩვენებელიცაა.


მიუხედავად იმისა, რომ თუშური ავეჯის ზედაპირი ინტენსიურადაა ორნამენტირებული, ფონის იგნორირება უმრავლეს შემთხვევაში არ იგრძნობა. აღნიშნული გარემოება და თუშურ ავეჯზე მოცემული ციკნისყურა ნაჭრელის სიჭარბე მას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ავეჯისაგან განასხვავებს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ჯახუნდერის (სვანეთი) კარები, რომელიც XI საუკუნით თარიღდება, წინთქმული ე. წ. ციკნისყურა ორნამენტითაა მოხატული⁵¹ და ეთნოგრაფიული ყოფაში დამოწმებული ჭრელის თარიღიანი პარალელია. მსგავსი დამთხვევების კონსტატირება საქართველოს გარეთაც ხერხდება. მაგალითად, ქართული ავეჯის, კერძოდ თუშური კიღობანის (ჯაჯაბოში ფიქსირებული ეგზემპლარი და შემკულობა რუმინულ ავეჯში პოვებს ანალოგს)⁵². რა თქმა უნდა, არის მსგავსება სვანური ავეჯის შემკულობის ცალკეული

⁵¹ Н. Г. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тбилиси, 1958, стр. 22, табл. 35.

⁵² შტრ. Народное искусство в Румынии, текст Бориса Здерчука, Пауля Петреску, Танкреда Бэнеუციану изд. «Меридиане», Бухарест, 1964, гл. Архитектура, табл. 22. Часть интерьера жилой комнаты село Киождул-мак, район Числеу, область Плоешти (музей села Бухарест).

ელემენტებისაც რუმინულ ავეჯის შემკულობასთან (სურ. 16), მაგრამ ძირითადად ქართულ ავეჯზე გამოსახული მოტივები მეტად თავისებური და ძალზე ორიგინალური ჩანს⁵³. ქართული ორნამენტის შემოღონიშნული დეტალის, ისე როგორც ბულაურიანი წრეხაზების და სხვათა შედარება ურის გათხრების დროს აღმოჩენილ ორნამენტებთან, მათ მსგავსებას ააშკარავებს⁵⁴ (ტაბ. X—XV).



სურ. 16. რუმინული სკივრი. George Oprescu-ს მიხედვით.



ამრიგად XIX—XX საუკუნის ხალხური ავეჯის ორნამენტის მიმოხილვა, ძველ ორნამენტულ მოტივებთან მათი კავშირის დადგენის საშუალებას იძლევა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, დღემდე შემონახული ავეჯის ნიმუშებზე ცხოველის გამოსახულებები იშვიათ შემთხვევაში დასტურდება. სოფელ თხილიანაში მცხ. 70 წლის თინა ივანეს ასულ თურმანაულ-ჯაბანაშვილის ოჯახში დაცული მისივე სამზითვო კიღობანი, აგრეთვე სკივრი მთათუშეთის სოფ. ბოჭორმიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ჩვენ მიერ ნახული ცხოველის გამოხატულებანი ავეჯის ერთადერთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს. ორივე შემთხვევაში რეალისტურად შესრულებული ჯიხვები ფასადზე გაფანტულად არიან ამოკვეთილნი და კომპაქტურ ჯგუფს არ ქმნიან.

მთიანეთში დაცული ავეჯი უმთავრესად გეომეტრიული ნაჭრელითაა შემკული, რომლებიც როგორც უკვე გამოკვლეულია სოლა-

⁵³ George Oprescu, დასახ. ნაშრომი.

⁵⁴ L. Legrain, დასახ. ნაშრომი, Plate 10, 209.

რულ ნიშნად არის მიჩნეული და ზემოთ ჩამოთვლილი ორნამენტების უმრავლესობა, კერძოდ, მზის, მთვარის, ნახევარი მთვარის, ჯვრის გამოსახულება წარმართულ სარწმუნოებასთანაა დაკავშირებული⁵⁵. უკვე მოაღწერილი ვარიაციით წარმოდგენილ გეომეტრიული ორნამენტის კომპოზიციურ ცენტრს წრეხაზი წარმოადგენს, ზოგჯერ კი კომპოზიცია ტალღოვანი ხაზებით თუ ამოკვეთილი სამკუთხედების რითმით არის შექმნილი. ყურადსაღებია, რომ ოსეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ მსგავს ორნამენტაციას მკვლევრები ანდიევი მხოლოდ სახლებისა და ავეჯის შემკულობად მიიჩნევენ. ამ უკანასკნელთ განასხვავებენ კიდევ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებზე მოცემული ორნამენტისაგან⁵⁶. ხის ავეჯის სამკაულს უმთავრესად რელიგიური აზროვნების საფუძველზე შექმნილი გეომეტრიული ორნამენტი ან სოლარული ნიშნების ნაირფეროვნება წარმოადგენდა (სურ. 17). ავეჯის



სურ. 17. სვანური კიღობანი.

მსგავსი ორნამენტაცია მთის არაქართველი ტომების, კერძოდ, ოსებისა და ჩეჩნების ყოფაშიაც დასტურდება⁵⁷. დღეს, ქართველ მეცნიერთა

⁵⁵ ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბილისი, 1939, გვ. 12; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 198.

⁵⁶ В. Андиев, Р. Андиева, Осетинский орнамент, Орджоникидзе, 1960, стр. 17.

⁵⁷ იქვე, გვ. 177.

მიერ სავსებით გარკვეულია ქართულ ავეჯზე მოცემულ ამ ორნამენტულ სიმბოლოთა კონკრეტული შინაარსი⁵⁸. გარკვეულია ქართულ ხალხურ ორნამენტში შემონახული ნიშნები (ჯვარი, სვასტიკა, ბორჯღალა), რომელიც თავისი გენეზისით და შინაარსით შორს სცილდება ქრისტიანობის გავრცელების პერიოდს, ძველი აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს ხალხებში ფართოდაა გავრცელებული⁵⁹.

გეომეტრიული ორნამენტით მოხატული ავეჯის ფასადზე ზოგჯერ ადამიანთა სქემატური გამოსახულებებიც გვხვდება. განსაკუთრებით იმსახურებს ყურადღებას ადამიანთა გამოსახულება, რომელიც ქართული ხალხური ავეჯის ზოგიერთ ნიმუშზეა მოცემული. ეს სქემატური გამოსახულებანი ქართულ გრაფიკულ ხელოვნებაში მოცემულ ადამიანთა ითიფალურ გამოსახულებათა ანალოგიური ჩანს⁶⁰. ხელებგაშლილი ადამიანის სქემატურად, ზოგჯერ ხატის სახით გამოხატვის წესი უძველეს წარსულში პოულობს საწყისებს და გვიანი პერიოდის ავეჯზე მოცემულ სიუჟეტში ან ახალ კომპოზიციაში მისთვის დამახასიათებელი ძველი მანერით მეორდება.

დღესდღეობით საქართველოს მთაში შემონახული ხალხური დაქრელებული ავეჯი უმთავრესად ფუნქციაშეცვლილია და ზოგან ფრაგმენტების სახითაა დარჩენილი. მათზე წარმოდგენილმა მზის სიმბოლომ, ბორჯღალამა და წრეხაზმა თუ სხვა ორნამენტმა დაკარგა თავისი შინაარსი და ავეჯის დეკორატიულ ელემენტად დარჩა (სურ. 18).


ხალხური ავეჯის ორნამენტის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ ქართული ავეჯის დამზადებისა თუ შემკობის დღემდე მოტანილი ცოდნა საუკუნეთა სიღრმეში საძებნი ტრადიციის შედეგია. ჩვენამდე მოღწეული ხალხური ავეჯი ერთი მხრივ ამ ტრადიციის და-

⁵⁸ ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი; გ. ჩიტაია, სი-
ცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიშკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941; ა. სო-
ხაძე, ქართული ახლის დედაბოძი, ძველის მეგობარი, XII, თბილისი, 1967.

⁵⁹ ი. სურგულაძე, ქართველთა უძველესი რელიგიურ-კოსმოგონური შე-
ხედულებების ისტორიიდან (ორნამენტული მასალის მიხედვით), თბილისის სახელ. უნი-
ვერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის და საქ. პედ. ინსტიტუტის ისტორიის კათედ-
რების გაერთ. სამეცნ. სესია (თეზისები), თბილისი, 1967, გვ. 22.

⁶⁰ შდრ. В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования
и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 142,
рис. 1, фиг. 7.

ნერგვის სურათს იძლევა. მეორე მხრივ კი საკუთარი ძალებით შემოქმედებითი მუშაობის წარმოების ცდას.



სურ. 18. სკანური სკივრი.

მეოთხე თავი

ავიჯის განლაგება ინტერიერში და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები

სალხური ავეჯი, რომელიც დღესდღეობით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ძველ ტრადიციებზე დამყარებულ მდიდარ ჩვეულებებზე მეტყველებს. იგი უკავშირდება ყოფაში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებას, როგორცაა უფროსის პატივისცემა ოჯახში, უფროსი ქალისა და მამაკაცის ადგილი ოჯახში, მათი მოვალეობა, ოჯახის წევრთა შორის ფუნქციითა განაწილება, გაყრა და სხვ. ცნობილია, რომ ავეჯი თავისი კონსტრუქციით საცხოვრებელი სახლის აღნაგობასთან მეტ-ნაკლებადაა დაკავშირებული¹. სახლი კი დგამი-

¹ М. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, 1959, стр. 137.

თურთ ოჯახს ემსახურება. რადგან ოჯახის შემადგენლობა გეოგრაფიული-ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად, სახლის დეველოპმენტზე გარკვეულ გავლენას ახდენს², შესაძლებელია იგი ავეჯის ხასიათის ერთგვარ განმსაზღვრელადაც მივიჩნიოთ.

ავეჯის განლაგებასა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული წესები: ადგილების გამიჯვნა (საქალო და საკაცო მხარეები), საუფროსო მხარისა და ადგილის გამოყოფა, ზოგიერთი ავეჯის ადგილიდან დაძვრის აკრძალვა და სხვა, ზოგადი ხასიათისაა და ამდენად საკუთრივ საქართველოსათვის დამახასიათებელ მოვლენად არ ჩაითვლება. ეს წესჩვეულებანი საერთო კავკასიურ ტრადიციათა რიგს განეკუთვნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ამა თუ იმ კუთხის საცხოვრებელი ოთახის შიდაამოწყობილობის განხილვამდე, მოკლედ შევხებით თუშ-ფშავ-ხევსურული სახლის აღნაგობას.

ფშაური სახლი, როგორც უკვე გამოკვლიულია, ორსართულიანი ნაგებობაა, რომელიც ქვემო სართულზე გამართული ბოსლითა და მეორე სართულზე მოთავსებული საცხოვრებელი „სახლითაა წარმოდგენილი“. ბოსლის ქერში გამოჭრილია ზემო სართულში ასასვლელი საკომი. საკომთან მიდგმულია ხის მოძრავი კიბე, რომელიც ბოსლისა და სახლის დამაკავშირებელია³.

სახლი ქვისაა. აშენებულია მშრალი წყობით. ფშაური სახლის კედლის ხსენებული წყობის შესახებ ვაჟა-ფშაველაც აღნიშნავს: „სახლი ფშაველისა არის ფართო, კედლები აქვს ყორისა, უკირო (ციკლოპური)“⁴. ჩვენ მიერ მოპოვებული საველე მასალა ამასვე მოწმობს. კედლის ამგვარი წყობით შენებას ფშავში „სიპის სიპზე დაწყობას“ ან „ყორის ამოყვანას“ უწოდებდნენ (მარიამ ხეთისოს ასულ წითელაური კარატიელისა, 70 წლის, სოფ. ელიაგზა, 1962 წ.). სახლის შენების დროს იცოდნენ ერთმანეთის დახმარება. ეს დახმარება მუშანის სახელით იყო ცნობილი.

სახლის აგების საქმეში ერთგვარ კომპეტენტურ პიროვნებად ე. წ. ქვის ანუ კედლის ოსტატი ითვლებოდა. მის უფლებებში შედიოდა მშენებლობასთან დაკავშირებული ყოველგვარი სახის სამუშაოები.

სახლის ზედა სართულს დიდ სახლს უწოდებდნენ. იგი უმეტესად მოქცეული იყო. „მოქცეული თავზეებით მურგვლად გამოყვანილ საკომიან სახლს ერქვა“. მთხრობელთა სიტყვით, საკომი, ერთდროულად, სინათლის წყარო და ბოლის გასასვლელიც ყიფილა. სახლის

² Дж. Кларк, Доисторическая Европа, М., 1953, стр. 9.

³ ს. მაკალათია, ფშავი, ტფილისი, 1934, გვ. 107.

⁴ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტომი VII, თბილისი, 1956, გვ. 11.

მოქცეულობის გამო საკომს დიდი წევადობა ჰქონდა. საკომის ამგვარი კონსტრუქცია მოქცეულ ფშაურ სახლს სხვა ტიპის სახლებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. მოქცეული სახლის ტიპი გვირგვინიანი დარბაზის ანალოგადაა მიჩნეული.⁵

ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ფშავში ერთსართულიანი სახლის აგებაც სცოდნიათ, რომელსაც ცოტა სახლი ეწოდებოდა. ცოტა სახლის მქონებელს გომური ცალკე ედგა. გომურის თავზე მოთავსებული იყო ყარტით გადახურული საბძელი. საბძელსა და გომურს ერთდო აკავშირებდა. ერთდო საქონლისათვის საკვების მისაწოდებელ საშუალებას წარმოადგენდა. მასასადამე გომურის თავზე საბძლის დაშენებას პრაქტიკული საფუძველი გააჩნდა.

ფშაურ სახლს შესასვლელი დერეფანი ჰქონდა, რომელიც პურის ბუნაგის (შესანახის) ბელლის გოდრებისა თუ სხვა საოჯახო წვრილმანის სათავსოდ იყო გამოყენებული⁶. დერიფანს საჩეხს უწოდებდნენ, თუ იგი „ფიცრით იყო გაკედლილი“ (მარიამ ჭრელას ასული გოდერძაული-ბობლიაშვილისა, 55 წლის, სოფ. ელიაგზა, 1962 წ.) საჩეხის ხალხური ახსნა ამ ტერმინის საბასეულ განმარტებას ესიტყვება. საბას მიხედვით — საჩეხი — ქართულად დერიფანის პირის საჩრდილობელს ფიცარს (დერიფანის საჩრდილობელს პირის ფიცარს) ჰქვან⁷. თქმულის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ დროთა განმავლობაში დერიფანი სახეცვლილებას განიცდის. მას საფარებელი ფიცარი ან „პირის კედელი“ უჩნდება და საჩეხის სახელით მკვიდრდება ხალხის ყოფაში.

რაც შეეხება ხევსურეთს, მისთვის დამახასიათებელი და ტიპობრივია კალოიანი სახლი. ეს სახლი თავისი აღნაგობისა და გეგმის მიხედვით კომპლექსურია. გამოყენების მიხედვით რთული და მთის ზოლის მგურნეობასთან სათანადოდ შეგუებული⁸. ფშაური სახლისაგან განსხვავებით, ხევსურული „კალოიანი სახლი სამთვალისანი (სამსართულიანი) თავგაკრული ნაგებობაა, რომლის პირველ თვალს საკუთრად სახლი ეწოდება. ეს თვალი უმთავრესად განკუთვნილია ყვერფისა (კერა), ჯალაბობისა და პირუტყვისათვის, აგრეთვე ოჯახის ბუნაგის შესანახავად. მეორე თვალი ჭერხო მამაკაცთა სადგომია და ადამიანისა და საქონლის მარაგის საცავი. სახლის მესამე თვა-

⁵ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

⁶ იქვე, გვ. 109.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.

⁸ გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1947, გვ. 147.

ლი კალოა, ანუ მაღალი ბანი, სადაც ზამთარში ყინულზე პურს ლეწავენ, ხოლო მისი დაფარებული კალო (საქურავის, იარაღის) შესანახავი ფარდულია“⁹. „სართულებს შორის ურთიერთობა შენობის შიგნით ჭერში დატანებული საკვამის საშუალებით ხდებოდა, რომელსაც ხის კიბე ჰქონდა შედგმული“¹⁰.

სახლს წინ აქვს დერიფანი ანუ ქარიპანი, რომელიც საქონლის საზაფხულო სადგომდაა გამოყენებული. ამის გამო, მისი კედლის მთელ სიგრძეზე ძროხების დასაბმელი ბაგაა გაკეთებული. სახლის ეზოში, სადაც შეშას და სხვა საოჯახო საგნებს ათავსებენ ეზოს კარით შედიან, ხოლო ეზოდან საძროხეში — შუა კარით. საძროხეს ორი კარი აქვს. პირველ კარს ნაწველის, ბოსლის კარი ეწოდება. მეორეს კი საცხვრის კარი. საცხვრე, სამყოფოში გადადის და მისგან არ დაბაგითაა გამოყოფილი¹¹.

მაშასადამე, კალოიანი სახლის პირველი თვალი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: „1) შინა (შინა მოიცავს ყვერფსა, ღომელსა, ნაწოლსა, სახბორესა, სახოსტაგესა და სხვ.), 2) საძროხე, 3) სენე//სენა, 4) ეზო, 5) საცხენე და 6) ქარიპანი... სახლის მეორე თვალში, ჭერხოში მოცემულია: 1) წინგარდა, 2) ჭერხოს ქარიპანი, 3) სალოვინე, 4) ჭერხო — ყვერბით, ღუქნებით, შუქუმებით, სასწორფრო კარით და სხვა. მესამე თვალს აქვს მაღალი ბანი და დაფარებული კალო“¹².


დაახლოებით ამავე სახით წარმოგვიდგება თუშური საცხოვრებელი. ძველებურ სახლს აქციხე სახლს უწოდებდნენ. იგი მრავალსართულიანი ნაგებობა იყო. პირველ სართულს ბაშტე ეწოდებოდა. ბაშტეს სიბით (ქვა) დაგებული იატაკი ჰქონდა, რომელსაც ზღვა ერქვა. მიწის იატაკს კი პყარი. ბაშტეს ერთადერთი კარი ჰქონდა, რომელიც სინათლის, საქონლისა თუ ადამიანის შესასვლელს წარმოადგენდა. ბაშტეს ჭერის ერთ კუთხეში გამოჭრილი ერდო ბაშტესა და შუას აკავშირებდა. შუა საცხოვრებლის ფუნქციას ასრულებდა. იგი ათუშური სახლის მეორე სართულის სახელია. მესამეს კი ზედა შუას უწოდებდნენ. სინათლის წყაროს აღმოსავლეთის მხრიდან შებმული კარი და კედელზე გამოჭრილი ორი სარკმელი წარმოადგენდა. შუა,

⁹ გ. ჩიტაია, დსახ. ნაშრომი, გვ. 145.

¹⁰ თ. თჩიაური, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის VII, თბილისი, 1955, გვ. 32.

¹¹ არდაბაგი ეს არს ერდოსა ზედა, ვინა გარდასაჭრელთა ადვილთა ხარისხა (რიხა) მოავლონ, რათა კაცი არ გარდაიჭრას (გაიჭრეს), ვინა ფანჯარა (ნ. ფანჯარა) — განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. ხსენებული მნიშვნელობით არდაბაგის არსებობა, ხევსურეთში, თ. თჩიაურის მიერაა დამოწმებული. იხ. დსახ. ნაშრომი, გვ. 46.

¹² გ. ჩიტაია, დსახ. ნაშრომი, გვ. 148—149.



შესამე სართულს ერდოთი უკავშირდებოდა. სახლის ზ ე დ ა შ უ ა ოჯახის საზაფხულო სამყოფი იყო. შ უ ა-საგან იგი არაფრით არ განსხვავდებოდა. ზ ე დ ა შ უ ა-ს ჭერის ერთ კუთხეში ჭ ე რ ხ ო შ ი ასასეულად ერდოს უკეთებდნენ. ჭ ე რ ხ ო კვადრატული ოთახია, რომლის ოთხივე კედელზე მიშენებული იყო ჩარდახები, საიდანაც კარზე მომდგარ მტერს ჭეხებს უშენდნენ (ჩარდახი ზემოდან ყუთივით იყო დახურული. მისი პროპორცია შენობის სიდიდეს ეფარებოდა).

მომდევნო დროის სახლების ჭერხოს წინა კედელში ჩარდახის ნაცვლად, გამოჰრილია განიერი არე, ეგრეთ წოდებული ს ა ნ ი ა ვ ო¹³. მაშასადამე, ასეთი სახლი ჩარდახიან ნაგებობას წარმოადგენდა, რომლის თითოეულ თვალს საგანგებო ს ა მ ზ ი რ ე ჰქონია. ჩარდახიანი სახლების არსებობას სოფ. ჩილოსა და შენაქოში მკვლევარი გ. ბოჭორიძე აღასტურებდა¹⁴. ამ სახლის თითოეული თვალი ბანით ყოფილა გამოყოფილი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ზედა სართულის პყარს და ქვედა სართულის ჭერს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ბ ა შ ტ ე დაყრდნობილი იყო დ ე დ ა მ ი ლ ი ო ნ ა ზ ე (ქვის სვეტი) და მასზე ს ა წ ე ლ ე ჯ ი დ ი // ბ ზ უ ლ ა უ რ ი // დ ღ ვ ე ლ ი ყოფილა გადებული¹⁵.

თუშური სახლის სახურავი ორფერდაა. ასეთ სახურავს ო რ ფ ა რ დ უ ლ ა ნ ორმხრივად დაქანებული ეწოდებოდა. იგი მარტივად იყო მოწყობილი. ცერად ამართულ ორ ბოძზე კ ე ს ი ს ჯ ი დ ი // ს ა თ ა ვ ე იყო გადებული. ეს უკანასკნელი სხვადასხვა სახის სვეტს ემყარებოდა. ხის მორი, რომელიც საყრდენ სვეტად იყო გამოყენებული ლ ი კ ვ ი-ს სახელით იხსენიებოდა. სიბებისაგან აშენებულ სვეტს მ ი ლ ი ო ნ ა ზ ე ერქვა, ხოლო ერთმანეთზე თავშექცევით დაწყობილი ლიკვებს ჭ ო რ ბ უ ლ ე ლ ა. კესის ჯიდის პარალელურად გაწყობილ დირეებს „საგვერდულის“ ანუ ნაპირის ხიდს უწოდებდნენ. იგი სიბის ყავრების საყრდენია (მარიამ ანდრიას ასული ბუქვაიძე-კურდღელაიძისა, 70 წლის, სოფ. შენაქო, 1963 წ.). ძველებურ სახლს „ორი კვ. საყენი სიბი ჭირდებოდა. სიბის მოტანა ოჩხარობით სწარმოებდა“. სიბის წყობა, როგორც წესი, სახურავის ფერდის ძირიდან ზევით მიემართებოდა. ზემოხსენებული თუშური სახლის დამახასიათებელ მხარეს ე. წ. კ ა რ ს ე წარმოადგენდა. იგი ოჯახის საკვები მარაგის სათავსო იყო და ქარსაცავის ფუნქციასაც ასრულებდა. კარსე სახლს წინა მხრით უკეთდ-

¹³ ს. მაკალათია, თუშეთი, ტფილისი, 1933, გვ. 136.
¹⁴ გ. ბოჭორიძე, თუშეთი, საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი, 1753, საქმე 115, გვ. 20—24.
¹⁵ შდრ. გ. ბოჭორიძე, იქვე, საქმე 115, გვ. 53.

ბოდა (ანიკო იოსების ასული ფარეულიძე-არშაულიძე 46 წლის, ქვემო ალვანი, 1964 წ.). როგორც ირკვევა, იგი ორ-სამ თვეალოცხურს ყოფილა¹⁶. საინტერესოა, რომ თუშურ სახლს უჩინაკარსეც ჰქონია, რომელიც ჩვეულებრივ კარსესაგან განსხვავებით სახლის უკანა გვერდზე იყო მოთავსებული. მსგავსად ხევსურული სენესი იგიც „სანიავოსაკენ“ ეწყობოდა¹⁷. მას ერთი მხრიდან, ჰაერის ცირკულაციისათვის, ორი-სამი მცირე შუკუმი (სარკმელი) ჰქონია დატანებული. ხევსურული სენესა და უჩინაკარსეს შორის არსებული კონსტრუქციული სხვაობის მიუხედავად ეს უკანასკნელი თავისი დანიშნულებით ხევსურული სენეს ანალოგიური ჩანს. ამას მისი გამოყენების ხასიათიც მოწმობს. უჩინაკარსეში დადგმულ მერხებზე დალაგებული საერბოე ხის დურკები, ბაზუნები, სარძევე ჩხუტები, ხონები და სხვა ამ ოთახის ფუნქციას ნათელყოფენ.

ფშაურ სახლსა, თუშურ შუასა თუ ხევსურულ შინაში მოთავსებული სხვადასხვა დანიშნულების ავეჯი, კერის მარჯვენა თუ მარცხენა მხარეზე, გარკვეული სისტემით იყო განლაგებული. კერა, საერთოდ, ოჯახის წევრთა შორის დამოკიდებულების გამოვლინების ერთერთ ფაქტორადაა მიჩნეული. „კერა წმინდა ტრაპეზია, სადაც შეიწირების მსხვერპლი ცოცხალთა სადღეგრძელოდ და მკვდართა მოსახსენებლად“¹⁸. კერის გარეშე არ ხდებოდა ოჯახის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა¹⁹. კერის გარეშე ტერიტორია სვანურ სახლში განკუთვნილი იყო ადამიანებისათვის და ის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ამ ადამიანებს შორის მყარდებოდა, თავს იჩენდა კერისადმი მათ დამოკიდებულებაში²⁰. ამგვარად, ირკვევა, რომ კერას ქართველი ხალხის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კერას საგანგებო ადგილზე აწყობდნენ. აქვე შევნიშნავთ, რომ კერა უმთავრესად სარკმელთან ახლოს კეთდებოდა, რაც ოთახიდან ბოლის გასვლას აადვილებდა²¹. უნდა ვიფიქროთ, რომ თუშურ შუასა და ფშაურ სახლში კერის სარკმელთან ახლოს მდებ-

¹⁶ გ. ბოჭორიძე, თუშეთი, საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 1753, საქმე 115, გვ. 53.


¹⁷ შდრ. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1947, გვ. 153.

¹⁸ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტომი მეშვიდე, თბილისი, 1956, გვ. 137.

¹⁹ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის ვადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, გვ. 39; მისივე, Грузинская семейная община, Тбилиси, 1960, I, стр. 184.

²⁰ მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961, თავი III, გვ. 124.

²¹ ვ. ითონიშვილი, ძველი და ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევში, 1959, გვ. 136 (ხელნაწერი).



ბარეობას სწორედ ზემოთქმული მიზეზი აპირობებდა. ხევისურულ შინა დან ბოლის გარეთ დენას კი, როგორც გ. ჩიტაია იკვლევს, ხევისურული სახლის თავგაკრულთა უწყობდა ხელს. „ხევისურული სახლის ქვემო თვალის ერთს საყურადღებო თავისებურებას მისი თავგაკრულთა შეადგენს. თავგაკრული სახლის ქვემო თვალის უკანა კედელი წინა კედელთან შედარებით დაბალია. ამ კონსტრუქციული წესის მიზანია გაადვილდეს ბოლის დენა საკვამლისა და კარებისაკენ“²². ხევისურეთს გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერა სიბებით შემოსაზღვრულ ცეცხლის დასანთებ ადგილს და რკინის საცეცხლურს ერქვა. ხევისურეთში კი იგი ყვერფნ-კერანის სახელწოდებით იყო ცნობილი. კერას თავთან თავთის ქვა ანუ ფშაური მასალით ქვის საცეცხლური ჰქონდა, რომელიც ხევეში დამოწმებული რკინისა და ქვის ძვიდეებიდან ამ უკანასკნელის ანალოგიური ჩანს²³. ყვერფნის თავთან ჭერში ასაყარი იყო გამართული, რომელზედაც ხის საკიდარი რკინის ჯაჭვი ეკიდა²⁴. ფშავსა და თუშეთში კი საკიდელის საჭერი ხეკეხების სახელწოდებითაა გავრცელებული. კესი შოტების პერპენდიკულარული ხეა, ანუ თავხეებს შორის ორ პარალელურ კოჭზე გადებული ძელია²⁵. ფშავში ზოგიერთ შემთხვევაში ძელის ნაცვლად ფიქალ ქვებს იყენებდნენ. რომლებსაც ხევისურულის ანალოგიურად საალეს უწოდებდნენ.

ამრიგად, ხევისურული ასაყარი, ისე როგორც საალე, სვანური სახლის შვილის შესატყვისი უნდა იყოს, რომელიც მ. ჩართოლანის გამოკვლევით ქართველი ტომების ყველა ტიპის ძველ საცხოვრებელ სახლებში გვხვდება. კერძოდ, „აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ გვირგვინიან და ბანიან სახლებში მას აყარს უწოდებენ; ხევისურეთში კალოიანი და კომკური ტიპის სახლებში — საალეს; მთიულეთში ბანიან სახლებში — ქირჭოს, სამეგრელოში ფაცხასა და ჯარგვალას ტიპის სახლებში ოკვალეს, საბერტეს, ოჯინჯალას, რაჭა-ლეჩხუმში — ოჯინჯალს, კაკიბერას, იმერეთში სამზად სახლებში თავანს, სხვენს, ოჯინჯალს, გურიამი სამზად სახლებში — სხვენს“²⁶.

²² გ. ჩიტაია, ხევისურული სახლის „სენე“, ანალები 1, თბილისი, 1947, გვ. 151.

²³ შდრ. ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

²⁴ გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

²⁵ „კესი ხომალდის აფრის გასაბამი ლატანი“ — განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. ლატანის ახსნისას კი აღნიშნავს: „ლატანი წურილი და გრძელი ძელია“, სულხან-საბა-ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.

²⁶ მ. ჩართოლანი, სვანური სახლის აყარი (შვილ), აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 307.

კერის ზემოაღწერილ მოწყობილობას გ. ბოჭორიძე ნანძარსაწინა-
აღმდეგოდ მიიჩნევს. ხევში დაცულ ანალოგიურ მოწყობილობი-
სათვის ვ. ითონიშვილიც მსგავს განმარტებას იძლევა. დიდი ხანი
კვლევით ამგვარ მოწყობილობას ხევში სააღე ეწოდება. იქვე დამო-
წმებული ა ყ ა რ ი კ ი განსხვავებული შინაარსისაა. იგი „კუთხით კუ-
თხემდე ჩაბმული“ გრძელი ხეა, რომელიც ხის სოლებითაა გაწყობი-
ლი და ხორცის ნაჭრებისა თუ სხვა რაიმეს ჩამოსაკიდებლად იხმარება²⁷.

ყვერფნ-კერანი თავისი ს ა კ ი დ ა რ ი თ ა და ასაყარ სააღეთი ოჯა-
ხის სიწმინდედ იყო მიჩნეული²⁸. მისი აუგად მოხსენიება და მის მახ-
ლობლად რაიმე დავის დაწყება სასტიკად იკრძალებოდა (ჭრელა გიორ-
ვის ძე კოჭლიშვილი, 83 წლის, სოფ. უძილაურთა, 1962 წ.)²⁹. ვ. მი-
ლერის გამოკვლევის მიიხედვით, ოსეთში, საკიდელის ჩამოგდება ან
მისი მოპარვა დიდ ცოდვად ითვლებოდა³⁰. ანალოგიური ფაქტი ფშა-
ვის ყოფაშიც დასტურდება. თამარ ხოხორას ასულ ლაშქარაშვილის
ჩვენებით (90 წლის, სოფ. უძილაურთა, 1962 წ.) საკიდელის ჩამოღება
კერის განელებას — ჩაქრობას ნიშნავდა. ამიტომაც ოჯახში მამაკაცე-
ბის ამოწყვეტის შემთხვევაში საკიდელის ჩამოხსნის ცერემონიას ას-
რულებდნენ. გლოვის ნიშნად ჩამოხსნილ საკიდელს გარკვეულ დრომ-
დე საკაცო სკამზე ტოვებდნენ. ხალხის რწმენით საკიდელის ჩამოვარ-
დნა უფროსი მამაკაცის, ხოლო კერის დანგრევა — ქალის სიკვდილის
მანიშნებელი იყო. დაზიანებული კერისა და სკამის დასიზმრებას თა-
ნატოლი უბედურების მაუწყებლად მიიჩნევდნენ (ჭრელა ბუთლას ძე
ცქიფაშვილი, 68 წლის, სოფ. არბახანა, 1962 წ.). კერისა და სკამის მი-
მართ ამგვარი რწმენა სხვა შემთხვევაშიაც ვლინდება, მაგალითად,
წყევლაში: „სკამ — კერაჩი ნარ-ეკალი ამოგივიდესო“ ან „სკამ-კერა
გაციებულიო“³¹. ფშავეში, საკიდელის ჩამოღება და ოჯახის უფროსის
საფლავზე გატანაც სკოდნიათ (თამარ ხოხორას ასული ლაშქარაშვი-
ლი-ვარდანაშვილისა, 90 წლის, სოფ. უძილაურთა, 1962 წ.). მაშასა-
დამე, საკიდელის ჩამოხსნა მხოლოდ ოჯახის უფროსის სიკვდილის შემ-
თხვევაში იყო დასაშვები. ასეთი ჩვეულება ოსეთის ყოფაშიც პოუ-
ლობს ანალოგს³². საყურადღებოა, რომ საფლავის ქვებზე ამოკვეთილი

²⁷ ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

²⁸ В. Миллер, В горах Осетни (из дневника)..., стр. 162.


²⁹ შტრ. Б. Андиев, Р. Андиева, Осетинский орнамент, Орджони-
кидзе, 1960, стр. 10.

³⁰ В. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

³¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშ.ვი, თბილისი, 1934, გვ. 92.

³² Б. Андиев, Р. Андиева, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

საკიდელის გამოსახულებანი მკვლევრებს ზემოაღწერილი ჩვეულების
გამოხატულებად მიაჩნიათ³³.



მთის სახლში კერა ორპირად იყო გაყოფილი: „ერთი საკაცო, მეორე — სადედაკაცო“³⁴. სამამაცო და სადიაცო ადგილების არსებობა, ისე როგორც ინტერიერში განლაგებული ავეჯის ადგილსამყოფელი ყვერფნ-კერანის მხარეებით განისაზღვრებოდა. ყურადსაღებია, რომ სქესობრივი ნიშნის გათვალისწინებით ადგილების გამიჯვნის ტრადიცია შემდგომაც დაცულია და კერასთან ჯდომის ზემოთქმული წესი, ბუხრის გაჩენის პერიოდში, მისი მარჯვენა და მარცხენა კედლის მიხედვით სრულდება. ამგვარად, კერა ოჯახის გამაერთიანებელსა და მის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენდა. ამას თუნდაც მოშლილი კერის ადგილის კვლავ კერად მოხსენიება და რიგ სოფლებში საკიდელის ხელშეუხებლობის ფაქტიც ადასტურებდა.

კერის იმ ნაწილს, რომელიც მერხის მარცხენა თავს უპირისპირდებოდა, კერის თავი ერქვა. სკამის მარჯვენა თავისაკენ მდებარე კერის მხარეს კი კერის ძირი ეწოდებოდა. მთხრობელთა ცნობით, კერასთან ზურგშექცევით დგომა კერის მარჯვენა და მარცხენა მხარეების ზუსტად განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა. მარჯვენა მხარეზე, როგორც წესი, საკაცო მერხი უნდა მდგარიყო. მარცხენაზე კი — საქალო. კერის გამიჯვნა საკაცო და საქალო მხარეებად გამოწვეული იყო შესაბამისად განაწილებული შინასაქმიანობით მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებსაც საცხოვრებელ შენობაში თავთავიანთი ნახევარი განეკუთვნებოდათ. საცხოვრებლის ამგვარი დანაწილების მაჩვენებელი ფაქტები ცნობილია როგორც არქეოლოგიურ, ისე ეთნოგრაფიული მასალებიდან³⁵. კერასთან ადგილების გამოყოფის ეს ჩვეულება ჩრდილოეთ კავკასიელთა ყოფაშიც მოწმდება³⁶. ამის შესახებ ჩურსინი წერს: „კერის ორგვლივ ადგილი მკვეთრად დანაწილებულია ოჯახის წევრებზე მისი სქესისა და ასაკის შესაბამისად“³⁷.

³³ Б. Андиев, Р. Андиева, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

³⁴ ვ ა უ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

³⁵ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1957, გვ. 57; Р. Харадзе, Грузинская семейная община, Тбилиси, 1960, стр. 50; მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 126; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველი და ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევში (ხელნაწერი), 1959, გვ. 100; თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბილისი, 1960, გვ. 38. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტფილისი, 1911, გვ. 13.

³⁶ შდრ. В. Г. Плаетске, Die Tschetschenen, Hamb., 1929.

³⁷ Г. Ф. Чурсин, Осетины (этно. очерк), Тифлис, 1925, стр. 18.

ტრადიციის მიხედვით თუ დედამთილი დიასახლისობდა, მისი სიკვდილის შემდეგ ეს მოვალეობა უფროს რძალს ეკისრებოდა. სახლის უფროსი დედაკაცი შინაურ საქმეს ისე განაგებდა, როგორც უფროსი კაცი საეკო საქმეს³⁸. პურის ცხობა და საქმლის დამზადება დიასახლისის უშუალო ჩარევით წარმოებდა. როგორც გამოკვლეულია, საუმცროსო საქმე, უმთავრესად, სახლის გარეთ არსებულ სამუშაოთა შესრულებაში მდგომარეობდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალების მიხედვით ეს ძირითადად წყლის მოტანაში ვლინდებოდა³⁹.

³⁸ რ. ხ ა რ ა ძ ე, საოჯახო თემის გადმონახულები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959.

³⁹ მთათუშეთში მსხვილფეხა მესაქონლეობის მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებით, ქალების ნაწილი ზამთარში საქონელთან ერთად ვადიოდა ბოსლებში, რომლებიც ცოტა მოშორებით იყო საცხოვრებელი ბინიდან.

ცნობილია, რომ ალპიური საძოვრებით მდიდარი ეს მაღალმთიანი კუთხე კლასიკური ფორმით განვითარებული მეცხვარეობის მთავარ ბაზას წარმოადგენდა.

XIX საუკუნისათვის თუშეთის მოსახლეობის მცირე ნაწილი ქონების კონცენტრაცია შეინიშნება. თუშეთის მკვიდრთა ხსენებული ათასი ცხვრის მფლობელთა ერთიანება. ხელოსნობის რომელიმე დარგით მსგავსი სიმდიდრის დაგროვება შეუძლებელი გახდა. ალპური საძოვრები მეცხვარეობის განვითარების კარგ პირობას ქმნიდა. მეცხვარეობის განვითარებამ თუშეთში შრომის თავისებური დიფერენციაცია გამოიწვია. XIX საუკუნიდან მეცხვარეობაში მამაკაცთა მასობრივად ჩაბმის ფაქტით აიხსნება მეცხვარის შემოსავლის ხვედრანობა. ე. წ. „შინაკაცებთან“ შედარებით მეცხვარის მომეტებული შემოსავალი ამ უკანასკნელთა პრიორიტეტს ზრდიდა, რაც ცენტრალიზებული პირთა რიცხვის შემცირებას იწვევდა და ავეჯის დაჭრელების ძველად არსებული ტრადიციის ინტენსიურად განვითარებას აფერხებდა; ე. ი. თუშეთში მამაკაცთა ძირითადი ნაწილი მეცხვარეობას მისდევდა. „შინაკაცები“ კი მეურნეობის ორ დარგს—მსხვილფეხა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას განაგებდნენ. თუშები ისე, როგორც წოვა თუშები, საზაფხულო საძოვრებზე ადიოდნენ და იქ „ალაჩოყებში“ ცხოვრობდნენ. „ალაჩოყი“ ხელდახელ გამართულ დროებით საცხოვრებელ ქოხს ეწოდებოდა. შვიდ-რვა სარს ერთმანეთის პარალელურად მიწაში ჩაასობდნენ, სახურავთან ვადლუხავდნენ და ვადლუხულ ნაწილებს თოკით შეკრავდნენ. სამი მხრიდან ნაბადს ჩამოადარებდნენ და ვადლუხულ ნაწილებს თოკით შეკრავდნენ. ეს უკანასკნელი კარის მაგივრობას ასრულებდა. ალაჩოყებში სასხდომად და სარეცელად ნაბდები იყო გამოყენებული. კაცები მუთაქებზე სხდებოდნენ, ქალებს კი მიწაზე ვადლილ ნაბდებზე უნდა მოეკეცათ. ტაბლის მაგივრად ნაჭრის სუფრებს ხმარობდნენ. კერა ალაჩოყის გვერდზე გამართულ ე. წ. „ცეცხლის საფარში“ იმართებოდა, რომელიც ყავრის სახურავით იყო დაფარული.

ამრიგად, მეურნეობის ხასიათით გამოწვეული სეზონური მიგრაცია დროებითი საცხოვრებლის შექმნის აუცილებლობას იწვევდა, რომელიც ალაჩოყად იწოდებოდა, მაგრამ როგორც ზემოთ ითქვა, თუშის მეურნეობა მხოლოდ მეცხვარეობას არ ეყრდნობოდა. მიწათმოქმედი თუშში ძირითადად, საკუთარ მეურნეობაში მოყვანილი პურით საზრდოობდა და დამხმარე მეურნეობის დარგებს შეძლებისდაგვარად ავითარებდა. მეურნეობის ამგვარი ხასიათი ამ ბინადარის მოსახლეობის ტრადიციულ ფუძეს ამაგრებდა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი ელემენტის, კერძოდ, სტაციონარული ავეჯის შექმნაშიც ვლინდებოდა.

თუმეთში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, ყველა საქმე უფროს-უმცროსობის წესის დაცვით სრულდებოდა. უფროსის პატივისცემა კარგადაა ასახული ზნეობის სახებ დაწერილ ტრაქტატში.

„უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო
ადგეს სჯობს, ისრე მჯღომელთან ქვემორე დაიწვიოსო,
საჩოქეთ რა შეიყარნენ უწინ მათ წაიწვიოსო
და არც უხამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწვიოსო“⁴⁰.

აკად. ს. ჯანაშია იხილავს არჩილიანს ანუ ფეოდალური პერიოდის ზნე-ჩვეულებების ამ მხატვრულ კოდექსს და აქვე მოცემულ ჯდომისა და დგომის წესის შესახებ შენიშნავს: „თუ განსაკუთრებული პატივისცემა ბატონს თავისი სოციალური მდგომარეობის გამო ჰქონდა მოპოვებული, ამისვე ღირსი იყო უფროსი (ე. ი. მოხუცი) კაცი თავისი წლოვანების გამო. ამიტომ, ბატონისა და უფროსი კაცის მიმართ, არჩილის აზრით, ერთნაირად უნდა მოიქცეს ადამიანი“⁴¹. „ბატონთან და უფროს კაცთან მჯღომი არას გარდევყოლო“-ო — ვკითხულობთ არჩილიანში⁴².

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალების მიხედვით, ოჯახის უფროსს გარკვეული საუფროსო ადგილი ეჭირა კერასთან. როცა უფროსი სახლში შევიდოდა, ოჯახის წევრები მას ფეხზე წამოდგომით შეხვდებოდნენ. ისინი ფეხზე იდგნენ, ვიდრე უფროსი თავის „ჩიკაჩეკე“ არ დაჯდებოდა. უფროსის სავარძელი კერის ზემო თავში იდგა ყორესთან⁴³. ეს ადგილი საპატიოდ იყო მიჩნეული კავკასიაში მცხოვრებთა მიერ⁴⁴. მაგალითად, დიუბუა დე მონპერე ამ ადგილს საუფროსოსა და სასტუმროს უწოდებს⁴⁵.

თუმეური, ხევსურული და ფშაური სავარძელი როგორც უკვე ითქვა, აღნაგობის მიხედვით განსხვავდება მთიულური, მოხეური, რაჭული და სვანური სავარძლებისაგან. ფუნქცია ყველა ხსენებულ სავარ-

⁴⁰ არჩილიანი, პირველი ტომი, ტფილისი, 1936, გვ. 84.

⁴¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 499.

⁴² არჩილიანი, ტომი I, თბილისი, 1936, გვ. 85.

⁴³ ხევსურეთში ყორე ქვით შშრალად აგებულ კედელს ეწოდება, გ. ჩიტიანი, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 194.

⁴⁴ А. Б. Панек, Жилище мтиулов, Сборник музея антропологии и этнографии, Ленинград, 1939, стр. 259.

⁴⁵ Фредерик Дюбуа де Монперэ, Путешествие вокруг Кавказа у черкесов и абихов в колхиде, в Грузии, в Армении и в Крыму. Сухуми, 1937, ч. I, стр. 81.

ძლებს ერთი აქვთ — ოჯახის უფროსი მამაკაცთათვისაა განკუთვნილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ეს საპატრიარქო სვანური საკურცხილი-ს მსგავსად, საპატრიარქო დასაჯდომი იყო და ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდა საპატრიარქო სტუმარს თუ ეთმობოდა⁴⁶. ოსეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ საუფროსო სკამს (каласы) ჩურსინი ზემოსხენებულთა განმეორებად თვლის და მას საქართველოს მთიანეთის სავარძელთა ანალოგიურ ფუნქციას მიაწერს⁴⁷. კარიკა-დ წოდებული ალბანური სკამები, ვფიქრობთ, ასევე მათ შორეულსა და საინტერესო პარალელს უნდა წარმოადგენდეს⁴⁸.

კერასთან, როგორც წესი, მთის ოჯახის დამახასიათებელი გრძელი სკამი იგივე მერხი // მ ე ჯ ი // სკამ-ლოგინი უნდა მდგარიყო, რომელიც სამამაცო სკამის სახელითაცაა ცნობილი. ხსენებული სკამები, ფორმით, დანიშნულებითა და ორნამენტით მსგავსებას პოულობს თრუსოს ხეობის ოსებში დღემდე შემორჩენილ გრძელ სკამებთან⁴⁹. ამგვარ სკამებს (Bank) მკვლევარი ნოპშა ოსეთის ყოფის მახასიათებლად თვლის⁵⁰, საგულისხმოა, რომ ასეთი სკამების არსებობა ჩეჩნეთშიაც დასტურდება⁵¹. გრძელი სკამების ეს მსგავსება მათი დამზადებისა და გამოყენების ანალოგიურ ტრადიციათა არსებობაზეც უნდა მიუთითებდეს.

თუ ოჯახში სკამ-სავარძელი არ ჰქონდათ, ოჯახის უფროსი მამაკაცი გრძელი სკამის თავში დაჯდებოდა და დანარჩენი მამაკაცები (ოჯახის წევრები და სტუმრები) „უფროსობით სკამის კიდეზე ჩამორიგდებოდნენ“, რაც მთხრობელთა ცნობით ლამაზ სხდომად იყო მიჩნეული (მარიამ ხვთისოს ასული წითელაური-კარატიელისა 70 წლის, სვაკისოფელი, 1962 წ.). სკამის კიდეზე ჯდომის წესის ამგვარი შეფასება XVII საუკუნის სპეციალურ ტრაქტატში მოგვეპოვება⁵².

საკაცო სკამზე — მერხზე მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ, რაც სხდომის ეტიკეტის დაცვით სრულდებოდა. ეს უკანასკნელი ასაკის გათვალისწინებას გულისხმობდა და სწორედ ჯდომაში გამოიხატებოდა. „წინავე ლამაზ ჯდომა იცოდეს. ისე უნდა დამჯდარიყო კაცი სკამის კიდეზე, რომ ზურგი არ მიექანდებინა. ფეხის ფეხზე გადადებაც საძრახისი იყო“ (საძილა გელას ასული კინკარაული-არაბულისა, 80 წლის,

⁴⁶ გ. ჩ ი ტ ა ი ა, სვანური „საკურცხილი“, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, ტ. II, ტფილისი, 1925, გვ. 98—99.

⁴⁷ Г. Ф. Чурсин, Осетины (этно. очерк), Тифлис, 1925, стр. 18.

⁴⁸ Fr. Baron Norcsa, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

⁴⁹ შდრ. Г. Ф. Чурсин, Осетины (этно. очерк), Тифлис, 1925, стр. 18.

⁵⁰ Fr. Baron Norcsa, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

⁵¹ შდრ. Fr. Plaetschke, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

⁵² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 500.

სოფ. ჩირდილი, 1961 წ.). ზნე-ჩვეულების მხატვრულ კოდექსში
მის წესზე ნათქვამია:

„ჯდომაში ფეხი გარეთი ზეით არ უნდა დაიდო“⁵³.

იგივე კოდექსის სხვა ადგილას ვკითხულობთ:

„წინ ჯდომით, უკან უკუხრით ზურგს
ნუ მიჰყუდებ კედელსა,
ნურც თავს დაჰკიდებ, არ გვანდებ თვალნაკლებ
ოქრომჭედელსა,
ცალს თეძოზედ არ დასჯდე, რად ეჭვ ბნელს
მისადებელსა“⁵⁴.

ქალები მამაკაცების მსგავსად უფროს-უმცროსობის წესის და-
ცვით სწდებოდნენ. ფშავ-ხევსურეთში სალიაცო მხარეზე გრძელი სკა-
მი არ იდგა. მთხრობელთა ვადმოცემით, „ქალების წესი დაწალიკებით
ქასდარზე (სოხანე) ჯდომა“ იყო. ხალხური ახსნით „დაწალიკება მწკრი-
ვზე სხდომას“ ნიშნავს, რაც საბასეული განმარტების ანალოგიურია⁵⁵.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისაგან გან-
სხვავებით თუშეთში სალიაცო მეწის არსებობა დასტურდება. ზოგიერთ
მერხზე საუფროსო დასაჯდომთან ამობაკნული ყოფილა კრო-
ჭის (მცირე ყუთი) ან რაიმე ჭურჭლის ჩასადგმელი (ნინო თევდორეს
ასული იჩვადიე-თავბერიძე, 97 წლის, სოფ. ქვემო ალვანი, 1963 წ.)⁵⁶.
ეს თავისებური, კონსტრუქციული დეტალი, საკაცო მეწისაგან განმას-
ხვავებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარი მერხი ერთგვარ მსგავ-
სებას ამჟღავნებს სვანურ მერხთან (ბანდორ), „რომელიც მანდილოსნე-
ბის მეტად ორიგინალური სასხდომია“⁵⁷ (სურ. 19).

ოჯახს თუ ერთადერთი კაცი ჰყავდა, მაშინ გრძელ სკამზე ის დაჯ-
დებოდა, დანარჩენი ხუთი-ექვსი კაცის ადგილი თავისუფალი უნდა ყო-
ფილიყო. ოჯახის უფროსის სახლში არყოფნის შემთხვევაში მისი ად-
გილი შემოსწრებულ სტუმარს ეთმობოდა. იმ შემთხვევაში, თუ მას-
პინძელს ხნით მისი სწორი სტუმარი შემოესწრებოდა. წესისამებრ, იგი
თავის ადგილს სტუმარს უთმობდა.

⁵³ არჩილიანი, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 8.


⁵⁴ იქვე, გვ. 8.

⁵⁵ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი,
1928.

⁵⁶ შდრ. გ ბოჭორიძე, თუშეთი, საქართველოს ცენტრ. არქივი, ფონდი 1753,
საქმე 115.

⁵⁷ ვ. ბარდაველიძე, სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები,
თბილისი, 1953, გვ. 147.

ახალგაზრდა ქალს საკაცო მხარეზე გადასვლა ეკრძალებოდა, ამ წესის დარღვევა ხალხის რწმენით „საკაცო ადგილის მირუფის“ დასაძინეს გამო „ოჯახის მცვე ანგელოზთა გულისწყრომას იწვევდა“ (მარიამ პაპას ასული ბაიაშვილი-ჩოხელაშვილისა, 54 წლის, სოფ. კუჭქეპა, 1962 წ.).




სურ. 19. სვანური საქალიო მერხი „ბანდარ“. ექსპონირებულია საქართველოს სახელ. მუზეუმის ეთნოგრაფიის გამოფენაზე.

გარდა სკამზე ჯდომის აღნიშნული წესისა, ცნობილია აგრეთვე ქალებისათვის დასაჯლომად ტყავის, ტყავში გამოკრული მატყლისა და ზამბის ბალიშების გამოყენება. ამ სახის საჯლომ ბალიშებს ს ა ნ ა ც უ რ ა, ს ა ს თ უ ნ ე ლ ა და ქ უ ნ თ ა ეწოდებოდა. ტყავის ქვეშაფენად მხარება ძველადვეა ცნობილი. ვეფხისტყაოსანში ვკითხულობთ:

„მან ქალმან ქუეშე დაუგო
ვეფხის ტყავისა ნატეზი“⁵⁸.

ეთნოგრაფიული მასალა ძირს ჯდომის პრაქტიკულ საფუძველს ავლენს და ცხადყოფს, რომ იგი ქალების საქმიანობით იყო გამართლებული. ხალხის დაკვირვებით, ქალის საქმიანობა კერძოდ კი რთვა, ჩეჩვა კახურაჲს წესით (მოკეცვით) ჯდომის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. რაც შეეხება მარცხენა ანუ საძროხეს მხარეზე ქალის ჯდომას, მასაც პრაქტიკული მიზანი ჰქონდა. საქონლის მოვლა-პატრონობა ქალს ევალებოდა და იგი საძროხესთან ახლოს უნდა მჯდარიყო.

⁵⁸ შ თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, 267, 2.



ამრიგად, უფროსისა თუ სხვათა წევრთათვის ადგილის გამოძებნა ანუ არჩილიანის მიხედვით: „მის-მის ალაგს კაცის დასმა“⁵⁹ კერძოდ საქალთა სხდომის წესშიაც კარგად ჩანს.

საკაცო სკამი ხელშეუხებელი იყო. როგორც ითქვა ადგილიდან მისი დაძვრა ტრადიციით იკრძალებოდა. ოჯახში, სადაც საკაცო სკამი არ იდგა, სკამის მოვალეობას კედელთან ჩადგმული დასაჯდომი ფიცარი სიბი ან კუნძი ასრულებდა. კერის მარჯვენა მხარეზე მოთავსებული ეს მარტივი სასხდომებიც ერთგვარად ტაბუდადებული იყო და ყველასათვის სახმარ ავეჯს არ წარმოადგენდა.

განსხვავებული იყო საკაცო და საქალო ტაბლები. პურობის დაწყების წინ დიასახლისს მარჯვენა ხელით უნდა გადაედგა საკაცო ხონჩა (სუფრა), რომელიც სწორკუთხა მოყვანილობისა იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სასტუმრო ტაბლა // ხონჩების არსებობაც მოწმდება. ფშავ-ხევსურეთში სასტუმროდ ზემოაღწერილი წარბიანი ხონჩა იგივე ტაბლა ყოფილა გამოყენებული. ხევში კი ამ ფუნქციით ხარხილიანი ტაბლა იხმარებოდა:


ქალების ტაბლას ხევსურეთში მოგრძო მოყვანილობის უფეხო სუფრა წარმოადგენდა. საქალო სუფრის დანიშნულებას ფშავში ბაკანი, ტაბაკი და ხევში უფეხო ტაბლა ასრულებდა (მზექალა ფრუშკას ასული ყბაილაშვილ-ლოსყურაშვილისა, 90 წლის, სოფ. მაღაროსკარი, 1962 წ.), აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბაკნის ხევწაში ფშავლები დახელოვნებულან. მათი ნაკეთები, სუფთად ამოხვეწილი ბაკანი, კარგად ფასობდა. იგი „ევსება ერბოზე იყენებოდა“⁶⁰. ტაბლის ფუნქციის ბაკნები კავკასიის სხვა ხალხებშიც ყოფილა გავრცელებული. ჩრდ. კავკასიაში იგი უმთავრესად ჩარხზე ნამზადი სახით დასტურდება⁶¹.

საქართველოს მთიანეთის ყოფაში რვლის (სპილენძი) სამეფხა ტაბლების არსებობაც მოწმდება... უკანასკნელ ხანებში სპილენძის ნივთები, რომლებიც ჩაჩნებსა და დაღესტნელებს შემოჰქონდათ, წონა ერბოზე იცვლებოდა (თითოეული ტაბლა დაახლოებით ათ გირვანქას იწონიდა). დაღესტნელებისაგან სპილენძის ჭურჭლისა და დგამის ყიდვა და ამ გზით თავისი უნჯეულობის დაგროვება ბუნებრივი პროცესისა და ისტორიული კონტაქტის შედეგი.

⁵⁹ არჩილიანი, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 8.

⁶⁰ მასალა ჩაწერილია სოფ. კაწალხევში, ფშავის 1962 წლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს.

⁶¹ М а р г г რ ა ფ, Очерк кустарных промыслов северного Кавказа, с описанием техники производства, составил по матер. собранным А. В. Золоторевым Москва, 1882, стр. 260.



ტაბლებს საერთოდ, როგორც წესი, კერის თავის მოპირდაპირედ, ხის საკიდლებზე კიდებდნენ. ამ მიზნით, თუშეთში, კიდობანს იყენებდნენ, რომელსაც ფასადზე „ჯამ-ჭურჭლის დასაჯარავ ხის ყვდობის“ (სამჭვალებს) უკეთებდნენ.

ტაბლის უხეშად დადგმა, ან ყაღალიდან მისი ჩამოგდება, ხალხის რწმენით, დიდ ცოდვად ითვლებოდა (ალუდაური ბეწინას ძე არაბული, 84 წლის, სოფ. აჭეხა, 1961 წ.). საგულისხმოა, რომ ოსეთში ტაბლას (ФЫНГ) საკიდელის ტოლძალოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მისი აუგად ხსენება იკრძალებოდა. იგი ოჯახის სიწმინდედ ითვლებოდა და საკიდელის მსგავსად ოჯახის წევრთა საფიცარ ნივთს წარმოადგენდა⁶².

თუშეთში, კერის გასწვრივ, საღიაცო მხარეზე თარო იყო გამართული. თარო სამგანაყოფიანი იყო — დაბლა, შუა და მაღლა თვლები ეწოდებოდა. თითოეული თვალი, თავის მხრივ, პატარა უჭრებისაგან შედგებოდა. თაროს მარცხენა მხარეზე მეორე — კარიანი თარო ანუ განჯინა კეთდებოდა. ოთახში — თაროს დაყოლებით, სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის კიდობნები იყო ჩამწყკრივებული. ქიტკოვზები, ჯამები და სხვა ჭურჭელი კიდობნის ყაღაღებზე და თაროს თვლებში თავსდებოდა.


ფშავ-ხევსურეთში როგორც სამამაცო, ისე საღიაცო მხარეზე მიმაგრებული იყო ხის თარო, რომელსაც ხევსურეთში ისკორტა ერქვა⁶³. იგი სხვადასხვა ბუნების ჩამოსაკიდებლად გამოიყენებოდა. ქალთა სამყოფელისაკენ გაკეთებული ამგვარი ხისკავებიანი ისკორტა, ქანდარის სახელითაც იყო ცნობილი. მასზე ქინთი (საწვენე კოვზი), სამარილე და ქვაბები ეკიდა. სამამაცო ისკორტა, რომელიც ჯიხვის რქების საკიდარს წარმოადგენდა, მამაკაცთა კუთვნილ ფარ-ხმალისათუ დაშნის ჩამოსაკიდებლად იხმარებოდა. ისკორტას ანალოგიური კარხხაც უმთავრესად სამამაცო მხარეზე კეთდებოდა.

საქალო ქანდარას ანუ ისკორტას ძირში, როგორც წესი, კომბინირებული კიდობანი იდგა. ამ კომპლექსურ სათავსოს განაყოფი — საპურე კიდობანი და კარადა იქვე იყო მოთავსებული. მის გვერდზე ადგილი ეჭირა სატალავრე ანუ საბარგე კიდობანს. ამ სახით კიდობნების განლაგება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

ქალისა და კაცის ტანსაცმლის კიდობანში ერთად ჩაწყობა ტრადიციით იკრძალებოდა. ამ აკრძალვის მიზეზად ხევსურეთში ქალის

⁶² Г. Ф. Ч у р с и н, Осетины (этно. очерк), Тифлис, 1925, стр. 18.

⁶³ გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „ენე“, გვ. 150.



უწმინდურებას თვლიდნენ. ამისათვის ზოგიერთ ოჯახში ორგანყოფილებიან სატალავრე კიდობანს ხმარობდნენ. თუ ოჯახს მცირე ზომის ერთოვლიანი კიდობანი ჰქონდა, მასში ქალის ტანსაცმელს აწყობდნენ. მამაკაცის ტანსაცმელს კი ქანდარაზე კიდებდნენ.

ამჟამად ფშავში დადასტურებული საბარგე კიდობანი ტანსაცმლისა და ქსოვილებისათვის განკუთვნილ საცავს წარმოადგენს. ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ დიფერენცირებული ავეჯი: კარადა, საპურე თუ სატალავრე კიდობანი ადრე ერთად იყო წარმოდგენილი დიდი კიდობნის სახით. ჩანს, რომ ძველად კიდობანი რთული და კომპლექსური ხასიათის დგამი ყოფილა. კიდობნის აღნიშნული ვარიაციით წარმოდგენა კი ინტერიერის განტვირთვას უწყობდა ხელს.

საცხოვრებლის ანალოგიურად ხევისურული სახლის ჭერბოში გამართული კერის ორ ნაწილად გაყოფა, კუთვნილების მიხედვით განლაგებული ავეჯის ორ მხარეზე განაწილების აუცილებლობას იწვევდა. თუმური სახლის ჭერბო მოძრავი ქონების საცავს წარმოადგენდა. საკაცო-სატალავრე კიდობანი ჭერბოშიც საკაცო მხარეზე იდგა, საქალო კი საღიაცოსკენ იყო მოთავსებული.

ტანსაცმლის მოვლა ქალს ევალებოდა. პრაქტიკაში ყოფილა კიდობნებში ნაწყობი ტანსაცმლის სისტემატური გამზეურება, რათა ტანსაცმელი არ გაფუჭებულიყო. ამავე მიზნით, წესად ჰქონიათ სატალავრე კიდობანში თამბაქოს ჩაყრაც. ხალხის დაკვირვებით, ფუჭვის ხისაგან დამზადებულ კიდობანს სპეციფიკური სუნი გააჩნდა, რაც მასში ჩაწყობილი ტანსაცმლის კარგად შენახვას უზრუნველყოფდა.

ფშავში დადასტურებული მასალის მიხედვით, სახორბლე კიდობანზე ანწლის ფოთლების დადება სცოდნიათ. ეს უკანასკნელი ჭისგან ზორბლის დასაცავ საშუალებად ითვლებოდა. საინტერესოა, რომ ეს ხალხური საშუალება XIX საუკუნის პრესაშიაც აღუნიშნავთ: — „ყოველს კუთხესა და ამბარში, სადაც პური ჩაიყრება დააყუდეთ კონებად შეკრული ანწლის ფოთოლნი, რომელსა შეეხვევიან პურის ტილნი და და ყოველს კვრას სიფრთხილით გამოიტანდეთ და ცეცხლში ჩასწოდეთ და კვალად დაუწყობდეთ შეკრულ ანწლის ფოთოლთა; ამ ღონისძიებით პურის ტილნი სრულებით გასწყდებიან“⁶⁴.

საყურადღებოა ზოგიერთი რწმენა-შეხედულებანიც. ხევისურეთში, სატალავრე კიდობანში, ასევე კარადასა და ერბოს საცავში შელოცვილი ნახშირის ჩადდება იცოდნენ, „ბედნიერება მოაქვსო“. ფშაური მა-


⁶⁴ თ. გურგენიძე, ღონისძიება პურის კბენარის გაწყვეტისათვის, გაზ. „გუთნისდელა“, 1862 წ.

სალით ამას უფრო დიდ ხუთშაბათს ასრულებდნენ. ზოგჯერ რკინის ნაჭერსა და ნალსაც კი ჩადებდნენ.

ხეავის გამოლევის შიშით, კიღობნის და კარადის კარის ღიად დატოვებას გაურბოდნენ. ხევესურეთსა და ფშავში, მრგვალ ქვას მაგიურ ძალას მიაწერდნენ, ამიტომ მას ხევესურები ბოსელში (სამყოფში), ხოლო ფშაველები სახლში სადიაცოს მხარეზე მდგარ ერბოს კასრსა და საპურე კიღობანში ავდებდნენ (ნინო ჭავჭავაძის ასული ჯინჭარაული-ალუდაურისა, 55 წლის, სოფ. ჭავჭავაძი, 1961 წ.). ამგვარი ქვა თუშეთში „კინჭრიკვაძს“ სახელით არის ცნობილი. მოსალოდნელი უბარაქობის შიშით მიუღებლად თვლიდნენ ამ ქვის დაკარგვას. აღსანიშნავია, რომ თუშეთში ჭინჭრიკვაძს ნაცვლად მრგვალი კვერის გამოყენებაც სცოდნიათ. მათი რწმენით, ამ კვერს მრგვალი ქვის ტოლძალოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხსენებულ კვერს დიასახლისი ახალ წელს აცხობდა და საპურე კიღობანში ათავსებდა. „ხეავიანობის მომტანი იყო, აგრეთვე, თურსის ან ცირცელის ხის ნაფოტი“. ხევესურეთში დამოწმებული მასალით, ოჯახს ბარაქა დაედებოდა, თუ ოჯახის უფროსი მამაკაცი გუგულის მოფრენასთან დაკავშირებით მაგიურ ცერემონიას შეასრულებდა. ეს ცერემონიალი შემდეგში მდგომარეობდა: გუგულის მოფრენის პერიოდში ოჯახის უფროსი მამაკაცი სახლიდან გაიპარებოდა და დედიშობილა სამჯერ შემოუვლიდა იმ ხეს, რომელზედაც გუგულს შენიშნავდა. შემოვლის დროს წესისამებრ იტყოდა: „გუგულო დოლა მოგბარე ბარაქა დამიტანეო“. მას თითოეულ შემოვლაზე ხისათვის ნაფოტი ან ქერქი უნდა შემოეთალა. ეს ნაფოტი უცხო თვალისაგან უნდა დაეცვა და იგი ერბოს კასრში, პურის კიღობანში, ან გოდორში უნდა ჩაეგდო. ამგვარი ხერხით მოზოგებულ ნაფოტს მათი აზრით მაგიური ძალა ჰქონდა და ოჯახის ხეავიანობას უზრუნველყოფდა (გიორგი ჩაღხიას ძე ალუდაური, 72 წლის, სოფ. ხახმატი, დუშეთის რ-ნი, 1961 წ.).

თუშეთში იცოდნენ საახალწლო რიტუალური კვერის (კვერზე საქონლის რქა და ტუჩი იყო გამოსახული) — ე. წ. კერისდედის გამოცხობა და მისი „კერაძს თავთან წამოკუნტვა“, რასაც ხალხის რწმენით ოჯახი უნდა გაემრავლებინა (ფროსე ლეოს ასული აქიმიძე-რაინაული, 55 წლის, სოფ. ქვემო ალვანი, 1964 წ.).

ხარებობის წინა დღეს ავეჯს, უფრო მეტად კი კიღობნებს, სველით გარეცხდნენ, ხოლო ხარებობას მას „ჩაშრეტილი წყლით დაწინწკლავდნენ“. ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების წყლით დაწინწკვლა ავი თვალის საწინააღმდეგო ცერემონიას წარმოადგენდა. იგი კერასთან სრულდებოდა: თიხის ჯამს გაშლილ მაკრატელს დაადებდნენ, შე-



მდეგ საცერს დაადგამდნენ და ერთ კოვზ წყალს ჩაასხამდნენ. ბოლოს საცერს მალლა ასწევდნენ და ჯამში ნალვერდალს ჩაყრიდნენ ამ სიტყვებით: „შიგ მოაყოლე ავ კაცის თვალი და ავ კაცის ხელი“. ხალხს სწავდა, რომ დგამ-ჭურჭელზე „ჩაშრეტილი“ წყლის მისხურება „უნჯის (ქონების) ანგელოზთ ეამებაო“ და ცერემონიალიც ამ პროცესით მთავრდებოდა (თამარ გიორგის ასული უთურგაძე, 44 წლის, სოფ. ქვემო ალვანი, 1964 წ.), ეს წესი მაგიური რწმენის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

ავეჯს, გარდა რეალური ფუნქციისა, მაგიური დანიშნულებითაც იყენებდნენ. კერძოდ, მერხი იყო ის საგანი, რომელზედაც ტრადიციული წესის მიხედვით სრულდებოდა შესაწირი ზვარაკის დაკვლა.

სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სულ ბოლო დრომდე მესარობას (აღების პერიოდი) საწირავ ღორს — ტახს მაჩუბში კლავდნენ. მას წმინდა ადგილზე მიიყვანდნენ. ხო შ ა მ ა რ ე ღორს წაღმა მოაბრუნებდა და საგანგებო ლოცვას აღავლენდა. შემდეგ კერისპირად მდგარ მერხთან, ანთებული კვარით მას ყელზე ჯაგარს მოუწვავდა, მერხზე თავს დაადებინებდა და სიღუმლო ლოცვით დაკლავდა. მსხვერპლის სისხლი მერხქვეშ შედგმულ ფ ა კ ა ნ შ ი (ჭურჭელი) იცლებოდა (ბესარიონ გიორგის ძე ქურასბედიანი, 85 წლის, ქვემო სვანეთი, სოფ. გულიდა, 1965 წ.)⁶⁵. ასევე ზ ო მ ხ ა-ს (საკალანდო) ღორის დაკვლაც მერხზე სრულდებოდა, რაც ხის ავეჯის ირაციონალურ დანიშნულებაზეც მიუთითებს. ამავე საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ხევსურეთში ფიქსირებული წეს-ჩვეულება — „მამამთილის სკამის განათვლისა“⁶⁶. ეს უკანასკნელი საგულისხმოა, რადგან ამ შემთხვევაში შესაწირავის დაკვლა სახლის მაგიერ ხატში ხდებოდა. მართალია, ზვარაკის (ცხვარი, ხარი) დაკვლის ცერემონიალი აქ სკამზე არ სრულდებოდა, მაგრამ ხატში მდგარ მერხისათვის სისხლის პკურება (სისხლის წვევა) მაინც სავალდებულო იყო.

ასევე საინტერესო ჩანს ის რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ბავშვის საწოლ ავეჯთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ასეთებია: ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალებად რკინეულის გამოყენება, აგრეთვე სხვადასხვა სა თ ვ ა ლ ი ს აკვანზე ჩამოკიდება და სხვა. ამ მხრივ

⁶⁵ ეს სისხლი უცხო პირთათვის ღ ა ლ ყ ა ჯ-ს წარმოადგენდა. უცხო პირს მისი დანახვა და გამოყენება ეკრძალებოდა. შდრ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, თბილისი, 1939, გვ. 80.

⁶⁶ ესარგებლობთ ეთნოგრაფ მ. მაკალათიას მიერ 1965 წ. ს. შუაფხოში ჩაწერილი მასალით. მთხრ. ნათელა თათიას ასული ბალიაური, 69 წლის.



განსაკუთრებით საყურადღებოა აკვნის გაყიდვის იმიტაციის შემთხვევაში აკვნის „უიღბლოდ“ ჩათვლის შემთხვევაში სრულდებოდა. ში ხშირად კვდებოდა ახლად შობილი, შემდეგ წესს ასრულებდნენ: აკვნის ჯერ გაასხვისებდნენ და მერე კი უკან დაიბრუნებდნენ. აკვნის დროებით გასხვისების ცერემონიალი ხალხის რწმენით სიკვდილიანობის მიზეზის — ავსულთა კვალის დაკარგვას იწვევდა. ეს წესი გვაგონებს ბავშვთა გასხვისების იმ მაგიურ მოქმედებას, რომელიც სხვადასხვა ხალხებშია აღწერილი⁶⁸.

უშვილობის შემთხვევაში იცოდნენ საწირავი, პატარა აკვნების დაწმენდა. ამგვარ აკვანს უმთავრესად ნაყოფის მომცემ მსხლის, ან კაკლის ხისაგან აკეთებდნენ, რომელთაც წმინდა ხეებსაც უწოდებდნენ. აკვანს ჯერ ამ წმინდა ხეებზე ჩამოჰკიდებდნენ, დაარწევდნენ და შემდეგ ხატს შესწირავდნენ (გიგოლა ივანეს ძე წიკლაური, 67 წლის, სოფ. გამსი, დუშეთის რ-ნი, 1959 წელი). ამ ხასიათის ცერემონიალი სხვაგანაც მოწმდება⁶⁹. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ხისაგან აკვნის გაკეთება, ამავე ხეზე მისი ჩამოკიდება და დარწვევა წარმოადგენს მაგიურ მოქმედებას, რომლის მიხედვითაც „მსგავსი იწვევს მსგავსს“.

უშვილობის შემთხვევაში სხვადასხვა სახის აკვნის შეწირვის წესი საქართველოს სინამდვილემ უკანასკნელ ხანებამდე შემოინახა. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ვერცხლის მინიატურული აკვანი (სურ. 20) (კოლ. № 122—13/2), ხის აკვანი გორის რ-ნის სოფ. ქორდის წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან შეწირული აკვანი (კოლ. № 5—95) და სხვა. ზოგიერთი მათგანი (კოლ. № 70—08) ex voto-თა რიცხვს განეკუთვნება.


ზემოსხენებული ავეჯი, როგორც სამყოფოში, ისე ჭერხოში, წესისამებრ იყო განლაგებული. კიდობნები სადიაცო მხარეზე იდგა, ხოლო საკაცო მხარე ზემოაღწერილი ორი-სამი საკაცო ლოჯინით (საწოლით), გრძელი სკამითა და ერთი ან რამდენიმე სკამ-სავარძლით იყო წარმოდგენილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელში სადიაცო მხარე ნაირი სახის ავეჯით იყო გადატვირთული. ხევსურულ შინაში დალაგებული იყო საპურე კიდობნები და თხორები (ქალის ხელსაქმის იარაღები) სავსე ტაგრუცები. თუშურ შუა-სადიაცოსკენაც სხვადასხვა დანიშნულების კიდობნებს ათავსებდნენ. თითო-

⁶⁷ მასალა ჩაწერილია სოფ. კიტოხში 80 წლის მელანია გიორგის ასულ წიკლაური-საგან, 1959 წლის მთიულეთ-გულდამაყრის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს.

⁶⁸ შდრ. К. И. Козлова, Этнография народов Поволжья, изд. Московского университета, 1964, стр. 128.

⁶⁹ იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

ეულ მათგანს ჰქონდა ე. წ. „კიღობნის გამოსაღებელაჲ“ (საკოვზე ყუ-
თები). ასევე ფშავში, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში, საქალო მხა-
რეზე საბურე საბარგე და სხვა ხასიათის კიღობნები იდგა. ხევსა და
მთიულეთ-გუდამაყარში საქალო მხარეზე ჩადგმული დიდი ზომის საო-
ჯახო ვარცი, მთხრობელთა გადმოცემით პურისა და ჭურჭლის შესა-
ნახი, ანუ მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯამ-კოვზისა და გამომ-




სურ. 20. ვერცხლის მინიატურული აკვანი.

ცხვარი პურის ბუნავი იყო“; ე. ი. იგი კარადის ფუნქციას ასრულებდა. ოსეთის ზოგიერთ სოფელში ამგვარი ვარცლები დღესაც შემოთქმული დანიშნულებით იხმარება. ამ დგამის სახელწოდებაც კარადა-ვარ-
ცილი (шкаф-корыто) მის კომბინირებულ ფუნქციაზე მიუთითებს⁷⁰.
საერთოდ, საქალო მხარეზე, კარების მახლობლად წყლის ჭურ-
ჭელი იყო განლაგებული. ამ ადგილს საუმცროსო ეწოდებოდა. აღსანი-
შნავია, რომ საქალო ნიეთებში „ხელის მორევა“ მამაკაცისათვის სამარ-
ცხვინოდ ითვლებოდა.

საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფშავ-ხევსურეთში, უფროსი ქალის საწოლი (ჩ ა ფ ი ჯ ი ნ ი) ზამთარში ჩვეულებრივად შ ი-
ნ ა შ ი იდგა. ფშავში — ზაფხულობით მას დერეფანში ათავსებდნენ.
ხევსურეთში კი — ჭერხოში. ხევსურეთში ხსენებული საწოლი მოხუცი
მამაკაცის მოსასვენებელი იყო. მამსაღამე, ხევსურეთში დამოწმებული

⁷⁰ Б. Андиев, Р. Андиева, Осетинский орнамент, Орджоникидзе, 1960, стр. 27.

ჩ ა ფ ი ქალისა და განსაკუთრებულ შემთხვევაში, მამაკაცის საწოლიც
ყოფილა⁷¹.



ამრიგად, ხევსურულ შინაში თუ შური შ უ ა ს ა და სხვა საცხოვრებ-
ლებში ავეჯის განლაგება და მისი მოხმარების წესები შრომის განწი-
ლების ტრადიციას უკავშირდება. იგი ოჯახის წევრთა საქმიანობის
გამოვლენის ერთ-ერთ საბუთთაგანს წარმოადგენს. როგორც მასალი-
დან ჩანს, საოჯახო ცხოვრება გარკვეული წესით იყო აწყობილი. სა-
ცხოვრებლის უმნიშვნელოვანეს ადგილს კერა წარმოადგანდა. იგი უძ-
ველესი დროიდან ოჯახის ძირითად სიმბოლოდ იყო მიჩნეული და მთე-
ლი საოჯახო ცხოვრება მის ირგვლივ მიმდინარეობდა⁷². ამიტომ შემთ-
ხვევითი არ უნდა იყოს, რომ საკვები მარაგის შენახვა და საოჯახო
დგამ-ჭურჭლის მოთავსება კერასთან გარკვეულ წესს ემორჩილება. ის
გარემოება, რომ კერასთან ირჩეოდა ყოველი სადავო საკითხი და აქ მი-
ღებულ გადაწყვეტილებას ყველა ემორჩილებოდა, ოჯახის გაყრის ცე-
რემონიალიც კერასთან მოთათბირების შემდეგ იწყებოდა, ამასვე ადას-
ტურებს. კერასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ამ მხრივ საინტე-
რესო ანალოგიურ მასალას შეიცავს⁷³.

ოჯახის გაყრის დროს ავეჯის გაყოფა კერასთან ხდებოდა. ხევსურ-
რეთში დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით ძმები ცოლის მოყვანის-
თანავე ოჯახს უნდა გაყროდნენ. აღნიშნული ჩვეულება განსხვავდება
ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუ ხევში დამოწმებული ტრადიციი-
საგან, რომელიც მამის სიცოცხლეში ძმების გაყრას კრძალავდა⁷⁴.
ოსეთში საყოველთაო სიძულვილს იმსახურებდა ისეთი ვაჟიშვილი,
რომელიც ოჯახიდან გამოყოფას მამის სიცოცხლეში განიზრახავდა⁷⁵.

ოჯახის გაყრის დროს გაყოფა თანაბარ საძმაო ნაწილებად ხდებო-
და. „ნედლი და ხმელი ქონება, უძრავ-მოძრავი ბუნაგი, ავეჯის ვანი,
ვეჯი თუ ავეჯი, ძმებს შორის წილის დაყრით იყოფოდა“. ქონების
გასაყოფად სამი უფროსი კაცი უნდა მოეწვიათ, რასაც ფშავში „კაცების
დასხმას“ უწოდებდნენ (მარიამ ჭრელას ასული გოდერძაული-ბობლი-

⁷¹ შდრ. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

⁷² აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ლ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, თბილისი, 1962, გვ. 51.

⁷³ შდრ. მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის
ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 98.

⁷⁴ 1960 წ. მთიულეთ-გუდამაყრის, 1961—62 წწ. ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული
ექსპედიციების მასალები. საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების
არქივი; იხ. ვ ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. VII, გვ. 137; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა,
ფშავი, გვ. 89; ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

⁷⁵ «Большой стыд тому из сыновей, который отделится при жизни отца и
матери», Обзорение Российских владений за Кавказом, ч. II, СПб., 1836, стр. 138.

აშვილისა, 55 წლის, სოფ. ელიაგზა, 1962 წ.). ძმები თავთავის წილს (ნიშანს) ქულში ჩაყრიდნენ. არჩეული თავკაცები ყოველი ძმის ვეჯიანული ვნილ ნიშანს დაიმასოვრებდნენ, თითოეულ ნიშანზე ნივთს შეესაფარებოდნენ და ამ ნიშანს შესახებულ ნივთზე დადებდნენ. არსებობდა წილის ყრის მეორეგვარი წესი „ჯოხზე წილის ყრა“. ამ შემთხვევაში ჯოხზე იმდენი ჭდე კეთდებოდა, რამდენი მოწილეც იყო. თითოეულ ჭდეს ქონების გარკვეულ ნაწილს მიაკუთვნებდნენ. ქონების განაწილება ხელდგმით — ჯოხზე ხელის მოვლებით სრულდებოდა. „ვისი ხელიც თავჭდეზე მოხვდებოდა, იმას იმ ჭდის ქონება ერგებოდა“ და ა. შ. პური, ერბო და სხვა საკვები პროდუქტები სულადობის მიხედვით თანაბრად ნაწილდებოდა (მართა ხეთისოს ასული ქისტაური-წელაშვილისა, 60 წლის, სოფ. ხილიანა, 1962 წ.)⁷⁶. ქონების განაწილების ანალოგიური წესი კავკასიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებშია დამოწმებული⁷⁷.

როგორც დავინახეთ, უფროსი ოჯახში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. მის სიტყვას ანგარიშს უწევდნენ და მისი ადგილი შეუღალახავი იყო. უფროსის პრიორიტეტი ოჯახის გაყრის შემთხვევაშიც უნდა დაცულიყო. ოჯახის უფროსები იმ ძმასთან რჩებოდნენ, რომელიც წილის ყრის შემდეგ ძველ სახლში მკვიდრდებოდა. შემდეგ კი ვაჟიშვილები მორიგეობით არჩენდნენ მშობლებს. „დედ-მამა, რიგით, შვილებმა უნდა შეინახონ, არჩინონ. მშობლები, თითო კვირათობით ან თვეობით, რიგის კვალობაზედ, ცხოვრობდნენ შვილებთან. ჩვეულების ძალით დიდი სირცხვილია, თუ შვილებმა დედ-მამა არ შეინახეს, საზრდოზედ უარი უთხრეს“⁷⁸. ეს ფაქტი ხუდადოვის ნაშრომიდანაც დასტურდება⁷⁹.


საკუთრადღებოა, რომ კერა და საკაცო სკამი წილში არ შედიოდა. როგორც გ. ჩიტაია იკვლევს „კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის,

⁷⁶ შდრ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, ტფილისი, 1934, გვ. 89.

⁷⁷ «При дележе имущества канаются таким образом: предварительно назначают, что та часть верхняя, другая средняя и третья нижняя — затем берут длинную палку и по ней перехватывают рукою один за другим до тех пор пока рука одного дойдет до конца палки—этот есть верх, чья рука, под ним, тот средний — и держащий рукою внизу—низ. Таким же образом делят и всю остальную домашнюю утварь; земледельческие орудия, кухонную посуду и проч. Хлеб, масло, яйца и другие съестные припасы делятся на число всех душ семьи» СМОМПК, Тифлис, 1886, выпуск пятый, стр. 53.

⁷⁸ ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბილისი, 1940, გვ. 45.

⁷⁹ Х у д а д о в, Заметки о Хевсуретии, Записки Кавказского отдела императорского русского географического общества, кн. XIV, вып. I, Тифлис, 1820, стр. 168.



ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა მარადიული სიცოცხლის სიმბოლო⁸⁰. ამ მხრივ საგულისხმოა ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ ახლად აშენებული სახლ-სამკვირვარეობის ველი ცეცხლი ძველი ყვერფნიდან წაღებული ნაკვერჩხალით უნდა დანთებულიყო (თაია გიორგის ასული ლიქოკელი-არაბულისა, 100 წლის. სოფ. მოწმაო, 1962 წ.). ოსეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამკვიდრებული ანალოგიური ტრადიცია „ძირის კერასთან“ კავშირის გაგრძელებისა და ამ კავშირის განმტკიცების გამოხატულებადაა მიჩნეული⁸¹.

„ქალის სათავენო საკუთრებას მამაკაცი ხელს ვერ ახლებდა, ვერ მოიხმარდა დიაცის ნებადაურთველად“. იგი წილშიც არ შედიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში ქალის სამზი-თვო კიდობნის ხელშეუხებლობაც დასტურდება. ოჯახის უფროსის უწილო საკუთრებაში რჩებოდა მისი კუთვნილი სავარძელი. ოჯახის წევრი, რომელიც დურგლობას მისდევდა, სახელოსნო იარაღების უწილო მესაკუთრე იყო.


როგორც ითქვა, მერხის ადგილიდან დაძვრა, ისე როგორც კერის მოშლა ან საკიდელის ჩამოღება, ოჯახის დანგრევისა და უბარაქობის შიშით, ტრადიციით იკრძალებოდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში საქალო მხარეზე მდგარ საოჯახო ვარცლს დიასახლისი ვანაგებდა. ოჯახის გაყრის შემთხვევაში ეს ვარცლი დიასახლისის უფლებებშივე რჩებოდა. აქვე დამოწმებული მასალის მიხედვით, ოჯახის გაყრის პროცესში „ოჯახის წევრ ფეხმძიმე ქალისათვის იმ რაოდენობის წმინდა (ხორბალი) უნდა მიეცათ, რასაც პირამდე გავსებული საოჯახო ვარცლი დაიტევდა“. აღსანიშნავია, რომ ამ ცერემონიალის დროს ვარცლს უფროსი ქალის მეტი ვერავინ ვაეკარებოდა (მაჯია სიჯაის ასული წამალაიძე-ზაქაიაძე, 99 წლის, სოფ. წკერე, 1959 წ.). უფროსო ქალის ასეთივე უფლებები, თუშური მასალის მიხედვით, ტ მო შ ტ ზ ე (ცომის სახელი ჭურჭელი) ვრცელდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, საოჯახო ვარცლი უფროსი ქალის ყოველდღიური საქმიანობის თანმხლებ საგნად გვევლინება. ამაზევე მეტყველებს ხალხური რწმენა, რომლის მიხედვით ვარცლის გაბზარვა დიასახლისის სიკვდილს მოასწავებდა და გაბზარული ვარცლის დასიზმრება ოჯახის უბედურების წინასწარხედვად იყო მიჩნეული (გიორ-

⁸⁰ გ. ჩ ი თ ა ი ა, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941 წ., გვ. 310.

⁸¹ Г. Ф. Ч у р с и н, Осетины (Этнографический очерк), Тифлис, 1925, стр. 67.



გი ბეჯანის ძე ბეჭაური, 95 წლის, სოფ დიდებანი, 1959 წ.). აღნიშნული ვითარება განსხვავებული ვარიანტებით საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება⁸².

ამრიგად, საოჯახო ვარცილი, რომელიც უფროსი ქალის კუთვნილებას შეადგენს, მისი უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველადაა აღიარებული. ეს გარემოება ოჯახის გაყრის შემთხვევაშიც იჩენს თავს.

დასასრულს შეიძლება დავასკვნათ: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელი სახლის ინტერიერში ავეჯის განლაგებას საფუძვლად ედო ტრადიციით განმტკიცებული წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც კერა გარკვეულ სამოქმედო ცენტრს წარმოადგენდა. მის გარშემო წარმოებდა როგორც ავეჯის განლაგება, ისე მისი სისტემაში მოყვანა, ოჯახის წევრთა სქესობრივი პრინციპის შესაბამისად. ის გარემოება, რომ საკაცო მერხი ძველ სახლში რჩებოდა და გაყრის შემთხვევაშიც წილუყრელი იყო, კერის უწყვეტობის იდეას უკავშირდება, ხოლო თვით მერხი, როგორც სტაციონარული და წილუყრელი ავეჯი, ვფიქრობთ, განაყარი წვერების ძველ სახლთან კავშირის განმტკიცების ნივთიერ საბუთს უნდა წარმოადგენდეს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ხალხური ხის ავეჯის შესწავლამ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გვიჩვენა, რომ მისი სრულყოფილი ფორმების შექმნა-ჩამოყალიბებას საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციები ასაზრდოებდა, რის გამოც იგი საკმაოდ შეესაბამებოდა საოჯახო, სამეურნეო მოთხოვნილებებს და თავისი დროისა თუ პირობების მიხედვით შემოქმედებითად ვითარდებოდა.

ამ ნიადაგზე შეიქმნა და გამომუშავდა მრავალი საყურადღებო ხალხური წესი და დაკვირვება როგორც საავეჯე ხის მასალის შერჩევა-შეგულების, ისე მისი პირველადი დამუშავების შესახებ.

როგორც ცნობილია, ყოველი საგანი თავის ხასიათითა და დანიშნულებით დაკავშირებულია ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ამდენად, ჩვენ მიერ შესწავლილი და განხილული ხალხური ავეჯის ტიპი, საკვლევ რაიონში, განსაზღვრა გარკვეულმა ობიექტურმა პირობებმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ კლიმატურმა, გეოგრაფიულმა და ეთნოგრაფიულმა ფაქტორებმა ერთგვარად განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში როგორც საცხოვრებლის, ისე მასში წარმოდგენილი ხის ავეჯის ურთიერთმსგავსება და ამ უკანასკნელის ადგილი ინტერიერში.

⁸² შდრ. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

ავეჯი უმთავრესად მოთავსებული იყო საცხოვრებელი სახლის „შინაში“. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელი სახლის „შინაში“ ხის ავეჯის განლაგებას ძირითადად აწესრიგებდა კერა. იგი საერთოდ გარკვეულ სამოქმედო ცენტრს წარმოადგენდა. მასთან დაკავშირებული იყო როგორც ავეჯის განლაგება, ისე მისი სისტემაში მოყვანა ოჯახის წევრთა სქესობრივი პრინციპის შესაბამისად.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩვენ მიერ შესწავლილია ხის ავეჯი მოყვანილობით, ფუნქციითა და შემკულობით განირჩევა. კერძოდ, კონკრეტული ფუნქციის მიხედვით ავეჯის შემდეგი სახეობანი გამოიყოფა: საწოლები, სასხდომები, სუფრა-ტაბლები და კილობნები. ამავე ნიშნის საფუძველზე გამოვლინდა დგამ-ჭურჭლის შუალედი ფორმები. ასეთია მაგალითად, ტაბაკი, „ხონი“, ქუბდიანი ტაბაკი“, „თუშური ტომოტი“ და სხვ.

ასევე გაირკვა, რომ ზოგიერთი ავეჯთავანი სახელდობრ — კილობანი წარმოდგენილია კომბინირებული ფუნქციით. როგორც ჩანს, ეს გარემოება გამოწვეული იყო საცხოვრებელი სახლის ინტერიერის განტვირთვის მიზნით და უზრუნველყოფდა ფართობის რაციონალურად ათვისებას.

ქართულ ხალხურ ხის ავეჯს, ისე როგორც საერთოდ ხალხურ ხელოვნებას, არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი მდიდარი მემკვიდრეობაა, რომელიც საჭიროებს გამოყენებას. ამიტომ ახალი ავეჯის შექმნისათვის უეჭველად გასათვალისწინებელია: ტრადიციული ავეჯის დამზადების ხალხური წესები, მასალისა და მისი თვისებების ხასიათი, ავეჯის ფორმების ლოგიკური არსი და მასზე მოცემული ჭრელის სახეები, ნაგებობის ბუნებასთან ავეჯის შეხამება და რაც მთავარია ხალხის პრაქტიკული და ესთეტიკური მოთხოვნილება.

НАРОДНАЯ МЕБЕЛЬ В ГОРНЫХ РАЙОНАХ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

(по этнографическим материалам)

Резюме

Производство мебели в Грузии, судя по археологическим, историческим и этнографическим данным, имеет многовековые традиции, возникшие на эмпирической основе.


Народная мебель, интересные образцы которой сохранились до наших дней в горных районах Грузии, является важным объектом этнографических исследований. Ее изучение способствует восстановлению исторической картины домашнего быта населения Грузии.

Монография ставит целью выявить богатые разновидности народной мебели, способы ее производства и украшения; установить исторические этапы развития этой важной отрасли ремесла и проанализировать те производственные навыки и традиции, которые создавались в Грузии в связи с развитием дереводелия. В работе должное внимание уделяется выявлению факторов социального порядка, которые являлись определяющими при разработке форм мебели и ее типов. В связи с этим устанавливается наличие тесной связи между архитектурой мебели и жилого здания, в интерьер которого мебель включалась неотъемлемым компонентом.

Изучение материала, собранного нами в горной части Восточной Грузии, показывает, что деревянная мебель соответствующих районов по своей структуре и функциям проявляет определенное сходство с мебелью других областей Грузии.

Исследование вопроса позволяет так же проследить некоторые культурно-исторические связи грузинского народа с народами Кавказа и стран Передней Азии.

Основанием для данного труда послужил материал, добытый нами во время этнографических экспедиций: в Хеви (1957—58 гг.), Мтиулет и Гудамакари (1959—60 гг.), Хевсурети (1961 г.), Пшави (1962 г.), Тушети (1963—64 гг.) и Сванети (1965 г.). В качестве сравнительного материала привлекаются также коллекции грузинской мебели из Государственного Му-



зья Грузии им. акад. С. Н. Джанашиа и Ленинградского Государственного Этнографического музея народов СССР в процессе изучения вопроса мы руководствовались комплексно-интенсивным методом, разработанным Г. Читая.

Помимо полевых данных нами использованы соответствующие исторические сочинения и документы: «Распорядок царского двора» (XIV в.) «География» Вахушти Багратиони (XVIII в.), списки приданого XVIII в. и др.

Интересные сведения взяты и из произведений художественной литературы (Шавтели и Руставели XII в., царя Арчила — XVII в. и др.).

Ценные сообщения по этому вопросу имеются в трудах иностранных авторов, побывавших в Грузии (Шарден, Турнефор, Ламберти, Кастелли, Грелло (XVII в.), Дюбуа де Монпере, Фрешфильд (XIX в.) и др.), в описаниях русских путешественников (Толочанов, Иевлев), а также в кавказской периодике второй половины XIX и начала XX вв. (СМПОМПК, ЭКОИРГО, «Сакартвелос моамбе», «Гутнисдеда» и др.).

В специальной литературе до настоящей работы не существовало отдельной монографии относительно этнографического изучения грузинской народной мебели XIX века, но при разработке вопроса мы воспользовались отдельными высказываниями И. Джавахишвили, В. Бардавелидзе, П. Гардабхадзе-Кикодзе и др. Особую помощь в этом отношении оказала нам работа Г. Читая о сванском «сакурхил».

Представленный труд состоит из четырех глав.

В первой главе рассматриваются народные способы подбора дерева для мебели и его первичной обработки, изучен народный опыт в этой области. Устанавливается, что в горной части Восточной Грузии мастера по дереву в совершенстве владели своей профессией. Они отлично разбирались в таких вопросах, как подбор дерева, порубка, первоначальная обработка, способы транспортировки, уход за древесиной и др. Приобретенный практический опыт помог мастерам по дереву приобрести соответствующие знания по анатомии древесины. Народ отлично изучил физические и технические свойства древесины и выявил полихромичность этого ценного материала.

В результате этого, местные породы дерева делились по цвету на две группы: светлые и темные. К тому же в древесине каждой отдельной породы выделяли части с различной окраской. Например, у сосны — красную кору, белый сок и желтую сердцевину, у ели — черную кору, белый сок и желтовато-синеватую сердцевину.

Мастера по дереву различали породы древесины по структуре их ткани. С этой точки зрения выделялись две группы пород: а) легкообрабатываемые (сосна, липа, осина) и б) труднообрабатываемые (береза, граб и др.).



26136330
307-1111033

При подборе пород для мебели принимались во внимание такие свойства дерева, как твердость, мягкость, вкус и др. Твердости пород придавалось особое значение при подборе инструмента в процессе обработки древесины (распиловке, остругивание, выемке гнезд и др.). С этой точки зрения породы подразделяли на 1) мягкие (ель, сосна, липа, осина и др.), 2) твердые (бук, дуб, береза, клен и др.), 3) наиболее твердые (самшит, груша, граб).

Согласно наблюдениям мастеров по дереву, ива характеризуется одинаковой твердостью всех слоев древесины, дуб обладает твердой сердцевиной, а бук твердой корой. Народный опыт подчеркивает, что твердостью сердцевины дуба определяется влагоустойчивость его изделий.

Большое значение при подборе пород дерева имела функция изготавливаемых вещей, т. н. мягкая древесина липы считалась наилучшим материалом для ларей, поскольку хранимое в них зерно не приобретало неприятного привкуса.

Правильный подбор дерева и его своевременная порубка определяли качество материала. Этот момент всегда учитывался мастерами-древоделами.

В работе детально рассматриваются различные технические процессы, связанные с порубкой дерева.

В горных районах Восточной Грузии засвидетельствовано правило предварительной отметки деревьев. В основном метки ставились на уже срубленные деревья. Метка указывала на принадлежность дерева определенному лицу.

В Мтиулети и Гудамакари каждая семья имела свои традиционные метки: крест с двумя линиями, два креста с тремя линиями и т. д. В каждой метке выделялись части родовые и побочные, эти последние добавлялись к родовым основным меткам в случае происшедшего раздела семьи. Традиция употребления меток, собственности засвидетельствована во всей Грузии. Она имеет свои параллели в археологическом материале, в котором они тракуются как фамильные метки отдельных мастеров.

